ISSN 0132-6023

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

7/92

ეროვნული
ბიბლიოთეკა

31 აგვისტო —

საქართველო გაეროს წევრია!

გილოცავთ!

●

აფხაზეთზე
ამ კაცს თვალი უჭირავს —
ეს კაცია, ალბათ, თურქის თემის...
და მე ვყვირი:
— ჩემს ხისხლს ღალევს უწინამც!
და მე ვმღერი
— აფხაზეთი ჩემი!
როსმე „არგო"
(სხვა ხომალდი გუშინაც!)
მიაპობდა ზვირთებს ნიჩბის ცემით...
და მე ვყვირი
— მკვდარსა მნახვენ უწინამც!
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!
ზღვაო პონტის!
რიფეებს მალავ უჩინარს —
არაერთის ზედ მიემსხვრა გემი...
და მე ვყვირი:
— ოხ, უწინამც, უწინამც!
და მე ვმღერი:
— აფხაზეთი ჩემი!

მურმან ლებანიძე

1975 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცისკარი

ივლისი № 7

საქართველოს მწერალთა კავშირის
სალიტერატურო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ყოველთვიური ჟურნალი

დაარსებულია
1857 წ.

თბილისი
1992

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზაურ კალანდია

სარედაქციო კოლეგია:
ირაკლი ბაზაკაძე
თეიმურ ბექიშვილი
(მთ. რედ. მოადგილე)
ნოდარ გრიგალაშვილი
ბათუ დანელია
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
რევაზ მიშველაძე
დავით მჯედლური
მამუკა სალუქვაძე
ზაალ სამადაშვილი
ზურაბ სამადაშვილი
ირაკლი სამსონაძე
გიგი სულაკაური
იორამ ქემერტელიძე
ჯანსულ ღვინჯილია
ვახტანგ ღლონტი
თემურ შავლაძე
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
ვაჟა ჩორდელი
(პმ/გ მდივანი)
გოდერძი ჩოხელი
ედიშერ ჯელიძე
კოტე ჯანდიერი
ჯანო ჯანელიძე
მაკა ჯოხაძე

მხატვარი
ვახტანგ რურუა

მორიგე რედაქტორი
ელზა მეტრეველი

შინაარსი

პოეზია და პროზა

3. ჯარჯი ფხოველი — ლექსები
10. ზურაბ ჭუბაბარია — მოთხრობები
19. მაია ბებაშვილი — ლექსები
23. მერაბ აბაშიძე — ბრაფომანი, მოთხრობა
27. გიგა თუთბერიძე — მოთხრობები
40. რამინ საჯაია — ლექსები
42. ვახტანგ კომახიძე — ზურგის ქარი, მოთხრობა.

ახალი თარგმანები

51. უოლტ უიტმენი — ამაკი მუსიკა ქარიშხლისა'. ინგლისურიდან თარგმნა **როსტომ ჩხეიძემ**.
57. ვლადიმირ ნაბოკოვი — ლოლიტა, დასაწყისი. თარგმნა **თამარ ლომიძემ**.

ინტერვიუ

94. თამაზ ჭილაძე — მადლობა გუთხრათ ღმერთს...

წერილები

119. რევაზ სირაძე — დრო და ქამი

გახსენება

140. ანდრო ბუაჩიძე — ქამი სიტყვისა

ისტორიის თეთრი ფურცლები

149. **რემონ დიუბე** — მოსკოვი და წამებული საქართველო. გაგრძელება. ფრანგულიდან თარგმნეს **მზია** და **აკაკი ბაძრაძეებმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარჯი ფხოველი

უფალო, აღიარე საქართველო

უფალო, აღიარე საქართველო!
აღიარე მთებით, ჭალებით, ჭაობებით, მდინარეებით.
აღიარე ერთგულებით და ღალატით.
აღიარე ურიცხვი მტრებით:
ის ხომ მტრების სიყვარულმა დააქცია
სამარადისოდ...
აღიარე ჯარით, ჯამაათით,
აღიარე პოლიტპატიმრებით,
თავისუფლების დეკლარაციით...
ჯალათით, მსხვერპლით, შეცდომებით...
აღიარე ცით,
აღიარე ღრუბლებით...
აღიარე წინაპართა სარკოფაგებით.

უფალო, აღიარე საქართველო!
აღიარე, რადგან იგი შენ შემოგყურებს
და სანამ გულზე შენი ცრემლი არ დაეცემა,
სანამ შენი ხმა არ მოიკვლის
საქართველოს დამფრთხალ მთა-გორებს,
სანამ იმის საზღვრებს
შენი ხელი არ შემოხაზავს,
მანამ სუყველა თვალს იბრმავებს:
ვითომ ვერ ამჩნევს...

უფალო, აღიარე მიწა: ჩვენი ფეხმოსაკიდი,
გარიყული ორ ზღვას შორის,
ზღვა ცრემლით და ზღვა სიძულვილით...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ოდესღაც შენგან მიტოვებული...
გადახსნილი ჭრილობებიდან
სისხლი რომ მოსჩქეფს შეუშრობელი...

უფალო, აღიარე საქართველო!
უფალო, სცანი საქართველო!
უფალო, გაიხსენე საქართველო!..

1991 წ.

●

და სიკვდილის წინ
ქართულ სიტყვასთან
მას განშორება გაუჭირდა ყველაზე უფრო...

ასე მეომარს უჭირს ხმალთან განშორება
და ხელით ბღუჯავს
გულგანგმირული
და ცივ მახვილს კვლავ მტერს უღერებს!

1991 წ.

●

იძვრის მაცილის ლანდი მკაფიო.
დაიკლაკნება სულში წყეული.
ქვეყანა დარჩა ქურდს და მაფიოზს,
ქვეყანა: ღმერთის ცრემლდამცვრეული.
ის აღარ არის, რასაც ელოდი,
რისთვისაც ევნე, დღენი გალიე.
ჯავრი გაწვება გულზე ლოდივით,
ჯავრი უკვდავი, მედღეხვალიე.
შენკენ მოიწევს და ბნელში გიწვევს
წყეული ვინმე ეშმათაგანი.
დროა: მადლობა უთხარი მიწას
და დაიხალე შუბლში ნაგანი!

1991 წ.

●

შენ ამოხვედი მზის თმებიდან და ლოცვებიდან...

შენს მფეთქავ ტანზე ხმლებს ლესავდნენ გადამთიელნი
და შენს სისხლში ხანჯლებს აწრთობდნენ...
დღეს შენ მღვრიე ხარ,
დაღლილი ხარ,
მწუხარე ხარ და უსიერი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე მღვრიე ხარ და ისე ქუფრი,
რომ შენს შვილებს ეს ჩათვლემა ვერ გვაპატიე,
გამოგვაღვიძე და წაგვართვი გზაც და გონიც
და სინანულიც
და უნარიც მიტევებისა!

1991 წ.

●

ხელებს აღარ ახსოვთ თავისი უკვდავი ხელობა
ხელებს აღარ ახსოვთ,
მოფერებისთვის რომ გაჩნდნენ...

ახლა ხელები ამზადებენ სუპერრაკეტებს,
ახლა ხელები ამზადებენ შხამის ბალონებს,
ახლა ხელები ლესავენ მახვილს...

და ხანდახან:
როცა თავისი ძველი საქმე გაახსენდებათ,
თავისი წარსული,
თავისი ბედნიერი ბავშვობა —
მაშინ ისინი იშლებიან
და ჰყვავიან
და შრიალებენ
და მიიწევენ ანგელოზის ფრთებივით მზისკენ.

1991 წ.

●

გადაგიქციეს ცხოვრება კუბოდ,
ჩაგაქრეს თითქმის, ცეცხლო მარადო;
ხელთ ვეღარ გიპყრობ ბრძოლაში, შუბო,
ვეღარ მოგირგებ, ფარ-მუზარადო!
თვალწინ: გაშლილი ცეცხლის მარაო,
ხელშეუვლები და უსხეულო.
შავო, პირქუშო და შემზარავო
უფსკრულო, ელვით გადახეულო,
როგორ თანდათან და შეუმჩნეველად
ითრევ ყველაფერს: მიგაქვს, წყეულო...
ო, დამბუგველო ცეცხლის ტუჩებო!
ო, ჯოჯოხეთო კარმორღვეულო!

1991 წ.

●

კბილით უჭირავს ეს დღე ცოფიანს:
ერს შხამავს სიტყვა წამორწყეული.
ცხოვრება თითქოს ავადმყოფია
და უნუგეშოდ დროა სნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვა გარყვნილების. სისხლი. მკვლელობა.
ქირქილებს ეშმა: გულის მთარსავი...
ახლა საშველი უსაშველოა!
ახლა საშველი არ ჩანს არსაით!

1991 წ.

დავყურებ ქალაქს

შენი თვალების ღამეულ ფსკერზე
მე უფრო დიდი მწუხარების აჩრდილსა ვხედავ,
უფრო დიდ ცრემლებს მომავლისას,
უფრო დიდი ტანჯვის ნაფლეთებს.

შენ დაიქცევი ისე, როგორც ბაბილონი
სისხლარეული...

შენი თვალების ღამეულ ფსკერზე
უფრო დიდი მწუხარების აჩრდილსა ვხედავ
უფრო დიდ წუხილს,
იმაზე დიდს,
დღეს რომელსაც შენ ეზიარე,
გულს რომ გიხანჯლავს
და რომ გმარხავს შენს ნანგრევებში.

ხვალინდელი დღე სხვა ცეცხლს გპირდება:
იმ ცეცხლის ფრთებში შენ განილევი,
რადგან შენა ხარ დიდი დედა ცეცხლის მეუფის.
რადგან შენა ხარ
დიდი დედა ნგრევის მეუფის...

განა შენ თვითონ არ გაზარდე ის, ვინც გულში
მახვილს გიღერებს!
შენ გაზარდე და სიძულვილის
ქვიშაც მიეცი დაუშურველად

შენ დააპურე შენს დასანგრევად აყალყული შენი შვილები,
რომლებიც, ალბათ, ღმერთის ნებას აღასრულებენ.

ხვალინდელი დღე სხვა ცეცხლს გპირდება:
იმ ცეცხლის ალში
შენ განილევი...

შენ ხომ სამყარომ შეგიძულა სილამაზისთვის
და შური განგრევს და განაფოტებს.

შენს ნანგრევებზე აყვავდება ჩემი სტრიქონი
და სიძულვილის
ბოროტ ფოთლებს ცეცხლს წაუკიდებს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის გადასწვავს შენი შვილების
გულებში
შხამის ბოროტ ყვავილებს.

უნდა აღვაგოთ ჩვენ აქ ღმერთის ცრემლსაწვეთარი.
იმ სარკეში შენი შვილები
დაინახავენ საკუთარ გულებს...
შენი წუხილის პირქუშ სიზმრებს დაინახავენ.

მე ვიცი, მალე ჩემი ლექსიც შენს ნანგრევებს
დაემსგავსება.
დაემსგავსება ტყვიის ცეცხლით დაკეჭნილ ხეებს
და ის იქცევა მარტო ცრემლად
და მარტო სისხლად
და მარტო კვამლად
და შენს ღრუბლებს შეემატება.

1992 წ.

●

სიკვდილი დადის შენს ქალაქში თმაგაშლილი,
ძვლების ჭრიალით.
სიკვდილი დადის ნანგრევებში, გამოთოფილ სასახლეებში.
წინ შეგეყრება და ცივ თვალებს შემოგანათებს.
ასანთსა გთხოვს.
რომელიღაც მისამართს გეკითხება...

ის არის სუპერრაკეტების ღმერთი.
ის არის გამარჯვებული,
რომელიც არავის არ უყვარს.
იმის ხსენებაზე ადამიანებს სიცილი გაურბის
და, თავგზადაკარგულები,
ოთხი გზიდან იმას ირჩევენ,
რომელიც ვითომ არ წაიყვანს სიკვდილისაკენ.

მაგრამ ყველა გზაზე ისა დგას:
ყველა უღელტეხილზე ის იცდის —
პირქუში,
უნდო,
სისხლშეჩვეული
და გულგრილი ცხოვრებასავით.

1992 წ.

●

მდინარეებო, მთებო, ქვებო და
ნისლო, რომ ერწყმი ცას უსხეულოდ —

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენთან რა უნდა ფლიდს და ქვებუდანს...
ვინ დაგასახლა აქეთ, წყეულო!
ვინ მოგიზომა მიწა მტკაველით,
მიწა ზღაპრული და საარაკო.
ღმერთს ეკუთვნოდა ჩემი მთა-ველი...
ღმერთს ეკუთვნოდით, ჩემო ჭალაკნო!
ახლა თქვენს მხრებზე ვინ დგას, ნეტავი,
ასე რომ ზვაობს და ჭირვეულობს.
ო, განვედ, ქრისტეს ძვლების მკვნეტავო!
ო, განვედ ჩვენგან, სულო წყეულო!

1992 წ.

●

სიყვარული მარტო არ არის...
სიყვარულთან მოწყენილი ხე დგას.
ხეზე ადამიანია მიყრდნობილი.

შეიძლება შეიყვარო ის ხე.
შეიძლება შეიყვარო ხეზე მიყრდნობილი ადამიანი.
შეიძლება შეიყვარო ის მდინარე,
რომელსაც უკვე აღარ ახსოვხარ,
რადგან შარშან ის სულ სხვა იყო...

შეიძლება შეიყვარო ყვავილი,
რომელიც საქონელს უნდა მოეძოვა,
მაგრამ ვერ მოძოვა,
რადგან ყვავილს გველი იცავდა...

ბოლოს და ბოლოს გველის შეყვარებაც კი შეიძლება.
ამათ კი, ღმერთო ჩემო, მხოლოდ სიყვარული შეიყვარეს.
მაგრამ არა: სიყვარული მარტო არ არის.
სიყვარულთან გარდაცვლილთა ლანდები დგანან.
სიყვარულთან ყვავილი დგას...
სიყვარულთან მე და შენ ვდგავართ.
სიყვარული მარტო არ არის.

1990 წ.

●

სისხლი შენს ქუჩებში: როგორც სიკვდილის სამკაული.
დრო კვდება. ჩვენ ვკვდებით. ხეები კვდებიან.
ჩვენს გზას აღარ დასცქერს მისი თვალი. ვინც უკვდავია.
დავიწყებულებს არ წაგვიყვანს ნათლისაკენ
მისი ძახილი.

შენ ღამე უფრო მოგიხდება, ჩემო ქალაქო,
ის დაფარავს შავი მხრებით სიკვდილის გულმკერდს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის დაფარავს შავი მხრებით შეშლილ სახეებს:
შეშლილ დროს.
შეშლილ ხეებს.
შეშლილ ადამიანს...
ის დაფარავს შავი მხრებით
სიცხლის ტბორებს შენს ქუჩებში, შენს იღლიებში.

დრო კვდება. ჩვენ ვკვდებით. ხეები კვდებიან.

1991 წ.

●

მიწაო, ცრემლით დასანამავო,
ანთიხარ უცხო ხელით ნაფერი...
შენთვის სიცოცხლე არის ამაო,
შენთვის სიკვდილი: სუყველაფერი!
ხარ მიხატული ღმერთის კალთაზე,
შენ: შორეულის მზერა კეთილი...
შენ ხარ ერთი და შენ ხარ ათასი:
უსასრულობის ბოლოწერტილი.
შორ გზაზე დგახარ: შენკენ ამავე
გზით მოიწევენ გულის ძაფები.
შენთვის სიცოცხლე არის ამაო,
შენთვის სიკვდილი: სუყველაფერი!

1991 წ.

●

რაც იყო, იყო: სად ეხეტე და სად იარე,
რა მორევების ფსკერი მოლოკე!..
ბოლოს შენს სახელს კალმის წვერზე დაატრიალებს
ვინმე პირქუში მენეკროლოგე.

და იტყვის იმას, რაც არ იყო, ხოლო არსებულს
ის ვერ იხილავს, თვალდავსებული...
შენ სამარეშიც ისევ ისე დაითარსები,
როგორც ამქვეყნად... მაშ, რაც გეგულვის

წარუვალი და უღალატო: ის შეიცანი
და უერთგულე კუბოს კარამდი...
ის არის შენთან: ერთადერთი და შენი ცალი,
თანამდევია იგი მარადის!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზურაბ ჭუბაბრია

მოთხრობები

ვარიაციები კლასიკოსის თემაზე

ალბათ, გახსოვთ გოგოლის მოთხრობა „ცხვირი“.

თუ არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ამ მოთხრობის გმირმა პლატონ კოვალიოვმა ერთ მშვენიერ დილას საკუთარი ცხვირი დაკარგა...

...კ. შ.-მ კი, გაიღვიძა თუ არა, მთელს ტანში ერთობ უჩვეულო სიმსუბუქე შეიგრძნო. მაგრამ ეს არ იყო სიმსუბუქე გადატანითი მნიშვნელობით, ხალისიანი გრძნობა, რაც წარმატებით დამთავრებულ საქმეს, ლამაზი ქალის გაცნობას ანდა, სულაც, მშვენიერი დილის გათენებას მოსდევს ხოლმე. ეს იყო სიმსუბუქე პირდაპირი, რეალური გაგებით; სიმსუბუქე ლურჯ ცაზე მოფარფატე გამჭვირვალე ღრუბლებისა ანდა ჰაერის ბუშტისა, ანდა მოჩვენებისა...კ. შ.-მ ტკბილი ძილის ბურანს ძლივს დააღწია თავი და საწოლში წამოჯდა. და იმწამსვე უზომოდ განაცვიფრა იმან, რომ საწოლს ჭრიალის მსგავსიც არაფერი დასცდენია. ეს ამბავი კ. შ.-ს კი არა, თქვენც ძალიან გაგაკვირვებთ, თუ გაგიმხელთ, რომ, ამ საწოლის გამაყრუებელი ჭრიალის მიხედვით, მეზობელი ჭორიკანა ქალები კ. შ.-სა და მისი მეუღლის ინტიმური ცხოვრების ყოველ უმცირეს ნიუანსს ხვდებოდნენ; ზედმიწევნით ჰქონდათ გამოთვლილი ბავშვის დაბადების თარიღი და ამაყობდნენ, როცა სინამდვილე ზუსტად დაემთხვა მათ პროგნოზს; გამოწვლილვით იცოდნენ, რამდენ ხანს იყო უმძრახად კ. შ. თავის ცოლთან და ა. შ.

მაშ ასე, ლეგენდარულმა საწოლმა ხმა არ გაიღო. ის კი არა, კ. შ. ისე გამოძვრა ლოგინიდან, რომ საბანიც არ შერხეულა.

სიზმარში ვარო დაასკვნა კ. შ.-მ და გამხიარულდა.

გარშემო მიმოიხედა.

ყველაფერი ძალზე რეალური ჩანდა.

ცოლს ჯერ კიდევ ეძინა და მშვიდად ფშვინავდა. კ. შ.-მ ხელი მისკენ გასწია და ზურგზე დაუსვა. განსაკუთრებული არაფერი უგრძვნია, მხოლოდ ის იყო, სხეულს აღიქვამდა, ქალს კი ვერა. თანაც საბნის გადაძრობა უნდოდა და ვერ კი შეძლო. კ. შ.-მ ახლა მკლავზე იჩქმიტა და როცა ტკივილისმაგვარი ვერაფერი განიცადა, საბოლოოდ დაირწმუნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი, სიზმარში ვარო. წამოდგა, ჩვეულებისამებრ, ტუალეტს მიაშურა და სწორედ იქ აღმოაჩინა, რომ მამაკაცობის აღმნიშვნელი ორგანო აღარსად ჰქონდა. აკანკალებული ხელები უნებურად მუცლის ქვემოთ წაივლო და ხაფანგში გამომწყვდეულივით მიმოიხედა. რა კარგია, სიზმარში რომ ვარო, კიდევ ერთხელ დაიმშვიდა თავი. ამ აზრს, სიზმრის ვერსიას კ. შ. განწირული ებღაუჭებოდა, მიუხედავად იმისა, რომ დრო გადიოდა, თენდებოდა და, საერთოდ, გარშემო ყველაფერი ძალზე წააგავდა ჩვეულებრივ დილას. მერე კ. შ.-მ სარკეში ჩაიხედა და შეძრწუნებულმა აღმოაჩინა, რომ სარკემ მისი გამოსახულება არ აირეკლა. მართლაც უჩვეულო შეგრძნება იყო ესოდენ ნაცნობი და ახლობელი, გაუპარსავი წვერისა და გაბურძგნილი თმის ჩარჩოში ჩასმული დაჭმუჭნილი სახის ნაცვლად აბაზანის კარისა და ჭრელი პირსახოცების დანახვა. კარის დახურვა სცადა, ვერ შეძლო, ვერც სინათლის ჩაქრობა მოახერხა... დარწმუნდა, რომ უწონადი და სრულიად უმწეო იყო. სამაგიეროდ, შეეძლო, გაფრენილიყო ან ნებისმიერ ჭუჭრუტანაში გამძვრალიყო თამბაქოს კვამლივით, თუკი მოისურვებდა. მოისურვა და ჭერს ეტაკა თავით, ოღონდ არაფერი სტკენია. მერე ისევ იატაკზე დაეშვა და დაფიქრდა. არავითარი ნორმალური ადამიანური სურვილი არ აწუხებდა — არც შიოდა, არც სწყუროდა, არც სციოდა... ტუალეტშიც ხომ მხოლოდ მრავალწლიანმა ჩვეულებამ შეიყვანა. მოიცა, მოიცა, ხომ არ გარდავიცვალეო?! — დაებადა საზარელი კითხვა. სადღაც ამოკითხული ჰქონდა კლინიკური სიკვდილიდან მობრუნებული ადამიანების მონაყოლი და სწორედ ეს გაახსენდა. ნაღდად ასეაო, შეიცოდა კ. შ.-მ საკუთარი თავი და, ის იყო, ამ სამწუხარო სინამდვილეს უნდა შერიგებოდა, რომ დაინახა თუ როგორ ამოძრავდა და მძლავრად აჭრიალდა მისი საწოლი. კ. შ.-მ აზრზე მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ მის ლოგინში ვიღაცამ საბანი გადაიძრო.

კ. შ.-მ საკუთარი სხეული დაინახა! ჰო, ეს მისი სხეული იყო, ოღონდ გაცილებით უფრო ბალნიანი და წითლად მოღაჟღაჟე... საბოლოოდ დაბნეულმა კ. შ.-მ იმ არსებას სახეში შეხედა. პირველ წამს შეეძლო ჯვარზე დაეფიცა, რომ ეს მისი საკუთარი სახე იყო, მაგრამ მერე კარგად დაუკვირდა და აღმოაჩინა, რომ საქმე სრულიად განსაკუთრებულ მოვლენასთან, კაცის სახემიღებულ სწორედ იმ არსებასთან ჰქონდა, რასაც ჩვენ მოკრძალებული სახელი —„ორეული" ვუწოდეთ. დიახ; ეს არსება მისი საკუთარი „ორეული" გახლდათ, ვისაც ასე მშვენივრად შეეფერებინა კ. შ.-ს სხეული, სახე და, საერთოდ , მთელი მისი გარეგნობა.

კ. შ.-მ მუშტები მოკუმა. ვინც უნდა ყოფილიყო ის „სხვა", მას უფლება არ ჰქონდა, ოჯახის უფროსის ლოგინში, დიასახლისის გვერდით ეკოტრიალა. კ. შ.-მ ერთი ღრმად ამოისუნთქა და იმ „სხვას" მივარდა... იმწამსვე მიხვდა, რა სასაცილო იყო ეს აფეთქება. განა შეუძლია ნიავს კაცი მიბეგვოს, ან გასაბერ ბუშტს — ბულდოზერი ააყირაოს? ჰოდა, იმ „სხვამ" ნაკლებად შეიმჩნია კ. შ.-ს ბუნებრივი რაინდული საქციელი, ქალისკენ გადაბრუნდა, ერთხანს მისი შიშველი ზურგი ათვალიერა, ბოლოს მსუნაგად ჩაიხითხითა, ბანჯგვლიანი ხელებით გადასწვდა და ქალი თავისკენ გადმოატრიალა.

კ. შ.-მ წამოიკვნესა. ცოლქმრობის თხუთმეტი წლის განმავლობაში არც ერთხელ არ მოპყრობია მეუღლეს ასე უხეშად და ამ საწოლის გადამკიდეს. არც მოსვლია აზრად დილის რვის ნახევარზე ინტიმური ურთიერთობების გაჩაღება.

იმ არსებას კი, ეტყობოდა, სულაც არ აღელვებდა მეზობლების ყოფნა-არყოფნა ან მათი აზრი საკითხის გარშემო. ასეთ უხეშობას შეუჩვეველმა ცოლმა ერთი უკმაყოფილოდ ამოიბურტყუნა და ის იყო, წუწუნნარევი საყვედურების შადრევანი უნდა ამოეფრქვია, რომ უცებ ქმრის გადასხვაფერებულ, ჩამუქებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩაწითლებულ სახეს მოჰკრა თვალი, ცხელი ტუჩებისა და უჩვეულოდ აკანკალებულ-აღგზნებული ხელის შეხება იგრძნო და სასიამოვნო ნეტარებამ დაუარა ტანში; გულიც ისე აუფართხალდა, როგორც მაშინ, ქალიშვილობაში მოსდიოდა ხოლმე...

დაფარფატებდა გასაცოდავებული კ. შ. საკუთარ საწოლთან და ვიღაც „ორეულის" (ოღონდ ასევე საკუთარის) საკუთარ ცოლთან განცხრომას შესცქეროდა. თვითონ ყოველგვარი გრძნობა-სურვილისგან იყო დაცლილი და პირველწამიერ აღშფოთებას თანდათან ყოველად მოულოდნელი ცნობისმოყვარეობა შეენაცვლა. ის კი არა, ბოლოს აღფრთოვანებით ადევნებდა თვალს ამ ორგიის ყოველ მომენტს და ერთი ორჯერ ყოჩაღ, ბიჭოო, ტაშიც შემოჰკრა. ეს იყო სრულიად შეუზღუდავი, თავისუფალი და, ალბათ, სწორი ცოლქმრული დამოკიდებულების თვალსაჩინო მაგალითი. დიდი, დიდი ხნის წინათ ებადებოდა კ. შ.-ს მსგავსი ურთიერთობების სურვილი, მაგრამ ცოლ-ქმარს ხან მეზობლების რცხვენოდა, ხან გამვლელ-გამომვლელის, ხან მეეზოვის, ხან თოთო ბავშვის, ხან ხეზე შემომჯდარი ჩიტისა და ხანაც სადღაც აყეფებული ძაღლის... სისულელე! აი, „ორეულმა" ერთ წუთში სასაცილოდ აიგდო მთელი მათი ცხოვრების წესი და ქვეყანა არ დანგრეულა. პირიქით, ცოლი გაბედნიერებული, გაცისკროვნებული თვალებით მისჩერებოდა ჯანზე მოსულ ქმარს, რომელიც ჯიშიანი ბუღა-მწარმოებელივით ბდღვირს ადენდა ლოგინს; კ. შ.-ს მთელი ფარული, წლების განმავლობაში დაგროვილი ენერგია ახლაღა გათავისუფლებულიყო...

ბოლოს „ორეულმა" ცოლს წელქვემოთ ხელი მოუტყაპუნა, ადგა და აბაზანისკენ გაემართა. კ. შ.-ს მოეჩვენა, რომ მან ყოფილ პატრონს თვალიც კი ჩაუკრა. ნეტარების ცრემლმორეულმა ცოლმა თვალი გააყოლა ქმარს. მერე საათს დახედა, აფუსფუსდა და ფეხზე წამოხტა. გაუკვირდა კ. შ.-ს საერთოდ მორღვეული დედაკაცის ასეთი ახალგაზრდული მოქნილობა და სიმკვირცხლე, ისე გამოანათა ქალმა, თითქოს ძველი, მტვრიანი ფაიფური საგულდაგულოდ გაეწმინდოს ვისმე. ისე დატრიალდა, კ. შ. თხუთმეტი წლის განმავლობაში რომ არ ღირსებია. თვალისდახამხამებაში ლოგინიც აალაგა, ქმარს შარვალი და პერანგი გაუუთოვა, ფეხსაცმელი დაუკრიალა, ერბო-კვერცხი შეუწვა და უბრალო საუზმე ისე ლაზათიანად გაუწყო, კ. შ.-ს ყველა ადამიანური მოთხოვნილება რომ არ დაეკარგა, ნამდვილად ნერწყვი მოადგებოდა.

— ეს რა შეძლებია ამ ოხერს! — წაიჩურჩულა გაოგნებულმა კ. შ.-მ და უცებ აღმოაჩინა, რომ გვერდით „ორეული" ედგა, რომელსაც წვერის გაპარსვა მოეწყრო და ახლა თმას ივარცხნიდა.

— ოხერიც შენა ხარ და მათხოვარიც. — მხიარულად შეეპასუხა „ორეული" თავის ყოფილ პატრონს, — მე კი კაცი ვარ კაცური. აქამდე ვითმენდი, ვფიქრობდი, ამ ადამიანს რამე იქნებ ეშველოს-მეთქი. შენც არ მოშიკვდე! ხატზე დაიფიცე ცხოვრების ბოლომდე დოყლაპიად უნდა დავრჩეო?!

— მაშ შენ...

— დიახ, შენი არსების საუკეთესო ნაწილი გახლავარ. ახლა თავი დამანებე და მიყურე, ნამდვილ მამაკაცს რა შეუძლია!

„ორეული" საუზმეს შეუდგა და თანაც აჭიკჭიკებულ მეუღლეს ეპასუხებოდა; მერე კ. შ.-ს „გამოსასვლელ" კოსტუმში გამოიპრანჭა, შარვლის ჯიბეები მოიჩხრიკა და გაცრეცილი სამმანეთიანის მეტი რომ ვერაფერი ნახა, მაგიდის უჯრიდან შემნახველი ხალაროს წიგნაკი ამოიღო.

— სად მიგაქვს ფული? — ვერ მოითმინა კ. შ.-მ.

— ფული?! ას ოთხმოც მანეთს ეძახი ფულს?! ფული მალე გექნება, ოღონდ ხელს ნუ მიშლი, თორემ სულს შეგიბერავ და გაგაქრობ. გასაგებია?

„ორეულმა" ქუდი დაიხურა, პალტო ჩაიცვა, მის ირგვლივ მოფუსფუსე ცოლს ხელი დაუქნია, გეყოფა, შეჩქარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაო და გარეთ გავიდა. შემოდგომის ცივმა ქარმა კ. შ. ზედ კართან დაატრიალა და ჩაბნელებულ სადარბაზოში გაისროლა.

„ორეული“ მხნედ მიაბიჯებდა. მის თავზე შარავანდედივით მოფარფატე, ასეთ ყოფას შეუჩვეველი კ. შ. სირცხვილით იწვოდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ ვერავინ ამჩნევდა და მშვენიერ ხასიათზე დადგა. განსაკუთრებით „ორეულის“ ქცევამ გაახალისა. — ქუჩაში არც ერთ ქალს უყურადღებოდ არ ტოვებდა. ზოგს თვალს უკრავდა, ზოგს ალერსიანად უღიმოდა და, საკვირველი ის იყო, რომ ქალების უმრავლესობაც შეთქმულივით შესციცინებდა.

სალუდესთან კ. შ.-მ ნაცნობი ლოთი დაინახა და უნებურად ხელი ჯიბისკენ წაიღო ფულის ამოსაღებად. ლოთს სახეზე ერთდროულად თავხედური და ფარისევლური ღიმილი უთამაშებდა.

— გამარჯობა, ძვირფასო კაცო.

— გაგიმარჯოს, — ცალყბად უპასუხა „ორეულმა“ და ნაბიჯიც არ შეუნელებია, ისე განაგრძო გზა.

ასეთ მოპყრობას მიუჩვეველი ლოთი ჯერ დაიბნა, მერე კი წინ წასულს აედევნა.

— მეზობელო, ერთი სამი მანეთი მასესხე. ხელფასს ავიღებ და ჩაგასესხებ.

— ხელფასს, არა? აბა, დაითესე აქედან!

— „დაითესე“ რა სიტყვაა, მეზობელო, რაღაცა ხომ არ შეგეშალა!

— მოუსვი-მეთქი აქედან, სანამ კარგ ხასიათზე ვარ, — მკაცრად დაუცაცხანა ლოთს „ორეულმა“.

ლოთმა უკან დაიხია და შეფიქრიანებული მზერა გააყოლა მხნედ მიმავალ მეზობელს.

„კაცი ხარ, ძმაო“, გაიხარა ლოთისაგან ერთობ შეწუხებულმა კ. შ.-მ.

ისიც შეატყო კ. შ.-მ, რომ „ორეულს“ ყოველ ნაბიჯზე ისეთი პატივისცემით ეპყრობოდნენ, რაც მას ცხოვრებაში არ ღირსებია.

აი, თუნდაც შემნახველ სალაროში, საიდანაც „ორეულმა“ კ. შ.-მ დანაზოგი ას ოთხმოცი მანეთიდან სამი მანეთი დატოვა. მოლარე, შავოსანი კაპარჩხინა, მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული აშკარად გაუთხოვარი მანდილოსანი ისეთი ცივი ხმით გაჰკიოდა, რომ სალაროს მოსამსახურე პერსონალი საცოდავად შეყუჟულიყო თავის სარკმელებში და ერთი-ორი დამფრთხალი აბონენტიც შიშით შესცქეროდა გაავებულ დედაკაცს.

სალაროს მარცხენა, დაბალ კუთხეში ეწერა: „ მოლარე ქ. ს. ამილახვარი“.

„ორეული“, ვითომც აქ არაფერიაო, უშიშრად მიუახლოვდა სარკმელს და მოლარეს შესცინა:

— თქვენო ბრწყინვალებავ, ქალბატონო ქსენია, იქნებ ჯერ მე გამისტუმროთ?!

ქალბატონმა ქსენიამ, ვისაც სულ კბილით ეჭირა, ეკივლა: ხომ ხედავ ფულს ვთვლიო, და ამ მიზეზით, ლაზათიანად გამოელანძღა თავხედი აბონენტი, დიახ, სწორედ ქალბატონმა ქსენიამ განცვიფრებული მზერა შეავლო „ორეულს“ და გაუღიმა! გეფიცებით, არაფერს ვაჭარბებ!

მერე, ტაქსში რომ ჩასხდნენ და მრიცხველმა მანეთი და ორმოცდათვრამეტი კაპიკი დაწერა, „ორეულმა“ მძღოლს ხუთმანეთიანი მიაწოდა. მძღოლმა სამმანეთიანი დაუბრუნა და მადლობაც გადაუხადა. კ. შ.-ს კი, მაგალითად, ხურდად მანეთს ან დაუბრუნებდნენ ან არა და, მადლობასაც არავინ აღირსებდა. ის კი არა, თვითონ ჩაიბურტყუნებდა მადლობის სიტყვებს. უეჭველად!

ეგ რა არის. საკვირველი ამბები მერე და მერე დაიწყო...

სამხატვრო საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც კ. შ. ამ ბოლო ოცი წლის მანძილზე ეწეოდა ჭაპანს, დიდი ამბები ხდებოდა. იყო ერთი მითქმა-მოთქმა, საქმის გარჩევა, აირია ჭორი და მართალი... და დღეს, ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყვეტილიყო, დარჩებოდა ბიუროს უფროსი თავის ადგილზე თუ არა. ბიუროს უფროსი ძველი წრთობის კაცი გახლდათ, „ნომენკლატურული“ მუშაკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლასიკური ნიმუში. უხსოვარ დროს ეს იყო ახალგაზრდა მუშა, ვისაც საკუთარ დედ-მამაზე უფრო უყვარდა ტრიბუნიდან სისულელეების ღრმააზროვანი ფრქვევა და გულზე მუშტის ბრახუნი. ჯერ რაღაცის დელეგატად დაასახელეს, მერე რაღაცის დეპუტატად, მერე კიდევ მაღლა, მერე კიდევ უფრო მაღლა და ფრრ... აფრინდა კაცი. სულ მოადგილე იყო—ტელეფონის ქსელის უფროსისა, სპორტკომიტეტის თავმჯდომარისა და კარიერის დასასრულს ბიუროს უფროსობა მიანდეს. ერთი სიტყვით, უფროსი ის კაცი იყო, ვინც საკუთარ ცოლს ერთგულ თანამებრძოლს უწოდებდა, შვილს — გზის გამგრძელებელს, კეთილშობილ ადამიანს — წარსულის გადმონაშთს. სიტყვა „დიზაინი“ გახრწნილი ბურჟუაზიული წყობის ისეთივე სიმბოლოდ ეჩვენებოდა, როგორც სიტყვები „ბიფლზი“, „ბობსლეი“ ანდა „მისისიპი“. და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ბიუროს უფროსობის ერთი თვის თავზე გაიგო, რომ „მხატვრული კონსტრუირება“ და „დიზაინი“ ლამის ერთი ეშმაკი ყოფილა...

კიდევ სამი კაცი იქაჩებოდა უფროსის ადგილზე. ყოფილი მეგობრები, ბიუროს თანამშრომლები დანასისხლად გადაეკიდნენ ერთმანეთს და ისეთი ამბავი ტრიალებდა, რომ იტყვიან, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში... ჩვენს შორის რომ ვთქვათ, ბიუროს უფროსობას ვინმე თუ იმსახურებდა, ისევ კ. შ. იმსახურებდა თავისი ცენზითაც, ნიჭითაც, განათლებითაც და გამოცდილებითაც, საქმის ზედმიწევნით ცოდნაზე რომ აღარაფერი ვთქვათ; მაგრამ კ. შ.-ს კანდიდატურა თავში არავის მოსვლია. ძალზე მორიდებული კაცი იყო, სიტყვაძუნწი, ცამდე მართალი რომ ყოფილიყო, ისე გაუბედავად დაილაპარაკებდა, რომ მეგობარსაც ეჭვი შეეპარებოდა მისი სიტყვების სიმართლეში.

„ორეული“ რომ ბიუროში მივიდა, უფროსის მოსაცდელში უკვე უამრავი ხალხი შეგროვილიყო. გაცხარებული ჩურჩული და სიგარეტის ქაჩვა იყო გაჩაღებული — ღელავდა ხალხი. მდივანი გოგო საიდუმლო გამომეტყველებით დაიარებოდა კაბინეტიდან მოსაცდელში ყავისა და „ბორჯომის“ გასატან-გამოსატანად და მოსწონდა, რომ თანამშრომლები ცნობისმოყვარე თვალებით შესცქეროდნენ. ხუმრობა საქმე იყო? წინასწარ თათბირს, დირექტორის, პარტკომისა და საბჭოს წევრების გარდა, სამინისტროს წარმომადგენელიც ესწრებოდა. მდივანი ისე თავმომწონედ დადიოდა, რომ „ორეული“ მიხვდა ყველაფერი იცისო და სიგარეტების ნამწვების გადასაყრელად გასულ გოგოს ჩუმად მიჰყვა.

მდივანი სანაგვე ყუთთან მივიდა და დიდი ბროლის საფერფლე, სადაც უმთავრესად უფროსის ნაღეჭი „ყაზბეგის“ ღერები ეყარა, შიგ ჩაცალა, და იცით როგორ ჩაცალა? თითქოს თვით უფროსს აგდებდა სანაგვე ყუთში.

„ორეულისთვის“ ყველაფერი გასაგები გახდა.

ეს იყო საოცრება!

კ. შ.-ს კრებაზე წარმოთქმულ სიტყვას მოგახსენებთ.

განა რაიმე განსაკუთრებულ ჭკვიანურს ამბობდა. არა, მაგრამ ისე ღირსეულად, მშვიდად და დამაჯერებლად ლაპარაკობდა, იმდენად კეთილმოსურნე გამოდგა სამივე კანდიდატის მიმართ, რომ ყველა მოხიბლა — დირექტორიც, პარტკომიც, საბჭოს წევრებიც და თვით სამინისტროს წარმომადგენელიც კი.

გაშტერებული შესცქეროდა კ. შ. თავის „ორეულს“. მის ტრიუმფს. მხოლოდ კ. შ.-მ იცოდა, რომ „ორეულმა“ იკადრა ის, რაც თვითონ ცხოვრებაში არ უკადრებია, წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც არასდროს არ წარმოუთქვამს. არა, განა არ დაბადებია მსგავსი აზრები სადღაც, ზურგის ტვინის მიდამოებში, მაგრამ შერცხვენია და ის აზრებიც შეშინებული თაგუნებივით დაფანტულან აქეთ-იქით... კ. შ.-ს გულითა და სულით უნდოდა, რაც შეიძლება სწრაფად დაელწია თავი ამ ყოვლად ბითურული სიზმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისთვის, მაგრამ მალე მიხვდა, რომ არაფერი გამოუვიდოდა და ხელი ჩაიქნია...

ამ ცოტა ხნის წინ შემხვდა კ. შ. მშვენიერი ვერცხლისფერი „მერსედესის" საჭეს მოხდენილად ატრიალებდა. გააჩერა მანქანა, გულთბილად გადამეხვია და მაცნობა, აეროპორტში მაგვიანდება, ზეგ ლოს-ანჟელესში მივფრინავ დიზაინერთა საერთაშორისო კონგრესზეო.

სახეზე სულაც არ იყო გამოცვლილი. ეს არის მხოლოდ, ჩამკვრივებულიყო, მზე მოკიდებოდა და შეევერცხლილ საფეთქელთან რაღაც გამჭვირვალე უციმციმებდა; მაგრამ მზე პირდაპირ სახეში მცემდა და დანამდვილებით ვერც მოგახსენებთ, რა იყო. იქნებ, სულაც მომეჩვენა.

რაიონული ცენტრი. პანტიკო

ადრიანი გაზაფხულის დილა იდგა — თოვლში მოკრეფილი მწვანილივით გაკრიალებული და სუსხიანი.

ბროლის ჰაერი აშკარად წკრიალებდა. ლურჯი ცის ფონზე ყინულის ლოლუები წვეთავდა. ლოლუები ძალიან ჰგავდა ძახილის ნიშნებს. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ბატონი პანტიკო ლაბაძის თავში გაზაფხულის ეს მშვენერი დღე საზეიმო მოხსენების ასოციაციას იწვევდა. ასეთ მოხსენებებში ერთ წერტილზე ათი ძახილის ნიშანი მოდის!.. ასე, ორიოდე წამი დაუთმო ულამაზეს დედა ბუნებას ბატონმა პანტიკომ და ისევ და ისევ თავის საფიქრალს მიუბრუნდა. ცუდად იყო საქმე, ძალიან ცუდად! პანტიკო ლაბაძეს — რაიონში სახელგანთქმულ კაცს, ოქროპირს, სტუმართმოყვარეობის სიმბოლოს, ჭირისა და ლხინის გამძღოლსა და უცვლელ თამადას, ღვინის სმა აუკრძალეს. მერედა, ვინ?! საუკეთესო და უახლოესმა მეგობარმა ილიკო ღლონტმა, ძველისძველმა სოფლის ექიმმა, ვისაც დიაგნოზი ჯერ არ შეშლია. კარგს ვერაფერს გეტყვი, ჩემო პანტიკოო, — უთხრა, — ასე თუ განაგრძე, ერთ წელიწადში გამოეთხოვები წუთისოფელს. ერთი ორმოცდახუთი კილო მაინც უნდა დაიკლო, თორემ დაიხრჩობიო... ილიკოს რა ენაღვლებოდა, თვითონ კი დაფარფატებდა აღმა-დაღმა სიმინდის ფუჩეჩივით გამხმარი. ათი ლიტრი ღვინო რომ დაელია, არაფერი დაეტყობოდა. ბედნიერია ეს ხალხიო, ამოიოხრა ბატონმა პანტიკომ და ღრმა სინანულით დახედა თავის უზარმაზარ ღიპს, რომლის ქვეშით რა ხდებოდა, პატრონისათვის კარგა ხანია საიდუმლოებით იყო მოცული. ფერხორციანი კაცი გახლდათ ბატონი პანტიკო — მოსული, შთამბეჭდავი და ვარდისფრად მოღაჟღაჟე. იგი ას სამოც კილოგრამს იწონიდა და ყველგან და ყოველთვის უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა; მის სიტყვას დიდი გასავალი ჰქონდა — უჯერებდნენ და უყვარდათ. რაიონის კულტურას განაგებდა ბატონი პანტიკო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რაიონის ტერიტორიაზე ფეხდადგმული ყოველი სტუმარი, თუკი მას კულტურასთან რაიმე თუნდაც უმცირესი კავშირი ჰქონდა, ბუნებრივია, ბატონი პანტიკოს პირადი სტუმარი იყო. თბილისელი მოქანდაკე და არქიტექტორი, მესამე წელი რომ რაიონის შემოსასვლელში კერამიკულ პანოს ამონტაჟებდნენ, უკვე პანტიკო ლაბაძის ოჯახის წევრებად ითვლებოდნენ. ყველაზე გამოჩინებული სტუმრები და უცხოელები პანტიკოს მიტოვებული ბავშვებივით ეკვროდნენ... ჰოდა, თუკი შემთხვევით ბატონ პანტიკოს ცხოვრებაში ისეთი მშვენიერი და ბედნიერი დღე გამოანათებდა, როცა არც ქორწილი იყო სადმე, არც ქელეხი, არც ნათლობა და არც სტუმარი, ძველი ძმაკაცები მოაკითხავდნენ ხოლმე აუცილებლად. მათ შორის პირველი ილიკო ღლონტი გახლდათ... ეჰ, ილიკო, ილიკო... ეს რა თქვა, კაცო, — ორმოცდახუთი კილოგრამის დაკლება არ გინდა?

ამ უსიხარულო ფიქრებით განაწამები ბატონი პანტიკო მაინც წლობით გამომუშავებული მზიური ღიმილით ესალმებოდა რაიონის ცენტრში გამვლელ-გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მვლელს და, კაცმა არ იცოდა, რა ცეცხლი ენთო მის ვეება მკერდში.

— ხომ გესმით ჩემი, ბატონო პანტიკო! — ლაბაძეს წინ ვიღაც გამხდარი, წვეტიანი ქალი ედგა და გამწარებული უმტკიცებდა რაღაცას. ბატონმა პანტიკომ შეშფოთებით შეათვალიერა ქალის წინ წამოწეული, ენერგიული ნიკაპი. კი ენახა ეს სახე, მაგრამ სად და როდის, ვერაფრით გაეხსენებინა.

— ჰოდა, იმას მოგახსენებდით ჩემი ბატონო, — ქალმა ორი თითი ტუჩების კუთხეებში მოისვა და განაგრძო, — ცამეტი წელია, კალმახელიძე რემონტს გვპირდება. ბიბლიოთეკაში აუტანელი სინესტეა; წიგნები ლპება. მკითხველი ზაფხულობით თუ მოგვაკითხავს...

პანტიკო ლაბაძემ, როგორც იქნა, გაიხსენა ეს ქალი — ბიბლიოთეკის გამგე, ყოვლად მოუსვენარი არსება, რომელიც უკანასკნელი ცამეტი წლის მანძილზე უშედეგოდ ებრძოდა მშენებელ კალმახელიძეს. ეს საქმე რაიონში ყველამ, მათ შორის ბატონმა პანტიკომაც ზეპირად იცოდა. ის კი არა, თავის დროზე ამ ამბავმა ბატონი პანტიკოც მაგრად ააღელვა, ერთი ორჯერ მკაცრად შეუბღვირა კიდეც კალმახელიძეს, მაგრამ მშენებელი ტკბილი სიცრუის და დამშვიდების ნამდვილი დიდოსტატი გახლდათ და ყოველთვის ყველას დამშვიდებას ახერხებდა. ამშვიდებდა და ამშვიდებდა: რაიკომის მდივნებსა და აღმასკომის თავმჯდომარეებს, განყოფილების გამგეებსა და კოლმეურნეობის თავმჯდომარეებს, რევიზორებსა და გაზეთის კორესპონდენტებს... ერთადერთი, ვისი დამშვიდებაც არა და არ იქნა, ეს ერთაციდა ქალი, ბიბლიოთეკის გამგე იყო.

„ახლა და, ვთქვათ, ღვინო არ დავლიე. ეს პირველი პირობაა, ილიკომ რომ წამომიყენა. მეწვია სტუმარი. რა ვქნა მერე მე?! ვიჯდე და მთელი საღამო ანდრო შოფერივით ლიმონათი ვსვა? თუმცა არც ლიმონათი და ბორჯომი ვარგა — ნაკლები სითხე უნდა ძიიღო. არა, იმათ ეს ცვრიანი მწვადები და დაბრაწული ვარიები მიირთვან და მე ზეთიან კომბოსტოზე გადავიდე? — ისევ გაექცა ფიქრი ბატონ პანტიკოს. — თანაც გაზაფხული იმძლავრებს, სადაც არის — ბატკნის ჩაქაფული, ახალი ტყემალი...“ — პირდაპირ ცხვირში ეცა იმ ლორთქო ტყემლის სურნელი და ნერწყვი მოადგა.

„რა არის, ეს ოხერი, რაც გემრიელია, სწორედ ის კლავს თურმე ადამიანს. აბა, მარტო ხაჭო ჩემმა მტერმა ჭამა“ გაიხსენა ხაჭოს გემო. ახლად შელესილ კედელს ექნება ასეთი გემოო, გაიფიქრა და სასოწარკვეთას მიეცა.

— ხომ მართალი ვარ, არა, ბატონო პანტიკო? — ქალი ისევ იქ იდგა, სიცივისგან გაწითლებული, კოდალასებური ცხვირი მაღლა აეწია და მოლოდინით და იმედით შიგ თვალებში შეჰყურებდა პანტიკოს.

— ვნახოთ, ვნახოთ... — მონახა გამოსავალი პანტიკო ლაბაძემ.

— როგორ თუ „ვნახოთ“... არა, არა, ბატონო პანტიკო. თქვენ თვითონ უნდა მოელაპარაკოთ კალმახელიძეს აუცილებლად... შეუძლებელია, ბატონო, მეტის მოთმენა!

— კარგი...

— მპირდებით, ხომ, ბატონო პანტიკო, — აღფრთოვანდა ქალი, — თქვენ გენაცვალეთ, სწორედ თქვენისთანა ვაჟკაცი.

— ბოდიში, ქალბატონო, — შეაწყვეტინა ბატონმა პანტიკომ, — ერთი ეს მითხარით, თუ არ გეწყინებათ... ჰმ, რამდენი კილო ბრძანდებით?

— ბატონო?!

— არაფერი... მაინტერესებს, უბრალოდ, რამდენ კილოგრამს იწონით?

— მე... ორმოცდახუთს, ორმოცდაექვსს... თუ... კარგად ბრძანდებოდეთ! — ქალმა შიშით შეხედა ბატონ პანტიკოს და ჩქარი ნაბიჯით ვანიძეების ქუჩას დაუყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჰა, ორმოცდახუთი-ორმოცდაექვსი... ესე იგი, ეს ქალი უნდა დავიკლო. არ ჩანდა ძალიან დიდი, ხომ იცი შენ?!“

ამ აზრმა პანტიკო ლაბაძეს შავნაღვლიანი ფიქრი გაუქარვა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ღიმილიც კი მოჰგვარა.

მთვრალები

— გოგია!

სიჩუმე.

— გოგია!!!

ისევ სიჩუმე.

— გოგია!!! — მთელი ხმით იღრიალა ბოლოს. — იმალები, ხომ, შე დამპალო. გამოდი, თუ ვაჟკაცი ხარ, გამოდი, შენი მკვდარი და ცოცხალი...

შუაღამეა.

ქუჩაში გაწლიკული, დიდთავა კაცი დგას და მეორე სართულის ერთ-ერთ ფანჯარას აგინებს მთელი სულითა და გულით.

გარშემო ისეთი სიჩუმეა, გეგონება, მთელ ქუჩას საღათას ძილით სძინავსო. ამ დროს ხან ერთ სარკმელში გაიელვებს ცნობისმოყვარეობით ანთებული თვალები, ხან მეორეში, გოგიას ფანჯრების გამოკლებით, რასაკვირველია.

ჩამქრალ ქუჩას ერთადერთი ნეონის ნათურა ანათებს. ისიც სულთმობრძავი, — აინთება, ჩაქრება, მერე როგორღაც ამოიზუზუნებ-ამოიხრიალებს და წამით ისევ აციმციმდება.

კაცს ხელში ერთი უშველებელი, ადამისდროინდელი რევოლვერი უჭირავს და თავის მუქარას ამ ფრიად მრისხანე შესახედაობის იარაღით ამაგრებს.

— არა, მე კაცი ჩამიშვებდა? მე კაცი რამეს წამართმევდა?!. ჩემ ხუთ ბიჭს და ორ გოგოს მათხოვრად დააგდებდა?! — კაცმა ცხვირი მოიხოცა და ყვირილით განაგრძო: — გოგია, გამოდი, შე ნაბიჭვარო, გამოდი, ერთი შუბლზე გაკოცო ამ ტყვიით, ძარღვი ხომ გაწყვეტილი გაქვს, ბარემ გაგიხვრიტავ კიდეც მაგ გოგრასა, შე ნამუსიდან გადავარდნილო... ო, შენი...

ქუჩა გასუსულია.

ან კი ვის მოუვა აზრად, ფანჯარა გაღოს და ზარბაზნით შეიარაღებულ გადარეულს რაიმე გადაბრუნებული სიტყვა აკადროს.

არა, ამ უბანში ასეთებიც არიან, მაგრამ გამხდარი კაცის ხმაში იმდენი სიმართლე და ალალი მწუხარებაა, რომ უშვერი სიტყვებით ნაგინები გოგიას ნათესაობა და მოყვარე დიდად არავის ედარდება.

— გოგია, კაცი არა ხარ, გამოდი ერთი წუთით... სად წამიხვალ, შე... ისე როგორ მოვკვდები, მეათე ნახვრეტი არ დაგადო მაგ მყრალ შიგანზე... კაცი არ ვიყო, შენი ცოლ-შვილი თუ არ ავატირო. როდემდე იქნები მანდა, შენი...

— ჯიგარო, სიგარეტი მომიკიდე, რა?!

გამხდარი კაცი მკვეთრად შემოტრიალდა და მოულოდნელად ისეთ გულუბრყვილო, ცისფერ მზერას წააწყდა, რომ შეცბა. დაიბნა და უნებურად ჯიბიდან ასანთი ამოიღო.

მეორე მთვრალს ჭიპამდე ჩახსნილი მოკლესახელოიანი თეთრი პერანგი აცვია, ბოლოებჩამოშვებულ სქელ ქერა ულვაშებში მოუთმენლად აცმაცუნებს სიგარეტს და აშკარად ეტყობა, ამ წუთში მხოლოდ ერთი რამ ადარდებს — მოუკიდოს და გააბოლოს.

გამხდარმა რევოლვერი მარცხენა მკლავზე დაიდო, სცადა მოეკიდებინა, მაგრამ აღალვებულს, არაფერი გამოუვიდა, საბოლოოდ, ნერვებმოშლილმა, ისევ ქე-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას გაუწოდა ასანთი — შენ თვითონ მოუკიდეო.

იმანაც კაი ხანს იწვალა.

ამასობაში გამხდარი კაცი გონს მოეგო. ისევ აენთო და ის იყო, კვლავაც ვაი-უშველებელი უნდა აეტეხა, რომ მეორე მთვრალმა სიგარეტს მოუკიდა, იარაღიანთან მივიდა და ასანთი გაუწოდა,

— დიდი მადლობა, უფროსო!

გამხდარმა კაცმა თვალები დაქაჩა, მაგრამ არაფერი უთქვამს და ასანთი ჯიბეში ჩაიდო. თანაც უნებურად თვალი გააყოლა მეორე მთვრალს, რომელიც ფრიად კმაყოფილი, სიმღერიანად გაუყვა გზას.

გამხდარმა კაცმა ერთხელ კიდევ მოიმარჯვა იარაღი, ერთხელ კიდევ მიიღო მრისხანე სახე და თითქოს გინებაც უნდა დაეწყო, მაგრამ უცებ ყველაფრის ხალისი დაკარგა, იარაღი ჯიბეში ჩაიდო და ნელი ნაბიჯით დაუყვა ბნელ ქუჩას.

მერე შეჩერდა, სიგარეტს მოუკიდა და ისე განაგრძო გზა.

ნეონის ნათურა კი კვლავ ერთ ამბავში იყო — ქრებოდა და ენთებოდა, ენთებოდა და ქრებოდა, ზუზუნებდა, ხრიალებდა და მხიარულად აპაჭუნებდა თვალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაია ბეგაშვილი

მაია ბეგაშვილი პროფესიით ექიმია, ფსიქო-ნევროლოგი. მედიკოსთა პოეზიაში, ლიტერატურაში მოღვაწეობა ახალი და მოულოდნელი, უჩვეულო ამბავი სულაც არ გახლავთ, ამის არაერთი მეტყველი ფაქტი არსებობს.

თავიდანვე უნდა აღვნიშნო — ამ მოკრძალებული ქალიშვილის ლექსებმა პირადად მე ბევრი რამ მაგრძნობინა, დამაფიქრა. ჩვენს სასტიკ, კოშმარულ დროში ტკივილები და წუხილი ვის გაუკვირდება, მაგრამ ამ ლექსებში გამჟღავნებული ტკივილებით ძალზე ადამიანურად, სადად, ყოველგვარი ყალბი გრიმასების გარეშეა გამოხატული, ახლობლის თანაგრძნობისთვისაა განკუთვნილი და ლირიკულ აღსარებათა ავტორი თავადაც თანაგრძნობას, გამოძახილს უცდის.

მაია კარგად არის დაუფლებული თავის რთულ პროფესიას, რაც ბევრ შემთხვევაში დაუნახველის, თვალით უხილავის დანახვას, ადამიანის დაზიანებული სულის შეცნობას და სალბუნის მოძებნას, გადარჩენას გულისხმობს. იგი დროსა და ძალას არ იშურებს, რათა ბევრ რწმენადაკარგულ, ხელჩაქნეულ ადამიანს დაუბრუნოს სიცოცხლის ხალისი, ამქვეყნიური მშვენიერების განცდა, სილამაზის ფასი აგრძნობინოს.

გარეგნულად იგი მშვიდი, თითქოსდა აუღელვებელი პიროვნებაა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანს ასე; მისი ლექსები გვიმხელს თუ რა უსაზღვროდ არის მაია შეყვარებული სიცოცხლეზე, როგორი სასოებითა და შეშფოთებით შეჰყურებს საოცრად პირობით, სიფრიფანა მიჯნას, ამქვეყნიურ ხმაურს თეთრი ლოდების მდუმარებისგან, მზედაბნელებულთა სამყოფელისგან რომ ჰყოფს, უნდა, რაც შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს მიწიერ ხმათა თავბრუდამხვევი გუგუნი, წრეში ჩამდგარნი მივდევდეთ წელთა ჯადოსნურ, დაუსრულებელ ბრუნვას, შტოზე ამობურცული კვირტებივით ჩვენც ხელახლა ვიწყებდეთ აფეთქებას, მარადიული ჟინით აღსავსენი ვეგებებოდეთ სიცოცხლის სასწაულს, „გაზაფხულის ამბოხებას...“

მაია ბეგაშვილი უფრო თავისუფალი ლექსისკენ იჩენს მიდრეკილებას. ასეთ შემთხვევაში ავტორთა მეტ წილს ეპარება ხოლმე არაფრისმთქმელი, რიტორიკული ადგილები, ზედმეტსიტყვაობაში გადადიან, რისგანაც იგი, შეიძლება ითქვას, ძირითადად დაზღვეულია. მისი ფრაზა მოქნილი, ტევადია, მაგრამ ლექსის ტექნიკის, ფორმის სრულყოფის თვალსაზრისით მას კიდევ ბევრი მუშაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მოუწევს. მის პოეტურ სახეებს ალაგ-ალაგ აკლია საჭირო კონკრეტულობა, სიახლე, რითმაც ვერ არის ბოლომდე მოწესრიგებული და ამ ნაკლთა დაძლევა თანდათან უნდა მოხდეს.

ლექსი შემთხვევიდან შემთხვევამდე დასაწერი, გულის გადასაყოლებელი რამ არ არის, იგი ადამიანის მთელ არსებას იწირავს, გამუდმებულ ფიქრსა და თავდაუზოგველ მუშაობას ითხოვს და ეს პასუხისმგებლობა, ვფიქრობთ, ჩვენს ავტორსაც ღრმად აქვს შეგნებული, შესისხლხორცებული.

მაია ბეგაშვილს პირველად უწევს „ცისკრის" მკითხველებთან შეხვედრა (ასაკიდაც შეეფერება ჩვენი ახალგაზრდობის საყვარელი ჟურნალის ავტორობა, იგი ოცდაექვსი წლისაა) და ვუსურვოთ, რომ მისი ეს ლიტერატურული დებიუტი ბედნიერი, იღბლიანი გამომდგარიყოს.

ემზარ კვიტაიშვილი.

●

მე ყოველ დილით გამომაგდებს ოცნება გარეთ
უმისამართოდ სახეტიალოდ.
მერე მთელი დღე გზად შეხვედრილ სახეებს შორის
დავეძებ ნაცნობს.
არ გავოცდები თუ ორეულს გადავეყრები
მე გამაკვირვებს: შენთან შეხვედრა
და უსასრულოდ გაწელილი სიცარიელე
სწუხს გარდასული წამების სიცილს.
ვბრუნდები სახლში.
ტანზე ვიხევ შემოთენებას.
როგორც ძველისძველ, დაფლეთილ კაბას
და სიკვდილივით მეშინია მარტო დარჩენის,
არ შემოაღოს მარტოობამ უეცრად კარი.
არ ჩამომახრჩოს საკუთარი სახლის კარებთან.

განისვენე

ბრუნავ, აწყდები უძირო სივრცეს...
გრძელ დერეფნებში იკარგება
შენი უმწეო ამოძახილი.
არ არს საფარი, რომ გაყუჩდე,
ან... მოისვენო,
არს მხოლოდ სულთა თავშესაფარი
და იქაც, იქაც...
გრიგალები ლეწენ ცოდვილებს!
შენ დაიღალე,
ანდა იქნებ მოგწყინდა მუდამ
ჩამავალი მზის გზებზე ყიალი?!
უფალის წყლულო და სატანის ახარხარებავ!
შენ კი... ო, მაინც ბრუნავ და ბრუნავ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეძებ და ... გზები არ ილევა კვლავ საძებარი.
აწ განისვენე, მოგიტევებს ბუნება კვლავაც
ამ შენს სიმცირეს.
ცოდვის ძევ, ცოდვის მშობელის ცოდვავ,
ჯაფით დაღლილო ადამიანო!

●

ფიფქი როდი ვარ,
მხოლოდ იმისთვის ვიბორიალო,
რომ ცრემლად ვიქცე, უჩინრად დავდნე.
მეყოფა ძალა, რომ ჩემი ფეთქვა
ამ ჭაობიდან ავტყორცნო ცამდე.
და გაგაოცოთ ჩემი სიმაღლით,
...და შეგაშინოთ ჩემი სიმართლით,
და... აგათრთოლოთ ჩემი იმედით.
ღმერთო, შეძლება მომეც იმდენი,
რომ ამღამინდელ ღამეს ვეომო!
შენც ჩამომშორდი, ავო დემონო!
გეყო, რაც წმინდა სული აწამე.
გეყო, რაც ცრემლი სწვეთე წამწამებს.
მაქციე ჩიტად, რომ შევიძლო გაფრენა უმალ,
ჩემი სიმღერა დაამძიმებს როდესაც მიწას.
ნუ მაქცევ მიწად, ღმერთო ძლიერო,
ნუ მაქცევ მიწად.

შინაბერა

ჩემი ოცნების გარიჟრაჟზე მოვიდა წვიმა
და დაიფარა სული ჩემი ველურ ჰანგებით.
ვდგავარ გრიგალში უყვავილო, ბებერი გვიმრა,
ვდგავარ, არ ვხმები, ვდგავარ ისევ, უფლის განგებით,
ჩემი ოცნების გარიჟრაჟზე ატირდა ზეცა,
ბაღში ფოთლების გლოვაა და სიჩუმე ტყდება.
შემოაწვებათ აკაციებს უძირო სევდა
და მაგიდაზე წერილების ყვითელი წყება
ჯვარს იწერს ჩემზე და...
გული მწყდება!

ო, რად ვარ ქალი

რად არ ვარ წვიმა, დგაფუნა თქეში,
რომ დამეტბორა სიცოცხლე წყნარი.
რად არ ვარ ყინვა, გულგრილი ლექი,
რომ გამეთოშა ოცნების ქნარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ვარ ცრემლები, რად არ ვარ ცეცხლი,
რომ დამეფრქვია გიზგიზა ალი.
რად არ ვარ ქარი, გრიალა ქარი,
ო. რად ვარ ქალი...

შემოდგომა

მალე მიჩუმდება ოქრო-ხმოვანება,
სულ მალე ზაფხული კალთებს აიკეცავს
და დაავიწყდება ზეცას წლოვანება,
მისი კიდობანი ცრემლით აივსება,
მთვარე დაობლდება, მიწაც დაობლდება,
სევდით დაობდება ოცნება ცისმარი,
ექოდ შეაწყდება მთებს შავი გოდება,
აღარ ამიხდება ლამაზი სიზმარი.
ცრემლი დაიწვება, ღაწვზე დაიწვება,
ირგვლივ გაიშლება აფრა სევდისფერი,
გულს შემოაწვება ყვითელი დავიწყება
და ბინდს შეერევა მალე ყველაფერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერაბ აბაშიძე

გრაფომანი

1.

პირველად რედაქციის პასუხისმგებელ მდივანს ჰქონდა პატივი მისი ხილვისა. იგი რედაქციის კიბეზე იჯდა ხელში ვეებერთელა შეკვრით და მდუმარე, ჭკვიანური თვალებით აკვირდებოდა კიბეზე ამომავალ პასუხისმგებელ მდივანს.

ტრაგედია, სახელად „კუზიანი", რომელიც მან კიბეზე ამომავალს სასწრაფოდ მიაჩეჩა (და თვითონ ელვის სისწრაფით გაუჩინარდა), პასუხისმგებელმა (რა თქმა უნდა) არ წაიკითხა, როცა ორიოდე ფურცელი გადაშალა და შიგ მე-10 საუკუნის დროინდელ მონოლოგებს წააწყდა... მაგრამ... არც გადაუგდია — იფიქრა: შეიძლება ეს კაცი მეხუმრება რაღაცას და... მოვითმინოთ, იქნებ რა დგას ერთი შეხედვით ასეთი უკბილო ხუმრობის უკანო...

კაცი, რომელსაც ეკუთვნოდა ეს ბრწყინვალე დრამატურგიული ნაწარმოები, დიდხანს უცდიდა, როდის გამოქვეყნდებოდა გაზეთში სტატია სათაურით — „უცნობი გენიოსი".

ბოლოს... მიხვდა რედაქციის ეშმაკობას; მათ უნდოდათ ახლოს გაეცნოთ იგი. მაშინ მან მოწყალედ გაულიმა საკუთარ თავს სარკეში, ჩაწვა ლოგინში, გამოაცხო (სახელდახელოდ... ისე...) ასიოდე ლექსი (სათაურად გამოჩენილი პოეტების სტრიქონები მიუწერა) და ისევ რედაქციას მიაშურა.

ამის შემდეგ მას ხშირად ხედავდნენ აქ.

რედაქციის მუშაკები ჯერ თავისთვის ფხუკუნებდნენ, მერე კი... როცა გაიგეს, რომ მან წერის გულისთვის სამუშაოს დაანება თავი — კეფა მოიფხანეს და გაუმხილეს, რომ მისგან პოეტი არავითარ შემთხვევაში არ დადგებოდა... მაგრამ... უკვე მეტად გვიან იყო...

2.

პოეტი, ჩემი აზრით — ორი ნაწილისგან შედგება: გონება და ვნება. ამ ორ ცნებას შორის არსებული კომპენსაციის დარღვევის დროს მას უკვე ვეღარ ჩავთვლით ხელოვნად. თუ ვნება მოგაკლდა — და საგნები ახალი კუთხითა და სიმძაფრით ვერ აღიქვი — რიტორიკაში გადაიჭრები, თუ ვნებამ იმძლავრა — გრაფომანიაში.

ჩვენი მოთხრობის გმირი კი — გადაჭრილი კი არა — იხრჩობოდა პირდაპირ ვნებათა ზღვაში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

...

ქალბატონო! ამ საუკუნის უვნებო მამაკაცებით ისტერიადამართულს ნუ მოგხიბლავთ ასეთი ვნება და ნუ ეცდებით ქაღალდის ზღუდის გადალახვას... ჩვენი მოთხრობის გმირის ვნებების მაგნიტური ტალღა თქვენი სწრაფვის მოწინააღმდეგე მუხტით არის დამუხტული და შამპანიურის ბოთლის საცობივით ამოგისვრით მაღლა...

3.

რედაქტორი ჯერ იცინოდა. მერე ჩაფიქრდა: იქნებ მტრების მოგზავნილია, რათა ჩემი აზრები გაიგონო (გრაფომანი წამითაც არ შორდებოდა მას და, ცოტა არ იყოს... დაუმეგობრდა კიდეც).

— „კი, ნამდვილად ასე იქნება" —გაიფიქრა ზარდაცემულმა და გადაწყვიტა ერთხელ და სამუდამოდ მოეშორებინა ეს კაცი.

4.

— არის რამე სიახლე? — ჰკითხა კაბინეტში შემოსულს.

— გრაფომანმა მშვიდად გაუღიმა.

— ერთი წუთით, თუ შეიძლება — ქანცგაწყვეტილი ჩანდა.

რედაქტორი სწრაფად წამოდგა, მივიდა მასთან, გამოაღო კარი და...

— მდაა... ეს სულ...

— ერთ კვირაში! — ზეიმით წარმოთქვა გრაფომანმა.

ძლივს შემოათრიეს მსხვილი ბაწრით შეკრული ქაღალდების ვეებერთელა შეკვრა.

„არა!" — გაიფიქრა ცოტა არ იყოს დამშვიდებულმა რედაქტორმა. — „ჩემს მტრებში არავინ მეგულება ისეთი მოსისხარი, რომ ამდენი მოიცალოს"...

— დანარჩენი, რის გადმოცემაც ვერ მოვასწარი, აქ არის! — შუბლზე დაიკაკუნა თითი გრაფომანმა.

რედაქტორი უღონოდ ჩაესვენა საკარძელში.

ჩვენი მოთხრობის მთავარი გმირი აღგზნებული ჩანდა; რატომღაც თანამედროვე კლასიკოსის ორ ტომს წაავლო ხელი (რედაქტორის საწერ მაგიდაზე რომ იდგა), შემოჰკრა ერთმანეთს. (სხვათა შორის — დიდი მტვრის ბული ავარდა) და ასე მიმართა მის წინ მჯდომს:

— ერთი ფურცელი მაინც დაბეჭდეთ!

„რა იქნება მართლა რომ დავუბეჭდო?!" — გაიფიქრა რედაქტორმა — „არაფერი, უბრალოდ — მიმაბრძანებენ აქედან და ამ უბედურის ტანჯვას აღარ ვუყურებ". თვალწინ ცოლ-შვილი წარმოუდგა; „არა! შენ უნდა გაუძლო ცდუნებას!"

— მმმე... რა თქმა უნდა... მაგრამ... — ენა დაება, ველარაფერი თქვა, როცა ცეცხლოვან მზერას წააწყდა...

— მესმის, მესმის... — მოწყალედ გაუღიმეს მას.

„თუ გესმის, რაღას მოდიხარო..." — ის იყო უნდა გაეფიქრა რედაქტორს, რომ იმ წუთშივე ყელში სწვდა ქვემორე წინადადება:

— თქვენ არ გინდათ მაღიაროთ...

ეს ისეთი ტრაღიკული ხმით იყო ნათქვამი — რომ რედაქტორს ცრემლი მოერია...

და უცებ მან შეამჩნია რომ მის წინ სულით ავადმყოფი იდგა.

„ჰაა..." — წაიწკმუტუნა მან და ფართოდ გახელილი თვალები მიაპყრო მთლად სახეშეშლილ გრაფომანს.

— მაგრამ თქვენ... ევროპის სექსუალური პრობლემებით გატაცებულ და გონებადახშულ ხალხს — ყვიროდა გაცეცხლებული გრაფომანი, — სანანებლად გაგიხდებათ ის ფაქტი, რომ უარმყავით მე... მე! — რომელმაც, ძველ ფოლკლორზე ღაყრდნობილმა, აღმოვაჩინე ის! ის! — რაც დღემდე არსებულ არც ერთ მოაზროვნეს არ აღმოუჩენია...

ამაყად მიაცქერდა რედაქტორს: —

— გითხრათ?!

— მმმ... თუ მაგ საიდუმლოს გამხელის ღირსად ჩამთვლით...

გრაფომანი მოწყვეტით დაეხარცხა სკამს.

— თქვენ, რა თქმა უნდა... შეიძლება ზოგი რამ ვერ გაიგოთ... მაგრამ... მე კი ასე მესმის დღევანდელი ლიტერატუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის პრობლემა: ჩვენ ძ ვ ე ლ ს უნდა დავეყრდნოთ... ჩვენს ძ ვ ე ლ ს (და არა უცხოეთიდან შემოთრეულს)... მაგრამ ამავე დროს უნდა გარდავქმნათ... გადავასხვაფეროთ იგი... ახლა: მოგეხსენებათ ჩემამდე არსებული მოაზროვნის სიტყვები: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“ (მკითხველს: მართალია, დღეს ბევრი იუმორის გრძნობას აბსოლუტურად მოკლებული ჰუმორისტი ატრიალებს ამ კაცის სტრიქონებს ენაზე და მეც, ოღონ არ იყოს, მეხამუშება მათგან ნათქვამის განმეორება, მაგრამ... ხომ ვერ დავწერ იმას, რაც არ მომხდარა?! ჩვენი მოთხრობის გმირმა კი სწორედ ის სიტყვები წარმოთქვა) ერთი კრიტიკოსის თქმის არ იყოს — რომელიც ამდაგვარ რამეებს ინდიელთა წესის მიხედვით — წყალში თავჩაყოფილი კითხულობს (სწორედ ამ დიდი მოაზროვნის სიტყვები მოიშველია და თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ — განზრახ გაიბანალურა თუ არა მან ამით თავი...).

— და აქ არის ძაღლის თავი დამარხული, — ჩურჩულით წარმოთქვა მან და სკამი ახლოს მიუჩოჩა შიშისაგან ფერდაკარგულ რედაქტორს: — დღეს აი როგორ უნდა დავწეროთ: ნახეს უცხო მოყმე ვინმე... ხომ გესმით...

— მერე... არ მესმის...

— ი ც ი ნ ო დ ა წ ყ ლ ი ს ა პ ი რ ს ა...

— მოითმინეთ, — ხელით შეაჩერა მან რედაქტორი, რომელიც წამოხტომას აპირებდა, — ამით არ დამთავრებულა... დღეს სიცილიც სიცილს არა ჰგავს... თანაც, — თავი მოიქექა მან, — ახლა მოდაში აღარ არის დახვეწილი, გარანდული სტრიქონები... ამიტომ საბოლოოდ ეს პრობლემა ასე გადავწყვიტე: „ნახეს უცხო მოყმე ვინმე... გამქირდავად ი ც ი ნ ო დ ა... წყლისა პირსა!..“

სიჩუმე ჩამოწვა.

— მხოლოდ თქვენ, მხოლოდ თქვენ შეგეძლოთ ამის აღმოჩენა! — უცებ ისე იღრიალა რედაქტორმა, რომ გრაფომანიც კი შეხტა.

— ამ აღმოჩენას ახლავე შევატყობინებ მწერალთა კავშირს. — აღელვებულმა ხმით წარმოთქვა რედაქტორმა და ნაცნობი ნომერი აკრიფა...

ფსიქიატრიული საავადმყოფო, სადაც ბედისწერამ წიხლისკვრით შეაგდო ჩვენი მოთხრობის გმირი, მეტად ვიწრო კალაპოტი აღმოჩნდა მისი დაუოკებელი ბობოქარი ვნებებისათვის. ჯერ ერთი — მას საერთოდ აუკრძალეს წერა... (სრულიად არა იმიტომ, რომ დღეში სამი კილო ქაღალდი სჭირდებოდა: უბრალოდ, სუფთა მედიცინური თვალსაზრისით).

მან ჯერ პროტესტი განაცხადა და მთელი კვირა შიმშილობდა, მაგრამ როცა იგრძნო, რა მწარედ ბუყბუყებდა მის კუჭ-ნაწლავში ოყნით შეყვანილი სურნელოვანი შეჭამანდები, გადაწყვიტა ისევ ტრადიციული გზით განეგრძო საკვების მიღება.

მარცხით გათავდა მეორე ცდაც: გაეჭრა თითი და სისხლით ეწერა საავადმყოფოს კედლებზე, რადგან დამლაგებელმა, რომელიც თავისი სისასტიკით ნერონს გავდა (ნერონი რომ მანდილოსანი ყოფილიყო) — განუცხადა —: „გიჟი-მიჟი მე არ ვიცი, კიდევ დაგისვრია კედელი — სულ ენით აგალოკინებო“

ასე გადიოდა დრო.

ერთ მშვენიერ დღეს... დაებადა ახალი იდეა და... ერთ მშვენიერ ღამით, როცა დამლაგებელიც, ექთნებიც და მორიგე ექიმიც გარეთ დჰჰაა —აპცხი —აიგულა...

— ძმებო!

ავადმყოფებმა თავი წამოყვეს...

— იდეა, რომელიც მინდა გაგანდოთ, მოითხოვს დაძაბულ, გაუფანტავ სმენასასასა და მოოოთმინებას... (უკვე მეტყველებაც ერღვეოდა).

— მოკლედ, რა გინდა, — ამოიხრიალეს ძმებმა.

მან იგრძნო რომ აქ რედაქცია არ იყო და არავინ მოუთმენდა. ამიტომ სრულიად მარტივად აუხსნა, როგორ შეიძლებოდა დამლაგებლისთვის გასაღების წართმევა, შეკვრა, პირში ჭინჭის ჩატენა... (ოო, სისხლი არავითარ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემთხვევაში—) (ერთმა თანამომავალ-მებრძოლთაგანმა შესთავაზა — მოვკლათ, პასუხს მაინც არავინ გვაგებინებსო) (...) ... და... იერიში რედაქციაზე...

6.

და ჰა...

დადგა სანატრელი დღეც!

გადმოხეთქა წლობით დაგროვილმა ენერგიამ და ნიფხავ-პერანგში გამოწყობილი, თავშიშველა, ფეხშიშველა ბატალიონის ჯარისკაცები შმაგი ღრიალით მოედნენ ქალაქის მშვიდ ქუჩებს...

მზის სხივები ოქროს ძაფებივით, ცხელი ფოჩებივით უალერსებდნენ მათ დაღლილ, დაღარულ სახეებს...

წვიმდა...

სუფევდა ირგვლივ იდილია სილამაზისა...

სილამაზისა — რომელიც უფრო აბრუებდა მათ და აიძულებდა, კიდევ უფრო ხმამაღლა ეყვირათ...

ო, ღვთისმშობელო! შენ რომ ყოფილიყავი იქ...

მანქანები ჩერდებოდნენ...

წივილ-კივილით გარბოდა ხალხი...

— წინ — ბღაოდა გრაფომანი და ხელში აფრიალებდა დამლაგებლის ჯაგრისიდან მოხსნილ იატაკის სველ ტილოს...

უთვლელი იყო მსხვერპლი მათი მხრიდან... მანქანის ბორბლებქვეშ მოყოლილი თანამებრძოლნი, — ეს ავადმყოფი, ყვითელი ყვავილები, — მაინც არ კარგავდნენ მხნეობას, ამაყად ეთხოვებოდნენ ტანჯულ სულებს და დიდებისკენ მიმქროლავ მეთაურს შორიდან უღიმოდნენ.

და აი... გამოჩნდა რედაქციაც!

ჩვენი მოთხრობის გმირი სწრაფად მიიჭრა რედაქციის კართან და... მოიხედა!

მოიხედა და მიხვდა, რომ მარტო დარჩენილიყო...

მაშინ იგი ქვითინით დაემხო მიწაზე და დასწყევლა ის დღე, როცა პირველად მივიდა ამ წყეეეეუუულ, სასასაძაგელ რეეედააქციიაااშიიიიიი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიგა თუთბერიძე



მოთხრობები

ბარაკში

ვთვლემ.

ბავშვი ვარ. მშობლები დიდ, ლამაზ ავტობუსში სხდებიან, საოცარი გულგრილობით კეტავენ ჩემს ცხვირწინ კარს. გაოგნებული უმწეოდ ვდგავარ. საჭეს ახლობელი პროფესორი უზის. „როდის ჩამოხვალთ?“ — ვეკითხები. იგი მხრებს იჩეჩავს და ავტობუსს ადგილიდან ძრავს. სასოწარკვეთილი მივდევ, „ნუთუ დღეს არ ჩამოხვალთ?“ — მივძახი ტირილით. ავტობუსი კი მიდის...

მეღვიძება, ქვეშეცნეულად ვცდილობ, ბურანიდან არ გამოვერკვე, ჯერ კიდევ ირეალურ სამყაროში ვარ, მაგრამ გონებას ვაკონტროლებ. ეს ერთადერთი შვებაა. უკვე ვიცი, რომ ბავშვი არა ვარ, არც მშობლებს მივუტოვებივარ და ამით ვნეტარებ. ტრანსში ყოფნა ამჟამინდელი „მე“-ს დავიწყების საუკეთესო საშუალებაა, ხოლო „აქ“ თავდავიწყება ფუფუნების ტოლფასია. ამას ვერავინ უარყოფს. თუმცა თავდავიწყების საშუალებასაც გააჩნია, ვის — როგორ...

მაგრამ მყიფეა ტრანსი. ვფხიზლდები. „კომბლე“ მახრჩოლებს თამბაქოს ბოლს, თუმცა იცის, რა მოჰყვება მის ინფანტილურ ონავრობას — მოკლე ჭუკი მუხლისკვერში და... თუ გამასწრო, ეს შედარებით გვიან მოხდება, ოღონდ უცილობლად.

ეს იცის, მაგრამ დაჟინებით მაბოლებს და დარტყმის მფრთხალ მოლოდინშია. ტლანქად ვერთობით...

„კომბლე“... არადა, რა ლაზათიანი ქართული სახელი ჰქვია. მაგრამ „აქ“ ასე სჯობს. საკუთარი სახელი, ისევე როგორც... თუნდაც ოჯახის წევრთა ფოტო, მხოლოდ სევდის აღმძვრელია.

„კომბლე“ აღარ ეწევა. ჩუმი დუმილით ოდნავ გაკვირვებული, ხმამაღლა ხვნეშის — „როგორ გძინავს ამ სიცხეში...“ მაგრამ ფშვინვის რიტმსაც კი არ ვარღვევ. მაშინ იგი ბუყბუყით სვამს წყალს და ბიდონს ახრიგინებს.

ტკ!!! —მუხლში და დამანჭული „კომბლე“ ბუქნავს, თან რაღაცას ჩმახავს „დაუნდობელ შინაურ მღვდელზე“. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე დამშვიდებული მიდის, ვითარცა კაცი, რომელმან ეძია და ჰპოვა.

სამი ბუზი დაცოცავს ჩემს მკლავზე. სულაც არ მეზიზღება, პირიქით, მსურს, დიდხანს იცოცონ.

ადრე მაღიზიანებდა ამ მწერთა გაუგონარი თავხედობა. ახლა კი საკმარისია აფრინდეს რომელიმე, რომ დანანებით გავიფიქრო: — „რამ შეაშინა...“ ასეთ აბსურდამდეც მიდის ადამიანი. განა აბსურდი არ არის, როცა სხეულზე მშვიდად დასეირნობენ მძორით დანაყრებული მწერები და მათი ცოცვა ადამიანში იწვევს რომელიღაც მწველი სლავი ქალის თითების სრიალის ასოციაციას? ბუზი და ოდინდელი ლამაზმანის თითები... თუმცა აქაც მოიძებნება დუნედ თავშესაქცევი პარალელი — ზოგიერთ აბეზარ დიაცს ბუზის დარად ეგების მოშორება — „აქშა, შე ტიალო!“

— დღეს „ვიდეო, ვიდეო“-ა — ყრუდ ამბობს ვიღაც ბარაკის ბოლოში.

ტელეპროგრამაში სიტყვა „ვიდეო“, ორის მაგივრად, ოთხჯერ რომ დაებეჭდათ:

დღეს „ვიდეო, ვიდეო, ვიდეო, ვიდეო“. — ყრუდ იტყოდა იგივე ბარაკის ბოლოში.

თითქმის ყოველდღიურად — უკვე საძულველი ტრილერები, ვესტერნები, მდარე კომედიები და ერთი ყოჩაღი, ჩაუქი ისტერნის მონატრება, დაძაგრული ულაყებით მოთარეშე ცხვირმრუდი მთიელებით. ეკრანიდანღა შეღიტინება მიძინებული კავკასიური გენისა. ალეწილ კლდეებზე მიჭედილი სოფლები, ქისტურ-ფხოვური კოშკები იდუმალი ფორმის სახურავებით, მათ ქავებზე მიკრული დაღვლარჭნილი მტევნები მტრისა და ყოველივე ამის დალანდვა ეკრანიდან მაინც...

თუმცა როგორ მივიღებთ ჩოხოსან რაინდს, როცა მჩხავანა ლი წევს კაი ყმობას ან მზერაგათოშილი ისტვუდი. ჩოხოსნებს ვიღა თანაუგრძნობს, უჩოხონი?..

როგორ მივიღებთ, სტვენით ირონიული ოვაციით თუ ნოსტალგიური გარინდებით...

ალონის მინდორს გრძელსავ,
ვინ ათარეშებდ ცხენსავ,
იქნებოდ... (ვინმე კაი ყმა)
... იმის მუხლების მზესავ!

— ჰაი, ჰაი, თუშის ქალო! შენი მჭახე ხმით ნამღერი ბეწვს მიშლის, მაგრამ სადღაა ან თუა, ვიღა უსმენს... ნირი შევიცვალო და დავიჯერო შენი ეპიკური, ნაწრთობი ქართულის მინავლება? არ დავიჯერებ, მაგრამ რა ბედენაა...

თუ მოგიწოდო: არაფერს მიხედო, წელე ეგ გარმონი, ქსოვე ჩითები, ამრავლე მეომრული ჯიში, ენა არ დაავიწყო, ენა! ასე არა?.. შენი საქმისა თვით უწყი უკეთ, თუ ეს გენმა არ გიკარნახა, ნარევი გქონია ეგ გენი... უნდილ სისხლნარევი.

— მსჯავრდებულო N, სასწრაფოდ გამოცხადდით მოკლევადიან პაემანზე! ვიმეორებ... N გალეშილია, თანამეინახენი აცმევენ და გადაკიდებული მიჰყავთ. პაემანზე ხშირი აბორტებით გამოთაყვანებული მდედრია მოსული.

— უ, შე წაკლა!!. — ღმუის N, მდედრი ღნავის.

— ეტყობა, მართლა ბოზია! — ამბობს თავად ბოზი, არაკაცი, მეტსახელად „დაგინახე“.

რვა თვის წინ სანახევროდ გათხრილი, ოსტატურად შენიღბული გვირაბი „აღმოაჩინეს“ მუშაკებმა. ერთ საღამოს დაადეს თავი და პირდაპირ გვირაბის პირს მიადგნენ. ეჭვი „დაგინახეზე“ ავიღე. ორიოდე თვის შემდეგ მის დასანახად რამდენჯერმე შევედი გაუქმებულ ტუალეტში და იქიდან წინასწარდადებული მიწა გამოვიტანე პარკით...

ორი დღე ამაოდ ჩიჩქნეს ბედკრულმა მამათმავლებმა განავლიანი მიწა. ორა დღის თავზე კი „დაგინახე“ იხმეს ადმინისტრაციულ შენობაში. რა უთხრეს, არ ვიცი, მაგრამ იმ დღიდან მის მეტსახელს ჩემთვის ზმნისწინი „ვერ“ დაემატა.

და ეს არსება ამბობს: — ეტყობა, მართლა ბოზია! — თან ზეიმობს, N-ის შემყურე.

აგერ შეზარხოშებული შატილიონი გარა. დინჯი რიხით მოაბოტებს, მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ თვალებში უდგას ვაინახური მოუსვენრობა. ისე ავად იღიმება, ყოველი მეტ-ნაკლებად სახელგატეხილი გარიდებას ლამობს.

— კიდევ დათვერი? — ვეკითხები, რომ მსხვერპლის მოხელთება ვერ მოასწროს.

— შენ ჩემი ძმა ხარ... — მპასუხობს და ერთ-ერთ ზანტს კლანჭით იხმობს. ის კი წამხდარი ულიმის და ფეხს ითრევს. სხვა გამოსავალი არ არის, „კომბლეს“ ვიშველიებ და ძალით მიგვყავს გარა ბარაკისაკენ. ბრაზიანად გვიბრიალებს თვალებს, მაგრამ შეურაცხყოფილი ჰერცოგივით დუმს. წვება, თან ბურტყუნებს: — ხო იცი, რკინასაც გავუფუჭებ ხასიათს!

— ვიცი...

...ომონი... ომონი... — დროდადრო გაისმის ბარაკში. თავადაც არ იციან, რად ჰგვრით ეს სიტყვა ძრწოლას. ზოგს ჩუბინ ბერეტიანთა კანონის სახელით მოქმედთათვის უჩვეულო, დარდიმანდული იერი აშინებს. ზოგში ის მეხსიერებაში ჩაკარგული „ომენის“ თითქმის იდენტური სახელის გაგონება, უკვე მექანიკურად იწვევს უარყოფით რეაქციას.

— ავჭალაში „ომონი“ შეყარეს!

„ქართველი ერის ისტორია“ მომპარეს, — უზომოდ განცვიფრებულია ქუთაისელი. ვერც ბრაზობს. აქ შეიძლება მოიპაროს შარვალი. საცვალიც კი, მაგრამ ისტორია... მართლაც საკვირველია თუ საეჭვო არა.

ქუთაისელს ამღების შეგინება სურს, მაგრამ სინდისი არ აძლევს ამის უფლებას.

—წაიკითხოს მაინც... — ამბობს ღიმილით. სამიოდე საათის შემდეგ კი მისი ბილწი ლანძღვა-გინება ისმის ტუალეტიდან.

„კომბლე“ ზის და ჩიფირს წრუპავს.

კახელები შემოდიან:

— მეგრელები გაქცეულან!

მე და „კომბლე“ ერთმანეთს შევყურებთ.

— ღმერთმა გაუმარჯოს!.. — ვამბობთ რიგრიგობით, რად დავარღვიოთ ეტიკეტი, თუნდაც ყალბი...

მერე გატაცებით საუბრობენ კახპებზე. თემა მყარია და დიდხანს ილაყბებენ.

— ...ჯარისკაცს უქნევდა კურტუმოს... — ვინ, აღარ მესმის, რადგან ვთვლემ.

ჯიეტი

იმ დილით აკვარელით შესრულებული შესანიშნავი პეიზაჟი შევიძინე და კმაყოფილი დავბრუნდი სასტუმროში.

ახალგაზრდა, უზადო გარეგნობის ადმინისტრატორი ქალი ნახატით დაინტერესდა და დაშვებულზე მეტად რომ მომიახლოვდა, მისი ბიოველი შეხებასავით ვიგრძენი. „დიორისიმოს“ სურნელის მსუბუქი არომატი სიამოვნებით შევისუნთქე და კომპლიმენტზე, დახვეწილი გემოვნება გქონიათო, უტიფრად მივუგე, — ვიცი-მეთქი.

— საოცარია, ჩამოსულნი ყოველთვის რაღაც იშვიათს ამჩნევენ და იძენენ, — თქვა და ძალზე მოხდენილად აიწურა მხრები.

თავი ვერ შევიკავე, ქალაქში გასეირნება შევთავაზე. არ მიმოუხედავს, როგორც ჩვეულებრივ სჩვეოიათ ქალებს, მზერა გამისწორა და გაიღიმა:

— სიამოვნებით, ოღონდ დღის მეორე ნახევარში.

მეუცხოვა ბალტიელისათვის უჩვეულო სითამამე, მით უმეტეს, რომ ატეხილობისა არა ეტყობოდა რა.

ვულგარული ქალებისათვის დამახასიათებელი მანჭვა-გრეხა თავადაც მუდამ მძულდა, მაგრამ არც ასეთ პირდაპირობას ველოდი უცნობი ლამაზმანისაგან.

— გამოგივლით, — ვთქვი მტკნარი სახით. მან ერთხელ კიდევ დახედა ნახატს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— საუცხოოა... დიახ, გელით, —და სამუშაო ადგილს დაუბრუნდა.

სასტუმროდან გამოსულნი ერთხანს ტაქსს ველოდეთ, მაგრამ რიგი ნელა მიიწევდა. ვიოლამ ფეხით გავლა შემომთავაზა:

— გამოფენა-გაყიდვაზე შევიაროთ. ...ჰო, სადაც დილით ნახატი შეიძინეთ.

ათიოდე წუთი დაგვჭირდა ქუჩაში მოწყობილ გამოფენასთან მისასვლელად. ამ ხნის განმავლობაში ქალი უინტერესოდ მაძლევდა შეკითხვებს, თავის მხრივ, მოკლედ, მშრალად მპასუხობდა. ნახატების დანახვაზე გამოცოცხლდა. რიგები დავიარეთ.

— კარგია? — ჩერდებოდა საკმაოდ ბანალური შინაარსის მქონე ნახატებთან.

თავიდან ზრდილობიანად ვიჩეჩავდი მხრებს, მაგრამ როდესაც თავი შემაწყინა, მკაფიო მიმიკით ვანიშნებდი, ნაგავია-მეთქი და აინუნშიაც არ ვაგდებდი მხატვრების ბღვერას.

ბოლოს დაიღალა და თქვა:

— გეთაყვა, სხვაგვარად ნუ გამიგებთ, დღეს ჩემი დაქალის დაბადების დღეა და ნახატის შერჩევა მინდა. თქვენ კი შეგიძლიათ, ნამდვილად ღირებული აარჩიოთ...

მეოთხედი წუთი ვდუმდი და ვწითლდებოდი, მერე ვუთხარი:

შენი მე დედა ვატირე!

მეტის თქმა არ მაცალა და მუდარით ჩამჭიდა ხელი მაჯაში:

არამც და არამც არ იფიქროთ, რომ ამისათვის წამოგყევით... მხოლოდ ნახატის ყიდვას ვაპირებდი. მივუტანდით, ხუთიოდე წუთს დავრჩებოდით და... ეს არის და ეს. თქვენ კი ასე მძაფრად რეაგირებთ...

ნელა გავყევით ვიწრო ბილიკს სურათებს შორის.

— ვწუხვარ... — ამოღერღა მან. — საერთოდ კი ყველაფერი სისულელეა. გაძხმარი ფოთლების გროვაში გაიარა შრიალით, შემომხედა და გაიმეორა:

— სისულელეა!

გამოფენიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით მდგარმა კაცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. მას სამ აგურზე განელაგებინა ხელნაწერი ფურცლები, ზედ მომცრო ქვები დაეწყო, რათა ქარს არ აეფრიალებინა და იდგა ასე, ქვეყნიერებას მოწყვეტილი, გარინდებული.

ქალმა ჩემს მზერას თვალი გააყოლა და თქვა:

— შეშლილია.

— მივიდეთ.

— მივიდეთ, — ჩაიცინა გაკვირვებით.

ხელნაწერი ნატიფი კალიგრაფიით იყო შესრულებული.

— შეიძლება? — შევეხე ფურცლებს.

— რა თქმა უნდა, — მიპასუხა თავმომწონედ.

ლექსები აღმოჩნდა, გულწრფელი, კეთილი ნიჭით აღბეჭდილი.

— და თქვენ ამ ლექსებს...

— დიახ, ვყიდი! რითაა ნაკლები სიამოვნება — შეიძინო განუმეორებელი ლექსი, ვიდრე ასეთივე ნახატი...

— საინტერესო აზრია, — ვთქვი და ქალს შევხედე. იგი აშკარად ცმუკავდა, როგორც ეტყობოდა, პოეტი მართლაც შეშლილად მიაჩნდა და მასთან საუბარი —დროის ფუჭ დაკარგვად.

პოეტს ფასი ვკითხე. არცთუ ძვირად დამიფასა.

— კი მაგრამ, რომ გამოაქვეყნოთ, ჰონორარი გაცილებით მეტი არ იქნება?

გაეღიმა:

— რა ფასი აქვს „ჯოკონდას“ თუნდაც საუკეთესო რეპროდუქციას?.. გახვრეტილი გროშის! ასე არ არის?..

ფული ჩავუთვალე. მან ეტრატივით დააბვია ფურცელი და გამომიწოდა:

— ეს ლექსი ერთადერთია ამქვეყნად. იგი არასოდეს დაიწერება მეორედ და არსად გამოქვეყნდება.

და თავი დამიკრა.

მიმოვიხედე, ქალი აღარსად ჩანდა, „ასე სჯობს!“ — გავიფიქრე და ქუჩას უხეირო სტვენით გავუყევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობა

მღვდელმა შემოგვხედა, მერე საცეცხლური კვლავ გაიქნ-გამოიქნია, ცემენტით სავსე ვობს ფრთხილად შემოუარა და სამლოცველოს ცენტრში შედგა.

— ჰო, — თქვა მან. — სატანა ხორცშესხმული რომ გამოგვეცხადოს, რქებით, ჩლიქებით და ეშმაკის სხვა ატრიბუტებით, გაგვიღიმოს და რჩევა მოგვცეს, წამსვე პირჯვარს გადავიწერთ და, „განვედ ჩემგანო“ წამოვიძახებთ... მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, განა ვამჩნევთ იმ უხილავ ეშმას, რომელიც შემოგვიჩნდება და სხვადასხვა ავკაცობისაკენ გვიბიძგებს: — მოკალი კაცი ესე, იმრუშე, იქურდე, ცილი დასწამე... ჩვენც, გონებადაბნელებულნი, მონდომებითა და გაწაფულად ჩავდივართ ბოროტებას...

— მამაო, მეორე პირში ილაპარაკე, ამ შემთხვევაში არ შეგფერის პირველ პირში საუბარი! — შეაწყვეტინა ვილაცამ.

მღვდელს ჩაეღიმა:

— ამჯერად მეპატიება, რადგან უსიანოვნო განცდა, რომელსაც თქვენდამი მეორე პირში მომართვა გამოიწვევდა, უფრო დიდი ცოდვაა. სრულიად განსხვავებით აღიქმება „ავკაცობას ჩავდივართ“ და „ავკაცობას სჩადიხართ“. მეორე შემთხვევაში, ჩემს საუბარს დიდაქტიკური ჟღერადობა მიეცემოდა და გაგაღიზიანებდათ. ამიტომ ვამჯობინე, თქვენს შორის წარმომედგინა თავი.

— მესამე პირში სჯობს, ნეიტრალურია, ნახეთ, როგორ ჟღერს, — „ავკაცობას სჩადიან“!.— თქვა ცოღომ და თვალი ჩამიკრა.

— ადამიანებს თავიანთ ნაკლზე მესამე პირში არ უნდა ესაუბრო, რადგან საკუთარ თავზე არავინ მიიღებს... —განაგრძო მღვდელმა, მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი.

— სასწაულია საკმეველი! — ხმადაბლა ვუთხარი ცოღოს. მან ნესტოები დაბერა და თვალებმინაბულმა თავი დამიქნია.

ერთხანს გაუნძრეველად ვიდექი, საკმევლის სურნელს ხარბად ვისუნთქავდი და თან ვცდილობდი, ამ სურნელთან დაკავშირებული რაიმე სასიამოვნო მოგონება აღმედგინა. ამაოდ. მერე ისევ მღვდელს შევხედე. მას ანაფორის სახელო აეკაპიწებინა და შეფუთნულ მაჯაზე გვითითებდა.

— აი, მეც ეგრეთ წოდებული „ტელეგრეიკა“ მაცვია...

— გავიდეთ, — ვუთხარი ცოღოს.

— მოვუსმენ.

— კარგი, —ქუდი დავიხურე და გარეთ გავედი. თოვდა.

იქვე ორი ამრეზილი ფორმიანი იდგა.

— მალე მორჩება? — მკითხა ერთერთმა.

მხრები ავიჩეჩე და გავეცალე.

მოედანზე სიარულში მოვკალი ოცი-ოდე წუთი და დავბრუნდი.

ბაზილიკის სახურავი თოვლს შეეთეთრებინა. ლაღად, იმედისმომგვრელად ამომართულიყო უსახურ ბარაკებს შორის.

შევედი. ანთებული სანთლების წინ სამნი იდგნენ.

— როდის წავიდნენ?

— ახლახან, — მიპასუხა ცოღომ.

— ჰმ, როგორ ვერ შევნიშნე, მოედანზე დავხეტიალებდი.

— დაგინახე, როცა იმათ ვაცილებდი. ისე იყავი ჩაფიქრებული, სულ ტლაპოში დააბიჯებდი.

ფეხებზე დავიხედე, ცოღომ მართალი თქვა.

გარეთ ავტომატმა გაიტკაცუნა.

— ნეტა, რა კაკანებს. — გამოსცრა ცოღომ და თითქმის ჩამწვარ სანთელს მოუთმენლად შეხედა.

— რა ვიცი, მაგის... — და დროულად ვიკბინე ენაზე.

— ნუ მკრეხელობ, — მითხრა ცოღომ.

გავედით.

„ეჰ, მკრეხელების დედა ვატირე!“— ჩავილაპარაკე, ჯერ კიდევ თეთრი თოვლი მოვაგუნდავე და გუშაგის კოშკურისაკენ ვისროლე.

შობა დღე ბინდდებოდა ზონაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცივი ყოფილა ნოემბერი

— საღოლ ჩეჩნები, — თქვა ვახომ და გაზეთი ჯიბეში ჩაიდო.

— ჩეჩნები, ჰო, — პაუზის შემდეგ ჩაიბურტყუნა ჯარჯიმ. ტრასაზე სამხედრო მანქანამ ჩაიარა.

— ადამიანები... — მანქანის ძარაზე წარწერილი თარგმნა ვახომ.

ჯარჯის ირონიულად ჩაეცინა და სიგარეტის ნამწვი სიმბოლურად მიაყოლა ძარიდან თავგამოყოფილ სალდათებს. ერთ-ერთმა ხელი დაუქნია. მანქანა ზონის გვერდით მდებარე სამხედრო ნაწილის ეზოში შევიდა.

— ჰმ, რა ბავშვურად დამიქნია ხელი, უშუალოდ... აბა, ერთი კედელზე დამინახოს ამმვრალი, მაშინ კი არ დამიქნევს ეს ახვარი...

— წელში გადაგჭრის „კალაშნიკოვით", —ვახოს სახურავის ფერდზე ასანთი დაუცურდა, შეყოყმანდა.

— დეფიციტია, — შეაგულიანა ჯარჯიმ. ვახო ასანთს გადასწვდა, თავი ველარ შეიკავა და ჩავარდა.

— რა საშინლად იგინება, — შუბლი შეიჭმუხნა ჯარჯიმ.

— შენ რა ორკაპი ენა გაქვს! — ამოძვრა მკლავნატკენი ვახო, ძველ ადგილზე მოკალათდა და ჯარჯის წაარტყა, — თარსო!

— ოჰო, ოპერმუშაკებიც გაიჩითნენ! — წაიგრძელა კისერი ჯარჯიმ და ვახომ მეორედ მოქნეული ხელი ააცილა.

— ჩადით მანდედან!.. — იყვირა მუშაკმა.

— ბინოკლს დააძრობს.

მუშაკმა ბინოკლი დააძრო. დინჯად ვაქციეთ ზურგი.

— ჩადით! ჩადით-მეთქი! — აყვირდა მეორეც. ამაოდ. მერე წავიდნენ.

გუშაგის კოშკურას გზის მხრიდან გოგო მიუახლოვდა. ჯარჯი დაიძაბა, ვახოც. გოგომ რაღაც ასძახა ჯარისკაცს. ყურმილი ჩამოხსნა და ყაზახურად ჩასძახა. ვახომ თავი გააქნია.

— კიდე ფულის გასაკეთებლად მოვიდა.

— ამან რო მაშინდელივით იმძუნაოს, გავაფრენ! — გამოსცრა ჯარჯიმ.

— ფული რამდენი გვაქვს?

— ოცი, — ნირწამხდარი ჯარჯი წამოდგა და დაჭმუჭნილი, ნესტიანი თუმნიანები გაუწოდა. — მშივრები დავრჩებით, —დასძინა თან.

— ეს აქედან წავიდეს და...ე!!! ჰო, შენ!

გოგო ნელა წამოვიდა და სახურავს გაუსწორდა.

— რა გინდა!

— აჰა, ორი თუმანი და წადი აქედან!

— მომე!

ვახომ თუმნიანებში ქვა გაახვია და ესროლა. გოგომ ზანტად გახსნა ფული, ჩანთაში ჩაიდო და კვლავ კოშკურასთან დაბრუნდა.

— არ წავა, — გაფითრდა ჯარჯი.

მალე ორი ყავისფერი, თავპატარა ჯარისკაცი მოვიდა სიცილ-სიცილით, სამიოდე წუთი ილაზღანდარეს. მერე გოგო საამქროს საწყობისაკენ წაიყვანეს.

— თვრამეტი წლისაა, — თქვა ჯარჯიმ.

— ვინა? — გამოთაყვანდა ვახო.

— ძუკნა.

— ორი თითით მიმაწვდინა მაგათ... ვაახ! —ჩაიზმუვლა ვახომ.

— შენ რა მრავლისმეტყველად დუმხარ, რა არი... შემხედა ჯარჯიმ, — მაეცა... შენი დაბადების დღე როდისაა?

— დღეს, — წამოვდექი და საყელო ავიწიე. — რა ცივი ყოფილა ნოემბერი...

ფასვლა

მწიფე თუთა კოკას პერანგზე დაეცა. ხეს აეხედე. კოკამ ნაყოფი შეჭამა და მიიხედ-მოიხედა. სურვილს მივუხვდი.

— არ გეზარება ხეზე აძრომა?

— მეზარება, მაგრამ თუთა უფრო მინდა.

— მოითმინე ცოტა. საცაა ხალხს შემოიყვანენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოკამ საგუშაგოს კარს გახედა.

— რამიზ! — იყვირა.

რამიზა ხანტად მოტრიალდა.

— როდის შემოიყვან ხალხს?

რამიზამ საქმიანად დახედა საათს:

—ახლა!

კოკა მომიბრუნდა.

— ჩემს ადგილზე ეტყოდი ოჯახის ნევრებს?

თავი დავუქნიე.

თანხმობას არ ელოდა:

— რას ამბობ, ბიჭო, შეშინდებიან.

— შუაღამისას რომ გამოეცხადები, უფრო არ იმოქმედებს? დილამდე მათ გონზე მოყვანას მოუნდები.

თავი ჩაჰკიდა.

— ნწ. რო არ გამოვიდეს?

— შენც სათუოდ უთხარი, შესაძლოა, მოგადგეთ-თქო.

— არა ხო ვიცი მათი ხასიათი, სცენებს მომიწყობენ. არა, არ ღირს... —მხრები ავიჩეჩე.

რამიზა გავიდა და ხუთიოდე წუთში ვილაცის ოჯახს შემოუძღვა.

— გვარი მაინც გაგეგო.

კოკა გამომცდელად მომაჩერდა: — მეოთხედ მიმეორებ. ცუდი წინათგრძნობა ხო არა გაქვს?

— ზონაში რომელ წინათგრძნობაზე ლაპარაკობ. ყოველ შემთხვევისათვის, საჭიროა გვარის ცოდნა... აი, შენიანებიც შემოვიდნენ.

წამოვდექით და პაემნის შენობისაკენ გავეშურეთ. კოკა უეცრად გახევდა.

— ე! შეხედე, ეშასთან მოსულან.

— ეტყობა, არ იციან, ბიჭო... — ტუჩი მოვიკვნიტე.

ეშა თავჩაქინდრული იდგა და დედის ალერსს და შეკითხვებს არ პასუხობდა. ძმა კი, რაღაცით დაეჭვებული, განზე იდგა და აკვირდებოდა. მერე სხვა პატიმრებს სამოსი და იერი შეუთვალიერა, უფრო დაეჭვდა და ეშას რაღაც ჰკითხა. მან კითხვა ვერც გაიგონა, უაზროდ იდგა.

— კოკა! — დაუძახა ფანჯრიდან მამამ.

კოკამ ხელით ანიშნა, მოიცაო.

ეშას ძმას ორი ოფიცერი მიუახლოვდა და მოშორებით გაიყვანა. საუბარი უთხრეს, ბიჭი არ განძრეულა, ისევე დარჩა, ვერც ოფიცრებმა უთხრეს რამე სანუგეშო და ვერც მიატოვეს. იდგნენ უმწეოდ და პაპიროსს ეწაჩებოდნენ.

დედამაც იაზრა რაღაც და მათ მიუახლოვდა. ერთ-ერთ ოფიცერს მკლავზე ხელი შეახო და რაღაც ჰკითხა, მან ვერაფერი უთხრა, განზე გაიხედა. მაშინ ბიჭმა უპასუხა, მოკლედ, ორიოდე სიტყვით. ქალი აკივლდა.

მე და კოკა უხმოდ მოვტრიალდით და ოთახში შევედით. კოკას ძმა ორივეს გადაგვეხვია. მამა კვლავ ფანჯარას გასცქეროდა დაბნეული მზერით, მერე შუბლშეკრული მოგვიბრუნდა, ხელი ჩამოგვჭართვა:

— რა მოხდა?

კოკამ ხელი ჩაიქნია: — ერთი უბედურია...

— მაინც?

— სამარცხვინო დანაშაული აქვს ჩადენილი, თან საშინლად მხდალია, ვილაც ნაბიჭვარმა ისარგებლა ციხეში და გააფუჭა, — მიაყარა გაღიზიანებულმა კოკამ.

— რა... ისა? — შეძრწუნდა მამა, ძმაც გაფითრდა.

— ჰო, მოეკლათ, მოსაკლავი კი იყო, მაგრამ ეეს? — ვთქვი და ანგარიშმიუცემლად შევიგინე.

ქალი ვერ დააწყნარეს. ეშამ წასვლა დააპირა, მაგრამ დედა წაეპოტინა და აქვითინებულმა ჩაიკრა.

ვიდექით აქოჩრილები და კრინტს ვერ ვძრავდით.

— მოდი, შვილო, ძმაა შენი, მოდი!

ამაოდ უხმობდა ქალი თავზარდაცემულ შვილს. ბიჭი გაქვავებული, ძრწოლანარევი ზიზღით უყურებდა ნახევრად შეშლილ დედას და ძმადყოფილს. ათი წუთი უბრად ვისხედით. ჭამის იშვიათ შეკითხვებზე კოკა უნდილად იჩეჩავდა მხრებს.

— საქმის დარღვევაში ბევრს მოგვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხოვენ, მაგრამ ვისესხებთ და გაგიყ-ვანთ.

მამას თავადაც არ სჯეროდა ამ სიტ-ყვების, მაგრამ სიტუაცია და უზომო სურვილი ალაპარაკებდა.

კოკას მწარედ ჩაეცინა:

— ეჰ, მამიკო... ჩემს საქმეს ვერავინ დაარღვევს.

— უნდა გაგიყვანოთ, — ჯიუტად გაიმეორა მამამ, — თორემ შვიდ წელი-წადში ულმობლობა და გულგრილობა გაგიჯდება ძვალსა და რბილში.

— ჩემი საყოფი უკვე გამიჯდა.

კაცმა კიდევ ერთხელ შეათვალიერა შვილის დაძაბული სახე, თავი გაიქნია და თქვა:

— რა ჩაციებული მზერა გაქვს...

კოკამ სიტყვა ბანზე აუგდო, ნათესავე-ბი მოიკითხა. ნეიტრალურმა თემამ და-ძაბულობა ოდნავ გაფანტა.

— ახლა კი წადით, —მოუჭრა კოკამ.

მამამისმა სინანულით გააქნია თავი:

— თურმე არავისი ამბავი არ გაინტე-რესებდა... — და მძიმედ წამოდგა.

ერთხანს თვალებში მისჩერებოდა კოკას, მერე ოდნავ შეტორტმანდა და ძლივგასაგონად ჩაილაპარაკა:

— სახლს გავყიდი და გამოგიყვან!

— არა! — იღრიალა კოკამ. — სახლს შეეშვი! სახლი ამას უნდა! — თითი მიაბჯინა ენაჩავარდნილ ძმას.

რამიზამ შეშფოთებული სიფათი შე-მოყო და წამსვე გაგვეცალა.

საგუშაგოს კარამდე ხმა არ ამოგვი-ღია. კაცმა ხელი ჩამომართვა და შე-ყოვნდა:

— დაჩი, მაპატიე, ახლაღა რომ გეკი-თხები, როდის თავისუფლდები?

— ერთ თვეში.

— რა ეშველება... შენი იმედიც გვა-ქვს.

თვალი ვერ გავუსწორე, ხელი თით-ქმის გამოვტაცე.

გავიდნენ.

ქანცგაწყვეტილი ეშას დედა ცრე-მლებად იღვრებოდა და შეშლილის და-ჟინებით ცდილობდა ეშას თვალებში ადამიანობის ნასახის დანახვას.

ძმას უკვე ავისმომასწავებელი სიძ-შვიდე დაუფლებოდა და როცა თვალებ-დახრილებმა შორიახლო ჩავუარეთ, ბო-როტი მზერა მოგვაჭედა.

— პლუს ერთი მიზანთროპი, — თქვა კოკამ.

რამიზა შეგვხვდა.

— რამიზ, გინდა თუმანი?

—რა სულელური შეკითხვაა: —დაი-მანჭა ზედამხედველი.

— კომკავშირელი ხარ?

— რამიზამ მკერდზე დამაგრებულ კომკა-ვშირულ ჟეტონზე დაიხედა, შეყოყმანდა, მერე მოიძრო და მიწაზე დააგდო.

— დააბიჯე!

— კიდე თუმანი მოძე და დავაფურ-თხებ.

ორი თუმანი მივეცი და რამიზამ გულისამრევად იხტუნა და ადუჟა ჟე-ტონზე. ჩვენი ცალყბა ღიმილი რამიზას მოუქნელობამ გამოიწვია. გუნებამოწამ-ლულები დავბრუნდით ბარაკში.

— აბანოში წავალ, — წაიბურტყუნა კოკამ და პირსახოცი კისერზე მოიგდო.

რატომღაც ცუდად მენიშნა, მაგრამ მისი დილანდელი სიტყვები მახსოვდა და დუმილი ვარჩიე. თითქმის მაშინვე ჩამთვლიმა. მალე კოკაც დაბრუნდა.

— აზრზე ხარ?.. — თქვა და უკვე ოფლით დაცვარული სახე მოიწმინდა, — აბანოში სამნი ველოდით რიგს. ის ორი თავისთვის ლაპარაკობდა...

— მერე რა?

— არაფერი, კარგია, რომ ხვალიდან აღარ დავინახავ ყოველივე ამას.

— დანა გინდა?

— არა... თუმცა მოიტა, გარეთ, შე-საძლოა, დამჭირდეს.

დანა უკანასკნელად გავაჩხაკუნე და კოკას გავუწოდე.

— შენ... — და დავდუმდი.

— თქვი, თქვი...

— იქნებ არჩევნებში გაიმარჯვონ და ბმნ...

კოკამ თითი ტუჩებზე მიიდო:

— მეტს ნურაფერს იტყვი. ჩემზე უკეთ რომ არ იცოდე, გეპატიებოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის თქმა... ბიჭო, ამ კატას ყურები ხომ არ აქვს დაჭრილი?

— კი, ახლა შეამჩნიე?

— ჰმ. სუ გაგიჟებულა ჭრუტა.

— რა გინდა, კოხტად გამოიყურება.

— აი, დაჩიჯან, ძმა ხარ, რა! — ფარდა გადასწია გაბადრულმა ჭრუტამ.

— გვისმენდი?

— მე არა, ეს, — ყურზე ხელი მიიდო ჭრუტამ და კატა აიტატა. — მაწანწალა გახდა ეს მუდრეგი.

— ჭრუტ.

— რა, დაჩი-ჯან.

— გენაცვალე მაგ ა ლა პრეზიდენტ ტყლიპში.

— გმადლობთ, ამხელა კაცი ამ ერთ ტყლიპში რო მენაცვალები, ძაან უნდა გიყვარდე, — ვალში არ დამრჩა ჭრუტა და გაბვიდა.

— რა შემპალი ვინმეა, — ჩაილაპარაკა კოკამ.

— ამათ ხელში სუნი რომ არ ამდის, ეგეც დიდი საქმეა, კოკა-ჯან! — მოგვესმა საკმაოდ შორიდან.

უხმოდ გადავხედეთ ერთმანეთს, მერე კოკამ კედელზე გაკრულ შატილის ფოტოს გასარეცხი მაისური ჩამოუსვა:

— გათავისუფლებისთანავე აბვალ?

— ჰო.

— თუ მოვახერხე, შეიძლება გინახულო.

— თბილისში რა, ვერ მნახავ?

— თბილისში თავისთავად, მაგრამ მთაში არ ვარ ნამყოფი და მცირე ხნით დასვენებაც მინდა.

გამეღიმა:

— შენ კარგა ხანს არ გიწერია დასვენება.

კოკას აშკარად არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი. რამდენიმე წამი მოქუფრული მიშტერებოდა ფოტოს, მერე კითხვით მომაჩერდა. კვლავ გამეღიმა:

— ბუნდოვნად მაქვს წარმოდგენილი დევნილის მდგომარეობა. მე გარკვეული დროის განმავლობაში ვიმალებოდი და ვიცი, რა როგორაა.

კოკამ აღარ მიპასუხა.

— რა ცხვირი ჩამოუშვი, მარტო ის რად ღირს, ყოველ დილით „ცუმპარამპა“ რო არ გაგაღვიძებს.

ყოველ ჩვენთაგანს ჭირივით სძულდა ალიონზე რეპროდუქტორიდან გადმონთხეული საბჭოური ხალხური მელოდია, რომლის თანხლებითაც ერთ დროს სტახანოველებს ერეკებოდნენ სამუშაოზე.

ვიღაცამ ხელის მოქნევით კინაღამ გადაფხრიწა ფარდა.

— ნელა, ბიჭო!!

თითქმის ერთხმად მივაძახეთ და ვახო შეგვრჩა. შემოვიდა და ლოგინზე დაეხეთქა.

— უარი გითხრა?

ვახომ თავი დაიქნია და იქვე, ფეხებთან დაიფურთხა.

— რატო არ მიშვებ, ხო იცი, ვმუშაობ-მეთქი. შენ რო ორი ვირი გყავდეს ერთი მშრომელი, მეორე კი უქნარა, რომელს გაყიდიო. უქნარას-მეთქი. ჰოდა, აბა, მე რაღას მერჩი, სწორედ მასე ვიქცევიო.

— პირდაპირ ეგრე გითხრა?

— ა ეგრე მითხრა... გავაფრინე, ვაგინე და წამოვედი.

— ახლა შენი კარცერში ჩასმა გვაკლდა... სად არის ამდენი ასი მანეთი...

— ახია ჩემზე! კარცერშიც ჩასალპობი ვარ და... ჰმ, არ მოვინდომე მიმაგრებაში გასვლა?

და უკან მოუხედავად გავარდა.

— დალევს, — თქვა კოკამ.

— ჰო, და ერთ-ორ თვალსაც ჩაილურჯებს.

კოკამ ფული ამოიღო და გადათვალა.

— ოდესმე ხელში თუ სჭერია ათასი მანეთი იმ ღვთის გლახას... არადა, მაგ ფულით იურტას თუ იყიდის.

— ისე, სიმართლე უნდა ითქვას, ძვირად არ აფასებს თავისუფლებას.

— ჰასანი ქვია, არა?

— ხო.

— ძაან არხეინი ხარ, გვარი მაინც უნდა გაგეგო ან მისამართი.

— ხვალ ამ დროს ინასთან ვიქნები,— წაიოცნება კოკამ, გაინაბა და გაჟრჟოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დაიძინე, წინ უძილო ღამე გაქვს, — ვუთხარი და გავედი.

კოკა დღეს წავა. წავა უკან მოუხედავად, ისე, როგორც მხოლოდ საძულველი ადგილიდან მიმავალს სჩვევია.

მახსენდება ზამთრის დილა. — ეტაპი მოიყვანეს. მაღვიძებს ვიღაცის მკივანა ხმა. ინგუში შემოდის:

— მგონი შენი ნაცნობი მოიყვანეს. გიკითხა.

სწრაფად ვდგები და ბარაკიდან გავდივარ. თოვს. ბარაკის უკან, ნამქერში, ნსვამი ონოფრე და მამათმავალი გუნდაობენ. მოშორებით, ზურგჩანთაზე, ზამთრისათვის შალიფად ჩაცმული ბიჭი ზის და მავთულხლართიან კედელს გასცქერის.

— ეგაა, — მეუბნება ინგუში. ბიჭისკენ მივდივარ. იგი წარბებამდე ჩამოფხატულ ქუდს იწევს და იცინის.

— კოკა, ბიჭო!

რიგით მეხუთე შეკითხვა სიგნალიზაციის ვარგისიანობას აზუსტებს.

— მიკვირს:

— რა დროს ეგაა?

კოკას, თავის მხრივ, უკვირს:

— ჩემი აზრით, ჩვენს მდგომარეობაში კაცი მუდმივად წასვლაზე უნდა ფიქრობდეს.

წასვლა და არა გაქცევა. საიდან ასეთი ღირსების შეგრძნება ამ ოცი წლის ბიჭს...

ბარაკში შევდივართ. კოკა იძინებს. გავდივარ.

...ორმოცდაათგრადუსიანი, ციმბირული ყინვა.

— მიშველე, დაჩი! — ვედრებადქცეული კორეელი.

—?! — კორეელისგან თხოვნა, მით უმეტეს — შველის, უჩვეულოა.

— სანამ „ნოვოკაინი“ მოქმედებს, დაარტყი! — მკლავს მიშვერს კორეელი, მარცხენათი კი არმატურის ნაჭერს მიწვდის. მუდარით შემყურებს. ვყოყმანობ.

— ნუ ფიქრობ, ხელს ვერა ვგრძნობ!

არმატურას ძლიერად ვურტყამ. შიშით სახემოღვენთილი კორეელი ინსტინქტურად ეცემა თოვლზე. ტკივილის მოლოდინში შეშინებული, ისტერიულად ქოშინებს. ბოლოს კივის. ზედამხედველები მორბიან.

— რა მოხდა?

— ქართველმა ხელი მომამტვრია!

სიძულვილით მიცქერიან: — არმატურა დააგდე!

მე ჯერაც ვერ გამოვრკვეულვარ ამ მონღოლური მუხანათობით გაოგნებული. კორეელს ჩექმის წვერს შუბლში ვურტყამ. ოფიცრებიც მოდიან. ერთ-ერთი იცინის:

— სასჯელი ხომ გაიჩალიჩე, ქართველო! ამიერიდან ვიწროთვალებას ნუ ენდობი. ახლა წამობრძანდი კარცერში!.. ბრიყვი, შვებულება არ გაუნაღდა? —გზაში კოკა გვხვდება წარბებაძგიბული მეკითხება, რა მოხდაო. მაგრამ ვერ ვპასუხობ.

საღამოს კარცერში კოკაც მოჰყავთ.

— მეორეც მოვამტვრიე! — სულელივით იცინის, მერე სერიოზულად ამბობს: — ერთად ხო სჯობია?!

ძნელია, არ დაეთანხმო...

დღეს კი წავა. მერე, როგორც თვითონ ამბობს, „ბოლშევიკებს რო დააყირავებენ“, გამოჩნდება. მაგრამ ამას ისე ამბობს, თავს იტყუებს, კარგად იცის, რომ დევნილი ყოველთვის დევნილია, შფოთის მიზეზი. საზოგადოებისათვის აუცილებელი საშიშროების კოეფიციენტის შემქმნელი.

იცის და, რა თქმა უნდა, მაინც მიდის.

უცნაური შლეგური სინანული დამეუფლა დარჩენილი სასჯელის სიმცირის გამო. მაგრამ მალევე დავმშვიდდი. კოკა მსუბუქად შევანჯღრიე:

— კოკა... კოკა, გაიღვიძე, მზე ჩავიდა.

კოკამ ნეტარებით გაიზმორა და „საგარეო“ ტანსაცმელი ჩაიცვა. კმაყოფილმა შემხედა.

— კაია — თავი დავუქნიე.

ძმისშვილის ფოტო, დანა და ფული ჩაიდო ჯიბეში.

— ეკლესიაში შედი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხო, ხო.... — აფორიაქდა. — სანთელი რო არა მაქვს...

—მესამე კოშკურაზე დგას, არა?

— ხო... არ დააფრთხო.

— რითი უნდა დავაფრთხო? — ავიჩეჩე მხრები, — სასმელს ვთხოვ.

— მე ეკლესიაში ვიქნები.

... კოშკურიდან მონღოლურმა ნიღაბმა გადმომხედა:

— რა გინდა?

— სასმელი.

— ერთ საათში მოდი, იქნება.

— ავტომატი?

— რა ავტომატი?

— ავტომატს როდის მომყიდი? გაეცინა.

— რა გქვია?

— მე?

— ჰო, შენ! — გავღიზიანდი.

— რად გინდა?

— წადი შენი!.. — გავეცალე იქაურობას.

ეკლესიაში კოკას გარდა არავინ იყო.

—მზად ხარ?

— ჰო, — პირჯვარი გადაიწერა. მუხლი მოხდენილად დაჰკრა იატაკს და გამომყვა.

— იმ ახვარმა სახელი არ მითხრა.

— მერე რა... — კოკა უკვე აღარ მისმენდა.

— გახსოვს, კორეელს ხელი რომ მოსტეხე? — ხელით გავაჩერე კოკა.

შეცბუნებულმა შემათვალიერა:

— მახსოვს.

— მართალი ხარ, ახლა ამის დრო არ არის, წადი! — მხარზე ხელი დავკარი.

— არ მიყურებ?

— არა, წადი! ღმერთი იყოს შენი შემწე.

— ქალაქში დაგიკავშირდები, —მითხრა, მერე ჩაეცინა: — ხელი მაინც ჩამომართვი, შე უმეურო კაცო!.. ეგრე. ახლა კი წავედი!

მერე მონუსხულივით გაემართა კოშკურისაკენ. ირგვლივ არავინ ჭაჭანებდა. კოშკურასთან შეყოვნდა. ჯარისკაცს გამოელაპარაკა. მერე ხელი აიქნია, ალბათ, ფული აუგდო, მიიხედ-მოიხედა და კედელზე გადაძვრა. შემოვტრიალდი და... სროლის ხმამ გამაქვავა.

—ალბათ, ჰაერში ისროლა... რასაკვირველია, ჰაერში...

მაგრამ მყისვე მეორედ, მესამედ, ბოლოს ჯერიც მოაყოლა.

— კოკაა!!!

ჩემი ღრიალი სროლის ხმამ შთანთქა. ყურებმა წუილი დამიწყო. ხუთიოდე ნაბიჯი გადავდგი.

რაც მოვიხელთე სიბნელეში, მთელი ძალით ვისროლე გუშაგისაკენ, რომელიც გადამცემის ყურმილში ჩასჯღაოდა რაღაცას.

— მოკლა! — ვთქვი, ისევ რაღაც ვისროლე და იქვე ჩავჯექი.

ჯარისკაცმა ავტომატის ლულა ვარაუდით ჩემკენ გამოიშვირა. მე ეს არ დამინახავს, მაგრამ სროლის შემდეგ, სამორიგეოს კედლიდან ჩამოცვენილი ბეთქაში დამეყარა.

— მოკლა? — იყვირა ვიღაცამ რუსულად.

— ჰო, ჰო! — შეეხმიანენ კედლის გადაღმიდან.

ხალხი გარბი-გამორბოდა.

მიწაზე ვიჯექი და არაფერი მინდოდა...

უცნაურია მარტოკაცი მიტოვებულ სოფელში

სიჭაბუკის საჩოთირო მონაკვეთი დამიდგა. მეძებდნენ: დავუსხლტი და ჩრდილოეთ კავკასიაში უსაფრთხოდ გადასასვლელად კავკასიონის მივარდნილ ადგილს მივაშურე. იქაურობა ადრე მოელილი მქონდა და თამამად დავადექი გაუქმებულ, ბალახით დაფარულ ბილიკს.

ულელტეხილამდე ერთი სოფელიღა მქონდა გასავლელი, — ორკომლიანი. მივაღწიე. უკაცრიელი დამხვდა სოფელი. უცნაური შეგრძნება დამეუფლა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ერთხელ, არმაზის სამაროვანში სეირნობისას მახსოვს, შორიახლო ვეძა ამოსჩქეფდა. ადვილად მივაგენი, სადამდეც გასწვდენოდა, ყველაფერი დაეჟანგა.

გადავწყვიტე, სხეულიც ამ მადლიანი წყლით დამეზილა. მომცრო ჩანთა, სადაც სხვა წვრილმანთან ერთად, პირსახოცი მედო, სოფლის მახლობლად, არყნარში მქონდა დატოვებული და მოსატანად წავედი.

ჩანთა ავიღე და მაშინღა მომაგონდა ტოტზე სამაჯურით ჩამოკიდებული საათი. მოვიძიე, მაგრამ ვეღარ მივაგენი. გავლიზიანდი. ამაოდ, რა თქმა უნდა, შემდეგ ანგარიშმიუცემლად დავიყვირე:

— ბიჭო!.. ვიღაცა ხარ!.. — და დავდუმდი. უეცრად საათს შემთხვევით ფეხი წამოვკარი და ავიღე. გამიხარდა. ძველი, გამძლე „ომეგა" იყო. დავბრუნდი ვეძას წყაროსთან. ვსვი, დავიზილე, წავიყიყინე კიდეც ერთი სიტყვით, ვინებივრე.

სოფელში შესულს კვლავ აუხსნელი სევდა შემომაწვა. აკლდამური ატმოსფერო ნისლივით აწვა სოფელს.

იქვე, სიპზე ჩამოვჯექი და გულწრფელად ვინატრე ვინმე, ჩემი საათის მართლაც ამწაპვნელი, თუნდაც ამის მკადრებელი...

— ვინმე!!!

ხმა ქედს მიაწყდა და ექოდ დამიბრუნდა.

ქალაქელები

— ამაოდ ვიწანწალეთ, — თქვა საბამ, კარაბინი მოიხსნა და ფეხი მოირთხა.

— ჯარჯის ნიშნის მოგება მაშინ ნახე, ასე სამარცხვინოდ ამოლაფულნი, მშივრები რომ მივადგებით, — თავი გააქნია ვახამ. — კურდღელი მაინც მოგვეკლა.

— კურდღელი კი არა, კონსერვი წამოგველო, კარავი და თოკი დიდის ამბით ვათრიეთ და...

— შენი ბრალია, საგზალზე ხელი რო აუკარი, რა გეგონა... შენც ხარ, რა...

— ე!. ახლა ყველაფერი მე დამაბრალე... — წამოწითლდა საბა.

მცირე ხანს დუმდნენ.

— აუ, ჯარჯის რა გაუძლებს! — კვლავ გაახსენდა ვახას.

— აკი გვეუბნებოდა, უჩემოდ ვერაფერს მოინადირებთო.

— მომბეზრდა მაგის აბორიგენული ქედმაღლობა, — ამრეზით ჩაილაპარაკა ვახამ და საბას გახედა: —მგონი, შენც მაგ მიზეზით თქვი უარი მის გამოყოლაზე. ხო ეგრეა?

— ხო, — მხრები აიჩეჩა საბამ. — ეგრეა.

— სჯობს, ხეობაში ჩავიდეთ, ავაზვიოთ კარავი და სოფელში ჩავიძურწოთ.

საბა სიპიდან წამოდგა და კლდის ქიმზე შედგა. ხელი მოიჩრდილა:

— ზღაპარია.

— ფრთხილად! — ხაფი ხმით დაუყვირა ვახამ.

საბა უკან გასახტომად შეიმართა, მაგრამ ქიმი ფეხქვეშ ჩაეშალა. ვარდნისას სამჯერ მიეხეთქა შვერილებს, ხოლო მეოთხე შვერილს ჩააფრინდა და შერჩა.

— ბიჭოო!..

ვახა არაბუნებრივმა ხმამ გონს მოიყვანა.

უფსკრულს მიუახლოვდა. მხოლოდ წყვილი ხელი, შვერილს ჩაბღაუჭებული დაინახა თხუთმეტიოდე მეტრით ქვემოთ.

— ბიჭო!.. — მოესმა კვლავ. — დროზე, დიდხანს ვერ გავძლებ!.. დროზე!

— ვერაფერს გიშველი! — ჩასძახა ვახამ. — არ გიშველი, გაიგე?

— რაებს ბოდავ... დროზე!..

— ენა ჩაიგდე, შე ახვარო! შენი მშველელი არა ვარ, ამაოდ ღრიალებ!

— გაგიჟდი?! — ამოიღმუვლა საბამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—საბი წელი ველოდით ამ წამს მე და მაია!!! — ყვირილით უპასუხა ვახამ და ციცაბო ბილიკზე დაეშვა.

ექომ ორჯერ გაიმეორა — „მაია“

— დაგბრიდავ, შენი!.. — დაიჩურჩულა საბამ, მერე უაზროდ ახედა დასისხლიანებულ, გრძნობადაკარგულ ხელებს და დაიღრიალა: — ვახა, მძორი ხარ, იცოდე, თუ გადავრჩი...

პასუხად — დუმილი.

„ვაიმე, რას მიშვრება... უნდა გადავრჩე, უნდა გადავრჩე... სადაა სამართალი... გადავრჩები და დავბრიდავ...“

საბა სხეულს ველარ გრძნობდა. ქვედა ტუჩი ნახევრად მოიჭამა, სისხლმა დაუსველა ნიკაპი, რომლითაც ქვას ებჯინებოდა და რამდენიმეჯერ ჩამოუცდა კიდეც.

„ გადავრჩები, — ეს აზრიღა შერჩენოდა ცოფისაგან დაბინდულ გონებას,— გადავრჩები და დავბრიდავ მაგ ახვარს... ორივეს... ვაიმე, მაგ‌ითი...“

საბას თოკის ბოლო დაეცა თავზე, ანგარიშმიუცემლად გაიქნია თავი, მერეღა გაიაზრა და ჯერ ერთი ხელი სტაცა, მერე მეორე. გაჭირვებით დაიხვია მაჯაზე და თითქმის დაეკიდა. თოკმა ძალიან ნელა, მაგრამ მაინც დაიწყო აწევა.

ყველაზე რთული ბოლო მონაკვეთი იყო, ვახამ ქურთუკის საყელოთი დაითრია საბა და ერთხანს ასე დარჩა. ბოლოს ძალა მოიკრიბა და ამოიყვანა.

ათიოდე წუთს ასე ეყარნენ უფსკრულის პირას. მერე ვახა წამოდგა, საბას ღიმილით წაადგა თავზე:

— მაპატიე, სხვა გზა არ მქონდა. გამხნევება რომ დამეწყო, ხუთ წუთზე მეტს ვერ გაძლებდი. თოკის ამოტანას კი ოცი წუთი მაინც დასჭირდა.

საბამ თვალი გაახილა:

— ისე გავმწარდი, ერთ საათსაც ვიქნებოდი ჩამოკიდებული.

— კარგი, წამოდექი... ასეე. ტუჩი რას გიგავს, ასე მოგშივდა?

— აუ, ჯარჯის რა გაუძლებს, — ჩაეცინა საბას და ისევ ჩაჯდა.

რამინ საჯაია

უდაბნო

უდაბნოს ქვიშა
და ქვიშაზე ჯოგი აქლემთა,
უდაბნოს სევდას აბოლებენ
მქრქალი თვალები...
როდის გააღწევთ მეგობრებო,
ნეტავ, აქედან —
მოგძახით ქარი
იდუმალი მზით ნამთვრალევი.

ხედავთ სუნთქვაში
შორს სადღაცა ცისფერ ოაზისს...
სამუმის ქროლვით
გეპარებათ დილა-ბინდები.
თქვენს ბედის ვარსკვლავს
შავი ღამე მხრებზე რო აზის,
ისე დიდია, ვით ეგვიპტის
პ ი რ ა მ ი დ ე ბ ი!..

მებაღის სიმღერა

ვით საკმეველის თეთრი სურნელი,
ატმის ყვავილი ისე ნაზია.
მაისის ფერი ჩემი სურვილი,
მზის გახელება და ფანტაზია!..

სად არის ახლა, ნეტავ, ის ქალი
ირგვლივ ელდების ცეცხლის ალია.

ბაღს ელანდება ვნების ცისკარი,
შამხათის სუნთქვა რომ გადარია...

ვით საკმეველის თეთრი სურნელი,
ატმის ყვავილი ისე ნაზია.
მაისის ფერი ჩემი სურვილი,
მზის გახელება და ფანტაზია!..

მოსე

ბორგვა დაიწყო დაჭრილივით
სიცოცხლის ძარღვმა
და ამ ყოფაში ილანდები,
ღვთიურო მოსე
სულის სამყარო რომ გადურჩეს
წყვდიადით წარღვნას,
ვრცელ უდაბნოში შენი კვერთხის
მადლით შემოსე.

რომ შეიმეცნოს არსებობა
საკუთარ თავის,
ეელარ გავიდა იდუმალი
სინათლის გზაზე...
ის მოიქანცა კედლებშორის
ღრუბლებთან დავით,
მშველელს ეძახის
ტკივილების ცეცხლით აღსავსე.

ლეონიდ ...
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლაოკოონია

ბრმის უდაბნოთი მზერა დაქანცულის
ნერვების ღელვა
ვით გადურჩეს მძაფრ აგონიას...

პოეტი, რომელსაც სუნთქვა უდუღს
მზით დახანძრული,
გველმოხვეული ლაოკოონია!!!

კვდება ცოდვილი და მგლოვიარე

არ ვიცი, სული რად ილტვის ცისკენ
ან რად მიტაცებს ცათა სიშორე...
ვერ გავაღწიე ღრუბლების სისქეს,
ღამეულ ჩრდილებს ველარ ვიშორებ.

მთასავით მაწევს სისხლის ცდუნება,
სამოთხის გზაზე ველარ ვიარე...
დღეს გახლეჩილი ჩემი ბუნება
კვდება ცოდვილი და მგლოვიარე!!!

სადღაც შორს დარჩა

ვიგონებ ახლა გარდასულ დღეებს,
დღეებს დათოვლილს ლურჯი იებით,
იმ უძვირფასეს მზისფერ სახეებს
და სურნელს, სურნელს მაგნოლიების!..

მიმაქანებდა ოცნების რაში,
ჩემთვის უზღაპრეს ფერებს ცა ღვრიდა,
ბოლოს... ნამსხვრევი შემრჩა მირაჟის
თავს დატეხილი ბედის წარღვნიდან.

სადღაც შორს დარჩა
ლ ურ ჯ ი ი ებ ი
და სურნელება
მ ა გ ნ ო ლ ი ე ბ ი ს!..

ბეხან!..

(მექარავნის სიმღერა)

მინაწერი გრ. რობაქიძის „გველის პერანგზე"

ჩემო ერთგულო მეგობარო,
გიგონებ ეხლა...
სუნთქვას ამძიმებს
ღამისფერი ნისლის ზმორება,
სიგიჟის დღენი
იღვრებიან სისხლის ტბორებად, —
სიკვდილ-სიცოცხლის დუელს მოჰგავს
ქარებთან შეხლა.

შენი თვალების ბურანებით
დაისებს ვტირი,
უფსკრულის ხახა ილანდება
წყეულ ზმანებით,
სადღაც ყრუდ ისმის აკვნესება
დაღლილ ზარების,
პირქუშ სივრცეში იძარცვება
ძვირფასი მტილი.

მძაფრი მისტიკა აზიური
შორს ველარ ატანს,
მწყურვალებაში ილეწება
სული მშიერი,
მტვრის ლეგიონით ავსილია
ზეცის იერი,
უდაბნოს ხვატი
გახრილ ქედზე აწევს ჰამადანს...

ჩემო ერთგულო მეგობარო,
გიგონებ ეხლა...
სუნთქვას ამძიმებს
ღამისფერი ნისლის ზმორება,
სიგიჟის დღენი
იღვრებიან სისხლის ტბორებად, —
სიკვდილ-სიცოცხლის დუელს მოჰგავს
ქარებთან შეხლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვახტანგ კომახიძე

ზურგის ქარი

მოთხრობა

ყაზარმაში ყველას სძინავს. ისე ცივა, რომ აქოთებული სუნი არავის აწუხებს, მაგრამ თუ ვინმე კიდევ გრძნობს რამეს, საბნის ქვეშ შეჰყოფს თავს, — შენი სუნი მაინც შენია.

ქარი მინებს აზანზარებს. ზოგჯერ, როცა ქარი წამიერად შესუსტდება, ხმაური წყდება, მაგრამ მალევე ფანჯრებს ახალი ნაკადი ასკდება და ირგვლივ ყველაფერი ისევ ზანზარებს. ამას ხანდახან შეიძლება ვისიმე ხვრინვაც დაემატოს, ამ უკანასკნელს ვინმე გამწარებული ფეხსაცმელს ესვრის, თუმცა სროლას ყველას ვერ გაუბედავენ და ზოგიც დილამდე ხვრინავს.

ერთ-ერთ კედელში სარკმელია დატანებული, საიდანაც საძინებლის ყველა კუნჭულის დანახვა შეიძლება, ყაზარმიდან კი მხოლოდ პატარა, განათებული ადგილი ჩანს. თუ მორიგე ზედამხედველს ქუთუთოები დაუმძიმდა, ტორსი და კიდურები მოუდუნდა, ზანტად წამოდგება, ოთახში გაივლის და სარკმელშიაც გამოჩნდება-ხოლმე.

„ეს ღამე ჩემი მტერია, — ფიქრობს ზედამხედველი. — საწოლი მაინც მედგას, ან ის აყლაყუდა, ძაღლივით არ ათევდეს ხოლმე ღამეს. ამ გაღმა-გამოღმა სიარულს კიდევ ნერვები უნდა დაადღლეზინო“, — ჩაილაპარაკა ბოლოს და ისევ მაგიდასთან ჩამოჯდა. არა, ნერვები თუ დაგედღლიზა და კისერი გაგიშეშდა, გინდა მთელი ქვეყნის პატიმრები გაქცეულან.

ეს აზრი კი წამალივით მოეკიდა ზედამხედველს, მაგიდაზე თავჩამოდებულს ჩაეძინა, მაგრამ მალე ორმეტრიანი უფროსის თანაშემწე თავზე წამოადგა და გააღვიძა, საწყობში კარტოფილი მოიტანეს, პატიმრები გამოიყვანეო.

„წუხელ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს“, — უთხრა ზედამხედველმა, სანამ თვალების მოფშვნეტას დაამთავრებდა. თანაც, — ამ შუაღამისას რა დროს კარტოფილიაო.

„ნეტავი, ამას რა ენაღვლება, კისერი ეტკინება თუ რა, ძაღლივით ათევს ღამეს“, გისოსი გახსნა და ყაზარმაში შევიდა ზედამხედველი.

უფროსის თანაშემწემ ქუდი მოიხადა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაგიდის კუთხეზე ჩამოდო. მერე სარკმელთან მივიდა და ყაზარმაში მძინარე პატიმრებს გახედა.

„როგორ ყრიან, — გაიფიქრა მან, — ავგიას თავლაა. მძიმე ცხოვრება ადამიანს ყველაფერს გააკეთებინებს, მაგრამ ამათი შეცოდება არ შეიძლება — ესენი თვითონ ამძიმებენ ცხოვრებას“.

ზედამხედველმა საწოლებს შორის ჩაიარა, სადღაც შუაწელზე, ერთ-ერთი საწოლის პირს ხელი ჩაავლო და შეანჯღრია... როგორც იქნა, რამდენიმე პატიმარი გააღვიძა, გასასვლელთან დადგა და იმათ ჩაცმას დაელოდა.

„რას ჰგავს ეს კაცი, — ჩაილაპარაკა უფროსის თანაშემწემ. — მაგისი ზედამხედველობა როგორ შეიძლება, დგას და უბეს იქექავს. უბეს ყველა კაცი იქექავს, მაგრამ როცა ჯამაგირს გიხდიან, უბე კი არ უნდა იქექო, პატიმრები უნდა გამორეკო. ეტყობა, ეშინია. აბა, ზედგენიძის მაგივრად სხვას გააღვიძებდა. ყველა მაგ ზედგენიძეს ურტყამს თავში, ან კიდევ ყალაბეგაშვილი. მაგას, მართალია, არავინ ურტყამს, მაგრამ თვითონაც არა აქვს ჩარტყმის შნო. ისე, ეს ზედგენიძე სულაც არაა შესაცოდი, სანამ თავში რახუნს დაუწყებდნენ, ეგაც ამძიმებდა ცხოვრებას“.

უფროსის თანაშემწე რაფას ჩამოეყრდნო, შუბლი ციე შუშას მიადო, ეროხელაც გადაავლო თვალი ყაზარმას და შემობრუნდა. გისოსთან სკამზე ჩამოჯდა, ფეხები გაწვართა და ახლა კეფა მიადო ციე კედელს.

„რა რიცხვია დღეს!?“ გაიფიქრა თანაშემწემ და საათს დახედა. „ეს რაღაა,“ წამოდგა, სახელოზე გათხიპნილ საგოზავს მაჯა გაუსვა, რაფას მიაჩერდა.

„რა უქნია, — ჩაილაპარაკა, და ზედამხედველს შეუკურთხა, — როგორ მოუორბრებია აქაურობა“.

ქარი თითქოს ყველა მხრიდან უბერავდა. ზემოთ უზარმაზარ ღრუბლებს მიაქანებდა, ქვემოთ კი ლამის ხეები დაელეწა — მსხვილსა და ღონიერ ტოტებს ღუნავდა და ზედ აყრიდა საიდანღაც წამოხვეტილ ქვიშას, ქაღალდებსა თუ ნაგავს. შენობის გამოსასვლელთან კარგა მოზრდილ სტენდს, რომელსაც არც წარწერა შერჩენოდა და აღარც იერი ძველი დიდებისა, ახლა ფანერაც მორღვეოდა და ქარის დაქროლაზე თითქოს გაბოროტებული რახუნებდა. ყველა მხრიდან რაღაც ისმოდა, რაღაც ილეწებოდა ან ქარს მიჰქონდა. მხოლოდ ყაზარმა იდგა ძველი და დანგრეული, ქარს რომ არ მიჰყვებოდა და კრუხივით იცავდა პატიმრების საბუდარს.

ყაზარმის გასწვრივ პატიმრებმა ჩაიძუნძულეს და ვახტისკენ დაეშვნენ. უფროსის თანაშემწე მათ უკან მიჰყვება. ქუდი ხელით უკავია, რომ ქარმა არ მოსტაცოს. მაზარის კალთები თოკზე გაფენილი სარეცხივით უფრიალებს. პატიმრებს ზამთრის ტანსაცმელი აცვიათ, მაგრამ ძალზე სცივათ, რადგან ლოგინიდან წამოყარეს და თანაც მათი სამოსელი...

მოსახვევიდან ვახტი ახლოა. ზურგის ქარია და სწრაფად მიდიხარ, ქარი მიგარბენინებს. ცოტა მოთმინებაა საჭირო — ვახტის გასასვლელი მყუდროა და შეგიძლია კარგად შემოიკეცო, სადაც გიბერავდა, სანამ ავტომატიანი სალდათი მოვა, სანამ ბრძანებას მიიღებს და გარეთ გაგიყვანენ, თუმცა აქ სიცივე ნაკლებად გაწუხებს, რადგან აქ მთავარია, სულმა არ წაგძლიოს, ქარმა არ გაგარბენინოს, რადგან სალდათს ავტომატი ისე უჭირავს და, რაც მთავარია, ისე ხმარობს, როგორც პატარა ბიჭები შურდულს ხმარობენ.

ფრთხილად, ზურგის ქარო, ფრთხილად, ბოროტმოქმედის დაუოკებლობავ, არ აჰყვე ზურგის ქარს. ის შენი მტერია, შენი მაცდური.

„მე ამას მოვკლავდი, — ფიქრობს პატიმარი. — მეორესაც, ამასაც მოვკლავდი“.

ვახტის მიღმა კიდევ აყოვნებს პატიმრებს თანაშემწე, სალდათს ბრძანებას უმეორებს. ყველა პატიმარს სათითაოდ უყურებს თვალებში, თითქოს სულში აფურთხებდეს. პატიმრები მხოლოდ გულში აფურთხებენ, თავისთვის. და უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსის თანაშემწე უკან მიაბიჯებს, ახლა ვახტიორ ქალთან შეიძლება ლაპარაკი.

„წავედით, ზურგის ქარო, — ფიქრობს პატიმარი, — ჩემო დღევანდელო მტერო“.

„ასე კი არ უნდა გიწოდებდეს პატიმარი, მე ხომ არა ვარ შენი მტერი, შენც ხომ იმას მკარნახობ, რაც ჩემს სულშია; ასე ბითურულად ხომ ტყვია მალაპარაკებს. ტყვიას სადა აქვს ჭკუა, ჰო, სადა აქვს ტყვიას ჭკუა, მაგრამ შენი დედა ვატირე, პატიმარო, რადგან შენში მკვდარია პატიმრის მიზანი...“

„დაუბერე, ზურგის ქარო, და ამაჩქარე, იქნებ როგორმე გამომაცოცხლო, იქნებ როგორმე ამიჩქეფდეს სისხლი, ასე რომ დაამყაყეს და ააქოთეს. იქნებ როგორმე ამიჩქეფდეს სისხლი, რომ უკან აღარ შემაბრუნოს ამ გაყინული კედლების შიგნით“.

„დატოვე შიში, შეაქციე ზურგი ავტომატს, ახსენე შენი ბედის ვარსკვლავი და გაიქეცი და იქნებ აგცდეს ტყვიის ნაგლეჯი, შენს სასიკვდილოდ რომ ჩამოუსხამთ. სხვანაირად არ აგცდება, არაფერი არ აგცდება, თუ არ გაიქეცი“.

— ნელა იარე, ხუტიაშვილო, თორემ კი არ გაგაფრთხილებს, პირდაპირ გესვრის ეს ძაღლიშვილი.

— ყურში რომ ჩამჩხავი, — უპასუხა ხუტიაშვილმა. — შენს ტყავზე იფიქრე, ყურში რომ ჩამჩხავი...

სალდათს წინ ხუთი პატიმარი მიუდის, მიალაჯებს და ქარი უფრიალებს მაზარის კალთებს, როგორც თოკზე გაკიდულ სარეცხს. აკვირდება პატიმრების ნაბიჯებსა და მოძრაობებს. ესმის ქარის ზუზუნი და თან თავის საფიქრალზე ფიქრობს. ფიქრობს ოჯახზე ან სულაც ქალებზე. ჰო, ქალი ენატრებოდა, როგორც ყველა სალდათს. ქალი, რომელსაც ალერსის ყველა წესი გაკვეთილივით დაზუთხული ექნებოდა. ყელშია ამოსული ტუმბოზე გაკრული შიშველი ქალების სურათები და ონანიზმი, სიამოვნება ქალთან გატარებული ღამის გახსენებასაც მოაქვს. მეხსიერება სავსეა ასეთი წუთებით, რადგან სხვა არაფერია შეხსიერებაში. პატიმრებზე სასხლეტთან დადარაჯებული თითები ფიქრობენ. ამ ხელს მოძრაობა ძალიან სხარტად შეუძლია, მან იცის თავისი საქმე ისე უბრალოდ და ისე ბრწყინვალედ, როგორც ვარიამ ქერის მარცვლის აკენკვა. მას ემორჩილება ტყვია და აუღელვებლად აკონტროლებს სასხლეტს, სანამ პატიმრებს საწყობთან მიიყვანს. იქამდე ასე, სამასი ნაბიჯია.

უფროსის თანაშემწის ზარზე ვახტიორი ქალი დერეფნის კარს აღებს. კარი ღილაკზე თითის დაჭერით იხსნება. ღილაკი ამ მყუდრო და ჩაბნელებულ ოთახში ვახტიორის მაგიდაზეა დამონტაჟებული. პატარა, გისოსიანი ფანჯრებიდან ყველა კუთხე-კუნჭული ჩანს. მაგიდაზე სულ რამდენიმე ღილაკია, რომლითაც იხსნება კოლონიიდან გამოსასვლელი ყველა კარი რომლის გარეშეც ვერაფერს გახდება ვერც ერთი სასამართლო თუ პროკურატურა, რომელსაც ემყარება ძალაუფლება, რომლითაც ძალაუფლება იკარგება. ვახტის პატარა ფანჯრები მსხვილი გისოსებითაა დაცული. ვახტიორი ხელშეუხებელია მკაცრი თვალებისთვის. მის განკარგულებაშია ყველა კარი, კოლონიის კედლებს შორის. უფროსის თანაშემწე უკვე ვახტის დერეფანშია, სადაც რამდენიმე წუთის წინათ პატიმრები იდგნენ, ვახტიორთან უნდა შესვლა და გისოსიანი ფანჯრის წინ ნახევარ მეტრზეა მოკაკული. მის თვალებში სითბოა ჩამდგარი. დიდი ადგილია ადამიანის თვალებში, ზოგიერთში კი დიდი უნარიც. ორივენი სკამზე სხდებიან, მაგრამ ეს ძალზე ცოტაა. იქვე, შეტიხრულში, ტახტია საბნითა და ბალიშით. არც ერთი ფანჯრიდან არა ჩანს ტახტი და არც ვინმე შეიხედავს ამ ფანჯრებში. ქალმა ფარაჯაზე ღილი შეიხსნა.

ვახტიორ ქალს ფერ-უმარილი უსვია, და სახე ქონივით უბზინავს. უფროსის თანაშემწეს ფერ-უმარილი გულს ურევს, მაგრამ მის თვალებს ოდნავაც არ შორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება სითბო. წინ მთელი ღამეა, ვახტი-
რი ქალი კი არ არის მხოლოდ ქონიანი
სახე, მას კიდევ აქვს რაღაც კარგი, გუ-
ლის ამაფორიაქებელი კაცისთვის თით-
ქოს უფრო ძნელია ღამით მარტოობა,
თითქმის ისევე, როგორც ქალისთვის
ცხოვრებაში მარტოობა, რაც ეტყობა
კიდეც თანაშემწის მონდომებას, თუმცა
ამ დახშულსა და ჩაბნელებულ ოთახში
გამოკეტილი ქალიც სიამოვნებით დახუ-
ჭავდა თვალებს უფროსის თანაშემწის
გრძელ მკლავებში.. ასე რომ მათ
სჭირდებათ რაიმე გრძნობიერი, სიტყვა
იქნება თუ გამოხედვა, რომ როგორმე ზუ-
რგი შეაქციონ ღამესა და მოვალეობებს.
ამისთვის ისინი ხანგრძლივ საუბარს
ირჩევენ, როგორც ეს რომანტიკოს კა-
ხპებს სჩვევიათ და საქმეც ჩინებულად
იჩარხება. მალე თბება და ოფლით სვე-
ლდება ტახტზე ზეწარი. ჭრიალებს ტა-
ხტი და ზღაპარივით ისმის გარედან ქა-
რის ხმა.

მანქანა საწყობის ეზოში სიგანეზეა
გახიდული, საბარგულით ბოქსებისკენ
ბოძზე ნათურა ქანაობს და ეზოში ჩრდი-
ლებსაც აქანებს. ყოველ დაქროლებაზე
საწყობის თავზე ნახევრად აგლეჯილი
თუნუქი ხმაურობს, ქარის ნებაზე სახუ-
რავს ეხეთქება. ოდნავ მოშორებით, ცალ-
ცალკე დამწყვდეული ორი ნაგაზი იყე-
ფება. პატიმრების შემოსვლისთანავე
ბადეს მოაწყდნენ და კარგა ხანს ხმა არ
ჩაუგდიათ. ბოქსიდან საწყობის გამგე
გამოვიდა, კარის ქვეშ პალოს დამაგრე-
ბას ცდილობდა, რადგან კარი ხან იხუ-
რებოდა და ხანაც კედელს ეხეთქებოდა.
მანქანის მძღოლი ფეხმომტვრეულ სკა-
მზე ჩამომჯდარიყო და სიგარეტს ეწე-
ოდა. ჩაჟანგულ საკისარს ფილაქანზე
ხრჭიალი გაუდიოდა, როცა პატიმრები
კარტოფილის ჩასაყრელ კალათას მო-
ორევდნენ. კალათის სალტეებში წვრი-
ლი კარტოფილი ჩაჭედილიყო და ჩამ-
პალიყო. ზედგენიძე გვერდით მოსდევდა,
სალტებს ბარის პირით უჩხიკინებდა და
ასუფთავებდა.

ხუტიაშვილი ჯიბეში ხელჩაწყობილი
გავიდა საწყობის უკან, ნაგვის ბუნკერს
გარშემო შემოუარა და ნაგვიდან ორი ფი-
ცარი გამოაძრო. მერე საწყობის უკანა
კედელს ჩაუარა, მაგრამ აქ ველარაფერი
ნახა, ფიცრებთან მიბრუნდა, რკინის ჯო-
ხი ურტყა და დაჩეჩქვა. იქვე, გვერდმო-
რღვეული აუზისკენ მოისროლა, თვი-
თონ საწყობში შებრუნდა, ბარი გამოი-
ტანა და ფიცრები იმით დაჩეხა.

ნაფოტები აუზის ფსკერზე აჩონჩხ-
ლა, ცეცხლი შეუნთო, აუზის პირიდან
მოშტვრეული ბეტონის ბელტი ცეცხლ-
თან ახლოს მიაგორა, ზედ ფიცარი გადო
და ჩამოჯდა. საწყობისკენ გაიხედა. ძა-
რაზე ზედგენიძე იდგა, კალათში კარტო-
ფილს ყრიდა, პირდაპირ სათვალთვალო
ანძა მოჩანდა, ავტომატიანი სალდათი
გარეთ გამოსულიყო და ცვლას იღებდა.

„სამის ნახევარია, — გაიფიქრა ხუტი-
აშვილმა. — ასპირინს მუხაშავრია
მოიპარავდა. ფერმის ნეხვი აქვს
მოპარული, წამალს კი არა, საცვალსაც
მოგპარავს“.

გამომშრალმა ნაფოტებმა ტკაცა-
ტკუცი ატეხა, კვამლიც ნელ-ნელა გას-
ქელდა და ქარის ტალღებში გაეხვია. აუ-
ზის ფსკერს მკრთალი სინათლე მოედო.
ხუტიაშვილმა ბუშლატის საყელო შეიხ-
სნა და ხელები შიგ შეიყო.

„ახლა მეც გაბუნიასთან ერთად უნდა
ვიყო, — გაიფიქრა, — სად ჯანდაბაში იქ-
ნება ნეტა. ჩემსავით, ალბათ, ღამეს მაინც
არ ათევს და სიცხე არა აქვს. არც მუხა-
შავრია მოპარავდა წამალს. ერთი პლე-
დი ვერ ვიშოვე, რომ სვიტერივით გამო-
ვჭრა“.

ლოდივით ღრუბელმა გადაუარა გაყი-
ნულ მთვარეს. ქარი უკვე ცეცხლის ბო-
ლოებს იტაცებდა. ალისფრად ჩანდა პა-
ტიმრის წვერგაუპარსავი სახე. შეშას
ტკაცატკუცი გაჰქონდა, გიზგიზებდა ცე-
ცხლი და ნაპერწკლებს ისროდა. ხუტი-
აშვილს შარვლის ტოტები გაუხურდა და
ბარძაყები აეწვა. უკან გაჩოჩდა და სა-
წყობისკენ გაიხედა. ცუცქირიძეს ვედრო
მოჰქონდა, ცალი ხელით საყელოს იფა-
რებდა სახეზე და აუზისკენ მოდიოდა.
უკან, ძარაზე, ყალაბეგაშვილიც ასული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყო. ზედგენიძე კაბინისკენ იდგა, ბორტზე ისე გადმომდგარიყო, მეთევზე რომ ჩამოეყრდნობა ხოლმე ხიდის მოაჯირს. ყალაბეგაშვილი კი ნიჩაბს იქნევდა და კალათში ახვავებდა კარტოფილს. ხუტიაშვილი ისევ შემობრუნდა და ხელისგულები ცეცხლს შეუშვირა.

„ნეტა ამ ზედგენიძეს რისთვისღა იჭერდნენ", — გაიფიქრა ხუტიაშვილმა.

— კარტოფილი მოვიტანე, — თქვა ცუცქირიძემ, აუზის ფსკერზე ჩახტა, მიიხედ-მოიხედა, რომ ვერაფერი დაინახა, ვედრო გადმოაპირქვავა, კარტოფილი ცეცხლის ახლოს დაყარა და ვედროზე ჩამოჯდა. — ნაკვერჩხალი დადგება და შევწვათ, — უთხრა ხუტიაშვილს.

— ჰო. — უპასუხა ხუტიაშვილმა.

— ცივა, არა?

— ...

— ვახტზე რა კარგი ქალი მოუყვანიათ, — თქვა ცუცქირიძემ.

— რაა? — შეხედა ხუტიაშვილმა ცუცქირიძეს, ფიცრებს გადასწვდა და ცეცხლს შეუკეთა.

— რა და, კარგი ქალი მოუყვანიათ-მეთქი, ვახტზე. კახპაა, ეტყობა.

— საიდან იცი? — ჰკითხა ხუტიაშვილმა.

— საიდან უნდა ვიცოდე, — თქვა ცუცქირიძემ, — ეტყობა-მეთქი. რა, ხუთ თუმნად არ წამოიხდის კალთას? ხუთ თუმნად რუბენას სამი ბოთლი არაყი მოაქვს.

— რა ვიცი, — ჩაილაპარაკა ხუტიაშვილმა, ბუშლატის საყელო ისევ შეიკრა და ცეცხლთან მიჩოჩდა.

— ხუთ თუმნად რუბენას სამი ბოთლი არაყი მოაქვს, — გაიმეორა ცუცქირიძემ, — წამოიხდის, აბა რა. შენ რაღა მოგივიდა, გული ხომ არ შეგტკივა, — ახორხოცდა ცუცქირიძე. — თუ გაბუნიაზე ფიქრობ...

— შენ ხომ მყავხარ...

— აბა, რა მუნჯივით ზიხარ.

— მუნჯივით კი არა, თავი მტკივა, მგონი, სიცხე მაქვს.

— გეთქვა, სიცხე თუ გქონდა, აქ რაღას მოდიოდი.

— აქ მირჩევნია. წამალი დავკარგე, ის ნაბოზარი მოიპარავდა.

— რომელი, მუხაშავრია?

— ჰო, — თქვა ხუტიაშვილმა.

— აბა, შუბლი მოწიე.

— არ მინდა, ჭუჭყიანი ხელები გაქვს.

— შენ რა, ჭუჭყიანი არა ხარ?

ცუცქირიძემ შუბლზე ტუჩები მიადო,

— სიცხე გაქვს, — თქვა და თავის ადგილას დაჯდა. — დარჩენილიყავი და დაგეძინა.

— აქ მირჩევნია-მეთქი.

— მოდი, მოგცემ ამას და მოიხურე, — უთხრა ცუცქირიძემ და ღილების გახსნა დაიწყო.

— არ გაიხადო, ცეცხლთან არა მცივა.

— ეე, კარგი ვინმე ხარ, — ჩაილაპარაკა ცუცქირიძემ, წამოდგა, ბარი აიღო და ფიცარს ჩასცხო. — ხო ვიცი, ახლა გაბუნიაზე ფიქრობ. გაბუნიას გაუმართლა. უშენოდ არ უნდა წასულიყო, მაგრამ ორივე მაინც ვერ გაიქცეოდით.

— შენ ერთი წელი დაგრჩა, ხო? — ჰკითხა ხუტიაშვილმა.

— ჰო, ერთი, — უპასუხა ცუცქირიძემ.

— მე კიდევ ოთხი.

— მე ოთხი წელი უკვე ვიჯექი, — თქვა ცუცქირიძემ და შეშა ცეცხლში შეაგდო.

— ახლა ერთ რამეს ვთხოვდი ღმერთს...

— რას? — ჰკითხა ცუცქირიძემ.

— რა ვიცი, რას.

— ეეჰ, ცოტა ნაკვერჩხალი გამოვიღოთ კარტოფილისთვის და საწყობში გადავალ.

ერთადერთი, რასაც პატიმარი არ კარგავს, ეს არის დრო. პატიმრისთვის დრო არ შეიძლება დაიკარგოს და, თუ ამას მაინც დაკარგვას დავარქმევთ, პირიქით, ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროს თვეები და წლები, მაგრამ მაინც გრძელია შემოდგომის მოკლე დღეებიც და ქარგამტარია ბუშლატი საჭდეთი.

„პლედი უნდა ვიშოვო, — გაიფიქრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუტიაშვილმა, — პლედი უნდა ვიშოვო, რომ სიცივისაგან სული არ გამძვრეს. აქ მთავარია, რომ სული არ გაგძვრეს და უნდა იფიქრო, ყოველ წუთს უნდა იფიქრო, როგორ გაიქცე. უკვე თითქმის ყველაფერი ვიცი. ვიცი, საიდანაც შეიძლება გაძრომა. ყველა წუთი დათვლილი მაქვს. ვიცი, სად რა შემხვდება, მაგრამ დაწყება მაინც ძნელია, რადგან ერთი პატარა შეცდომა სკმარისია იმისთვის, რომ ტყვია მოგახალონ. ძნელია, ტყვიისა არ გეშინოდეს. გაბუნიასაც ეშინოდა. ვიცი, მუხლები უკანკალებდა, სანამ გაძვრებოდა, მაგრამ მაინც შეგუებული იყო იმას, რომ შეიძლება ტყვია მიეხალათ. სანამ ამას არ შეეგუები, აქედან ფეხს ვერ მოიცვლი; სანამ ამ ცხოვრებას არ მიაფურთხებ, სანამ არ შეეგუები იმას, რომ შეიძლება ზურგი ტყვიით დაგიცხრილონ და ბარკასის პირას გაათავო სიცოცხლე".

„არა, ძალიან ადვილია, — ჩააწველა ხუტიაშვილმა. — ძალიან ადვილია, მაგრამ შეიძლება ძალიან ადვილადაც მოგკლან".

ისევ აყეფდნენ გალიაში ძაღლები და ისევ ისმოდა საწყობის სახურავიდან თუნუქის რახრახი. ქარი აუზის ფსკერზეც წვდებოდა და ცეცხლის ენებს იტაცებდა. მოშორებით კი, სათვალთვალო ანძაზე სალდათი იდგა და ისიც ფიქრობდა. ისევ აყეფდნენ ძაღლები...

ხუტიაშვილმა საწყობისკენ გაიხედა, ძარაზე ახლა ზედგენიძე იქნევდა ნიჩაბს.

ცუცქირიძე აუზის პირთან შედგა, დაიხარა დ ხუტიაშვილს ჩასძახა:

— არაყია!

— რა არაყი? — ჰკითხა ხუტიაშვილმა.

— რა და, არაყი. მახქანაში...

„თხას ვერ მიაბარებო თუ როგორაა? რაღაცას ვერ მიაბარებო, რაღაც ესე ამბობენ. კარცერში ჩავსვამ ყველას, — ფიქრობს უფროსის თანაშემწე და ბარკასის გასწვრივ მიალაჯებს. — როგორც ჩანს, ასეა, ყველამ თავისი მოვალეობა სამარეში გააცილა და არხეინად დააბიჯებენ ამ დედამიწაზე. ჯოჯოხეთი, სიკვდილის მერე გინდა ჯოჯოხეთი ყოფილა და გინდა ეშმაკის კერძი. აი, ეს ზედამხედველი, ბერიძე, ცოცხალია და რას აკეთებს, რომ მოკვდება, ჯოჯოხეთით შეაშინებ? იმის მაგივრად, რომ არაფერი გამოეპაროს, საგოზავით ღრიჭოები მოაოხრა და მაგიდაზე ხვრინავს. მაგას თავი ბოსელში ჰგონია, სამსახურში კი არა. ჯამაგირი იმისთვის უნდა, რომ წავიდეს და ვინმე დედაკაცს თვალები უყვარყვალოს. ხომ ვიცი, მთელ ჯამაგირს დაახარჯავს. მაგას რისი შნო უნდა ჰქონდეს. ეს ახალი ვახტიორიც კაი ენაგადმოგდებული ჩანს. შეიძლება ხვალვე ყველაფერი წამოაყრანტალოს. რა უნდა ქნა, ასეთ დროს თავს ვერ შეიკავებ. არა უშავს, ყველაფერს თავისი კალაპოტი აქვს. მთავარია, კაცმა საქმე არ გააფუჭოს, ქალები რას აღარ ლაპარაკობენ. მთავარია, შენს მოვალეობაზე იფიქრო როცა შენი მოვალეობა ისაა, რომ ყველას თავისი მოვალეობა შეასრულებინო. ზუსტი მოქმედებისას არ ფიქრობენ სუსტ მხარეებზე, როგორც საათის გაცვეთილ კბილანებსა და ზამბარებზე არ ფიქრობენ, როცა ისრები დროს ზუსტად აჩვენებენ".

„ყველა ვერ შეძლებს ასე გამართულად გაიაროს ამ ქარში და მიტოვებულ ლოგინზე კი არა, თავის მოვალეობებზე იფიქროს. განა შეიძლება, რომ ყველამ დაინახოს და იგრძნოს მისი ვალდებულება. განა შეიძლება, რომ იმ სოფლიდან ჩამოსულმა ზედამხედველმა, რომელიც ფანჯრების გაგოზვას დაიწყებს საგოზავში ამოითხვრება და ასე ამოთხვრილი და კისერმოღრეცილი მაგიდაზე ხვრინს ამოუშვებს, იგრძნოს, რა არის ვალდებულება. განა შეიძლება, არ ფიქრობდეს ამაზე ადამიანი, მაგრამ რას იზამ, რომ ყველაფერი არა ჩანს ცხოვრებაში. შეიძლება ამაზე უფროსთან ლაპარაკი, ბერიძის გაპანღურებას დიდ ოფლის მოდენა არ სჭირდება, მაგრამ ისიც უნდა იცოდე, რაზე ილაპარაკო, რაზე დაფიქრდე ხომ არ შეიძლება, მეშჩანი გახდე. ამის შეგრძნებაც ხომ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალეობაა და თანაც ამაღლებული მოვალეობა“.

ბარკასს ფარნების გრძელი მწკრივი გასდევს და მთელ გაყოლებას ანათებს. თეთრად შეკირულ კედელზე სინათლის ლაქები ქანაობს. გინდა გადაიხედო ეკლესიამავთულიან ზღუდეს იქით, როგორც გაყრილი ცოლის ოჯახში უნდა კაცს გადახედვა, მაგრამ იქ არ ეცხოვრება. გაციებულია ეს კედლები. მის გასწვრივ არც ერთი ხე არაა დარგული, რომ გაქცეული სათვალთვალოდან კარგად ამოიღონ მიზანში. გვიანი ღამეა და იშვიათად თუ ჩაივლის ტრასაზე მანქანა. მოსახვევიდან მათი ფარნების სინათლე პატრულის პროჟექტორივით სერავს სივრცეს. ბარკასის ნაპირას ქარი ფეხებში ებლანდება საწყობისკენ მიმავალ მაიორს. მგზავრები თვალს აყოლებენ გრძელსა და შეკირულ კედელს. კედელი ქალაქში ბუნებაა, ბუნებაში — ქვის ოაზისი, კოლონიაში — ჰორიზონტი. გარედან ამ კედელს პატიმარიც უფრო დიდი ინტერესით უყურებს, ეს მარტივად აიხსნება: შიგნიდან მას ყველა აგური ზეპირად ახსოვს. მხოლოდ უფროსის თანაშემწე არ ფიქრობს ბარკასზე. ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია, რისთვისაც არსებობს, ისაა მთავარი. ციხე ქალაქის სარდაფია და შიგ, ხარახურასთან ერთად, სანოვაგესაც ინახავენ. ეს ყველამ უნდა იგრძნოს, ყველა უნდა გრძნობდეს ამ კედლების ძალას. მგზავრები მთელ სიგრძეზე აყოლებენ ამ კედელს თვალს. გუმანით გრძნობენ, რა სიფათების პატრონებიც ბრძანდებიან ამ კედლის მიღმა. ესენი არიან, გალოკილი თითის ამარა რომ შეუძლიათ დაგტოვონ ან გასალოკი თითიც გაგიტლიკონ, მაგრამ მაზარაფრიალებულ მაიორს მაინც ამრეზით უცქერენ. ვინმემ შეიძლება თავიც გამოყოს მანქანის ფანჯრიდან და ისე შეუკურთხოს ამ ორმეტრიან კაცს, ბადრაგს რომ ეძახიან.

„რა უნდა ობივატელს, — სულმოუთქმელად მიიჩქარის წინ უფროსის თანაშემწე. — მისთვის მთავარია, რომ რაღაც წამოროშოს და ენა მოიქავოს. ძნელი გასაგები არაა, ჰუმანურ აზრს ამჯობინებენ, რადგან ჰუმანისტი ტყვიას არავის ესვრის, ის ჰუმანური აზრებისთვის იღებს ჯამაგირს, მაგრამ ვის რაში სჭირდება უთვალავი ჰუმანისტი. ზოგისთვის ჩაბმახმოზიდული თოფი რჩება და უნდა იმსახურო. ძალიან ადვილია ჰუმანისტობა, მაგრამ ჩვენ სიმკაცრისთვის გვიხდიან ჯამაგირს. ობივატელს კი რა უნდა, თავისი კურტიზანული ფსიქიკით? ის, რომ დაგისიგნალოს და ამით ისიამოვნოს. არ შეიძლება ობივატელი შეგეცოდოს, შეიძლება ადამიანი შეგეცოდოს, რომ მისივე მსგავსი არსება ობივატელია.

იქ, სადაც მთავარი ბარკასი მთავრდება, იწყება ასევე თეთრად შეკირული, მაგრამ ოდნავ დაბალი კედელი. ამ კედლის შუაწელზე ჭიშკარია დატანებული, ძველი და დაჟანგული. აქაა საწყობი.

„ჰო, ველარ გავიგე, დღეს რა რიცხვია“, — ჩაილაპარაკა უფროსის თანაშემწემ.

— მოვიდა, — ყველას გასაგონად თქვა ყალაბეგაშვილმა და უკან დაიხია. ცუცქირიძემ ფანჯარას გახედა, სიგარეტი კუთხისკენ მოისროლა და ხელები ჯიბეში ჩაიწყო.

— შენ რა, მეტრონომი ხომ არა ხარ, — მიუბრუნდა ცუცქირიძე ზედგენიძეს.

— ჩემგან რა გინდა, — ამოილულღლუღა ზედგენიძემ.

— რა მინდა და, ნუ ქანაობ-მეთქი, მოვიდა და ყველას კარცერში წაგვაორევს.

— მაინც ჩაგვსვამს, — თქვა ყალაბეგაშვილმა და ფილაქანზე დააფურთხა. ზედგენიძე კედელს მიეყრდნო, თავი ჩამოქინდრა და დაასლოკინა.

— ახლა სლოკინი დაიწყო, — მიუბრუნდა ცუცქირიძე ისევ ზედგენიძეს.

— მასლოკინებს და რა ექნა.

— რა ქნას, ბარემ მიდი და უთხარი, კარცერში ჩამსვი-თქო.

— ეგ რა შუაშია, მაინც ჩაგვსვამს, — თქვა ისევ ყალაბეგაშვილმა.

— ჩაგვსვამს, ჩაგვსვამს, შენ რა მარგალიტებს აფრქვევ. მაშინ ადექი და შენც ასლოკინე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მე არ მასლოკინებს, — უთხრა ყალაბეგაშვილმა ცუცქირიძეს და ისევ დააფურთხა.

— მე არ მასლოკინებს, — გამოაჯავრა ცუცქირიძემ და თვითონაც დააფურთხა. — მე ათჯერ ვმჯდარვარ იმ კარცერში და კიდევ ჩავჯდები, მაგრამ ძალით ხომ არ უნდა შეეტენო, თანაც ამ ყინვაში.

— არ უნდა დაგველია, — ამოილულლულა ზედგენიძემ და დაასლოკინა.

— რაო, — გადახედა ზედგენიძეს ცუცქირიძემ, — ამ კაცმა გარეთ ვერ ივარგა და დაუჭერიათ, აქაც არაფრის მაქნისია, — თქვა და ხელები გაასავსავა. ყალაბეგაშვილი ხორხოცებდა, თან ფანჯრისკენ იცქირებოდა.

— ნეტა ამას რისთვისღა იჭერდნენ, — გაიფიქრა ხუტიაშვილმა.

— ესეთი უვარგისი რა დედამ გშობა, — ახორხოცდა ხუტიაშვილიც. — ჭადრაკის თამაში ეცოდინება მაგას კარგად ან დამბალი პურის ჭამა.

— კარგი, კარგი, გეყოფა, — სული მოითქვა ყალაბეგაშვილმა, — შემოვა ეხლა და მეტი კი არ უნდა.

ზედგენიძემ ერთი კი გამოიხედა, მაგრამ დაასლოკინა და მაშინვე თავი ჩაქინდრა.

— ბოლოს და ბოლოს, თოფი ხომ არ გვისვრია, არაყი დავლიეთ, ისიც, ნახევარი უკან წაგვართვეს.

— ეგ არ გვიშველის, — უთხრა ყალაბეგაშვილმა ცუცქირიძეს. — ის ნაბოზარი დასარეკად რომ გავარდა, მაშინ უნდა გაგვეჩერებინა.

— აუჰ, ეს ისევ ქანაობს, — ამოიოხრა ცუცქირიძემ. — რამ დაათრო ესე.

— მთვრალი კი არაა, მუხლები აქვს სუსტი, — ისევ ახორხოცდა ყალაბეგაშვილი, მაგრამ სიცილი მალევე შეაშრა სახეზე რადგან კარი გაიღო და უფროსის თანაშემწე შემოვიდა. უკან ზედამხედველი და საწყობის გამგე შემოჰყვნენ. საწყობის გამგე არც შეჩერებულა, პირდაპირ თავის ოთახში შევიდა, ზედამხედველი კუთხეში დადგა, უფროსის თანაშემწემ კი პატიმრებს შეხედა და მაზარის ღილები შეიხსნა.

„ცუცქირიძის ბრალია, — გაიფიქრა თანაშემწემ, — თვალებზე ეტყობა, ცუცქირიძის ხელია. ერთი წყვილი ხელი და ოთხი ფაშვი“.

— ვინ მოიპარა? — ჰკითხა თანაშემწემ ზედგენიძეს.

— რა? — ამის თქმა ძლივს მოასწრო ზედგენიძემ და დაასლოკინა.

— აი, ხომ ვთქვი, არ ამბობენ-მეთქი, — უთხრა ზედამხედველმა თანაშემწეს.

— რამდენი დალიეს?

— ორლიტრიანიდან ნახევარია დარჩენილი, — უპასუხა ზედამხედველმა.

— მერე, ეს რა დღეშია, — თქვა თანაშემწემ და ზედგენიძეს თავით-ფეხებამდე ისე შეხედა, თითქოს გულისრევა მოაწვა.

— მაგას, საერთოდ, მძიმე ხასიათი აქვს, — აფხუკუნდა ცუცქირიძე. — სიმთვრალეში.

თანაშემწემ ცუცქირიძესაც გადახედა, სად არის დარჩენილი არაყიო, იკითხა, მერე საწყობის გამგესთან შევიდნენ ოთახში და არაყი დაურტყეს. კაი ხანი აღარ გამოსულან. პატიმრები ტომრებზე ჩამოსხდნენ. ზედგენიძე იდგა მარტო ისევ კედელთან და ყვინთავდა.

— ეგ ახლა სანამ არ გამოტყვრება აქედან ფეხს არ მოიცვლის, — უთხრა ცუცქირიძემ ხუტიაშვილს. ხუტიაშვილმა ბუშლატის ქვეშ ხელი შეიცურა, იღლიასთან თბილად მიიკრა და მხრით კედელს მიეყრდნო.

— მოგცემ ამას თუ გინდა, მოიხურე, — უთხრა ცუცქირიძემ.

— არა, აღარ მცივა.

— არ დაგეძინოთ, თორემ გამოეთრევა და კარცერში წაგვიყვანს.

— მაინც ჩაგვსვამს, — თქვა ყალაბეგაშვილმა და ტომრებზე გადაწვა.

— შენ ღმერთი გწამს? — ჰკითხა ჩურჩულით ხუტიაშვილმა ცუცქირიძეს.

— მამაზეციერი?

— ჰო.

— მე რატომ მეკითხები? — ჰკითხა ცუცქირიძემ.

— მაინტერესებს, არსებობს თუ არა ღმერთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ახლა ღმერთიღა გვაკლია. თუ გინდა, მოგცემ ამას და მოიხურე.

— არა, არ მინდა-მეთქი...

— გაშეშდება ეს საცოდავი, — თქვა ცუცქირიძემ. — ავდგები ერთი და დავაწვენ, ზეზეულად სძინავს.

..„სადაა ახლა გაბუნია, — გაიფიქრა ხუტიაშვილმა. — ტომარაზე მაინც არ იქნება მიგდებული, ველარც კარცერში ჩასვამენ. აღარც სიცივე დაუვლის გვერდებში და არც მუხაშავრია მოპარავს ნამალს. თუ უნდა გალაზოლინსაც ჩაიწვეთებს ნესტოებში. ორი დღის უკან ჩემთან ღეჭავდა პურის ქერქს და ფეხებშუა იფურთხებოდა, დღეს კიდევ, თუ უნდა, თეთრ წინდებს ჩაიცვამს და საცვალსაც გამოიცვლის“.

ზედგენიძე ტომარაზე მიწოლილიყო და მშვიდად ეძინა. დამპალი კარტოფილის და ნესტის სუნი ტრიალებდა. ოთახიდან ლაპარაკის ხმა ისმოდა. ხუტიაშვილს მკლავი კისერქვეშ ამოედო და ფანჯრისკენ იყურებოდა.

„გუშინვე ლუდს დალევდა გაბუნია, მაშინვე, პირველივე მაღაზიაში შეივლიდა და ლუდს დალევდა. გუშინწინ კი ჩემთან ერთად იჯდა და ფეხებშუა იფურთხებოდა, მალე ლუდს დავურტყამთო. აზრადაც არ მომივიდოდა, რომ მარტო გაიქცეოდა. არა, არ ვბრაზდები იმიტომ, რომ ესე სჯობდა, მაგრამ ხომ უნდა ეთქვა მაინც, რომ მარტო მიდიოდა, ან რომ მიდიოდა ეს მაინც ხომ უნდა ეთქვა... ალბათ, მუხლები უკანკალებდა. მეც ამიკანკალდებოდა და კრინტს არ დავძრავდი არავისთან, იმიტომ, რომ ისე გაგყიდიან, როგორც თათრის ქალი ყიდის ოხრახუშს, — ორ შაურად, მაგრამ ჩემთვის ხომ უნდა ეთქვა. არა, არ ვბრაზდები, მეც ეგრე მირჩევნია. ყველაფერი უკვე გათვლილია, მთავარია, მიაფურთხო.

უნდა მიაფურთხო იმას, რომ შეიძლება ზურგი ტყვიებით დაგიცხრილონ. რა მნიშვნელობა აქვს, ტყვიით დაგიცხრილავენ ზურგს თუ ჯოჯოხეთის სურნელს ჩაგტენიან. ამას ყველაფერი სჯობია. იმასაც ყველაფერი სჯობია, ტყვიით ზურგს თუ დაგიცხრილავენ და ბარკასზე რამდენიმე ნახვრეტი დარჩება შენი ამქვეყნად ყოფნის ნიშნად. როგორ არ სჯობია, როგორ არ სჯობია, მაგრამ...“

ავტომატი უკვე კაკანებდა სათვალთვალოდან. მხრები უცახცახებდა სალდათს და მოფრინავდნენ გავარვარებული ტყვიები. ზედგენიძეს მშვიდად ეძინა. ყალაბეგაშვილი ხვრინავდა.

ორმეტრიანი თანაშემწე უკვე გასასვლელთან იდგა. სიცივეს შეეღწია ბუშლატის შიგნით. ზედგენიძე თვალებს იფშვნეტდა, ცუცქირიძე შარვლის ტოტებს იფერთხავდა. გარეთ, ღრუბლების ნაფლეთებს შორის, აქა-იქ ვარსკვლავები ჩანდა. გალიაში ძაღლები იყეფებოდნენ. ბარკასის მოპირდაპირე მხარეს ჩამწკრივებული ხეები ისე გაშეშებულიყვნენ, გეგონებოდა, მათ შერხევას ხებუნებრივი ძალაც ვერ შეძლებდა. ქარი ისე ჩამდგარიყო, თითქოს არასდროს დაექროლა ამ მიდამოებში. სალდათი კი ძველებურად მიალაჯებდა. ძველებურად ფიქრობდა და ძველებურად მზად იყო, უფრო სწორად, ყოველთვის მზად იყო, როგორც ავტომატის პირში ტყვია.

„სადა ხარ, ზურგის ქარო, — ფიქრობს ხუტიაშვილი, — სად ჩაქრი და მინელდი. დაუბერე, ზურგის ქარო, რომ წამოგყვე და მივაფურთხო ზურგში დამიზნებულ ტყვიას. ვახტისკენ სამასამდე ნაბიჯია, აქეთ, ბევრად მეტი, —მაგრამ მე ყველაფერს მივაფურთხებ. დაუბერე, ზურგის ქარო, მე ვაიძულებ ამ ჩემს ამყაყებულ ფილტვებს, ბევრი ჰაერი მომაწოდოს, მე გამოგყვები, რომ უკან აღარ შევბრუნდე ამ გაყინული კედლების შიგნით, თუ ხარ დღეს ცაზე, ჩემი ბედის ვარსკვლავო... დაუბერე, ზურგის ქარო...

— რა რიცხვია დღეს? — ჰკითხა უფროსის თანაშემწემ ზედამხედველს.

— ოცდახუთი, — უპასუხა ზედამხედველმა და ქვას ფეხი წამოჰკრა.

— ჰო, ჰო, ოცდახუთია, — ჩაილაპარაკა უფროსის თანაშემწემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უოლტ უიტმენი

ამაყი მუსიკა ქარიშხლისა

როცა უიტმენის ამ ნათქვამს გადავიკითხავთ: „ჩემი დაუმთავრებელი სტრიქონების მთავარი დანიშნულებაა მკითხველში აღძრას შემოქმედებითი განცდა, საიდანაც მუსიკალური გაგრძელება გადმოიღვრება“ — ერთბაშად შეიძლება შევცბუნდეთ, რადგან გარეგნული შთაბეჭდილებით ისეა უიტმენის ლექსი დაშორებული მუსიკას, თითქოს სრულიად უარყოფდეს მის საჭიროებას პოეზიაში. მაგრამ გარეგნული შთაბეჭდილება — მისი არსის გაუთვალისწინებლად — ყოველთვის მცდარია და უიტმენი როგორც უნდა ამსხვრევდეს ჰარმონიულ რიტმებს (ჰარმონია იმ აზრით, მის გამოჩენამდე რომ მიაჩნდათ), ლექსის გულისგული მუსიკალურობით აქვს აღვსილი. ეს მუსიკალურობაა, მისი ლექსის მკაცრად ორგანიზებულ რიტმულ ვარიაციებს რომ წარმართავს. მუსიკის თანდაყოლილ განცდას კიდევ უფრო ამკვეთრებდა ის დიდი ერუდიცია, რაც ამ სფეროში შეეძინა. როგორც ფრენსის ოტო მატისენი (ცამოჩენილი ამერიკელი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე, ავტორი გახმაურებული წიგნისა „ამერიკული რენესანსი“) თვლის, ოპერებში გატარებულმა საღამოებმა უთუოდ ყველაზე სრულყოფილი ესთეტიკური გამოცდილება მიანიჭა მის ცხოვრებას.

„ქარიშხლის ამაყ მუსიკაში“ შთამბეჭდავად არის წარმოსახული მუსიკის ღრმა განცდა, მისგან მოგვრილი გამოუთქმელი ნეტარება. მუსიკალურმა ხმებმა მიიყვანა იგი გამოხატვის საკუთარ სტილამდე, შეაგრძნობინა ის, რასაც სხვა ვერაფერი შეაგრძნობინებდა. უიტმენს სჯეროდა, ლექსი კი არ იწერება, არამედ გამოითქმისო და თავის ქმნილებებს მიიჩნევდა არა ნაწერად, არამედ — „სიმღერად“, „გალობად“, „შესხმად“, „რაკრაკად“, „ყღურტულად“... ირწმუნებოდა, ოპერის გარეშე ვერასოდეს შევქმნიდი „ბალახის ფოთლებსო“. უიტმენს თავისი შეხედულებანი ჰქონდა ამერიკული ოპერის განვითარებაზე, მაგრამ ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მის პოეტურ თავისებურებათა სიახლოვე ჰანგებთან და მელოდიებთან, მის პოეზიაში დატრიალებული მუსიკისა და რიტმის ქარიშხალი, ყოველგვარ ხმას რომ აერთიანებს და დიად სიმფონიად აყღერებს.

1.

ამაყო მუსიკავ ქარიშხლისა,
მძლავრო ქარო, ლაღად რომ მოჰქრი, გადაუვლი სტვენით პრერიებს,
ტყის კენწეროთა ახმაურებავ — მთის ქარაშოტო,
გაცოცხლებულო ბუნდოვანებავ — და თქვენ, ფარულო ორკესტრებო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერენადებო აჩრდილებისა, საკრავნი რომ მოუმარჯვიათ,
რიტმს ბუნებისას ყველა ერის ენაზე რომ აამეტყველებთ;
თქვენ, აკორდებო, თითქოს მრავალ კომპოზიტორთა დანატოვებო —
თქვენ, ქოროებო,
თქვენ, უფორმო და თავისუფალო, რელიგიური ცეკვა-თამაშო —
აღმოსავლეთით რომ წამოსულხართ,
თქვენ, მდინარეთა ნახევარხმებო, ჩანჩქერების ტრიალ-ბრიალო,
თქვენ, შორეულ თოფთა ქუხილო, კავალერიის თქარათქური თან რომ
მოგყვებათ,
ექოებო ბანაკებისა, საყვირთა ხმავ მრავალფერადო,
შორ გზაზე დამდგარ ჯარისკაცთა გნიასო და აღგზნებულებავ, რომ ავსებ
გვიან შუაღამეს, დაძაბვისაგან ღონეს რომ
მაცლი
და რომ იჭრები ჩემს მარტოსულ, მთვლემარ სენაკში, რისთვის მეხვევი
და რისთვის მიპყრობ?

2.

წამოიწიე, სულო ჩემო, დე დაისვენოს სხვა ყველაფერმა,
უსმინე, ნურას გამოტოვებ, შენ მოგელტვიან,
გამოსცდებიან შუაღამეს, მეჭრებიან მთვლემარ სენაკში,
შენთვის მღერიან და როკავენ, ო, სულო ჩემო.

ეს საზეიმო სიმღერაა,
ნეფე-პატარძლის დუეტია საქორწინო რიტუალისას,
სიყვარულის ბაგეებით და შეყვარებულთა ტრფიალებით სავსე გულებით,
აწითლებულ ლოყებით და ფერ-უმარილით, პროცესია მოირწევა
ხნიერთა და ყმაწვილებისა,
ფლეიტებს გააქვთ წკრიალი და მოხეტიალე მუსიკოსთა ჩანგები ჟღერენ,
ახლა ხმაურით დაფდაფები გვიახლოვდება,
გამარჯვება! და თვალს თუ ჰკიდებ დახეულ ალმებს, თოფისწამლის კვამლში
მათ ფრიალს?
დამარცხებულთა გაქცევას ხედავ?
გესმის ძახილი გამარჯვებულის?
(ო, სულო, გესმის ქალთა ქვითინი, გესმის დაჭრილთა უგონო კვნესა?,
ტკაცა-ტკუცი ცეცხლის ალების, ხედავ ნანგრევებს,
ნაცრადქცეულ ქალაქებს ხედავ,
ხედავ გლოვას და მწუხარებას?)

მავსებს ჰაერი ანტიკურ ხანის, შუასაუკუნეთა ჰაერი მავსებს,
ვხედავ და მესმის მეჩანგეთა ხმა, უელსურ ზეიმს რომ ესწრებიან,
მესმის სიმღერა მინეზინგერთა, სიყვარულზე ვით ღაღადებენ,
მესმის ხმები მენესტრელების, გლიმენების ტრუბადურების.

ახმიანდება დიდი ორღანი,
ხოლო ქვემოთ კი (როგორც საყრდენნი დაფარულნი დედამიწისა,
რაც წარმოშობს და სიცოცხლით ავსებს,
ვცსობთ ყველა აჩრდილს მშვენიერების, მოხდენილობას, ძალას,
ყოველ ფერს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალახთა ფოთლებს და მოჭიკჭიკე ჩიტებს და ბავშვებს,
მათ ხტომა-თამაშს, ცაში კი — ღრუბლებს)
მძლავრია ფუძე და ამ ფუძის პულსაცია ხელს სულ არ გვიშლის,
წმენდს, შეეწევა, მთანთქავს დანარჩენთ იმ დანარჩენთა დამბადებელი
და მასთან ერთად თავს იყრიან ინსტრუმენტები
და უკრავენ მესაკრავენი, მთელ მსოფლიოს მუსიკოსები,
საზეიმო ჰანგებს უკრავენ, აღფრთოვანებით ხვდება ხალხი,
მღერის ყველა გულის სიმღერას, მწუხარედ მღერის,
საუკუნეთა უთვალავი ტკბილხმიანი ვოკალისტები,
ღა მათშია განზავებული სივრცე მთელი დედამიწისა,
ქარნი, ტყეები, ოკეანის მძლავრი ტალღები,
ორკესტრი ახლად შედგენილი, დრო და ამინდის შემკავშირები,
უამრავჯერ განახლებული,
როგორც უხმობდნენ გარდასული პოეტები იმას სამოთხედ,
აქამდე რომ დაკარგულიყო, დიდი ხნით რომ განშორებოდა,
დამთავრდა ახლა ხეტიალი,
ასე დასრულდა მოგზაურობა, მოგზაურმა შინ მოაშურა,
ხელოვნება და ადამიანი ბუნებას რომ კვლავაც შეერწყო.
აბა, Tutti! მიწავ და ზეცავ?
(ყოვლისშემძლე დირიჟორმა ხომ გვანიშნა ერთხელ უკვე თავისი ჯოხით),
მთელი მსოფლიოს მამაკაცთა ვაჟკაცურ სტროფებს
აიტაცებს ყოველი ქალი.

ჰოი, ენებო ვიოლინოსავ,
(ვფიქრობ, ამ გულს თქვენ ეუბნებით, რაც თვით ვერ უთქვამს,
ამ ჩაფიქრებულ, მწუხარე გულს, რაც თვით ვერ უთქვამს).

3.

აჰ, თვით სიყრმიდან,
შენ უწყი, სულო, ვით გარდაქმნილა ყოველი ხმა ჩემთვის მუსიკად,
დედაჩემის ხმა იავნანას სიმღერისა თუ გალობისას
(ხმები, ო, ხმები, სათუთი და ძვირფასი ხმები, მეხსიერებას
შემორჩენილი,
სასწაული სასწაულთ შორის, უძვირფასესი დედის, დის ხმები);
ხმა წვიმისა, ხმა თავთავისა, ხმა ნიავისა გრძელფხიანი პურის ყანაში,
სანაპიროზე ტალღის რიტმული ცემა-ტყლაშუნი,
ჭიკჭიკი ჩიტის, შევარდენის მძაფრი ყივილი,
ხმები გარეულ ფრინველების, ღამეულ ცაზე, ჩრდილოეთით თუ
სამხრეთით რომ მიფრინავენ,
ფსალმუნთ გალობა სადმე სოფლის ეკლესიაში, მობანაკეთა ჟრიამული
ხეთა ჩრდილებში,
ვიოლინოს ხმა, მოდენილი ტავერნიდან, სიმხიარულე, სიმღერები
მეზღვაურული,
ზმუილი ძროხის, ცხვრის ბღავილი, მამლის ყივილი განთიადისას,
ცესმის ყველა, ყველა სიმღერა, თანამედროვე სიმღერები იღვრება ირგვლივ,
გერმანული არიები მეგობრობაზე, ან ღვინოზე და სიყვარულზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდიული ბალადები, მხიარული ცეკვა-თამაში, კრიმანჭული
ინგლისელების,
ფრანგთ შანსონები, მოტივები შოტლანდიური,
რაც ყველაზე მეტად იღვრება, მუსიკაა იტალიური — საოცარი, შეუდარები,
აგერ, სცენაზე, გაფითრებული, მაგრამ მაინც ზარდამცემი
ვნებით აღვსილი,
აქეთ-იქით აწყდება ნორმა, იქნევს ხანჯალს, მტკიცედ ჩაბღუჯულს.
ვხედავ საბრალო, შეშლილ ლუჩიას თვალთა ბზინვას არაბუნებრივს,
მხრებზე აყრია თმა გაშლილი და გაწეწილი.
ვხედავ, ერნანი დასეირნობს, საქორწინო ბაღში სეირნობს,
გარს იღვრება ვარდის სურნელი და ერნანი, გაბრწყინებული,
საპატარძლოს დაასეირნებს
და სატანური ესმის ძახილი, სატანის ხმა სიკვდილს აუწყებს.
ვადაჯვარედინებულ მახვილებისკენ და ზეცად მიპყრობილი
ჭაღარისაკენ,
წმინდა ელექტრულ საფუძველისა და მსოფლიო ბარიტონისკენ,
ტრომბონთ დუეტი, მარადიულ თავისუფლებისაკენ!
ესპანური კაკლის ხეთა სქელი ჩრდილიდან,
ძველი და მძიმე კედლებიდან მონასტერისა ეს მწუხარე სიმღერა ისმის,
გამქრალ სიყვარულს რომ უგალობს და უნუგეშოდ ჩაფერფლილა
სიცოცხლისა და სიყმაწვილის ეს ჩირაღდანი,
ისმის სიმღერა მომაკვდავ გედის და ფერნანდოს გულის მსხვრევის
სიმღერაც ისმის,
მწუხარებას თავდაღწეული, გადარჩენილი ემინა მღერის,
რა შეაკავებს მის სიხარულს, ვარსკვლავებით გაბრწყინებულს და
დილის შუქით აბდღვრიალებულს
(მოაბიჯებს ქალბატონი ნაყოფიერი,
კაშკაშა მნათობის, ვენერას კონტრალტოს, გაფურჩქვნილ დედის,
უდიადესი ღმერთების დის, ალბონის სიმღერა მესმის)

4.

ესმის ოდები, ოპერები, სიმფონიები,
მესმის მუსიკა „ვილჰელმ ტელის“, ხმა ხალხისა — აღმდგარის და
განრისხებულის,
მესმის მუსიკა მეიერბერის „ჰუგენოტების“, „წინასწარმეტყველის“
ან „რობერტისა“,
გუნოს „ფაუსტის“ ან მოცარტის „დონ ჟუანისა“,
ესმის მუსიკა საცეკვაო — ყველა ერისა,
ვალსი ტრიალებს, უტკბილესი ვალსი ტრიალებს, მხვევს ღვთაებრივ
ნეტარებაში,
ბეტარების მჟღერი ბოლერო და ტკაცუნა კასტანეტები.
ცეკვებს შევყურებ რელიგიურს, ძველსა და ახალს,
მესმის ჟღერა ებრაულ ქნარის,
ვხედავ ჯვაროსნებს, მოაბიჯებენ მაღლა აღმართულ ჯვარითა და
წინწილების ჟღერა-წკრიალით,
ესმის გალობა მონოტონური, დერვიშთ გალობა, დროდადრო შეშლილ
ყვირილში რომ გადაიზრდება,
პირს მექისკენ როცა იქცევენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევყურებ ცეკვებს რელიგიურს, თავდავიწყებულს, სპარსელთა და არაბებისა,
და ელევსისში, დემეტრას სამშობლოში, ვხედავ ბერძნები, ახლანდელნი,
როგორ ცეკვავენ,
მესმის, ტაშს თუ როგორ უკრავენ, მესმის, სხეულს როგორ არხევენ,
მესმის მათ ფეხთა რიტმული გასმაც
და ძველ, ველურ, ქორიბანტურ ცეკვასაც ვხედავ, ერთურთს ჭრილობას
ვით აყენებენ,
ვხედავ რომაელ ყმაწვილკაცებს, რომ შეისვრიან იარაღს და კვლავ
ჩაბღუჯავენ,
ეცემიან მუხლებზე და კვლავ ადგებიან.
მუსულმანური მეჩეთიდან ხმა მომესმის მუეძინისა,
ვხედავ მლოცველებს, არ იძვრიან, კრინტსაც არ ძრავენ,
და გარინდულან უცნაურად, თაყვანისცემით, თავაწეულნი, თვალანთებულნი,
ექსტაზური სახეებით გარინდებულან.
მრავალსიმიან ეგვიპტური ჩანგის ხმა მესმის,
ნილოსელი მენავის მღერა,
მესმის ხმები ჩინურ ჰიმნების, მეფის კარზე რომ იმღერება,
ხელმწიფის ყურთა დასატკბობად (ხის და ქვის ცემა),
მესმის ინდური ფლეიტის ხმა, ვინას ჟღარუნი ნერვებმომშლელი,
ბაიადერთა ხმები ჩამესმის.

5.

დამეხსენით, აზიავ და აფრიკავ, ახლა (უკვე ევროპა მეწევა და იჭრება
ჩემში).
ვუსმენ ორღანებს, უზარმაზარს, ორკესტრებს ვუსმენ, ვუსმენ ჟღერას
უამრავ ხმისა,
ლუთერის მძლავრ ჰიმნებს Eine feste burg ist unser Gott,
როსინის Stabat Mater dolorosa
ანდა ტაძრებში მონანავე, და დაწისლულს თვალისმომჭრელ ფერად
სარკმლებში,
მგზნებარე Agnus Dei-ს თუ Gloria in Excelsis
კომპოზიტორნო! მაესტროებო უდიდესნო!
და თქვენც, ხმატკბილო მგალობელნო ძველი ქვეყნების, სოპრანოებო,
ტენორებო, და თქვენც, ბანებო!
ახალი ბარდი დასავლეთში თქვენთვისა მღერის
და მორჩილად გითვლით სიყვარულს.
(აი, ნიმუში შენთვის, ო, სულო,
ყველა გრძნობა, წარმოსახვა, ყველა საგანი მხოლოდღა შენს სამაგალითოდ,
ხოლო ახლა მეჩვენება, რომ ხმა მართავს ყველა დანარჩენს).

მესმის, ბავშვთა გალობა მესმის, წმინდა პაულეს ტაძრიდან მესმის,
ან უზარმაზარ დარბაზიდან სიმფონიები, ორატორიები ბეთჰოვენისა,
ჰენდელისა ან ჰაიდნისა.
შ ე ქ მ ნ ა სულს მიწმენდს, ღვთაებრივი ნაკადით მიწმენდს.

მომეც უნარი ხმების შეპყრობის (შლეგივით ვიბრძვი, ვყვირი შლეგივით),
ამავსე მთელი სამყაროს ხმებით,
გულისცემა ჩამიდგი მათი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულისცემა ბუნებისა, ქარიშხლისა, წყლების, ქარების, ოპერების
და გალობათა,
მარშების და ცეკვა-თამაშის,
გახსენი და გადმოღვარე, ყოველივეს თვით შევისრუტავ!

6.

ხოლო მერე მშვიდად ვიღვიძებ,
ცოტას ვახანებ, ჩავეკითხები სიზმრის მუსიკას,
რემინისცენციას ჩავეკითხები, მძვინვარე გრიგალს ჩავეკითხები,
ყველა სიმღერას სოპრანოთა, ტენორებისა
და იმ ცეკვებს აღმოსავლურს, თავდავიწყებულს, რელიგიურ გზნებით
აღსავსეს,
და ტკბილხმოვან საკრავებსაც, ორღანოთა დიაპაზონებს,
სიყვარულის უბრალო მოთქმას, მწუხარების და სიკვდილისა,
ჩემს სულს მივმართავ, მდუმარეს და ცნობისმოყვარეს, ლოგინიდან
რომ წამოვდგები,
წამო, ვიპოვნე მე ის ძაფი, ასე დიდხანს რომ დავეძებდი,
წინ წავიდეთ და გამოვცოცხლდეთ შუაგულ დღეში,
ხალისიანად შევხვდეთ ცხოვრებას, სამყაროში გადავაბიჯოთ,
რეალურსა და ამიერიდან ჩვენს ზეციური სიზმრით აღვსილშიც.

იმასაც ვამბობ,
იქნებ რაც შენ მოგესმა, სულო, არ ყოფილა ხმა ქარებისა,
არც მძვინვარე ქარიშხალი დაგსიზმრებია, არც ზღვის ქორის ფრთების
ტყლაშუნი, არც ყვირილი, მკვეთრი ყვირილი,
არც ვოკალიზმი მზიური იტალიისა,
არც გერმანული ორღანების დიდებულება და არც ხმები აურაცხელი,
არც პლასტები ჰარმონიული,
არც სტროფები ცოლის და ქმრისა და არც ხმები ჯარისკაცების,
არც ფლეიტები, არც ჩანგები, არც მობანაკეთ საყვირის ხმები,
იქნებ ახალი რიტმებია, მხოლოდ შენთვის შესაფერისი,
ის ლექსებია, ხიდს რომ სდებენ სიცოცხლესა და სიკვდილს შორის,
ღამეში რომ დატრიალებენ, დაუჭერელნი, დაუწერელნი,
ნებას რომ გვრთავენ, წინ გავეშუროთ თამამად და თამამად ვწეროთ.

ინგლისურიდან თარგმნა **როსტომ ჩხეიძემ.**

ვლადიმირ ნაბოკოვი

ლოლიტა

ეძღვნება ჩემს ცოლს

წინასიტყვაობა

„ლოლიტა, თეთრკანიანი ქვრივის აღსარება“: ასეთი იყო ორმაგი სათაური უცნაური ტექსტისა, რომელიც ხელთ ჩაუვარდა წიწამდებარე შენიშვნის ავტორს. თვით „ჰუმბერტ ჰუმბერტი“ გულის აორტის დაცობის შედეგად გარდაიცვალა პატიმრობაში 1952 წლის 16 ნოემბერს, მისი სასამართლო საქმის გარჩევის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე. „ჰუმბერტის“ დამცველი იყო ჩემი ნათესავი და კარგი მეგობარი კლერენს კლარკი (ამჟამად ის კოლუმბიის საოლქო სასამართლოს ადვოკატია), რომელმაც მთხოვა, ამ მანუსკრიპტის რედაქტირება გამეწია. მისი კლიენტის ანდერძის ერთი პუნქტის ძალით ჩემი ბიძაშვილი უფლებამოსილი იყო, მიეღო „ლოლიტას“ გამოსაქვეყნებლად საჭირო ყოველგვარი ზომები. ბატონ კლარკის გადაწყვეტილებაზე, ალბათ, იმ ფაქტმა იმოქმედა, რომ მის მიერ შერჩეული რედაქტორი ცოტა ხნის წინ დაჯილდოებულ იქნა პოლინგის სახელობის პრემიით მოკრძალებული ნაშრომისთვის („შეიძლება თუ არა, ეანავუგრძნოთ გრძნობებს?“), სადაც განხილულია ზოგიერთი პათოლოგიური მდგომარეობა და ზნეობრივი სიმახინჯე.

ჩემი ამოცანა უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე თავიდან გვეგონა. ის დაიყვანებოდა აშკარა შეცდომების შესწორებასა და ზოგიერთი ჯიუტი დეტალის აღმოფხვრაზე, რომლებიც, „ჰ.ჰ.“-ს მცდელობის მიუხედავად, მაინც გვხვდებოდა ტექსტში (ეს იყო სამახსოვრო მითითებები გარკვეულ ადამიანებსა და ადგილებზე; წესიერების მოთხოვნები კრძალავდა მათ დასახელებას, ხოლო კაცთმოყვარეობა მათ დანდობას მოითხოვდა). ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს შესანიშნავი ჩანაწერები ხელუხლებლად გამოვაქვეყნეთ. ავტორის უჩვეულო ფსევდონიმი მისი შეთხზულია; თავისთავად იგულისხმება, რომ ეს ნიღაბი — რომელშიც თითქოს ორი მომნუსხავი, ბრიალა თვალი გამოსჭვივის — მისი მატარებელი პირის ნება-სურვილის მიხედვით, თავის ადგილზე უნდა დაგვეტოვებინა. „ჰეიზი“ მხოლოდ ერითმება ნაწარმოების პერსონაჟის გვარს, ხოლო გოგონას სახელი იმდენად მჭიდროდ არის გადახლართული წიგნის ფარულ ქსოვილთან, რომ მისი შეცვლა წარმოუდგენელია. თუმცა ამის ფაქტობრივი აუცილებლობა არც არსებობს (რაშიც მკითხველი თავად დარწმუნდება). ცნობისმოყვარეებს შეუძლიათ, მოიპოვონ ცნობები „ჰ. ჰ.„-ს მიერ ჩადენილი მკვლელობის შესახებ 1952 წლის სექტემბერ-ოქტომბრის გაზეთებში; მისი მიზეზები და მიზანი საიდუმლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებით მოსილი დარჩებოდა, წინამდებარე მემუარები ჩემი სამაგიდო ნათურის წრიულ შუქში რომ არ მოხვედრილიყო.

ძველი ყაიდის მკითხველებს, ჩვეულებრივ, აინტერესებთ „ცოცხალი ნიმუშების“ ბედი, რომელიც „მართალი მოთხრობის“ ჰორიზონტს მიღმა იგულისხმება, საგანგებოდ მათთვის ვიმოწმებ ქ. „რამზდელის“ მკვიდრის, ბ-ნ „ვინდმიულერისგან“ მიღებულ მითითებებს. მან მოისურვა, უცნობი დარჩენილიყო, რათა ამ „ბინძური და სავალალო ამბის გრძელ ჩრდილს“ არ მიეღწია იმ ქალაქამდე, სადაც მას პატივი აქვს, იცხოვროს. მისი ქალიშვილი „ლუიზა“ ახლა მეორე კურსის სტუდენტია. „მონა დალი“ პარიზის უნივერსიტეტში სწავლობს. „რიტა“ ახლახან სასტუმროს პატრონზე გათხოვდა ფლორიდაში. „რიჩარდ სკილერის“ ცოლს მკვდარი გოგონა გაუჩნდა და მშობიარობას გადაჰყვა — 1952 წლის 25 დეკემბერს, ჩრდილო-დასავლეთით მდებარე, „რუხ ვარსკვლავად“ წოდებულ ერთ შორეულ დაბაში. ქ-მა ვივიან დამორ-ბლოკმა (დამორი — სცენაზე, ბლოკი — ერთ-ერთი პირველი ქმრის გვარია) დაწერა თავისი ძველი მეგობრის ბიოგრაფია (კალამბურული სათაურით „ჩემი კერპი“), რომელიც მალე გამოქვეყნდება; კრიტიკოსების ნაწილი უკვე გაეცნო მანუსკრიპტს და ირწმუნება, ეს ავტორის საუკეთესო თხზულებაა. „ჰ.ჰ.“-ს მემუარებში მოხსენიებულ სასაფლაოთა დარაჯები არაფერს იუწყებიან საფლავებიდან აღმდგარი მიცვალებულების შესახებ.

ზოგიერთისთვის „ლოლიტა“, უბრალოდ, „რომანია“, ხოლო მასში აღწერილ სიტუაციებსა და ემოციებს, ასეთ მკითხველთა აზრით, აუფერულებს და გამაღიზიანებელ ბუნდოვანებას ანიჭებს ნართაული უხამსობები. ამასთან, ნაწარმოების მთელ ტექსტში ვერ იპოვით ვერც ერთ უგვან გამოთქმას; მეტიც, ჯანღონით აღსავსე ფილისტერი, თანამედროვე პირობითობების ზეგავლენით ყოველგვარი ზიზღის გარეშე რომ აღიქვამს ყველაზე ბანალურ ამერიკულ თუ ინგლისურ რომანში გამოყენებულ უამრავ უშვერ სიტყვას, შოკირებული იქნება მათი არარსებობით „ლოლიტაში“. მაგრამ ამგვარი პარადოქსული ფარისევლის დასაწყნარებლად რედაქტორს რომ გაეზავებინა ან ტექსტიდან სულაც ამოეღო ის სცენები, რომლებიც გარკვეულად მიმართულ გონებას „მაცდუნებელ“ სცენებად წარმოუდგება (იხილე ფრიად პატივცემული მოსამართლის, ჯონ ვულსის მიერ 1933 წლის 6 დეკემბერს სხვა, გაცილებით უფრო უხამსი წიგნის გამო მიღებული ისტორიული გადაწყვეტილება), მაშინ „ლოლიტა“ საერთოდ არ უნდა გამოგვეცა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ის სცენები, რომლებშიც მოცლილი ურცხვი მკითხველი განუზომელ ავხორცობას აღმოაჩენს, სინამდვილეში ტრაგიკული ამბის მორალური აპოთეოზისკენ წარმართული განვითარების კონსტრუქციულად აუცილებელი ელემენტია. ცინიკოსი იტყვის, რომ ჯამის პრეტენზიას პროფესიონალი პორნოგრაფიც აცხადებს; ერუდიტი შეგვედავება, რომ „ჰ.ჰ.“-ს მგზნებარე აღსარება სინჯარაში ატეხილ ქარიშხალამდე დაიყვანება; რომ ყოველწლიურად მოზრდილი ამერიკელი მამაკაცების არანაკლებ თორმეტი პროცენტისა — თუ დ-რ ბიანკა შვარცმანს დავუჯერებთ, ეს ყველაზე მცირე რიცხვია (ერთ კერძო ცნობას ვიმოწმებ) — იმ განსაკუთრებულ გამოცდილებას იძენს, რომელსაც ასეთი სასოწარკვეთით აღწერს „ჰ. ჰ.“-ი; ხოლო ჩვენს შეშლილ მემუარისტს 1947 წლის იმ საბედისწერო ზაფხულს კომპეტენტური ფსიქოპათოლოგისთვის რომ მიემართა, არავითარი უბედურება არ მოხდებოდა. ეს ასეა, — მაგრამ მაშინ წიგნიც არ გვექნებოდა.

დაე, კომენტატორს ეპატიოს, თუ ის კვლავ გაიმეორებს შეხედულებას, რომელსაც დაჟინებით ამტკიცებდა თავის ნაშრომებსა და ლექციებში; სახელდობრ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

„უხამსი“ ხშირად „უჩვეულოს“ იგივეობრივია. ხელოვნების მნიშვნელოვანი ნაწარმოები ყოველთვის ორიგინალურია. მისმა არსმა უნდა შეგვძრას და განგვაცვიფროს, ესე იგი, ჩვენი „შოკირება“ განახორციელოს. „ჰ.ჰ.“-ს განდიდების არავითარი სურვილი არა მაქვს. ეჭვგარეშეა, რომ ის ბილწია, სულმდაბალი; ზნეობრივი კეთროვნების თვალსაჩინო ნიმუშია; რომ მასში შერწყმულია მძვინკარება და სიანცე, რაც, ალბათ, ჰუმბერტის ულრმეს ტანჯვას მოწმობს, მაგრამ მის ზოგიერთ გამონათქვამს მიმზიდველობას ვერ ანიჭებს. ჰუმბერტის უცნაურობა, რა თქმა უნდა, ტლანქია. ამერიკის ბუნებისა და მის მკვიდრთა შესახებ მის მიერ გამოთქმული ბევრი შეხედულება სასაცილოა. თავგადადებული პატიოსნება, რაც მის აღსარებაში გამოკრთის, სულაც არ ამართლებს გმირის ეშმაკეულ დახვეწილობას. ის არანორმალურია. ის ჯენტლმენი არ არის. მაგრამ მისი მღერადი ვიოლინო ჯადოსნური ძალით აღვიძებს სინაზით სავსე თანაგრძნობას ლოლიტას მიმართ და, ავტორისადმი ზიზღის მიუხედავად, გვაიძულებს, თავდავიწყებით ჩავუღრმავდეთ წიგნს.

როგორც კლინიკური შემთხვევის აღწერას, „ლოლიტას“ უეჭველად ფსიქიატრიული ლიტერატურის ერთ-ერთ კლასიკურ ნაწარმოებად ქცევა უწერია. უდავოა, რომ ათი წლის შემდეგ ტერმინს — „ნიმფეტები“ — ლექსიკონებსა და გაზეთებში იპოვით. როგორც მხატვრული ქმნილება, „ლოლიტა“ სცილდება მომნანიებელი აღსარების საზღვრებს, მაგრამ მის სამეცნიერო მნიშვნელობასა და მხატვრულ ღირებულებაზე გაცილებით მეტად ფასეულია წიგნის ზნეობრივი ზემოქმედება სერიოზულ მკითხველზე, რადგან კერძოობითი შემთხვევის ეს მტანჯველი ანალიზი ზოგად მორალსაც შეიცავს. უპატრონოდ მიტოვებული გოგონა, საკუთარი ცხოვრებით გართული დედა, ჟინისგან სულშეხუთული მამაკაცი — ისინი ამ თავისებურად განუმეორებელი ნაწარმოების მარტოოდენ ხატოვანი პერსონაჟები როდი არიან; რომანი გვაფრთხილებს სახიფათო გადახრების შესახებ და მიუთითებს მოსალოდნელ უბედურებაზე. „ლოლიტამ“ ჩვენ ყველანი — მშობლები, სოციალური მუშაკები, პედაგოგები — უნდა გვაიძულოს, განუხრელი სიფრთხილითა და გამჭრიახობით განვახორციელოთ უფრო ჯანსაღი თაობის აღზრდა უფრო საიმედო სამყაროში.

ჯონ რეი, ფილოსოფიის დოქტორი, ვიდვორტი, მასაჩუსეტსი

1955 წლის 5 აგვისტო

ნაწილი I

ლოლიტა, ჩემი სიცოცხლის ნათელო, წელთა ჩემთა მხურვალებავ, ცოდვავ ჩემო, საყვარელო ჩემო. ლო-ლი-ტა: ენის წვერი სასაზე სამი პაწაწინა ნაბიჯით გადაადგილდება, რათა მესამედ კბილებს შეეტაკოს. ლო. ლი. ტა.

დილაობით ის ლო იყო, უბრალოდ ლო, ხუთი ფუტი სიმაღლისა (ორი გოჯით უფრო დაბალი, ცალწინდა). გრძელ შარვალში ლოლად იქცეოდა ხოლმე. სკოლაში დოლის ეძახდნენ. ბლანკების პუნქტირზე დოლორესი იწერებოდა, მაგრამ ჩემთან ჩაკონებული გოგონა ყოველთვის ლოლიტა იყო.

წინამორბედნი თუ ჰყავდა? რა თქმა უნდა, ჰყავდა... მეტსაც ვიტყვი: ჩემს ცხოვრებაში არავითარი ლოლიტა არ შემოიჭრებოდა, ერთ შორეულ ზაფხულს სხვა, პირველი გოგონა რომ არ შემყვარებოდა. ზღვის პირას, ერთ სამთავროში (თითქმის პოს მსგავსად).

ეს როდის იყო?

ლოლიტას დაბადებამდე თითქმის იმდენი წლით ადრე, რამდენისაც იმ ზაფხულს ვიყავი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მკვლელის პროზა ყოველთვის ღვლარჭნილი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდედრობითი და მამრობითი სქესის პატივცემულო მსაჯულნო! ექსპონატი ნომერი პირველი წარმოადგენს სწორედ იმას, რასაც ასე შენატროდნენ ედგარის სერაფიმები... მიუხვედრელი, მიამიტი, კეთილშობილფრთიანი სერაფიმები ისიამოვნეთ ეკლების ამ ხლართით.

2.

დავიბადე პარიზში, 1910 წელს. მამაჩემს მგრძნობიარე გული და უდარდელი ხასიათი ჰქონდა. გენების მთელი ვინეგრეტი გააჩნდა: შვეიცარიის მოქალაქე გახლდათ, დუნაით შეზავებული ნახევრად ფრანგი-ნახევრად ავსტრიელი. ახლავე დავარიგებ რამდენიმე წარმტაც, პრიალა-ცისფერ ღია ბარათს.

ის რივიერაზე საუცხოო სასტუმროს ფლობდა. მამამისი და ორივე პაპა ღვინით, ბრილიანტებითა და აბრეშუმით ვაჭრობდნენ (თვითონვე დაანაწილეთ). ოცდაათი წლისამ ცოლად შეირთო ინგლისელი ქალი, ალპინისტ ჯერომ დუნის ქალიშვილი, ორი დორსეტელი პასტორის შვილიშვილი. პასტორები ძნელსაცნაური საგნების — პალეოპედოლოგიის და ეოლოსის ქნარების ექსპერტები იყვნენ (თვითონვე დაანაწილეთ). ჩემი უაღრესად ფოტოგენური დედის სიკვდილის გარემოებები და მიზეზი საკმაო ორიგინალობით გამოირჩეოდა (პიკნიკი, ელვა); იმხანად სულ სამი წლისა ვიყავი და მის შესახებ უბნელესი წარსულის რაღაცნაირი თბილი ჩიხის გარდა მეხსიერების ფოსოებმა და ტაფობებმა არაფერი შემომინახა. თუ ჯერ კიდევ შეგიძლიათ ჩემი კილოს ატანა (მეთვალყურეობის ქვეშ ვწერ), დავძენ, რომ იქ ჩაესვენა ჩემი ყრმობის მზე. ალბათ, თქვენთვის კარგადაა ცნობილი დღის ეს სურნელოვანი ნამუსრევი, რომელიც მუმლთან ერთად ხშირად ჰკიდია ამა თუ იმ აყვავებული სხლტის თავზე და რომელსაც უეცრად წააწყდები და გაარღვევ ხოლმე სეირნობისას, ბორცვის ძირას, ზაფხულის ბინდბუნდში — უშფოთველობა, სითბო, ოქროსფერი მუმლი.

დედაჩემის უფროსი და, სიბილა, რომელიც მამაჩემის ბიძაშვილზე იყო გათხოვილი — მან, სხვათა შორის, მალე მიატოვა ცოლი — ჩვენთან ცხოვრობდა. მუქთა გუვერნანტი თუ ეკონომი იყო. მოგვიანებით შევიტყვე, რომ მამაჩემი უყვარდა. ერთ წვიმიან დღეს მამამ ქარაფშუტულად ისარგებლა ქალის გრძნობით — და ყველაფერი დაივიწყა, როდესაც ამინდი შეიცვალა. დეიდაჩემი ძალიან მიყვარდა მისი სიმკაცრის — საბედისწერო სიმკაცრის მიუხედავად. შესაძლოა, მას სურდა, მამაჩემზე უფრო ზეობრივი ქვრივი აღეზარდა ჩემგან. დეიდა სიბილას ვარდისფერი ქუთუთოები, ლაჟვარდისფერი თვალები და მქრქალი სახე ჰქონდა. ის ლექსებს წერდა, პოეტური ცრურწმენები სჩვეოდა. ამბობდა, რომ იცოდა, როდის მოკვდებოდა — სიხელდობრ, მაშინ, როდესაც თექვსმეტის შევსრულდებოდი. ასეც მოხდა. მისი ქმარი, საპარფიუმერიო ფირმის გამოცდილი ვოიაჟორი, დროის უმეტეს ნაწილს ამერიკაში ატარებდა, სადაც, ბოლოს და ბოლოს საკუთარი საქმე დააარსა და რაღაც ქონებაც შეიძინა.

მე, ბედნიერი, ჯანსაღი ბავშვი, ვიზრდებოდი დასურათებული წიგნების, სპეტაკი ქვიშის, ფორთოხლის ხეების, გულითადი ამაღლების, ზღვის შორეთისა და მოღიმარი სახეების გარემოცვაში. „მირანა პალასის“ დიდებული სასტუმრო ჩემ გარშემო ბრუნავდა, როგორც კერძოობითი სამყარო ან ცარცით შეთეთრებული კოსმოსი. ის სხვა, ცისფერ, ვეებერთელა, გასხივოსნებულ სამყაროში იყო მოქცეული. წინსაფრიანი მზარეულით დაწყებული, თეთრ კოსტიუმში გამოწყობილი მეფით დამთავრებული, ყველას ვუყვარდი და ყველა მანებივრებდა. ხელჯოხზე დაყრდნობილი ხნიერი ამერიკელი ქალები პიზის კოშკივით იხრებოდნენ ხოლმე ჩემკენ. გაკოტრებული რუსი კნეინები ფულს ვერ უხდიდნენ მამაჩემს, მაგრამ ძვირად ღირებულ კანფეტებს ყიდულობდნენ ჩემთვის. ის კი, ჩემი საყვარელი მამიკო, ნავით და ველოსიპედით მასეირნებდა, ცურვას, ყვინთვას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის თხილამურებით სრიალს მასწავლიდა, „დონ-კიხოტსა“ და „განკიცხულნს“ მიკითხავდა. მეც ვაღმერთებდი და ვეთაყვანებოდი მას, მიხაროდა, როდესაც ყურს მოვკრავდი მსახურთა მსჯელობას მის სატრფოებზე — ალერსიან მზეთუნახავებზე, რომლებიც ბევრ დროს მითმობდნენ, დამღუღუნებდნენ და ძვირფას ცრემლებს აპკურებდნენ ჩემს საკმაოდ მხიარულ ობლობას.

ვსწავლობდი ინგლისურ სკოლაში, ჩემი სახლიდან რამდენიმე კილომეტრის დაცილებით. იქ ვთამაშობდი რაკეტს-ს და ფაივს-ს (ბურთს ხელით ან რაკეტით ვურტყამდი კედელს), მშვენიერ შეფასებებს ვღებულობდი და შესანიშნავად შევეგუე ამხანაგებსა და აღმზრდელებს. მახსოვს, ცამეტ წლამდე (ესე იგი, ჩემს პატარა ანაბელასთან შეხვედრამდე) მხოლოდ ორ განცდას ჰქონდა აშკარად სქესობრივი ხასიათი: სკოლასთან გაშენებულ ვარდების ბაღში ამერიკელმა ბიჭუნამ დიდი ამბით, ზედმიწევნით თეორიულად და წესიერების დაცვით მომითხრო სიყრმესთან დაკავშირებული ზოგიერთი მოულოდნელი მოვლენის შესახებ. ის სახელგანთქმული კინომსახიობის ვაჟი იყო და დედამისს სამგანზომილებიან სივრცეში იშვიათად ხედავდა; ჩემი ორგანიზმი ძალზე საინტერესოდ გამოეხმაურა პიშონის ბრწყინვალე ალბომის — „ადამიანის სილამაზე“ —მკრქალ მოთეთრო ფოტოსურათებს მეტისმეტად ნაზი დაჩრდილული ჩაღრმავებებით. ის ერთხელ აღმოვაჩინე სასტუმროს ბიბლიოთეკაში ლონდონის „გრაფიკოსის“ ტომებს შორის, რომელთაც მარმარილოსებრი ყდები ჰქონდა. მოგვიანებით მამაჩემმა, მისთვის ჩვეული უდარდელობით, მომაწოდა ამ ხასიათის ცნობები, რომლებიც, მისი აზრით, გამომადგებოდა; ეს იყო 1923 წლის შემოდგომაზე, ლიონის გიმნაზიაში სწავლის დაწყების წინ (აქ სამი ზამთარი უნდა გამეტარებინა); სწორედ იმ წლის ზაფხულში მამაჩემი, სამწუხაროდ, ჩემ გვერდით არ იმყოფებოდა — იტალიაში მოგზაურობდა ქალბატონ რ-სთან და მის ქალიშვილთან ერთად. ასე რომ ვერც ვერავისთან ვიწუწუნებდი და რჩევასაც ვერავინ მომცემდა.

3.

ავტორის მსგავსად, ანაბელაც შერეული (მის შემთხვევაში — ინგლისური და ჰოლანდიური) წარმომავლობისა იყო. ამჟამად მისი სახის ნაკვთები გაცილებით ბუნდოვნად მახსენდება, ვიდრე ლოლიტას გაცნობამდე. მხედველობითი მეხსიერება ორგვარია: თვალხილული მარჯვედ აღადგენ ხოლმე სახეს ტვინის ლაბორატორიაში და მაშინ ანაბელა ზოგადი ტერმინების მიხედვით წარმომიდგება. ასეთებია: თაფლისფერი კანი, თხელი მკლავები, შეკრეჭილი ქერა თმა, გრძელი წამწამები, მსხვილი წითელი ტუჩები ანდა თვალდახუჭული ქუთუთოების შიდა მხარეს ზედმიწევნით ზუსტად დაინახავ საყვარელი სახის ობიექტურ, ოპტიკურ იერს: ესაა ბუნებრივად შეფერილი პატარა ლანდი (სწორედ ასე ვხედავ ლოლიტას).

ამიტომ ნება მიბოძეთ, ანაბელას პლეერისას შემოვიფარგლო თავშეკავებული შენიშვნით, რომ ეს იყო ჩემზე რამდენიმე თვით უმცროსი მომხიბვლელი გოგონა. მისი მშობლები, გვარად ლი, დეიდაჩემის ძველი მეგობრები იყვნენ. ისინი, დეიდა სიბილას მსგავსად, ერთგულად იცავდნენ წესიერებას. მირანას მახლობლად ვილას ქირაობდნენ. უსაზღვროდ მძულდა მელოტი, ყავისფერი ბატონი ლი და მსუქანი, დაპუდრული ქალბატონი ლი (ქალიშვილობაში ვანესა ვანესი). თავდაპირველად მე და ანაბელა, თუ შეიძლება ასე ითქვას, წრეს გარშემო ვუვლიდით. ის წამდაუწუმ პეშვით იღებდა პლაჟის წვრილ ქვიშას, შემდეგ მის თითებს შორის მიწაზე რომ ცვიოდა. გონება იმდროინდელი და იმ წრის ევროპელი მოზარდების ყაიდაზე გვქონდა მოწყობილი. ვეჭვობ, ოდნავი ინდივიდუალური ნიჭიერება გამოგვევლინებინა? როდესაც დასახლებულ სამყაროთა სიმრავლის, ჩოგბურთის შეჯიბრებების, უსასრულობის, სოლიფსიზმისა და სხვა ამგვარი ამბების მიმართ ინტერესს ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩენდით. ნორჩი პაწია ცხოველების სინაზე და სისათუთე ორივეს ერთნაირად მძაფრ თანაგრძნობას აღგვიძრავდა. ის ოცნებობდა, მოწყალების დად ემსახურა აზიის რომელიმე მოშიმშილე ქვეყანაში; მე მწადდა, სახელგანთქმული მზვერავი გავმხდარიყავი.

უეცრად აღმოჩნდა, რომ ერთმანეთი გვიყვარდა — გაგიჟებით, ულაზათოდ, ურცხვად, მტანჯველად; დავუმატებდი, უიმედოდ-მეთქი, რადგანაც ჩვენს გაშმაგებულ ვნებას დააკმაყოფილებდა მხოლოდ თითოეული ჩვენგანის მიერ საყვარელი არსების სულისა და სხეულის თითოეული ნაწილაკის შესრუტვა და შეთვისება; ამასობაში ადგილიც კი ვერ მოვძებნეთ, სადაც შეერთებას შევძლებდით ისე, როგორც ამას ჯურღმულების მკვიდრი ბავშვები სჩადიან. მის ბაღში ღამით უნაყოფოდ ჩავლილი ერთი პაემანის შემდგომ (ამაზე — შემდეგ თავში) შეხვედრების ერთადერთი ვარიანტი, რის ნებაც დაგვრთეს, იყო უფროსების თვალსაწიერის არეში ყოფნა, პლაჟის იმ ნაწილში, სადაც ყველაზე მეტი ხალხი იყრიდა თავს. იქ, რბილ ქვიშაზე, უფროსებისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით, დილაობით, სასიყვარულო ტანჯვით გათანგულნი ვეგდეთ და დროისა და სივრცის ქსოვილის დალოცვილი ხარვეზებით ვსარგებლობდით, რათა ერთმანეთს შევხებოდით. მისი ხელი ქვიშაში ჩემკენ მოცოცავდა, სულ უფრო მიახლოვდებოდა, თხელი გარუჯული თითებით მოიწევდა, შემდეგ იმავე ხანგრძლივ, ფრთხილ გზას შეუდგებოდა ხოლმე მისი სადაფისმაგვარი მუხლი; ზოგჯერ შემთხვევითი მიწაყრილი, რომელსაც უფრო მცირე ასაკის ბავშვები აშენებდნენ, სწრაფ მარილიან კოცნას ეფარებოდა. ეს ნახევარშეხებები ჩვენს ჯანსაღ, გამოუცდელ სხეულებს ისერიგად აღიზიანებდა, რომ თვით ვრილი ცისფერი წყალი, რომლის საფარქვეშ კვლავ ჩვენი მიზნისკენ ვილტვოდით, ვეღარ გვამშვიდებდა.

მოგვიანებით დაკარგულ საუნჯეთა შორის იყო დეიდაჩემის მიერ გადაღებული ფოტოსურათი: ტროტუარზე განლაგებულ პატარა კაფეში მაგიდას უსხედან ანაბელა, მისი მშობლები და მეტად დარბაისელი ექიმი კუპერი — კოჭლი მოხუცი, რომელიც იმ ზაფხულს დეიდა სიბილას ეარშიყებოდა. ანაბელა არცთუ ისე კარგად გამოვიდა, რადგან იმ წამს თავისი შოკოლადის გლიასეს მოსმას აპირებდა. გოგონას მხოლოდ გამხდარი შიშველი მხრებითა და თმის განაყოფით თუ იცნობდით მზით გაჯერებულ მღვრიე სივრცეში, რომელსაც თანდათანობით და სამუდამოდ ერწყმოდა მისი სილამაზე; მე დრამატული რელიეფურობით ვიყავი გამოკვეთილი, პროფილში, ცოტათი მოშორებით მჯდარი: მუქი ფერის სპორტულ პერანგსა და თეთრ, კარგად შეკერილ მოკლე შარვალში გამოწყობილი სქელწარბა ბიჭი. ფეხი ფეხზე გადამედო. ალმაცერად ვიმზირებოდი. ფოტოსურათი ჩვენი საბედისწერო ზაფხულის უკანასკნელ დღეს იყო გადაღებული. სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ბედის მოტყუების მეორესა და ბოლო ცდას მივმართეთ. რაღაც საკმაოდ ყალბი მიზეზით (სხვა შანსი აღარ გვექნებოდა და უკვე აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა), კაფედან პლაჟისკენ გავემართეთ, სადაც ბოლოს და ბოლოს განმარტოებული ადგილი მოვძებნეთ და იქ, პატარა გამოქვაბულში, რომელსაც ვარდისფერი კლდეები წარმოქმნიდა, ლილისფერ ჩრდილში სულმოუთქმელად და ხარბად მოვეხვიეთ ერთმანეთს, რისი ერთადერთი მოწმეც ვიღაცის მიერ დაგდებული შავი სათვალე იყო. მუხლებზე ვიდექი და ის-ის იყო, ჩემს სატრფოს უნდა დავუფლებოდი, რომ წყლიდან უეცრად ორი წვეროსანი მობანავე ამოვიდა — ზღვის პაპა და მისი ძმა, მათ ხმამაღლა და უხამსად წამაქეზეს, ხოლო ოთხი თვის შემდეგ ანაბელა ტიფისგან გარდაიცვალა კუნძულ კორფუზე.

4.

კვლავ და კვლავ ვფურცლავ ამ უბადრუკ მოგონებებს და განუწყვეტლივ ვეკითხები თავს,—იქ, იმ შორეულ ზაფხულს

ხომ არ დაედო დასაბამი ბზარს, რომელიც მთელ ჩემს ცხოვრებას გასდევს. ან იქნებ ამ ბალღით მძაფრი გატაცება თანდაყოლილი გარყვნილების პირველი ნიშანი იყო? როდესაც ვცდილობ, გავერკვე წინანდელ სურვილებში, ზრახვებში, მოქმედებებში, შებრუნებული წარმოსახვის ტყვედ ვიქცევი. ის ანალიტიკურ უნარს უსასრულო შესაძლებლობებით კვებავს, ასე რომ ყოველგვარი განვლილი გზა უსასრულო განტოტებებად იყოფა მეხსიერების გამაბრუებლად რთულ პერსპექტივაში. და მაინც მწამს, რომ ლოლიტა ჯადოსნურად და საბედისწეროდ დაიწყო ანაბელათი.

ისიც ვიცი, რომ ანაბელას სიკვდილმა იმ სიზმარეული ზაფხულით გამოწვეული დაუკმაყოფილებლობა გაამწვავა და ჩემი სიყრმის სუსხიან წლებში ყოველგვარ სხვა სიყვარულს წინ გადაეღობა. ჩვენს გრძნობაში სულიერი და ფიზიკური ლტოლვა იმგვარი სრულყოფილებით ერწყმოდა ურთიერთს, როგორიც არც კი დაესიზმრებათ ახლანდელ მოზარდებს — მათი მარტივი აღქმით, ტლანქი განცდებითა და დაშტამპული ტვინით. ანაბელას სიკვდილის შემდეგ დიდხანს ვგრძნობდი, რომ მისი აზრები ჩემსას მსჭვალავდა. შეხვედრამდე დიდი ხნით ადრე ერთნაირი სიზმრები გვქონდა. ჩვენი ცხოვრების ძირითადი მოვლენები შევაჯერეთ და უცნაური მსგავსების ნიშნებიც აღმოვაჩინეთ. ერთი და იმავე წლის (1919-ის) ივნისში ორივე ჩვენგანის სახლებში, ორ არამეზობელ ქვეყანაში, ვილაცის კანარის ჩიტი შეფრთხიალდა. ო, ლოლიტა, შენ რომ ასე გიყვარდე!

ჩვენი პირველი სავალალო შეხვედრის აღწერა ანაბელას ამბის ბოლოსთვის შემოვინახე. ერთხელ, გვიან საღამოს, მან მოახერხა, მშობლების სიფხიზლე მოედუნებინა, აცახცახებული, თხელფოთლიანი მიმოზების ჭალაში, ვილის უკან, დაბალი ქვის კედლის ნანგრევებზე მოკალათდით. სიბნელეში, ნარნარი ხეების მიღმა მოჩანდა ვილის განათებული ფანჯრების არაბესკები — რომლებიც ახლა მგრძნობიარე მეხსიერებამ ნაირფერ მელნით შეასწორა და სათამაშო კარტს მიამსგავსა (ნაწილობრივ, ალბათ, იმიტომ, რომ მტრები იქ ბრიჯს თამაშობდნენ). ის თრთოდა და ტოკავდა, როდესაც ოდნავ ღია ტუჩების კუთხესა და ყურის ცხელ ბიბილოს ვუკოცნიდი. ჩვენ თავზე, მოგრძო ფოთოლთა შორის უამრავი უფერული ვარსკვლავი ციმციმებდა. ეს თანამგრძნობი უფსკრული ისევე შიშველი იყო, როგორც ანაბელას თხელი კაბით შემოსილი სხეული. ცის ფონზე მისი სახე ისეთი სიცხადით იკვეთებოდა, თითქოს საკუთარი მკრთალი ნათებით იყო გასხივოსნებული. მისი ფეხები, მისი თვალწარმტაცი, მკვირცხლი ფეხები არც ისე მჭიდროდ იყო შეტყუპებული და როდესაც ჩემი ხელი მისწვდა იმას, რასაც ეძებდა, ანაბელას სახეზე ალქაჯის მეოცნებე გამომეტყველება ალიბეჭდა — ტკივილი თუ ტკბობა. ის ცოტათი ჩემზე მაღლა იჯდა, საკუთარ ნეტარებაში ჩაფლულიყო და ჩემკენ მოიწევდა, ხოლო მისი თავი დუნე, მიბნედილი, თითქმის ტანჯვით აღსავსე მოძრაობით იხრებოდა. შიშველი მუხლები იჭერდნენ, იკავებდნენ ჩემს ხელს და კვლავ დუნდებოდნენ. გოგონას ათრთოლებული, იდუმალი ბანგის სიმწრისგან დაბრეცილი ტუჩები ნაზი ფშვინვით უახლოვდებოდა ჩემს სახეს. მას სასიყვარულო ლმობის დაშოშმინება სწადდა და მშრალი ტუჩებით ჩემსას ეკვროდა, მაგრამ უეცრად გადაიწეოდა და კულულებს მკვეთრად აიქნევდა ხოლმე. შემდეგ კვლავ მეკონებოდა და გადახსნილი ბაგეებით ტკბობის უფლებას მაძლევდა. მზად ვიყავი, დიდსულოვნად მეჩუქებინა მისთვის ყველაფერი — ჩემი გული, ყელი, შიგნეული — და მოუხერხებელ, პატარა მუშტში დავაკავებინე ჩემი ვნების კვერთხი.

მახსოვს პუდრის სურნელი — რომელსაც ის, მგონი, დედამისის ესპანელ მოახლეს ჰპარავდა. — მოტკბო, იაფფასიანი მუშკის სუნი; ის ერწყმოდა მის საკუთარ ბისკვიტისმაგვარ სურნელს და უეცრად ჩემი გრძნობების ფიალა პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამდე აივსო; უახლოესი ბუჩქის ძირას ატეხილმა აურზაურმა ხელი შეუშალა მათ გადმოღვრას. გავშეშდით და ძარღვების მტკივნეული ცახცახით ყური მივუგდეთ ხმაურს, რომელიც, ალბათ, ნადირობით გართულმა კატამ თუ ატეხა. სამწუხაროდ, ამავე დროს სახლის მხრიდან გაისმა ქალბატონ ლის ხმა, რომელიც ქალიშვილს ეძახდა და მის ხმაში თანდათანობით მზარდი გრგვინვა ხმიანობდა. ექიმი კუპერი მძიმედ, კოჭლობით ჩამოვიდა ვერანდიდან ბაღში. მაგრამ მიმოზათა ეს რაყა, ვარსკვლავების ეს ნისლეული, ურჟოლა, ცეცხლი, თაფლივით ტკბილი ნამი და ჩემი ტანჯვა მე შემომრჩა. ეს გოგონა, რომელსაც ზღვისგან გადატკეცილი ფეხები და ცეცხლოვანი ენა ჰქონდა, იმ დროიდან განუყრელად თან მდევს — სანამ, ბოლოს და ბოლოს, ოცდაოთხი წლის შემდეგ, საცთური არ დავძლიე და ის სხვაში არ გავაცოცხლე.

5.

სიყრმის დღეები განმეორებადი ნაკუწების ფერმკრთალი ქარბუქივით ჩამიქროლებს ხოლმე, ისე, როგორც გამოყენებული ქაღალდის ფურცლები, რომელთა ფრიალს არაერთი ამერიკული ექსპრესის მგზავრები შესწრებიან დილაობით, უკანასკნელი ვაგონის ბოლო სამზერი ფანჯრიდან. ქალებთან დამყარებულ ჩემს ჰიგიენურ ურთიერთობებში პრაქტიკული, დამცინავი და სწრაფი ვიყავი. ლონდონისა და პარიზის უნივერსიტეტებში სწავლისას ფასიანი ვარიკებით ვკმაყოფილდებოდი. მეცნიერებას მუყაითად დავეწაფე, თუმცა არცთუ წარმატებულად. თავდაპირველად ფსიქიატრობა მსურდა, როგორც ბევრ სხვა უიღბლო კაცს, მაგრამ მე განსაკუთრებული უიღბლო გახლდით. საოცარი დაღლილობა დამეუფლა (ექიმთან უნდა მივიდე — ისე ვეწვალები) და ინგლისური ლიტერატურის შესწავლა დავიწყე. ამით თავი გააქვს ბევრ ფუჭყვავილა პოეტს, რომლებიც ბოლოს ჩიბუხიან, საუკეთესო შალის პიჯაკში გამოწყობილ პროფესორებად გადაიქცევიან ხოლმე. ოცდაათიანი წლების პარიზი ზუსტად მომერგო. საბჭოთა ფილმების შესახებ ვმსჯელობდი ამერიკელ ლიტერატორებთან. ურანისტებთან ერთად ვიჯექი კაფეში „ორი მაიმუნი“, ღვლარჭნილ ეტიუდებს ვაქვეყნებდი ნაკლებ პოპულარულ ჟურნალებში. ვთხზავდი პაროდიებს — მაგალითად, ელიოტზე :

დაე ფროილაინ ფონ კულპმა,
რომელსაც
ჯერ კიდევ ხელი უკიდია კარის
სახელურზე, მოიხედოს... არა,
არ გავყვები არც მას, არც ფრესკას.
არც იმ თოლიას...

ერთ-ერთი ჩემი ნაშრომი ამგვარად იყო დასათაურებული: „პრუსტისეული თემა კიტსის მიერ ბენჯამინ ბეილისადმი გაგზავნილ წერილში“. ექვსმა-შვიდმა მეცნიერმა ეს ნაშრომი მოწონების გამომხატველი ღიმილით წაიკითხა. სახელგანთქმული გამომცემლისთვის ინგლისური პოეზიის მოკლე ისტორიის წერას შევუდექი, შემდეგ კი ხელი მოვკიდე ამერიკელი და ბრიტანელი მკითხველისთვის განკუთვნილი ფრანგული მწერლობის იმ სახელმძღვანელოს შედგენას (ინგლისური ლიტერატურიდან დამოწმებული პარალელებით), რაზეც ორმოციანი წლების განმავლობაში უნდა მემუშავა, ხოლო ბოლო ტომი თითქმის გამზადებული მქონდა ჩემი დაპატიმრების დღეს.

სამსახური ვიშოვე: ინგლისურ ენას ვასწავლიდი მოზრდილ პარიზელთა ჯგუფს; ისინი ქალაქის მეთექვსმეტე ოლქში ცხოვრობდნენ. შემდეგ ორი ზამთრის განმავლობაში ვაჟთა გიმნაზიაში ვასწავლიდი. ზოგჯერ ფსიქიატრიისა და საზოგადოებრივი მეურვეობის სფეროებში მომუშავე ჩემი ნაცნობების წყალობით ვეწვეოდი ხოლმე სხვადასხვა დაწესებულებას, მაგალითად, მცირეწლოვანი ბოროტმოქმედი ქალებისთვის განკუთვნილ ობოლთა თავშესაფრებსა და სკოლებს. აქ ისევე დაუსჯელი ვიყავი, როგორც ეს სიზმარში ხდება ხოლმე. ვუმზერდი ყმაწვილ ქალებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელთაც შეწებებული წამწამები ჰქონდათ.

ახლა კი მსურს, ამგვარი აზრი ჩამოვაყალიბო. ცხრიდან თოთხმეტ წლამდე გვხვდებიან ისეთი გოგონები, რომლებიც ზოგიერთი მოჯადოებული (მათზე ორჯერ თუ სამჯერ უფროსი) მწერისთვის თავიანთ ჭეშმარიტ არსს ავლენენ; არა ადამიანურ, არამედ ნიმფურ (ესე იგი, დემონურ) არსს; გთავაზობთ, ამ პატარა რჩეულ გოგონებს ნიმფეტები ვუწოდოთ.

მკითხველი შეამჩნევს, რომ სივრცობრივ ცნებებს მე დროსთან დაკავშირებულ ცნებებს ვუნაცვლებ. უფრო მეტიც: მწადია, თვალნათლივ დაგანახოთ ეს ზღვრები, ცხრა-თოთხმეტი; ესაა იმ მოჯადოებული კუნძულის ხილული მოხაზულობა (მოსარკული მეჩეჩები, ალისფერი კლდეები), რომელზეც ჩემი ნიმფეტები ცხოვრობენ და რომელიც გარშემორტყმულია ფართო, დანისლული ოკეანით. ისმის კითხვა: ამ ასაკობრივ საზღვრებში ყველა გოგონა ნიმფეტია? რა თქმა უნდა, არა. სხვაგვარად ჩვენ, ხელდასხმულნი, ჩვენ, მარტოსული მეზღვაურნი, ჩვენ, ნიმფოლეპტები, დიდი ხნის წინ გავგიჟდებოდით. მაგრამ სილამაზეც არაა კრიტერიუმი, მაშინ, როდესაც ვულგარულობა (ან თუნდაც ის, რასაც ამა თუ იმ წრეში ვულგარულობას უწოდებენ) აუცილებლად არ გამორიცხავს იმ იდუმალი თვისებების — ზღაპრული, უჩვეულო გრაციის, უჩინარი, ცვალებადი, სულისწამღები, შემპარავი ხიბლის არსებობას. ყოველივე ეს ნიმფეტს განასხვავებს თანატოლთაგან, რომლებიც გაცილებით მეტად არიან დამოკიდებულნი ერთჯერადი მოვლენების სივრცობრივი სამყაროსაგან, ვიდრე მოჯადოებულ დროში არსებული ჰაეროვანი კუნძული, სადაც ლოლიტა თავისნაირ გოგონებს ეთამაშება. ამავე ასაკობრივ საზღვრებში ჭეშმარიტი ნიმფეტების რიცხვი გაცილებით ნაკლებია ულამაზოთა, უბრალოდ „საყვარელთა“ ან „სანდომიანთა“ რაოდენობაზე. ესენი არიან სავსებით უფერული, ფუნთუშა, ულაზათო, ციკანიანი, თავისი არსით — ადამიანური გოგონები, რომელთაც მრგვალი მუცლები და ნაწნავები აქვთ. ზოგჯერ ისინი ლამაზ ქალებად გადაიქცევიან (რომელიმე ულამაზო, ფუნჩულა, შავწინდებიანი და თეთრქუდიანი გოგონა ეკრანის მომხიბლავ ვარსკვლავად გარდაისახება ხოლმე). თუ ნორმალურ ადამიანს სთხოვთ, გამოარჩიოს ყველაზე ეშხიანი გოგონა მოსწავლეების ან გერლ-სკაუტების ჯგუფურ ფოტოსურათზე, ის ყოველთვის როდი მიუთითებს ნიმფეტზე. ხელოვანი და შეშლილი უნდა იყო, მდულარე ბალღამი უნდა გქონდეს გამდგარი სხეულის ფესვში და უზომო ავხორცობის მარადიული ალი უნდა გიზგიზებდეს მგრძნობიარე ხერხემალში (ო, როგორი იდუმალება და მალვა გვმართებს), რომ მყისვე, ენით აუწერელი ნიშნებით — ყვრიმალების ოდნავ კატისებრი მოხაზულობით, სხეულის ასოთა სინატიფითა და სილბილით და კიდევ სხვა ნიშნებით, რომელთა ჩამოთვლას წინ ეღობება ჩემი სასოწარკვეთილება, კრძალვა, სინაზის ცრემლი — იცნო ჰაწაწინა მომაკვდინებელი დემონი ჩვეულებრივი ბავშვების ბრბოში: ძნელად საცნობი ნიმფეტი მათ შორის დგას და თვითონაც ვერ გრძნობს თავის საარაკო ძალმოსილებას.

და კიდევ: ამ ჯადოსნურ საქმეს დრო წარმართავს. ამიტომ მეცნიერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ აუცილებელია რამდენიმე (მე ვიტყოდი, არანაკლებ ათი, მაგრამ ჩვეულებრივ, ოცდაათი ან ორმოცი — ზოგიერთ სახელგანთქმულ შემთხვევაში ოთხმოცდაათამდე) წლის განსხვავება გოგონასა და მამაკაცს შორის, რათა ეს უკანასკნელი ნიმფეტის ხიბლმა მონუსხოს. აქ არსებითია თვალის ბროლის შეგუება. შინაგანი მზერა საამო მღელვარებით დასძლევს ხოლმე გარკვეულ მანძილს, გონი კი ბიწიერი ტკბობის კრუნჩხვით ითავისებს გარკვეულ კონტრასტს: „როდესაც ყრმა ვიყავი, ისიც პატარა გოგონა იყო“ (კვლავ ედგარისეული ზარხოშია); ანაბელა ჩემთვის ნიმფეტი როდი იყო: მისი კბილა გახლდით; წარსულის მოგონებისას მგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნია, რომ მეც დროის იმ მოჯადოებული კუნძულის ბინადარი პაწია ფავნუსი ვიყავი. ახლა, ოცდაცხრა წლის შემდეგ, მასში საწყის საბედისწერო ცდუნებას ვამჩნევ. ნაადრევი სიყვარულით გვიყვარდა ურთიერთი, იმ სიშმაგით, რომელიც ეგზომ ხშირად ანგრევს მოწიფულ ადამიანთა ცხოვრებას. ჯანსაღი ჭაბუკი ვიყავი და გავუძელი, ბალღამი კი ჭრილობაში ჩამრჩა და აი, უკვე ვვაუკაცდებოდი ჩვენი ცივილიზაციის წიაღში, რომელიც მამაკაცებს უფლებას აძლევს, შეიყვარონ თექვსმეტი წლის ქალიშვილი, მაგრამ არა თორმეტი წლის გოგონა.

ამგვარად, განსაკვირი არაა, რომ ევროპაში გატარებული ჩემი სიმწიფის წლები საოცრად გაორებული იყო. გარეგნულად ეგრეთ წოდებულ ნორმალურ კავშირებს ვამყარებდი მიწიერ ქალებთან, რომელთაც გოგრისებრი ან მსხლის ფორმის ძუძუები ჰქონდათ, შინაგანად კი ყოველი შემხვედრი ნიმფეტის გამო გამძაფრებული ავხორცობის ჯოჯოხეთში ვიწვოდი. კანონის მოშიში მხდალი ვერ ვბედავდი მათთან მიახლოებას. ზორზოხა დედაკაცებთან ნებადართული კავშირი ჩემთვის მხოლოდ პალიატივს წარმოადგენდა. მზადა ვარ, ვირწმუნო, რომ ჩემში ბუნებრივი ურთიერთობებით აღძრული შეგრძნებები მეტ-ნაკლებად უტოლდებოდა იმას, რასაც განიცდიან ნორმალური მამაკაცები ნორმალურ ქალებთან იმ რუტინულ რიტმში შეერთებისას, რომლითაც სამყარო ირწევა. უბედურება ისაა, რომ ამ ბატონებს არ განუცდიათ გაცილებით მძაფრი ნეტარება, რომელიც მე განვიცადე, პოლუციის გამომწვევ ჩემ სიზმართაგან ყველაზე ულიმლამო ათასჯერ უფრო ხატოვანია, ვიდრე ის სიძვა, რომლის წარმოდგენა შეუძლია ყველაზე ვაუკაცური ბუნების გენიოსს ან ყველაზე ნიჭიერ იმპოტენტს. ჩემი სამყარო გახლეჩილი იყო. ქალში ორი სქესის არსებობას ვგრძნობდი, მაგრამ ვერც ერთს ვერ დავუფლებოდი. ანატომი ორივე სქესს მდედრობითს მიაკუთვნებდა, ჩემთვის კი, გრძნობათა უჩვეულო პრიზმაში ჭვრეტისას, ისინი ისევე განსხვავდება, როგორც „ზმანება“ და „ზმორება“. ახლა ყოველივე ამის რაციონალიზებას ვცდილობ, მაგრამ ოცი-ოცდახუთი წლის ჭაბუკი ესოდენ ნათლად ვერ ვერკვეოდი საკუთარ ვნებებში. სხეულმა საუცხოოდ იცოდა, რა სწყუროდა, მაგრამ გონება მის ყოველ ვედრებას უარყოფდა. ხან შიში და სირცხვილი მეუფლებოდა, ხან კი განუსჯელი ოპტიმიზმი; საზოგადოებრივი აკრძალვა ხომ მახრჩობდა. ფსიქოანალისტები ლიბიდოობდაუბდისგან ფსევდოგათავისუფლებას აღმითქვამდნენ. სასიყვარულო ჟრუანტელის ერთადერთ ობიექტებად ანაბელას დები, მისი მესაიდუმლენი და კორდებალეტი მესახებოდა, რასაც ზოგჯერ სიგიჟის მომასწავებელ ნიშნად მივიჩნევდი. თავს ვარწმუნებდი, რომ ყოველივეს თვალსაზრისი განსაზღვრავს და ცუდი არაფერი იყო იმაში, რომ მცირეწლოვანი გოგონებისგან თავბრუ მესხმოდა. ნება მიბოძეთ, შევახსენო მკითხველს, რომ ინგლისში ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ კანონის მიღების შემდეგ (1933 წელს) ტერმინი „გერლჩაილდ“ (ესე იგი, გოგონა) განისაზღვრება როგორც მდედრობითი სქესის პიროვნება, რომელიც არანაკლებ რვისა და არაუმეტეს თოთხმეტი წლისაა (შემდგომ ასაკს, თოთხმეტიდან ჩვიდმეტ წლამდე, სტატუტი განსაზღვრავს, როგორც „ახალგაზრდა პიროვნებას“). მეორე მხრივ, ამერიკაში, კერძოდ, მასაჩუსეტსში, ტერმინი „უეიუარდ ჩაილდ“ (გზასაცდენილი ბავშვი) ტექნიკურად გულისხმობს შვიდიდან ჩვიდმეტ წლამდე ასაკის გოგონას, რომელსაც „კავშირი აქვს უზნეო და ბიწიერ პირებთან“. ჰიუ ბროუტონმა, ჯემს პირველის თანამედროვე პოლემიკოსმა მწერალმა, დაამტკიცა, რომ რექაბი ათი წლის ასაკში მრუშობდა. ყოველივე ეს უკიდურესად საინტერესოა და, ალბათ, უკვე პირზე დუჟმორეული წარმომიდგინეთ. მაგრამ არა, არაფერი ქაფდება; უბრალოდ, ნეტარი აზრების ნაირფერ რწყილებს ერთი წკიპურტით ვყრი შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბამის ფინჯანში. აი, კიდევ სურათები: ვერგილიუსი (ვიმოწმებ ძველ ინგლისელ პოეტს) „ნიმფეტს უმღერდა ერთ ტონში“, თუმცა, ალბათ, ბიჭუნას პერეიტონიუმს ამჯობინებდა. აი მეფე აქნატენისა და დედოფალ ნეფერტიტის ორი, ჯერ კიდევ ნორჩი ქალიშვილი. მათ ამგვარი სულ ექვსი ჰყავდათ — ნილოსელი, თავგადაპარსული, ტიტლიკანა (მხოლოდ მძივების უამრავი ასხმით შემკული) გოგონები, რომელთაც ყავისფერი, ლეკვის სხეულივით რბილი მუცლები და აბანოზის ხისფერი გრძელი თვალები ჰქონდათ. ისინი მშვიდად მოკალათებულან ბალიშებზე და სრულიად უვნებელნი არიან სამი ათასი წლის შემდეგ. აი, ათი წლის პატარძლები, რომელთაც კლასიკური „განათლების“ ტაძრებში აიძულებენ, ფასცინუმზე — სპილოს ძვლის ძელზე დასხდნენ. ბავშვებზე ქორწინება და სქესობრივი კავშირი ჯერ კიდევ ხშირად გვხვდება ინდოეთის ზოგიერთ რაიონში. ასე, მაგალითად, ოთხმოცი წლის ბერიკაცები კავშირს ამყარებენ რვა წლის გოგონებთან და ეს არავის ეკითხება. ბოლოს და ბოლოს, დანტეს გაგიჟებით შეუყვარდა თავისი ბეატრიჩე, როდესაც გოგონა ცხრა წლისა შესრულდა — ეგზომ მოელვარე, შემკული, მწყაზარი, პატიოსანი ქვებით მორთულ ალისფერ კაბაში გამოწყობილი. ეს იყო 1274 წელს, ფლორენციაში, ერთ ნადიმზე, მხიარულ მაისში. ხოლო როდესაც პეტრარკას გაგიჟებით შეუყვარდა თავისი ლაურინა, ის თორმეტი წლის ქერათმიანი ნიმფეტი იყო, რომელიც ქარში, მტვერსა და ყვავილებში მირბოდა, თვითონაც ატაცებული ყვავილის დარი, იმ მშვენიერ ველზე, ვოკლუზის ბორცვებიდან რომ მოჩანს.

მაგრამ მოდით, თავშეკავება და კულტურა შევინარჩუნოთ. ჰუმბერტ ჰუმბერტი ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა კარგი ყოფილიყო. ღმერთმანი, მართლაც ცდილობდა. ის ძალზე ფრთხილად ეპყრობოდა ჩვეულებრივ ბავშვებს და მათ სათუთ სიწმინდეს; არასოდეს ხელყოფდა ბავშვის უბიწოებას, თუ სკანდალის მცირეოდენი საფრთხე მაინც არსებობდა. ბედშავს როგორ უცემდა გული, როდესაც უმანკო ბავშვთა ბრბოში ამჩნევდა დემონურ ბავშვს; „თვალწარმტაცსა და ცბიერ ბავშვს“ რომელსაც მიბნედილი თვალები და წითელი ტუჩები ჰქონდა. ათი წლის კატორღად დაუჯდებოდა, ვინმეს რომ შეემჩნია მისი მზერა. ასე მიედინებოდა ცხოვრება. ჰუმბერტს შეეძლო, ევასთან დაემყარებინა კავშირი, მაგრამ საოცნებო არსება ლილითი იყო. მკერდის განვითარების კვირტისებრი სტადია (10 7/10 წლის ასაკში) იმ სომატურ ცვლილებებს ახლავს, რაც სქესობრივი სიმწიფის მოახლოებას მოჰყვება ხოლმე. შემდეგი თქვენთვის ცნობილი ნიშანია სხეულზე პიგმენტირებული ღინღლის პირველი გამოჩენა (11 2/10 წლის ასაკში). ჩემი ფინჯანი პირთამდე სავსეა რწყილით.

დაიღუპა გემი. მარჯნის კუნძულზე ვიმყოფები დაღუპული მგზავრის გათოშილ პატარა ქალიშვილთან ერთად. ჩემი საყვარელო, ეს ხომ მხოლოდ თამაშია! რა შესანიშნავ თავგადასავლებს ვიგონებდი ხოლმე, როდესაც ქალაქის ბაღის მაგარ მერხზე ვიჯექი. თავს ვიკატუნებდი, თითქოს წიგნი მიტაცებდა, სინამდვილეში კი მას ბუნდოვნად ვხედავდი. მშვიდობიანი ერუდიტის გარშემო ნიმფეტები ლაღად დანავარდობდნენ, თითქოს ის ბაღის მომაბეზრებელი ქანდაკება ან ბებერი ხის ჩრდილი იყო. ერთხელ შოტლანდიურ ქვედატანში გამოწყობილმა უნაკლო სილამაზის გოგონამ მერხზე ხმაურით დადგა მძიმედ შეიარაღებული ფეხი, რათა შიშველი ხელები ჩემში აეფათურებინა და გორგოლაჭიანი ციგურის თასმა მოეჭირა — და მზის ათი ნათებში ჩავიძირე, ხოლო ლეღვის ფოთლის ნაცვლად წიგნი ავიფარე. გოგონას ქერა კულულები მის დაკაწრულ მუხლს ეფინებოდა, ჩვენი საზიარო ხის ჩრდილი კი ფეთქავდა და დნებოდა მის წვივზე, რომელიც ჩემს ქამელეონისეულ ლოყასთან ასე ახლოს ლაპლაპებდა. ერთხელ წითური მოსწავლე გოგონა მეტროს ვაგონში თავზე დამადგა და ჩამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდა. მისი იღლიის ნარინჯისფერმა ღინღლმა გამაოგნა და რამდენიმე კვირის განმავლობაში სისხლს მიჩქროლებდა. შემიძლია, მოგითხროთ უამრავი ამგვარი ცალმხრივი რომანი. ზოგიერთი მათგანის დასასრული ჯოჯოხეთური წამლით იყო შეკაზმული. ხანდახან, ღამით, ჩემი აივნიდან, ქუჩის გადაღმა, განათებულ ფანჯარაში ვამჩნევდი ნიმფეტს, რომელიც თავაზიანი სარკის წინ ტანსაცმელს იხდიდა. ამ განმარტოებაში, ამ სიშორეში მისი მშვენება არაჩვეულებრივ სიმძაფრეს იძენდა, ხოლო მე, აივანზე გადმომდგარი მაყურებელი, გამალებით ჯიკმაყოფილებდი ცალკერძ ვნებას. მაგრამ ჩემ მიერ უკვე თაყვანცემული სიშიშვლის ნაზი მოხაზულობა ეშმაკისეული უეცრებით იქცეოდა ხოლმე ლამპით განათებული მამაკაცის შიშველ, ზიზღისმომგვრელ იდაყვად. ზაფხულის ცხელ, ნოტიო, უსასოო ღამეში საცვლებისამარა კაცი ღია ფანჯარასთან გაზეთს კითხულობდა.

თოკზე ხტუნვა. ასკინკილაობა ცარცით დახაზულ პანელზე. თალხებით მოსილი დაუვიწყარი დედაბერი, რომელიც ჩემ გვერდით იჯდა ბაღის მერხზე — აქ ვნეტარებდი და ვეწამებოდი (ნიმფეტი მერხის ქვეშ შეგორებულ მინის ბურთულას ეძებდა) — და იმ ლიზღმა კუდიანმა მკითხა, მუცელი ხომ არ გტკივათო. ოჰ, დამტოვეთ ჩემს აბიბინებულ პარკში, ჩემს ხავსით დაფარულ ბაღში. დაე, მათ მარად ითამაშონ ჩემს ირგვლივ და არასოდეს დაქალდნენ!

6.

სიტყვამ მოიტანა და უნდა ვაღიარო, რომ ხშირად ვეკითხებოდი თავს, რა მოსდიოდათ შემდეგ ამ ნიმფეტებს. შეიძლებოდა თუ არა, რომ ჩვენს მიზეზშედეგობრივ, თუჯის ბისოსებიან სამყაროში ჩემ მიერ ნაქურდალ ჟრუანტელს მათ მომავალზე გავლენა მოეხდინა? ის ჩემი იყო — რაც არასოდეს ეცოდინება. კეთილი, მაგრამ ეს თავს ხომ არ იჩენს შემდგომ? რაიმე ვნება ხომ არ მივაყენე გოგონას მომავალ ბედ-იღბალს იმით, რომ მისი ბატება ჩემს იდუმალ ნეტარებაში ჩავრთე? ო, ეს იყო და იქნება ჩემი უდიდესი, თავზარდამცემი ეჭვების საგანი.

ამასთან, გამოვარკვიე, როგორ გარდაიქმნებიან დაქალებისას მომხიბვლელი, გამაგიჟებელი ნიმფეტები. მახსოვს, ერთ საღამოს, გაზაფხულზე, პარიზის ცენტრის ხალხმრავალ ქუჩაზე მივაბოტებდი. მომცრო ტანის მოხდენილმა გოგონამ მაღალი ქუსლების სწრაფი ბაკიბუკით ჩამიარა; ერთდროულად მივხედეთ ერთმანეთს; ის შეჩერდა და მასთან მივედი. მკერდის ბალნამდე ძლივს მწვდებოდა. მრგვალი პირისახე და ჩაჩვრეტილი ლოყები ჰქონდა, ისეთი, როგორიც ხშირად აქვთ ხოლმე ფრანგ ყმაწვილ ქალებს. მომეწონა მისი გრძელი წამწამები და მოთეთრო-რუხი კოსტიუმი, რომელიც ნორჩ ტანზე შემოტმასნოდა. გოგონას ჯერ კიდევ ბავშვური სხეული ჰქონდა (და სწორედ ეს აღვიქვი, როგორც ნიმფური ექო, როგორც ტკბობის ჟრუანტელი და წელის არეში განცდილი ჩქროლვა), რაც პატარა მარჯვე უკანალის პროფესიულ რხევას ერწყმოდა. ფასი ვიკითხე და მაშინვე მიპასუხა მუსიკალური, ვერცხლივით წკრიალა სიზუსტით (ჩიტი — ნამდვილი ჩიტი.) — „ასი". შევაჭრება ვცადე, მაგრამ მან აწონ-დაწონა მომძლავრებული ფარული ჟინი, რომელიც მაღლიდან მის მრგვალ პაწია შუბლსა და ჩანასახოვან შლაპაზე (თაიგული და ბაბთა) მიპყრობილ ჩემს თვალებში გამოსჭვიოდა: „რას იზამ," წარმოთქვა თვალის ჩაკვრით და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს გზის გაგრძელებას აპირებდა. გავიფიქრე: სულ სამიოდე წლის წინ შემეძლო დამენახა თუ როგორ ბრუნდებოდა ის სკოლიდან შინ-მეთქი. ამ სურათმა გაჭრა. გოგონამ ამიყვანა ჩვეულებრივ კიბეზე, კარის ჩვეულებრივი სიგნალი რომ ჰქონდა. ის აფრთხილებდა ბატონს, რომელსაც სხვა ბატონებთან შეხვედრა არ სურდა, თავისუფალი იყო თუ არა გზა — ამაზრზენი ოთახისაკენ მიმავალი უხალისო გზა. ოთახში მხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოდ საწოლი და ბიდე შევამჩნიე. რო-გორც ეს ჩვეულებრივ ხდება, მან პირ-ველ რიგში თავისი „პატარა საჩუქარი“ მოითხოვა და, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება, მისი სახელი — მონიკა და ასა-კი (თვრამეტი წელი) ვიკითხე. მეძავთა ბანალური ქცევა არ მეუცხოებოდა. ყვე-ლა ამ „თვრამეტს“ გაიძახის მკაფიო ჟღურტულით, რომელშიც ოცნებით აღ-სავსე სიცრუის ნოტი იგრძნობა. ეს უბე-დურები დღე-ღამის განმავლობაში ათ-ჯერ მაინც ჟღურტულებენ ამგვარად. მაგრამ ამ შემთხვევაში აშკარა იყო, რომ მონიკა ორიოდ წელს კი არ იკლებდა, არამედ იმატებდა. ეს დასკვნა გამოვიტა-ნე მისი კომპაქტური, თითქოს ჩამოთ-ლილი, საოცრად განუვითარებელი სხეულის ბევრი დეტალის საფუძველზე. მან განსაცვიფრებლად სწრაფად გაიხა-და, წუთით ფანჯარასთან შეჩერდა, თით-ქმის გაეხვია ფარდის ჭუჭყიან მარმაშ-ში და ბავშვური სიამოვნებით ყური მი-უგდო (რაც წიგნში ალბათ, ხალტურად აღიქმებოდა) მეარღნეს, რომელიც ბნელ ეზოში უკრავდა. როდესაც მისი ხელები დავათვალიერე და ჭუჭყიანი ფრჩხილე-ბი ვაჩვენე, მონიკა გულუბრყვილოდ მო-იღუშა და წაილაპარაკა: „ჰო, ეს ცუ-დია“, ის-ის იყო, ხელსაბანისკენ გაე-მართა, რომ ვუთხარი, ამას სულაც არა აქვს მნიშვნელობა, სულაც არა-მეთქი. შეკრეჭილი შავი თმა, ღია-ნაცრისფერი მზერა და მკრთალი კანი უკიდურეს მომ-ხიბვლელობას ანიჭებდა. თეძოები იმავე სიგანისა ჰქონდა, როგორც ჩაცუც-ქულ ბიჭს. მეტიც, შემიძლია, უყოყმა-ნოდ ვამტკიცო (და აი, რატომაა, რომ პატარა მონიკას მადლიერებით ვუწილა-დებ მოგონებათა რუხ-მარმაშისებრ საკან-ში ჩემთან ერთად ყოფნას), რომ იმ ოთ-ხმოც თუ ოთხმოცდაათ როსკიპს შორის, რომლებიც სხვადასხვა დროს ჩემი თხოვნით ჩემსავე შექცევას ცდილობდნენ, ეს გოგონა ერთად-ერთი იყო, ვინც მე ჭეშმარიტი ტკბობის ჩხვლეტა მაგრძნობინა. „რა ეშმაკი იყო, ვინც ეს ფოკუსი მოიგონა“ — თავაზიანად შენიშნა მან და ჩაცმულ მდგომარეობას მაღალი სტილისთვის ჩვეული იმავე სისწრაფით დაუბრუნდა, რომლითაც ადრე გაშიშვლდა.

ვკითხე, კიდევ ერთი, უფრო საფუძ-ვლიანი პაემანით ხომ არ დამაჯილდო-ებდა იმავე საღამოს. დამპირდა, რომ კუთხეში, კაფეს მახლობლად შემხვდე-ბოდა. დაუმატა, რომ თავისი პაწია სი-ცოცხლის განმავლობაში არავინ მოეტ-ყუებინა. ვერ მოვითმინე, რომ არ მეთქ-ვა, რა ეშხიანი ხარ-მეთქი, რაზეც მან თავმდაბლად მომიგო: „რა თავაზიანი ხარ, რომ ეს მითხარი“. შემდეგ კი, რო-დესაც ის შეამჩნია, რაც მე უკვე შევ-ნიშნე ჩვენი ვიწრო ედემის ამსახველ სარკეში (კერძოდ, ალერსის გამომხატ-ველი ულაზათო გრიმასა, რომელმაც პირი მომიღრიცა), გულმოდგინე მონი-კამ (ო, ის უთუოდ ნიმფეტი იქნებოდა თავის დროზე!) იკითხა, ტუჩებიდან სა-ღებავი ხომ არ მოეწმინდა დაწოლის წინ, თუკი მის კოცნას მოვინდომებდი. რა თქმა უნდა, მოვინდომებ. მასთან გა-ცილებით უფრო გავლაღდი, ვიდრე რო-მელიმე სხვა ჰეტერასთან. მონიკათი და მისი გრძელი წამწამებით გამოწვეული ჩემი იმღამინდელი შთაბეჭდილება რა-ღაც მხიარულს მაგონებს, იმ მოგონე-ბებისგან განსხვავებით, რომლებიც ჩემს დამამცირებელ, უბადრუკ და ულიმღამო სქესობრივ ცხოვრებასთანაა დაკავში-რებული. მას არაჩვეულებრივი კმაყო-ფილება გამოეხატა სახეზე, როდესაც შეპირებულ თანხას ორმოცდაათი ფრან-კი დავუმატე. ამის შემდეგ გოგონა აპ-რილის ღამის ჟიწყლში გაცუნცულდა, ტლანქი ჰუმბერტი კი მძიმედ გაჰყვა მის ვიწრო ზურგს. ვიტრინის წინ შე-ყოვნებისას მან დიდი სიამოვნებით წარ-მოთქვა: „წინდებს ვიყიდი“. ღმართმა და-მიფაროს, ოდესმე დავივიწყო პაწაწინა პარიზელი გოგონას ბალღური ტუჩებით გამოცემული მსკდომი ბგერა სიტყვაში „Bás“ ეს ისე მჟღერად გაისმა, რომ „a“ კინაღამ მოკლე „O“-დ არ ვადაიქცა.

ჩვენი შემდეგი პაემანი მეორე დღეს შედგა, ნაშუადღევს, ორ საათსა და თხუთმეტ წუთზე, ჩემს ბინაში. ის ნაკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებ დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა: ღამის განმავლობაში გოგონა თითქოს დაქალდა, უფროს კლასში გადავიდა, თანაც გაცივდა. მისგან სურდო გადამედო და მეოთხე შეხვედრა გავაუქმე — მეხაროდა კიდეც, რომ დავაოკე მზარდი გრძნობა, რომელსაც შეეძლო, სულისწამღები ზმანებებითა და დუნე გულგატეხილობით დავემძიმებინე. დაე, ის კრიალაკანიან წერწეტა მონიკად დარჩეს — ისეთად, როგორიც იმ ორი-სამი წუთის განმავლობაში იყო, როდესაც საქმიან ყმაწვილ მეძავში უპატრონო ნიმფეტი გამოსჭვიოდა.

მასთან ჩემმა ხანმოკლე ნაცნობობამ იმ აზრებამდე მიმიყვანა, რომლებიც უთუოდ ძალზე გასაგები იქნება საქმეში ჩახედული მკითხველისთვის. უხამს ჟურნალში გამოქვეყნებული განცხადებით ერთ ხელსაყრელ დღეს ვიღაც მადმუაზელ ედიტის კანტორაში აღმოვჩნდი. მან შემომთავაზა, ცხოვრების თანამგზავრი ამერჩია ერთობ ფორმალური ფოტოსურათების დასტიდან, რომელიც საკმაოდ გაქონილ ალბომში იყო თავმოყრილი („შეხეთ ამ შავგვრემან ლამაზ ქალიშვილს — უკვე საქორწინო კაბა აცვია"). როდესაც ალბომი გადავდე და უხეიროდ, ვაი-ვაგლახით გამოვთქვი ჩემი დანაშაულებრივი ოცნება, მან ისე შემომხედა, თითქოს კარში გაგდებას მიპირებდა. მაგრამ როდესაც დაინტერესდა, რა თანხის გადახდას ვაპირებდი, ინება და დამპირდა, გაეცნო პიროვნება, რომელიც საქმეს მოაკვარახჭინებდა. მეორე დღეს ასთმიანმა, სახეშეთითხნილმა, ლაქლაქა, ნივრის სუნით გაჟღენთილმა ქალმა, სასაცილო პროვანსული გამოთქმით რომ ლაპარაკობდა, იისფერ ტუჩებს კი შავი ულვაში უმშვენებდა, თავის სახლში წამიყვანა. იქ მან წინასწარ ხმაურით აკოცა შეერთებულ კოტიტა თითებს, რათა ხაზი გაესვა კოკორი ვარდივით სანუკვარი საქონლის ხარისხისთვის და სათეატრო მოძრაობით გადასწია ფარდა. ფარდის უკან აღმოჩნდა ოთახი, რომელიც, ყველა ნიშნის მიხედვით, დიდი და არამომთხოვნი ოჯახის საძინებელი უნდა ყოფილიყო. სცენაზე ახლა არავინ იმყოფებოდა საოცრად ჩასუქებული, შავტუხა, ამაზრზენად ულამაზო ქალიშვილის გარდა, რომელიც თხუთმეტი წლისა მაინც იქნებოდა. მძიმე შავ ნაწნავებში მუქი წითელი ლენტები ჰქონდა გაყრილი და ყალბი იერით უნანავებდა ქაჩალ თოჯინას. როდესაც უარყოფის ნიშნად თავი გავიქნიე და ხაფანგიდან გათავისუფლება ვცადე, მაჭანკალი სწრაფად ალაპარაკდა და გოლიათ ყმაწვილ ქალს პერანგის გახდა დაუწყო, რათა მისი მკერდი გაეშიშვლებინა. შემდეგ დარწმუნდა, რომ წასვლა გადავწყვიტე და მისი კუთვნილი ფული მოითხოვა. ოთახის სიღრმეში კარი გაიღო. ორი შავტუხა მამაკაცი გამოვიდა სამზარეულოდან, სადაც ისინი სადილობდნენ და კამათში ჩაერთვნენ. დაღრეცილი აღნაგობისა იყვნენ და შიშველი კისრები ჰქონდათ. ერთს შავი სათვალე ეკეთა, სადღაც მათ მიღმა ბუნდოვნად მოჩანდნენ პატარა ბიჭუნა და გათხუპნილი, კოჭლი ჩვილი. თავხედური ლოგიკით, რომელიც კოშმარების ნიშანია, გააფთრებულმა მაჭანკალმა შავსათვალიან მამაკაცზე მიუთითა და განაცხადა, რომ ის წინათ პოლიციაში მსახურობდა — ასე რომ უმჯობესია ჯიბეზე ხელი გაიკრაო. მივუახლოვდი მარიას (ეს მისი ვარსკვლავური სახელი იყო), რომელმაც ამ დროისთვის მშვიდად გადაანაცვლა თავისი მძიმე ბარძაყები საძინებელი ოთახის სკამიდან სამზარეულოს მაგიდასთან მდგარ ტაბურეტზე, რათა წვნიანის ჭამა განეგრძო, ჩვილი კი იატაკზე დაგდებულ მის თოჯინას დასწვდა. სიბრალულმა გარკვეული დრამატიზმი მიანიჭა ჩემს იდიოტურ ჟესტს — მარიას გულგრილ ხელებში ფული ჩავჩარე. მან ჩემი საჩუქარი ექს-მაძებარს ჩააბარა და წასვლის ნება დამრთეს.

7.

შესაძლოა, მაჭანკლის ალბომი ჩემი ბედის — გვირილების გირლანდის დამატებით წნულს წარმოადგენდა. ასე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ ისე, მალე ცოლის შერთვა გადავწყვიტე. წარმოვიდგინე, რომ მშვიდი ცხოვრება, შინაური კვება, ოჯახური ყოფის ყველა პირობითობა, ღამეული მოღვაწეობის პროფილაქტიკური ერთფეროვნება და — ვინ იცის — ზოგიერთი ზნეობრივი ფასეულობის, ზოგიერთი წმინდა სულიერი ერზაციის როლის გაზრდა დამეხმარებოდა, აღმეკვეთა ბიწიერი და საშიში სურვილები ან მშვიდად მაინც დამეძლია ისინი. მცირე ქონებამ, მამაჩემის სიკვდილის შემდეგ რომ დავესაკუთრე (ბევრი არაფერი — „მირანა" მან დიდი ხნის წინ გაყიდა) ჩემს განსაცვიფრებელ, თუმცა რამდენადმე ბრუტალურ, მამაკაცურ სილამაზესთან ერთად, საშუალება მომცა, თავდაჯერებით დამეწყო შესაბამისი ადამიანის ძებნა, როდესაც კარგად ავწონ-დავწონე, არჩევანი პოლონელი ექიმის ქალიშვილზე შევაჩერე. ეს გულკეთილი კაცი მეხმარებოდა, როდესაც წყვეტილი გულისცემა და თავბრუსხვევა მაწუხებდა. ზოგჯერ ჭადრაკს ვეთამაშებოდი; მისი ქალიშვილი მოლბერტს უჯდა და ჩემგან ნასესხებ თვალებსა და ხელებს იმ კუბისტურ სისულელეში ამატებდა, რომელსაც იმდროინდელი განათლებული ქალიშვილები ატმებისა და ცხვრების ნაცვლად ხატავდნენ. თავს ნებას მივცემ, წყნარად, მაგრამ დამაჯერებლად გავიმეორო: ჩემი უბედურების მიუხედავად, ვიყავი და ახლაც ვარ უაღრესად ლამაზი მამაკაცი, დინჯი მოძრაობებით, ფაფუკი შავი თმითა და ზორბა სხეულის რაღაცნაირი სევდიანი, მაგრამ მით უფრო მიმზიდველი მოყვანილობით. ამგვარი ვაჟკაცური გარეგნობის სუბიექტები გარეგნულად ხშირად მიუკარებლობითა და აგზნებულობით გამოირჩევიან, რაც ფარული განცდებითაა გამოწვეული. ასე მომივიდა მეც. საუბედუროდ, კარგად ვიცოდი, რომ ჩემი ხელის ერთ დაქნევას ნებისმიერი მოწიფული ქალი დაემორჩილებოდა; მივეჩვიე, ქალებისთვის არც ისე დიდი ყურადღება დამეთმო; მეშინოდა, რომ რომელიმე მათგანი წვენით გატიკნილი ნაყოფივით ზღარბთანს მოადენდა ჩემს ცივ წიაღზე. ამ ვგავდი ეგრეთ წოდებულ საშუალო ფრანგს, რომელსაც გამოპრანჭული ქალბატონები უყვარს, ასე რომ, არა გახელებულ ლამაზმანებს შორის, რომელნიც ჩემს პირქუშ კლდეს ეტლაშუნებოდნენ, ადვილად ვიპოვიდი ვალერიაზე გაცილებით მომზიბვლელ არსებას. მაგრამ არჩევანისას ვხელმძღვანელობდი იმ მოსაზრებებით, რომლებიც — ამას კი ძალზე გვიან მივხვდი — არსებითად დაიყვანებოდა უბადრუკ კომპრომისამდე. ყოველივე ეს ააშკარავებს, რაოდენ ბრიყვულად იქცეოდა საბრალო ჰუმბერტი საკუთარულო საქმეებში.

8.

თუმცა თავს ვუმტკიცებდი, რომ მხოლოდ სუბლიმირებული შეჭამანდი და ცოცხალი ქარქაში მჭირდებოდა, მაგრამ ვალერიაში მაინც პატარა გოგონას იმპერსონაციას მომწონდა. ის კი ბალღურად იმიტომ კი არ იქცეოდა, რომ საიდუმლოს მიმიხვდა; უბრალოდ, ასეთი იყო მისი საკუთარი სტილი — და მეც მახეში გავები. სინამდვილეში ეს გოგონა ოცდაათი წლისა მაინც იყო (მისი ზუსტი ასაკი ვერ იქნა, ვერ დავადგინე, რადგან თვით ვალერიას პასპორტიც ცრუობდა) და დიდი ხნის წინ გამოემშვიდობა ქალწულობას ისეთ ვითარებაში, მისი მეხსიერების განწყობის მიხედვით რომ იცვლებოდა. მე, ჩემი მხრივ, იმდენად გულუბრყვილო ვიყავი, როგორც შეიძლება იყოს მხოლოდ სექსუალური ნაკლის მქონე კაცი. ეს ფაფუკი და ანცი ვალერია გოგონასავით იცვამდა, უხვად აშიშვლებდა კრიალა ფეხებს, მაცდუნებდა ფეხსაცმლის შავი ხავერდის მეშვეობით მარჯვედ გამოკვეთილი ტერფის სითეთრით, ტუჩებს ბურცავდა, კანს აელვარებდა, ტიროლურ ქვედატანში გამოწყობილი ტრიალებდა და ძალზე ტრაფარეტულად აფრიალებდა მოკლე ქერა თმას.

რატუშაში სწრაფად დაგვაქორწინეს. შემდეგ ცოლი ახალ ბინაში მივიყვანე და რამდენადმე გავაოცე იმით, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვევნა-კოცნის დაწყებამდე ვაიძულე, უბრალო საბავშვო ღამის პერანგი ჩაეცვა. ის ობოლთა თავშესაფარში მოვიპარე ტანსაცმლის კარადიდან. ქორწინების პირველი ღამე საკმაოდ სასაცილო გამოდგა და ჩემმა გულმოდგინებამ ჩერჩეტი ქალი ისტერიკამდე მიიყვანა. მალე ჭეშმარიტებამ თავისი გაიტანა. ქერად შეღებილ კულულს შავი ძირი გამოეზარდა, გაპარსული წვივის ღინღლმა ჩხვლეტა დაიწყო, ხოლო მოძრავმა სველმა ტუჩებმა, თუმცა გულმოდგინედ ვცდილობდი მათ დატენას სიყვარულით, უბადრუკი მსგავსება გამოავლინა მისი გომბეშოსებრი გარდაცვლილი დედის პორტრეტის შესაბამის ნაწილთან. ქუჩის ფერმკრთალი მოზარდის ნაცვლად ჰუმბერტ ჰუმბერტს შერჩა ზორბა, ჩითქვირული, ფეხმოკლე, მკერდსავსე და სრულიად უტვინო დედაკაცი.

ეს მდგომარეობა 1935 წლიდან 1939 წლამდე გრძელდებოდა. ვალერიას ერთადერთ ღირსებას თვინიერება წარმოადგენდა. უცნაურია, მაგრამ ეს თვისება სიმყუდროვეს ანიჭებდა ჩვენს პატარა ოროთახიან ღარიბულ ბინას, რომლის ერთი ფანჯრიდან კვამლიანი ხედი მოჩანდა, მეორიდან კი აგურის კედელი; იყო ციცქნა სამზარეულო და ფეხსაცმლის ფორმის სააბაზანო. ამ უკანასკნელში თავი მარატად წარმომედგინა, თუმცა არსად ჩანდა თეთრკისერა გოგონა, რომელიც მომკლავდა. მე და ჩემმა ცოლმა ამ ბინაში არაერთი უშფოთველი საღამო გავატარეთ. ის თავის „პარისუარში" იყო ჩაფლული, მე კი მორყეულ მაგიდას ვუჯექი და ვმუშაობდი. დავდიოდით კინოში, ველოდრომზე, კრივის შეჯიბრებებზე. მის უგემურ ხორცს ძალზე იშვიათად ვიყენებდი, მხოლოდ უკიდურესი საჭიროების, უკიდურესი სასოწარკვეთილების წუთებში. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს საბაყლოს პატრონს პატარა ქალიშვილი ჰყავდა და ის მაგიჟებდა; თუმცა ვალერიას დახმარებით, ჩემი ფანტასტიური. გასაჭირიდან კანონიერ გამოსავალს მაინც ვპოულობდი. რაც შეეხება შინაურ კვებას, უსიტყვოდ უარვყავით შეჭამანდი და ბონაპარტეს ქუჩაზე მდებარე ვიწრო პატარა რესტორანში ვიკვებებოდით. აქ ერთი გრძელი მაგიდა იდგა, საერთო სუფრას ღვინის ლაქები აჩნდა და უპირატესად უცხოენოვანი მეტყველება ისმოდა. ჩვენს მეზობლად ანტიკვარის გაჭედილ ვიტრინაში გამოფენილი იყო შესანიშნავი, ფერადოვანი — მწვანე, წითელი, ოქროსფერი და მელნისფერ-ლურჯი — ესტამპი, რომელზეც გამოსახული იყო ორთქლმავალი ვეება საკვამურით, დიდი უცნაური ფარნებითა და უშველებელი საქონელჩამომგდებით. ის ტრამალების ქარიშხლიან ღამეში ციისფერ ვაგონებს მიაქროლებდა და ხშირ, შავ, ნაპერწკლებით აკიაფებულ კვამლს აბურძგნილ ღრუბლებს უერთებდა.

მათში რაღაცამ გაიელვა. 1939 წლის ზაფხულში ჩემი ამერიკელი ბიძა გარდაიცვალა. მან რამდენიმე ათასი დოლარის ოდენობის ყოველწლიური შემოსავალი დამიტოვა, იმ პირობით, რომ საცხოვრებლად შეერთებულ შტატებში გადავსახლდებოდი და მისი ფირმის საქმეებს ჩავუდგებოდი სათავეში. ამ პერსპექტივამ ფრიად მომხიბლა. ვგრძნობდი, რომ ჩემი ცხოვრება აუცილებლად უნდა შეცვლილიყო. იყო კიდევ რაღაც; ჩრჩილმა ადგილ-ადგილ ამოჭამა ცოლქმრული სიმყუდროვის პლუში. ბოლო დროს ვამჩნევდი, რომ ჩემი მსუქანი ვალერია როგორღაც შეიცვალა — უცნაური მოუსვენრობა დაეტყო, ზოგჯერ თითქოს კიდეც ღიზიანდებოდა და ეს არ შეესაბამებოდა იმ პერსონაჟის დადგენილ ხასიათს, რომელიც მას უნდა ეთამაშა ჩემს ცხოვრებაში. როდესაც შევატყობინე, რომ მალე ნიუ-იორკში უნდა გავმგზავრებულიყავით გემით, დადარდიანდა და ჩაფიქრდა. იყო მოსაწყენი ფუსფუსი ვალერიას საბუთების გამო. თურმე მას ნანსენის სულელური პასპორტი ჰქონდა და ვიზის მიღებას რატომღაც სულაც არ უწყობდა ხელს ქმრის შვეიცარული ქვეშევრდომობა. მის უხალისო და გულცივ განწყობილებას პრეფექტურაში ხანგრძლივი ლოდინის აუცილებლობითა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა უსიამოვნო საქმეებით ვხსნიდი. ვალერიაზე არავითარი ზემოქმედება არ იქონია ჩემს მიერ ამერიკის — ვარდისფერი ბავშვებითა და უზარმაზარი ხეებით გავსებული ქვეყნის — აღწერამ, თუმცა ცხოვრება იქ, ალბათ, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, ვიდრე მომაბეზრებელ, ნაცრისფერ პარიზში.

ერთ დილას (მისი საბუთები უკვე თითქმის მოგვარებული იყო) რომელიღაც ოფიციალური შენობიდან გამოვედით. უცებ ჩემ გვერდით მობაჯბაჯე ვალერიამ ფინიას მსგავსი თავის ენერგიული და უსიტყვო ქნევა დაიწყო. ჯერ ამას არავითარი ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ შემდეგ ვკითხე, რატომ გგონია, რომ იქ, შიგნით, რაიმე არის-მეთქი. მან მიპასუხა (მომყავს სლავური უკბილო ფრაზის ფრანგული თარგმანი): „ჩემს ცხოვრებაში არის სხვა ადამიანი“.

რა თქმა უნდა, ასეთი სიტყვები ქმარს მაინცდამაინც არ მოეწონებოდა. ვაღიარებ, რომ გავოგნდი. აქვე, ქუჩაში, ვერ ვცემდი, თუმცა ასე მოიქცეოდა ყოველი პატიოსანი მდაბიო. ფარული წამებით სავსე წლებმა მიმაჩვია თითქმის ზეადამიანურ თავშეკავებას. ამრიგად, მასთან ერთად საჩქაროდ ჩავჯექი ტაქსომოტორში, რომელიც უკვე რამდენიმე ხნის განმავლობაში ნელა მოგორავდა პანელის გასწვრივ, ისე, თითქოს გვეპატიჟებოდა. ამ შედარებით განმარტოებისას მშვიდად ვთხოვე, განემარტა თავისი უცნაური სიტყვები. სიშმაგე სულ უფრო მახრჩობდა — ო, არა იმიტომ, რომ ნაზ გრძნობებს განვიცდიდი მადამ ჰუმბერტად წოდებული საბალაგანო ფიგურის მიმართ, არამედ იმიტომ, რომ ჩემს გარდა არავის ჰქონდა უფლება, გადაეწყვიტა კანონიერი და უკანონო კავშირების პრობლემები. ვალერიამ, ფარსის ამ პერსონაჟმა, თავზედურად მოინდომა, თავისი ნება-სურვილის მიხედვით წარემართა ჩემი კეთილდღეობა და ბედ-იღბალი. მოვითხოვე, რომ სატრფო დაესახელებინა. შეკითხვა გავიმეორე, მაგრამ მას არ შეუწყვეტია ტაკიმასხრული ყბედობა და იმაზე ლაქლაქებდა თუ რა უგემური იყო ჩემთან. სასწრაფოდ სურდა დაცილება. „ვინ არის ის?“ — დავიყვირე ბოლოს და მუხლზე მუშტი დავკარი. ქალს წარბიც არ შეუხრია. ისე მომაჩერდა, თითქოს ძალზე მარტივ პასუხს ახსნა არც სჭირდებოდა. შემდეგ მხარი სწრაფად აიჩეჩა და მძღოლის მსუქან კეფაზე მიმითითა. ამ უკანასკნელმა მანქანა პატარა კაფესთან შეაჩერა და თავი გამაცნო. ვერ ვიხსენებ მის საცინარ გვარს, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ ჯერ კიდევ სრულიად მკაფიოდ წარმომიდგება გრძელულვაშა ჯმუხი რუსი, თეთრი არმიის ყოფილი პოლკოვნიკი, რომელსაც, ბუძგურად გაკრეჭილი თმა ჰქონდა (პარიზში, მის მსგავსად, არაერთმა ადამიანმა აირჩია ეს სულელური პროფესია). მაგიდას მივუსხედით, თეთრგვარდიელმა ღვინო შეუკვეთა, ხოლო ვალერიამ სველი ხელსახოცი მუხლზე დაიდო და კვლავ გაგრძელა ყბედობა. შეიძლება ითქვას, რომ მე კი არ მელაპარაკებოდა, არამედ ჩემში, ამ დიდებულ ჭურჭელში, იმგვარი თავშეუკავებლობით ყრიდა სიტყვებს, რაც ადრე არ შემიმჩნევია მასში. ამასთან, ხშირად პოლონურ ან რუსულ ფრაზებს სტყორცნიდა თავის აუღელვებელ სატრფოს. მდგომარეობა აბსურდული იყო და კიდევ უფრო აბსურდული გახდა, როდესაც ტაქსომოტორულმა პოლკოვნიკმა მეპატრონის ღიმილით შეაჩერა ვალერია და საკუთარი ვარაუდებისა და ზრახვების გადმოცემას შეუდგა. მან საძაგელი ფრანგული ენით აღწერა სიყვარულითა და შრომით აღსავსე სამყარო, სადაც თავის პატარა ცოლთან ერთად დამკვიდრებას აპირებდა. ჩვენ შორის მჯდომმა ვალერიამ ახლა თავის გალამაზებას მოჰკიდა ხელი: იღებავდა გამობურცულ ტუჩებს, თითებით წიწკნიდა და ასწორებდა ბლუზის წინა ნაწილს (ამ დროს ღაბაბი უსამმაგდებოდა) და ასე შემდეგ. ამ დროს პოლკოვნიკი ისე საუბრობდა ვალერიაზე, თითქოს ქალი ჩვენთან არ იმყოფებოდა და ობოლიც კი იყო. ეს ობოლი, მისსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვე სასიკეთოდ, ერთი ბრძენი მეურვისგან მეორესთან გადაჰყავდათ, რომელიც ყველაზე ბრძენი იყო. ჩემი უმწეო სიშმაგე, ალბათ, აზვიადებდა და ყალბებლა ყველა შთაბეჭდილებას, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ პოლკოვნიკი მშვიდად მეკითხებოდა რჩევებს ისეთ საკითხებზე, როგორიც იყო ვალერიას დიეტა, რეგულები, ტანსაცმელი, წიგნები, რომლებიც მან წაიკითხა ან უნდა წაეკითხა. მე მგონი, ამბობდა ის, „ჟან-კრისტოფი" უნდა მოეწონოს — თქვენ რას ფიქრობთ? ო, ეს ბატონი მაქსოვიჩი ნამდვილი ლიტერატურისმცოდნე იყო.

მისი ზუზუნი შევაჩერე და ვალერიას შევთავაზე, დაუყოვნებლივ ჩაელაგებინა უბადრუკი ბარგი-ბარხანა. წუნკალმა, პოლკოვნიკმა გალანტურად განაცხადა, რომ სიამოვნებით გადაიტანდა ბარგს თავის მანქანაში. ის ხელახლა შეუდგა თანამდებობის აღსრულებას და ჰუმბერტები, — მოსიე და მადამი, შინ წაიყვანა. მთელი ამ დროის განმავლობაში ვალერია ყბედობდა, ხოლო ჰუმბერტ მრისხანე ჰუმბერტ თვინიერს შინაგანად ეთათბირებოდა, სახელდობრ, ვინ უნდა მოეკლა ჰუმბერტ ჰუმბერტს — ცოლი თუ მისი სატრფო, თუ ორივე, თუ არავინ. მახსოვს, ერთხელ ჩემი თანაკურსელი სტუდენტის პისტოლეტი მოვიხელთე. ეს იყო ცხოვრების ერთი პერიოდი (მგონი, ეს დრო არ მიხსენებია, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს), როდესაც მისი პატარა დით (არაჩვეულებრივად სხივოსანი შაგბაბთიანი ნიმფეტით) დატკბობას და მერე თავის მოკვლას ვაპირებდი. ახლა კი თავს ვეკითხებოდი, ღირდა თუ არა ვალეჩკა (ასე უწოდებდა მას პოლკოვნიკი) იმად, რომ ტყვიით მომეკლა, მომეგუდა ან წყალში დამეხრჩო. მგრძნობიარე ხელ-ფეხი ჰქონდა და ამიტომ გადავწყვიტე, როგორც კი მარტო დავრჩებით, ძალზე მძაფრ ტკივილს მივაყენებ და ამით დავკმაყოფილდები-მეთქი.

მაგრამ ამის განხორციელება არ მეღირსა. ვალეჩკა ამ დროისთვის კოსმეტიკის ცისარტყელით გათხუპნილ ცრემლთა ნაკადებს ღვრიდა და სკივრში, ორ ჩემოდანსა და გამსკდარ კოლოფში ნივთებს ალაგებდა. სამთო ჩექმების ჩაცმას და გავაში პანღურის ამოკვრას, რა თქმა უნდა, ვერ განვახორციელებდი, სანამ წყეული პოლკოვნიკი იქვე ჯახირობდა. ვერ ვიტყვი, რომ უტიფრად იქცეოდა ან სხვა მსგავს რაიმეს აკეთებდა. პირიქით, დელიკატურ ძველებურ ზრდილობას იჩენდა (თითქოს იმ თეატრის გვერდით სცენაზე იმყოფებოდა, სადაც მე შემიტყუეს, თანაც თითოეულ მოძრაობას არასწორად გამოთქმულ ბოდიშებს ურთავდა (მაპატიეთ... შემიძლია თუ არა...) მან დიდი ტაქტით იბრუნა პირი, როდესაც ვალეჩკა თავის ვარდისფერ ქვედა საცვალს აბაზანაში გაბმული თოკიდან ხსნიდა; ეს არამზადა თითქოს ერთდროულად ყველგან იმყოფებოდა: საკუთარ აღნაგობას ბინის ანატომიას უთავსებდა, ჩემს სავარძელში ჩემსავე გაზეთს კითხულობდა, თოკის კვანძებს ხსნიდა, პაპიროსს ახვევდა, ჩაის კოვზებს ითვლიდა, საპირფარეშოში საქმობდა, თავის გომბიოს ეხმარებოდა თმის ელექტრული საშრობის (მამამისის საჩუქრის) შეხვევაში, ხოლო მისი ხარახურა ქუჩაში გაჰქონდა. გულხელდაკრეფილი ვიჯექი ფანჯრის რაფაზე. მოწყენილობისა და სიძულვილისგან სულს ვღაფავდი. ბოლოს ორივე გავიდა აზანზარებული ბინიდან — თითოეულ ნერვში დიდხანს ხმაურობდა ჩემ მიერ მიჯახუნებული კარის ვიბრაცია. მან ყვრიმალზე გარტყმული დამსახურებული სილაქის მაგივრობა შეასრულა, რომლითაც ამგვარ ქალს ეკრანზე დააჯილდოებდნენ კინოსურათების წესების მიხედვით. ჩემს როლს ტლანქად ვთამაშობდი — აბაზანისკენ გავემართე იმის შესამოწმებლად, ჩემი ინგლისური ოდეკოლონი ხომ არ წაიღეს-მეთქი; არა, არ წაეღოთ; ღვარძლიანი ზიზღისგან მოვიკრუნჩხე, როდესაც შევნიშნე — მეფის ყოფილ მრჩეველს საფუძვლიანად დაეცალა შარდის ბუშტი და წყალი არ ჩაეშვა. უცხო წარმომავლობის ურინის ეს საზეიმო გუბე, რომელშიც პაპიროსის მუქი-ყვითელი სველი ნამწვი იძენძებოდა, უდიდეს შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურაცხყოფად მომეჩვენა. გამხეცებულმა მივიხედ-მოვიხედე, იარაღს ვეძებდი. სინამდვილეში, ალბათ, სწორედ რუსულმა მეშჩანურმა ზრდილობამ (აზიური ელემენტის მინარევით) აიძულა კეთილი პოლკოვნიკი (მაქსიმოვიჩი! — მისი გვარი უეცრად კვლავ ჩემთან მოგორდა), ძალზე თავდაჭერილი კაცი (ისევე, როგორც ყველა რუსი), რომ ინტიმური მოთხოვნილება უხმაუროდ, ზრდილობის წესების დაცვით დაეკმაყოფილებინა. მან სხვისი ბინის ფართობის სიმცირეს ხაზი არ გაუსვა და საკუთარ მიყრუებულ ჩქერს წყლის ხმამაღალი ნაკადი არ დაუმატა. მაგრამ იმ წუთს ეს ვერ მოვისაზრე და, გააფთრებული, ღმუილით დავძრწოდი სამზარეულოში, რათა ცოცხზე უფრო არსებითი რამ მეპოვა. უცებ ყველაფერი ეს მივატოვე და სახლიდან გმირული განზრახვით გავვარდი — მსურდა, მუშტების იმედით თავს დავსხმოდი მას. თუმცა ფიზიკურად ლონიერი ვარ, მაგრამ მოკრივე როდი გახლავართ. ტანდაბალი, მაგრამ მხარბეჭიანი მაქსიმოვიჩი კი თუჯისგან ჩამოსხმული გეგონებოდათ. ცოლის გამგზავრება მხოლოდ ქუჩაში ტალახში მოელვარე სტრაზის ღილით აღბეჭდილიყო. ქუჩის სიცარიელემ, ალბათ, ცხვირის გატეხისგან გადამარჩინა. შესაბამის დროს შური მაინც ვიძიე: პასადენის ერთმა მკვიდრმა მითხრა, მისის მაქსიმოვიჩი, ქალიშვილობაში — ზბოროვსკაია, მშობიარობას გადაჰყვა 1945 წელსო. ის, ქმართან ერთად, საფრანგეთიდან კალიფორნიაში გადასახლდა, სადაც ორივენი მთელი წლის განმავლობაში ცნობილი ამერიკელი ეთნოლოგის მიერ ჩატარებული ცდის ობიექტებად იქცნენ (მშვენიერი ანაზღაურების ფასად): ცდის მიზანი იყო გამუდმებით ოთხით მბობღავი ადამიანის ბანანებითა და ფინიკებით კვებისას ინდივიდუალური და რასობრივი რეაქციების დადგენა. ცნობების მომწოდებელი ექიმი იყო და ირწმუნებოდა, რომ საკუთარი თვალით ნახა ისინი — ჩათქვირული ვალეჩკა და მისი პოლკოვნიკი, რომელიც გაჭაღარავებულიყო და გასუქებულიყო. ორივენი ბეჯითად დაბობღავდნენ გაპრიალებულ იატაკზე, გაჩახჩახებულ ოთახებში (ერთში ხილი იყო, მეორეში — წყალი, მესამეში — ქვეშაგები და ა. შ.). მათ გარდა აქ იმყოფებოდნენ სხვა დაქირავებული, ოთხზე მბობღავი არსებებიც, რომლებიც მოსახლეობის ხელმოკლე, უქონელ ფენებიდან იყვნენ შეკრებილნი. ვეცადე, ანთროპოლოგიურ ჟურნალში მომეძებნა ამ ცდების შედეგები, მაგრამ, ალბათ, ისინი ჯერ არ გამოექვეყნებინათ. რა თქმა უნდა, სამეცნიერო ნაყოფს გარკვეული დრო სჭირდება მოსამწიფებლად. ვიმედოვნებ, რომ მისი გამოქვეყნებისას ჟურნალი კარგი ფოტოსურათებით იქნება ილუსტრირებული, თუმცა ნაკლებად სავარაუდოა, რომ ციხის ბიბლიოთეკაში ამგვარი სამეცნიერო ნაშრომები მოიპოვებოდეს. ის, რომლითაც ახლა ვსარგებლობ, საუცხოო ნიმუშია უაზრო ეკლექტიზმისა, რომლითაც შერჩეულია წიგნები ამგვარ ბიბლიოთეკებში. აქ, რა თქმა უნდა, არის ბიბლია, დიკენსი (ფილიპაჩის მიერ გამოცემული ძველი მრავალტომეული, ნიუ-იორკი, MOCCL XXXVII), არის საბავშვო ენციკლოპედია (სადაც ნახავთ ტრუსებში ჩაცმულ მზისფერთმიანი გერლ-სკაუტების საკმაოდ სასიამოვნო ფოტოსურათებს) და აგატა კრისტის დეტექტიური რომანი „გამოცხადებული მკვლელობა", მაგრამ გარდა ამისა აქ შეკრებილია ისეთი უმნიშვნელო ნაწარმოებებიც, როგორიცაა პერსი ელფინსტონის „მაწანწალა იტალიაში" (მასვე ეკუთვნის „კვლავ ვენეცია", 1868) და შედარებით ახალი (1946) „ვინ ვინ არის" — მსახიობების, რეჟისორებისა და დრამატურგების ნუსხა, აგრეთვე — სტატიკურ სცენათა ფოტოსურათები. ამ უკანასკნელის დათვალიერებამ გუშინ ისეთი განსაცვიფრებელი თანხვდენით გამახარა, რომელსაც ლოგიკისი ვერ იტანს, პოეტი კი თაყვანს სცემს. გადავიწერე გვერდის დიდი ნაწილი:

ჰიმი, როლანდ. დაიბადა ლუნდიში, მასაჩუსეტსი, 1922. სასცენო განათლება მიიღო ელსინორის თეატრში, დერბი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიუ-იორკი. დებიუტი შედგა „გარღვეულ მზეში“. იმ მრავალ პიესას შორის, რომლებშიც მონაწილეობდა, მივუთითებთ: „მეზობელ კვარტალში“, „მწვანეკაბიანი ქალიშვილი“, „შენაცვლებული ქმრები“, „უცნაური სოკო“, „ბეწვზე დაკიდებული“, „ჯონ ლოვლი“, „დამესიზმრე“.

კუილტი, კლერ. ამერიკელი დრამატურგი. დაიბადა ოშან სიტიში, ნიუ-ჯერსი, 1911. დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი. თავდაპირველად მუშაობდა კომერციის ხაზით, მაგრამ შემდეგ პიესების წერა დაიწყო. ავტორია შემდეგი პიესებისა: „პატარა ნიმფები“, „მანდილოსანი, რომელსაც ელვა უყვარდა“ (ვივიან დამორ-ბლოკთან ერთად), „ბნელი წლები“, „უცნაური სოკო“, „მამის სიყვარული“ და სხვა. საყურადღებოა მისი მრავალი საბავშვო პიესა. ვიდრე „პატარა ნიმფამ“ (1940) ნიუ-იორკს მიაღწია, 14,000 მილის ხანგრძლივობის ტურნეს განმავლობაში იდგმებოდა, პროვინციაში ერთი ზამთრის განმავლობაში 280-ჯერ დაიდგა. საყვარელი გართობები: ნახევრად სარბოლი ავტომანქანები, ფოტოგრაფია, შინაური პატარა ცხოველები.

კვაინი, დოლორეს. დაიბადა 1882 წელს დეიტონში, ოჰაიო. სასცენო ხელოვნებას ეუფლებოდა ამერიკის აკადემიაში. დებიუტი შედგა ოტავაში 1900 წელს. ნიუ-იორკში დებიუტით წარსდგა 1904 წელს წარმოდგენაში — „ნუ ელაპარაკები უცხოებს“. ამის შემდგომ დაიკარგა პიესებში...

რა უსაშველო ტკივილით ვეწამები ჩემი საყვარელი გოგონას სახელის დანახვისას, აქაც კი, ვიღაც საზიზღარი კომედიანტი დედაბრის გვარის წაკითხვისას! ხომ შეიძლებოდა, ისიც მსახიობი გამხდარიყო! დაიბადა 1935 წელს, მონაწილეობდა (ვამჩნევ, რომ წინამორბედი პარაგრაფის ბოლოს შეცდომა მომსვლია — თუ შეიძლება, ნუ გამისწორებთ, პატივცემულო გამომცემელო) „მოკლულ დრამატურგში“. კვაინი-შვაინი. ბილწი-კუილწი. ო, ჩემო ლოლიტა, ახლა მხოლოდ სიტყვებით თამაში თუ შემიძლია.

9.

განქორწინება გაჭიანურდა, რის გამოც გამგზავრება გადავდე. დედამიწა უკვე მოიცვა კიდევ ერთი მსოფლიო ომის წყვდიადმა, როდესაც პორტუგალიაში გატარებული მოსაწყენი ზამთრისა და ფილტვების ანთების გადატანის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ამერიკის ნაპირებს მივაღწიე. ნიუ-იორკში ხალისით დავთანხმდი ბედის მიერ შემოთავაზებულ იოლ სამსახურზე. ის ძირითადად საპარფიუმერიო განცხადებების შეთხზვასა და რედაქტირებას გულისხმობდა. მომეწონა მისი ზედაპირული, ფსევდოლიტერატურული ხასიათი და დაუდევრად ვმუშაობდი, როდესაც მომეპრიანებოდა. მეორე მხრივ, ნიუ-იორკის ახალი, ომის პერიოდში შექმნილი უნივერსიტეტი მთხოვდა, დამესრულებინა ფრანგული ლიტერატურის შედარებითი ისტორიის სახელმძღვანელო. პირველ ტომზე მუშაობამ ორ წელს გასტანა, ამასთან, იშვიათად ვშრომობდი დღეში თხუთმეტ საათზე ნაკლებს. ეს პერიოდი ჩემს მეხსიერებაში ვრცელ ნათელ და ვიწრო ჩრდილოვან ნაწილებად იმიჯნება: სინათლე ბიბლიოთეკათა დარბაზებში წარმოებულ ძიებათა სიხარულს აღნიშნავს; ჩრდილი — ვნებებით გამოწვეულ ტანჯვას, უძილობას — ერთი სიტყვით, იმას, რის შესახებაც ზემოთ უკვე საკმარისად ითქვა. ჩემი ნაცნობი მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, მტვრიან სიცხეში რაოდენი გულმოდგინებით ვათვალიერებდი — სამწუხაროდ, ყოველთვის შორიდან — ცენტრალურ პარკში მოთამაშე ნიმფეტებს. ასეთივე სიმძაფრით მეზიზღებოდა დეკორატიული, დეზოდორებით გაჟღენთილი კანტორის მოსამსახურე ქალები და მდივნები, რომლებითაც ერთი ხუმარა ჩემს ცდუნებას ცდილობდა. სულიერი ძალების დამღუპველმა დასუსტებამ მაიძულა, ორი წელი სანატორიუმში გამეტარებინა; დავუბრუნდი სამუშაოს — და - მალე ისევ შეუძლოდ გავხდი.

ჯანმრთელობას მხოლოდ სუფთა ჰაერზე ხალისიანი ცხოვრება დამიბრუნებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემმა საყვარელმა ექიმმა, მომხიბვლელმა ცინიკოსმა, რომელსაც მოკლე შავი წვერი ჰქონდა, გამაცნო თავისი ძმა. ეს უკანასკნელი ექსპედიციის გაძღოლას აპირებდა კანადის პოლუსისპირა მხარეებში. მასთან განმაწესეს „ფსიქიკურ რეაქციებზე დამკვირვებლის“ თანამდებობაზე. დროდადრო ორი ახალგაზრდა ბოტანიკოსისა და ბებერი დურგლის კვალდაკვალ ვეწაფებოდი კვების ერთ-ერთი ჩვენი სპეციალისტის, ექიმ ანიტა ჯონსონის ფაფუკ სიტურფეს — ეს ქალი მალე თვითმფრინავით სამშობლოში დააბრუნეს, რასაც სიამოვნებით ვიხსენებ. ექსპედიციის მიზანში ვერ გავერკვიე. მასში მონაწილე მეტეოროლოგთა სიმრავლის მიხედვით შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩრდილოეთის ცთომილი და მერყევი მაგნიტური პოლუსისკენ გზას ვიკვალავდით მის ბუნაგში. ერთ-ერთმა ჯგუფმა კანადელთა დახმარებით მეტეოროლოგიური სადგური დააარსა პიერის ისარზე, მელვილის ზუნდში. ასევე შემცდარი მეორე ჯგუფი პლანქტონს აგროვებდა. მესამე — იკვლევდა კავშირს ტუბერკულოზსა და ტუნდრას შორის. ფილმების ფოტოგრაფ ბარტთან ერთად, ვისაც თავდაჯერების ნატამალიც კი არ გააჩნდა, რამდენიმე ხანს მაიძულებდნენ, გაძლიერებულად მემუშავა ფიზიკურად.

წინაკემბრიული გრანიტული სამყაროთი გარემოცულნი დასაშლელ ქოხებში ვცხოვრობდით. ბევრი რამ გვქონდა მომარაგებული — მოთხრობათა კრებულების კომპლექტი, ნაყინის სათქვეფი, ქიმიური კლოზეტები, ფერადი ქაღალდის ჩაჩები, რომლებიც შობის ზეიმზე უნდა დაგვეხურა. ცხოვრების ენით აუწერელი სიცარიელისა და მოწყენილობის მიუხედავად ძალზე კარგად გამოვმჯობინდი. არქტიკის უფერულ მცენარეთა — მეჩხერ ტირიფნარსა და ლიქენს — შორის მოსისინე ქარით გამსჭვალული ხშირად ვიჯექი მრგვალ ქვაზე, სრულიად გამჭვირვალე ცის (სადაც არაფერი მნიშვნელოვანი არ ჩანდა) ქვეშ და საკუთარი „მე“-სგან უცნაურ გაუცხოებას განვიცდიდი. ჩათქვირულ, პრიალა ჰაწაწინა ესკიმოს ქალებს მომცრო სანნები ზღვის გოჭებს მიუგავდათ, თევზის სუნი ასდიოდათ და ამაზრზენი, ყორნისფერი, სწორი თმა ჰქონდათ. ისინი კიდევ უფრო ნაკლებ გულისთქმას აღმიძრავდნენ, ვიდრე ჯონსონი.

ყინულების, დრუმლინების, გრემლინების, კრემლინების ანალიზი საქმის ჩემზე უკეთ მცოდნე ადამიანებს მივანდე და გარკვეული დროის განმავლობაში ვცდილობდი ჩამეწერა ის, რაც მიამიტობის გამო ფსიქიკური რეაქციები მეგონა (მაგალითად, შევამჩნიე, რომ შუაღამით მზის ნათებისას სიზმრები კაშკაშა შეფერილობას იძენდა, რაც ჩემმა ნაცნობმა ფოტოგრაფმა დამიმოწმა). გარდა ამისა, ჩემი ამხანაგები უნდა გამომეკითხა მრავალი მოვლენის შესახებ, როგორიცაა: ნოსტალგია, შიში უცნობი ცხოველების წინაშე, გასტრონომიული და სქესობრივი სურვილები, გართობის საყვარელი სახეები, საყვარელი რადიოპროგრამები, ცვლილებები აზროვნებაში და ასე შემდეგ. ყველაფერი ეს იმ ზომამდე მომბეზრდა, რომ მივატოვე — და მხოლოდ თორმეტთვიანი „პოლარული კატორღის“ (როგორც ერთ-ერთმა ბოტანიკოსმა იხუმრა) ბოლოს სახელდახელოდ დავწერე მთლიანად გამოგონილი და ძალზე შთამბეჭდავი პატაკი, ცნობისმოყვარე მკითხველი მას იპოვის 1945 ან 1946 წლის „მოზრდილთა ფსიქოფიზიკის ანალებში“, აგრეთვე „პოლარული გამოკვლევების“ იმ გამოშვებაში, ჩვენს ექსპედიციას რომ მიეძღვნა. დასასრულ, შევნიშნავ, რომ ექსპედიციას სინამდვილეში არავითარი მიმართება არ ჰქონდა ვიქტორიას კუნძულზე განლაგებულ სპილენძის საბადოსთან და მსგავს უმნიშვნელო მოვლენებთან, რაც შემდგომ გავიგე ჩემი გულთბილი ექიმისგან. მისი ჭეშმარიტი მიზანი გასაიდუმლოებული იყო. ამიტომ დავსძენ მხოლოდ, რომ როგორიც უნდა ყოფილიყო ეს მიზანი, ის მთლიანად განხორციელდა.

მკითხველი სინანულით გაიგებს, რომ ცივილიზებულ სამყაროში ჩემი დაბრუნების შემდგომ, მალე ხელახლა მომიხდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გონების დაბნელებასთან ბრძოლა (თუკი ეს უმოწყალო განსაზღვრა გამოსადეგია მელანქოლიისა და გაუსაძლისი ჭმუნვის აღსანიშნავად). საბოლოოდ გამომაჯანმრთელა აღმოჩენამ, ძალზე ძვირადღირებულ სანატორიუმში ყოფნისას რომ გავაკეთე. ჯანსაღი გართობის უშრეტი წყარო იმაში აღმოვაჩინე, რომ ფსიქიატრს ვატყუებდი და ეშმაკურად კვერს ვუკრავდი. არასოდეს შეუმჩნევიათ, რომ ყველა მათი ოინი ჩემთვის ცნობილი იყო ექიმების საამებლად წმინდა კლასიკური სტილის წინასწარმეტყველურ სიზმრებს ვთხზავდი (რომელთა გავლენით სიზმართა ეს გამომძალველები თვითონაც სიზმრებით იტანჯებოდნენ და ღამღამობით ყვირილით იღვიძებდნენ), ვაღიზიანებდი მშობლების სქესობრივი თანაცხოვრების თითქოსდა ფარულად ნანახი სცენების შესახებ ყალბი მოგონებებით და საშუალებას არ ვაძლევდი, თუნდაც ბუნდოვანი წარმოდგენა შექმნოდათ მათი პაციენტის ნამდვილ გასაჭირზე. მოწყალების და მოვისყიდე და საავადმყოფოს არქივებში შევაღწიე. იქ სიცილით წავიკითხე, რომ პოტენციური ჰომოსექსუალისტი და აბსოლუტური იმპოტენტი ვიყავი. ეს გართობა მეტად შემაქცევარი იყო და იმდენად კეთილისმყოფელი ზეგავლენა მოახდინა ჩემზე, რომ გამოჯანსაღების შემდეგ იქ კიდევ ერთი თვე გავატარე (ამასთან, შესანიშნავად მეძინა და ისეთი მადა მქონდა, მოსწავლე გოგონებს რომ სჩვევიათ). ამის შემდეგ კიდევ ერთი კვირა დავიმატე, რათა „ადგილგადანაცვლებულ პირთა“ რიცხვში მოხვედრილ მძლავრ ახალ პროფესორს, ანუ დი-პი-ს („დემენტია პრეკოქსი“), გავჯიბრებოდი. ეს სახელგანთქმული მკურნალი იმით იყო ცნობილი, რომ შეეძლო ავადმყოფის დარწმუნება, საკუთარი ჩასახვა გახსოვსო.

10.

საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ გადავწყვიტე, ახალ ინგლისში მომეძებნა სოფელი ან რომელიმე ძილმორეული ქალაქი (თელამუშები, თეთრი ეკლესია), სადაც ლიტერატურულ ზაფხულს გავატარებდი, დაგროვილი ჩანაწერების გუდას დავამუშავებდი და მახლობელ ტბაში ვიბანავებდი. სახელმძღვანელოზე მუშაობამ ხელახლა გამიტაცა, ხოლო ბიძაჩემის სიკვდილის შემდეგდროინდელ კეთილსურნელებაში მონაწილეობა იმ დროისთვის მინიმუმამდე დავიყვანე.

ბიძაჩემის ერთ-ერთმა ყოფილმა მოსამსახურემ, პატივცემული გვარის ნაშიერმა, შემომთავაზა, რამდენიმე თვით მისი გაღარიბებული ნათესავების აგარაკზე დავსახლებულიყავი. ამ ნათესავებს, რომელთა გვარი მაკ-კუ იყო, სურდათ, გაექირავებინათ სახლის ზედა სართული, სადაც გარდაცვალებამდე დარბაისლურ ცხოვრებას ეწეოდა აქ შეჭუჭკული მოხუცი დეიდა. ბიძაჩემის მოსამსახურე მომიყვა, რომ მაკ-კუს ორი ქალიშვილი ჰყავდა, ერთი სულ პატარა, მეორე — თორმეტი წლისა. მათვე ეკუთვნოდათ საუცხოო ტბის ახლოს გაშენებული საუცხოო ბაღი და მე მივუგე, რომ ყველაფერი ეს სრულიად სრულყოფილ ზაფხულს მოასწავებდა.

მიწერ-მოწერა გავმართეთ და ბატონი მაკ-კუ დავარწმუნე, რომ კუთხეებში მოსკორვა არა მჩვეოდა. მატარებელში ფანტასტიკური ღამე გავატარე: ვცდილობდი, წარმომედგინა ყველა საკარაუდო დეტალი იდუმალი ნიმფეტისა, რომელსაც ფრანგულ ენასა და ჰუმბერტულ ალერსში გავწვრთნიდი. როდესაც მატარებლიდან პაწაწინა სადგურში ჩემი ახალი ჩემოდნით გამოვედი, არავინ დამხვდა. არც ტელეფონი აიღო ვინმემ. რამდენიმე ხნის შემდეგ მომწვანო-ვარდისფერი რამზდელის ერთადერთ სასტუმროში გამოცხადდა ნირწამხდარი, დასველებული მაკ-კუ და მაუწყა, რომ მისი სახლი ეს-ესაა მთლიანად დაიწვა — შეიძლება, იმავდროული ხანძრის გამოისობით, რომელიც მთელი ღამის განმავლობაში ჩემს ძარღვებში გიზგიზებდა. მაკ-კუმ ამიხსნა, რომ მისი ცოლი, გოგონებთან ერთად, საოჯახო ავტომანქანით გაემგზავრა მათ რომელიღაც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზე, მაგრამ ცოლის მეგობარი, ქალბატონი ჰეიზი, შესანიშნავი ქალი (342 ლოუნ სტრიტი), მზადაა, მომაქირაოს ოთახი. ქალბატონ ჰეიზის პირდაპირ მცხოვრებმა დედაბერმა მაკ-კუს ათხოვა თავისი ვეება ადამისდროინდელი ლიმუზინი, რომელსაც ოთხკუთხა სახურავი ჰქონდა. მანქანას მხიარული ზანგი მართავდა. გავიფიქრე, რომ რაკი რამზდელში ჩემი ჩამოსვლის ერთადერთი მიზეზი გაქრა, შემოთავაზებულ ახალ ბინაზე დათანხმება, უბრალოდ, სისულელე იქნებოდა. რა მენაღვლებოდა, თუ მაკ-კუს ხელახლა უნდა აეშენებინა სახლი, რომელიც აუცილებლად საიმედოდ იქნებოდა დაზღვეული. გაღიზიანებული, გულგატეხილი და მოწყენილი გახლდით, მაგრამ ზრდილი ევროპელი ვიყავი და წინააღმდეგობა ვერ გავუწიე იმას, რომ ამ სამგლოვიარო ლიმუზინით წავეყვანე ლოუნ-სტრიტზე. გარდა ამისა, ვგრძნობდი, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, მაკ-კუ ჩემს პერსონაზე მეურვეობის რაიმე სხვა, უფრო რთულ ხერხს მოიგონებდა. ვხედავდი, როგორ გაცუნცულდა ის და როგორ გადააქნია თავი ჩემმა შოფერმა ოდნავი ღიმილით. მგზავრობისას გამუდმებით ვეფიცებოდი ჩემს თავს, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავრჩებოდი რამზდელში და იმავე დღეს გავფრინდებოდი ბერმუდის, ბაჰამის ან ჯანდაბის კუნძულებზე. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ზღვის კურორტების ფერად ფოტოსურათებთან დაკავშირებული ზოგიერთი ნეტარებით აღსავსე შესაძლებლობის გამო ხერხემალში ჟრუანტელი მივლიდა. მართალი რომ გითხრათ, სწორედ მაკ-კუს კეთილგანზრახული, მაგრამ, როგორც ახლა გამოირკვა, აბსოლუტურად განუხორციელებელი წინადადების შედეგად ჩემმა ყურადღებამ უეცრად გადაუხვია ამ გეგმებს და სხვა საგანზე გადაინაცვლა.

რაც შეეხება უეცარ გადახვევებს: როგორც კი ლოუნ სტრიტზე გადავუხვიეთ, კინაღამ გარეუბნის აბეზარი ძაღლი გავეჭყლიტეთ (ერთ-ერთი იმათთაგანი, ავტომანქანებს რომ უსაფრდებიან ხოლმე). გამოჩნდა ჰეიზების სახლი, — ფიცრული, შეთეთრებული, საშინელი, სიძველისგან გაცრეცილი, უფრო რუხი, ვიდრე თეთრი. ცნობილია, რომ ამგვარ საცხოვრებელში შხაპის ნაცვლად აბაზანის ონკანზე ოყნის მილია ჩამოცმული. მძღოლს ფული მივეცი და ვინატრე, სწრაფად დაეძრა მანქანა — ეს საშუალებას მომცემდა, მაშინვე შეუმჩნევლად გამეხვია სასტუმროსკენ, ჩემოდნის ასაღებად; მაგრამ ის უბრალოდ მოპირდაპირე სახლს მიადგა, რომლის ვერანდიდანაც ბებერი მისს ვიზავი ეძახდა. რა მექნა? კარის ღილაკს თითი დავაჭირე.

შავკანიანმა მოახლემ შემიშვა და ასე, ფეხსაწმენდზე მდგომი, დამტოვა. თვითონ სამზარეულოსკენ გაქანდა; იქ რაღაც იწვოდა.

წინკარს ამშვენებდა კარზე დასაკიდი ზანზალაკების აცმა, აგრეთვე — მექსიკური წარმომავლობის, ტურისტებისთვის განკუთვნილი ხის თეთრთვალა ურჩხული და ვან გოგი („არლელი ქალი") — ბურჟუაზიული კლასის დახვეწილი ნაწილის ბანალური ნებიერი.

მარჯვენა მხარეს, გაღებულ კარში, მოჩანდა სასტუმრო ოთახის კუთხე, სადაც მინის კარადაში დამატებითი მექსიკური სისულელე გამოეფინათ. კედელთან ზოლიანი დივანი იყო მიდგმული. წინკარის სიღრმეში კიბე დავინახე და, სანამ გაოფლილ შუბლს ცხვირსახოცით ვიწმენდდი (მხოლოდ ახლა მივხვდი თუ როგორ ცხელოდა გარეთ) და აქ შემთხვევით მოხვედრილ საგანს — ხის სკივრზე დაგდებულ ნაცრისფერ ტენისის ბურთს ვუცქერდი, — კიბის ზედა ბაქნიდან ქალბატონ ჰეიზის კონტრალტო გაისმა. თვით ქალბატონი მოაჯირზე გადმოიხარა და მელოდიურად იკითხა: „ეს მოსიე ჰუმბერტია?" — რის შემდეგაც ზემოდან პაპიროსის ცოტაოდენი ფერფლი გადმოცვივდა. მალე თვით მანდილოსანი (სანდლები, მუქი წითელი შარვალი, აბრეშუმის ყვითელი ბლუზი, რამდენადმე მართკუთხა სახე — ამ თანმიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევრობით) ჩამოვიდა, საჩვენებელ თითს ჯერ კიდევ უკაკუნებდა პაპიროსს.

სჯობს, ქალბატონი ჰეიზი აქვე აღვწერო, რათა ის თავიდან მოვიცილოთ. საბრალო მანდილოსანი ოცდათხუთმეტი წლისა იყო, გადატკეცილი შუბლი, ამოქნილი წარბები და სახის ძალზე უბრალო, თუმცა მიმზიდველი ნაკვთები ჰქონდა. გარეგნობის ეს ტიპი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მარლენ დიტრიხის სუსტი ხსნარი. მან სასტუმროთახში შემიყვანა, თან ხელს ისვამდა კეფაზე, ბრინჯაოსფერ შინიონზე. ერთი წუთის განმავლობაში ვსაუბრობდით მაკ-კუს დამწვარი სახლისა და რამზდელში ცხოვრების უპირატესობების შესახებ. მისი ფართოდ დასმული აკვამარინისფერი თვალები თანამოსაუბრის მზერას ერიდებოდნენ, მაგრამ თავით ფეხამდე ათვალიერებდნენ მას. ქალის ღიმილი ცალი წარბის გაოცებულ აწევაზე დაიყვანებოდა; ლაპარაკისას ის თითქოს სხეულის რგოლებს შლიდა — დივანიდან ფრთხილად გადმოიწეოდა სამი საფერფლისა და ბუხრის (რომელზეც ვაშლის ყავისფერი გული იდო) მიმართულებით, რის შემდეგაც ხელახლა გადაწვებოდა და ცალ ფეხს მოიკეცავდა ხოლმე. მისის ჰეიზი აშკარად მიეკუთვნებოდა იმ ქალთა რიცხვს, რომელთა გაპრიალებულ სიტყვებში გამოსჭვიეის კითხვის მოყვარულ ან ბრიჯის მოთამაშე მანდილოსანთა წრის ზეგავლენა, სული კი არასოდეს ვლინდება. ისინი სრულიად მოკლებულნი არიან იუმორს და, არსებითად, გულგრილად ეკიდებიან სალონური საუბრის მათთვის ცნობილ ათ-თორმეტ თემას. ამასთან, ამგვარი ქალები მიზეზიანობას იჩენენ საუბრის წესების გამო, რომელთა მზიურ ცელოფანში აშკარად მოჩანს ღრმად ჩამარხული, გულში ჩაკლული და არცთუ სასიამოვნო ამბები. კარგად მესმოდა, რომ თუ გარემოებათა არაჩვეულებრივი დამთხვევის შედეგად მისი მდგმური გავხდებოდი, ის მეთოდურად დაიწყებდა ჩემგან იმგვარი მდგმურის ძერწვას, მის წარმოდგენებს რომ შეესაბამებოდა. შეეძლო, ერთ-ერთ ისეთ მომაბეზრებელ სასიყვარულო ისტორიაში ჩავეთრიე, რომლებსაც ეგზომ კარგად ვიცნობდი.

თუმცა ლაპარაკიც ზედმეტი იყო იმაზე, რომ აქ დავსახლებულიყავი. ვერ წარმომედგინა, რომ შესაძლებელი იყო ბედნიერი ცხოვრება სახლში, სადაც ყოველ სკამზე დაძენძილი ჟურნალი ეგდო და თანამედროვე ფუნქციური ავეჯის საძაგელი კომედია ერწყმოდა ტრაგედიას ძველი სარწეველა სავარძლებისა და მერყევი მაგიდებისა, რომლებზეც მკვდარი ლამპები იდგა. მადამ ჰეიზმა ზემოთ და მარცხნივ, „ჩემი" ოთახისკენ წამიყვანა. დავათვალიერე ჩემი უარის ნისლში გახვეული ეს სამყოფელი, მაგრამ ნისლის მიუხედავად, „ჩემი" საწოლის თავზე შევამჩნიე რენე პრინეს „კრეიცერის სონატის" რეპროდუქცია. მსახურთათვის განკუთვნილ ამ ხუხულას მადამ ჰეიზი „ნახევარსტუდიას" უწოდებდა! სასწრაფოდ წადი აქედან, დავუყვირე გონებაში ჩემს თავს და ისეთი გამომეტყველება მივიღე, თითქოს მეტისმეტად დაკლებული ფასის შესახებ ვფიქრობდი, რომელსაც დიასახლისი ოცნებითა და მრისხანე იმედით ითხოვდა სრული პანსიონისთვის.

ძველებურმა ზრდილობამ მაიძულა, წამება გამეგრძელებინა. კიბის ბაქანი გავიარეთ და სახლის მარჯვენა მხარეს გადავინაცვლეთ („აქ მე ვცხოვრობ, ეს კი ლოს სამყოფელია" — ლო, ალბათ, მოახლეა-მეთქი, ვიფიქრე). მდგმურმა-მიჯნურმა ჟრჟოლა ძლივს შეიკავა, როდესაც მას, ძალზე დახვეწილ მამაკაცს, წინასწარ უჩვენეს ერთადერთი აბაზანა. ის სახლის ერთ-ერთ კუნჭულში იყო მოთავსებული (კიბის ბაქანსა და უკვე მოხსენიებულ ლოს ოთახს შორის). მასში ფორმადაკარგული, სველი ტანსაცმელი ეკიდა არცთუ ისე სუფთა აბაზანის თავზე, რომელიც ჩარჩენილი თმის ბეწვის კითხვითი ნიშნით იყო შემკული; სწორედ აქ დამხვდა წინასწარ ნაგულისხმევი რეზინის გველის ხვეულები და მეორე, რაღაცით მისი მონათესავე საგანი: ხაოიანი ვარდისფერი ქეჩა, კეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუცად რომ ფარავდა კლოზეტის სახურავს.

„ვხედავ, რომ ხელსაყრელი შთაბეჭდილება ვერ დავტოვეთ თქვენზე“, თქვა ჩემმა მანდილოსანმა და ხელი მოწყვეტით ჩამოაგდო ჩემს სახელოზე. მასში გულცივი სიყოჩაღე (მოჭარბებული თვისება, რომელსაც მგონი „მშვიდ გრაციას“ უწოდებენ) ერწყმოდა უჩვეულო კდემამოსილებასა და კაეშანს. ამის გამო განსაკუთრებული გულმოდგინება, რომლითაც ის სიტყვებს ირჩევდა, დიქციის მასწავლებლის ინტონაციასავით არაბუნებრივი გეჩვენებოდათ. „ჩვენი სახლი არც ისე სუფთაა, ვაღიარებ“, — განაგრძობდა ბედშავი, განწირული ქალი — „მაგრამ გარწმუნებთ (აქ ჩემი ბაგეები ალმაცერად შეათვალიერა), რომ კარგად იცხოვრებთ, ძალიან კარგად. მოდით, სასადილო ოთახსა და ბადსაც გიჩვენებთ“ (უკანასკნელი სიტყვა უფრო ცქვიტად წარმოთქვა და ხმა თითქოს მაცდუნებლად მოიქნია).

უხალისოდ გავყევი მას და ქვედა სართულში ჩავედით, გავიარეთ წინკარი, სამზარეულო, რომელიც სასადილო და სასტუმრო ოთახების მახლობლად, სახლის მარჯვენა ნაწილში იყო განლაგებული (მაშინ, როდესაც წინკარისგან მარცხნივ, „ჩემი“ ოთახის ქვეშ, გარაჟის გარდა არაფერი იყო). სამზარეულოში მყოფმა ჩასკვნილმა ახალგაზრდა ზანგმა ქალმა უკანა პარმაღზე გასასვლელი კარის სახელურიდან დიდი ბრჭყვიალა შავი ჩანთა ჩამოხსნა და ჩაილაპარაკა: „ახლა კი წავალ, მისის ჰეიზ“. „კარგი, ლუიზა“, ამოიოხრა ქალბატონმა. „პარასკევს გადაგიხდი ფულს“. ჭურჭლისა და პურის შესანახად განკუთვნილი პატარა ოთახი გავიარეთ და სასადილო ოთახში აღმოვჩნდით. მის გვერდით ის სასტუმრო ოთახი იყო განლაგებული, რომლის ცქერითაც ეს-ესაა ვტკბებოდი. იატაკზე თეთრი წინდა შევამჩნიე. ქალბატონმა ჰეიზმა უკმაყოფილოდ ამოიხვნეშა, წინდის ასაღებად დაიხარა და რომელიღაც კარადაში შეაგდო. ჩვენ გაკვრით შევათვალიერეთ წითელი ხის მაგიდა, რომლის შუაგულში ხილის ვაზა იდგა. ვაზაში არაფერი იდო ქლიავის ერთადერთი, ჯერ კიდევ პრიალა კურკის გარდა. ჯიბეში მატარებლის მოძრაობის განრიგი მოვსინჯე და შეუმჩნევლად ამოვიღე, რათა ხელსაყრელ მომენტში გავცნობოდი. ქალბატონ ჰეიზთან ერთად სასადილო ოთახი გადავჭერი და მის ბოლოში უეცრად სიმწვანემ გამოანათა. „აი ვერანდაც“, წაიმღერა ჩემმა მეგზურმა და შემდეგ ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, გულქვეშ ზღვის ცისფერი ტალღა ამოიბურცა — ვერანდაზე დაფენილ ჭილის ხალიჩაზე, მზის წრიდან, ნახევრად შიშველი, მუხლებზე დაჩოქილი რივიერისდროინდელი ჩემი სიყვარული ჩემკენ მოტრიალდა და შავი სათვალის ზემოდან გადმომხედა.

ეს იგივე ბალღი იყო — ისეთივე ნატიფი, თაფლისფერი მხრები, ისეთივე გლუვი, მოქნილი, შიშველი ზურგი, ქერა თმის ისეთივე ფაფარი. მკერდზე მოხვეული თეთრკოპლებიანი შავი თავსაფარი ჩემს ბებერ გორილასებრ თვალებს — მაგრამ არა უბერებელ მეხსიერებას — უმალავდა ოდნავ აკოკრილ მკერდს, რომელსაც ასე ვეფერებოდი იმ უკვდავ დღეს. პაწაწინა პრინცესას (რომელიც დაიკარგა, მოიტაცეს, ბოშის ძონძებით შემოსილი იპოვეს და ამ ძონძებიდან მეფესა და მაძებრებს მისი სიშიშვლე უცინის) გადიას მსგავსად, ვიცანი მუქი ყავისფერი პატარა ხალი მის თეძოზე. შიშის ზარითა და აღტყინებით (მეფე სიხარულისგან ქვითინებს, გაისმის ბუკის ხმა, გადია მთვრალია) კვლავ ვიხილე წარმტაცი შეწეული მუცელი, რომელზეც სამხრეთისკენ მიმართული ჩემი ბაგეები გზად შევაყოვნე, და ეს ბიჭური თეძოები, რომლებზეც ტრუსების რეზინისგან დატოვებულ დაკბილულ ანაბეჭდს ვკოცნიდი — იმ გიჟმაჟ, უკვდავ დღეს, ეარდისფერ კლდეებთან. საუკუნის მეოთხედი, რომელმაც იმ დღიდან განვლო, დავიწროვდა, ათრთოლებულ წვეტად გადაიქცა და გაქრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალზე მიჭირს, შესატყვისი სიმძაფრით გამოვხატო მისი ცნობით გამოწვეული ეს მხურვალე ბიძგი, ეს აფეთქება, ეს ერუფლა. მზით გაჟღენთილ ამ წამს, რომლის განმავლობაში ჩემმა მზერამ მოასწრო გოგონას სხეულზე თვალის შევლება (ის მკაცრი შავი სათვალის ზემოდან მიყურებდა, წამწამებს ახამხამებდა — ო, პატარა ბატონო ექიმო, ყველა ტკივილისგან ჩემი განკურნება შენ გხვდა წილადა) და როდესაც, სიმწიფის ნიღაბაფარებული, ვუახლოვდებოდი, ჩემმა ცარიელმა სულმა მოასწრო მისი უზადო მშვენიერების ყველა დეტალის შესრუტვა და გარდაცვლილი საცოლის ნაკვთებთან შედარება. უეჭველია, მოგვიანებით ის, ეს ახლად აღმოჩენილი ვარსკვლავი, ეს ლოლიტა, ჩემი ლოლიტა, მთლიანად დაჩრდილავდა თავის პროტოტიპს. მსურს, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამერიკულ ვერანდაზე ხილული გამოცხადება სხვა არაფერი იყო თუ არა ტანჯულ სიყრმეში მოზმანებული ზღვის პირას მდებარე სამთავროს შედეგი. ყოველივე, რაც ამ ორ მოვლენას შორის მოხდა, მრავალ ბრმა ძიებაზე, შეცდომასა და სიხარულის ყალბ ჩანასახოვან ფორმებზე დაიყვანებოდა. ის, რაც ამ ორ არსებას ამსგავსებდა, აერთიანებდა მათ ჩემს თვალში.

თუმცა არავითარი ილუზია არა მაქვს, ჩემი მოსამართლეები ზემონათქვამში მხოლოდ იმ შეშლილის მანჭვა-გრეხას დაინახავენ, რომელსაც უბრალოდ, უმწიფარი ნაყოფი უყვარს. ბოლოს და ბოლოს, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ვიცი მხოლოდ, რომ სანამ ქალბატონი ჰეიზი და მე სულგანაბულ ბაღში ჩავდიოდით, მუხლები მოლივლივე წყალში არეკლილ მუხლებს მიგავდა, ბაგეები კი ქვიშას.

„ეს ჩემი ლო იყო, — თქვა მან. — ეს კი ჩემი შროშანებია".

„დიახ, — მივუგე მე. — დიახ. ისინი საოცარია, საოცარი, საოცარი".

11.

მეორე ექსპონატია შავი ხელოვნური ტყავისგან დამზადებული უბის წიგნაკი, რომლის მარცხენა, ზედა კუთხეში კიბისებური ტვიფრული წარწერაა — 1947. ბლანკის ფორმის (ბლანქტონი, მასაჩუსეტსი) ამ კოხტა ნაკეთობას ისე აღვწერ, თითქოს მართლაც ჩემ წინ იდოს. სინამდვილეში წიგნაკი ხუთი წლის წინ მოვსპე და ის, რასაც ახლა განვიხილავთ (მნემოზინას თავაზიანობის წყალობით), მხოლოდ მყისიერი ხორცშესხმა ან ფენიქსის ბუდიდან გადმოვარდნილი უსუსური ბარტყია.

სიცხადე, რომლითაც დღიურს ვიხსენებ, იმით აიხსნება, რომ ის ორჯერ დავწერე. პირველად დიდი ფორმატის ბლოკნოტით ვსარგებლობდი, მის ასახევ ფურცლებზე ფანქრით ვწერდი, ვასწორებდი და ვფხეკდი; ყოველივე ეს, ზოგიერთი შემოკლებით, შავ წიგნაკში გადავიწერე ძალზე წვრილი და ძალზე ეშმაკეული ხელწერით.

მაისის ოცდაათი ნიუ-ჰამპშირში ოფიციალურად სამარხვო დღედაა გამოცხადებული, მაგრამ კაროლინაში ეს, მგონი, ასე არაა. 1947 წლის ამ დღეს ეგრეთ წოდებული „კუჭ-ნაწლავის ინფლუენცას" გავრცელების გამო, რამზდელის ქალაქის გამგეობამ უკვე საზაფხულოდ დახურა სკოლები. ცოტა ხნით ადრე ჰეიზების სახლში დავბინავდი და დღიურში, რომელიც ახლა უნდა გავაცნო მკითხველს (იმ მზვერავის მსგავსად, რომელიც ზეპირად ყვება გადაყლაპული პატაკის შინაარსს), ივნისის უმეტესი ნაწილია აღწერილი. მკითხველს შეუძლია, 1947 წლის ადგილობრივი გაზეთების ნომრებში შეამოწმოს ჩემი შენიშვნების სისწორე ამინდზე.

ხუთშაბათი. ძალიან ცხელა. ხელსაყრელი სათვალთვალო პუნქტიდან (საბაზანო ოთახის ფანჯრიდან) დავინახე, რომ ეზოს მოპირდაპირე მხარეს ვაშლისფერ-მომწვანო შუქით განათებული დოლორესი თოკიდან თეთრეულს ხსნიდა. გამოვედი, თითქოსდა ვსეირნობდი. მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯრედებიანი პერანგი, კოვბოური ლურჯი შარვალი და ტილოს ფლოსტები ეცვა. მზის მრგვალი ათინათებით აჭრელებული გოგონა თავისი ყოველი მოძრაობით თითქოს ჩემი მდაბალი არსების ყველაზე იდუმალსა და მგრძნობიარე სიმს ეხებოდა. ცოტა ხნის შემდეგ ის უკანა პარმაღის ქვედა საფეხურზე ჩამოჯდა, ჩემს მახლობლად, და ტერფებს შორის დაყრილი კენჭების — წვეტიანი, წვეტიანი კენჭების შეგროვებას შეუდგა, მერე მათ რძის ბოთლის გრეხილი ნატეხი დაუმატა, რომელიც გახელებული ცხოველის ტუჩს წააგავდა. იქვე თუნუქელა ეგდო და მას ესროდა. ძინკ. უკვე მეორედ ვერ ახვედრებ, — რა საშინელი წამებაა, — ვერ ახვედრებ. ძინკ. შესანიშნავი კანი აქვს, ნაზი და მზემოკიდებული, უნაკლო. ვაჟინიანი ნაყინი გამონაყარს აჩენს: კანის ფოლიკულების მკვებავი ცხიმის ჯირკვლების ზედმეტი გამონაყოფი გალიზიანებას იწვევს, ეს კი დასნებოვნებას უხსნის გზას. მაგრამ ნიმფეტებს მუწუკები არ უჩნდებათ, თუმცა ისინი მადიანად მიირთმევენ ხოლმე ყოველგვარ ცხიმიან საჭმელს. ღმერთო, რა წამებაა — კანი საფეთქელთან ატლასივით უელვარებს და ხასხასა ქერა თმას ერწყმის! მტვრიანი ფეხის კოჭის მთრთოლვარე ჰაწია ძვალი კი...

„მისტერ მაკ-კუს ქალიშვილი? ჯენი მაკ-კუ? — აჰ — საშინლად მახინჯია! და ფლიდია. და კოჭლი. კინაღამ გადაჰყვა პოლიომიელიტს“.

ძინკ. მბზინვარე ღინღლით დაშტრიხული წინამხარი. ის ადგა, რათა თეთრეული სახლში შეეტანა. შორიდან მოსიყვარულე თვალი შევავლე გოგონას ლურჯ, აკაპიწებულ შარვალს, რომელიც უკან გამოხუნებულიყო. ველობის შუაგულიდან ფაკირის წარმოსახულ ხესავით მშვიდად ამოიზარდა კოდაკით შეიარაღებული ქალბატონი ჰეიზი. შუქტექნიკური ფუსფუსის შემდეგ — ზემოთ მიმართული ნაღვლიანი მზერა, ქვემოთ მიმართული კმაყოფილი მზერა — მან თავს ნება მისცა, საფეხურზე მჯდომი, შეცბუნებული, ლამაზი ჰუმბერტი გადაეღო.

პარასკევი. დავინახე, რომ ლოლიტა თავის შავთმიან მეგობართან, როზასთან ერთად, სადღაც მიდიოდა. რატომაა, რომ მისი ბავშვური — ხომ უბრალოდ ბავშვურია — სიარული ასე საოცრად მაღელვებს? გავერკვიოთ ამაში. ტერფებს ცოტათი მრუდედ ადგამს. ფეხის მუხლქვეშა ნაწილის მოძრაობაში თავს იჩენს რაღაცნაირი მოთენთილობა. ოდნავ შესამჩნევი ფლატუნი. და ყოველივე ეს უსაზღვროდ ნორჩია, უსაზღვროდ გარყვნილი. ჰუმბერტ ჰუმბერტს, გარდა ამისა, ძალზე აღელვებს გოგუცუნას ყარგონი და მკვეთრი, მაღალი ხმა. მოგვიანებით ესმოდა, რომ ღობის გადაღმა მდგარ როზას უამრავი უხეში და სულელური ფრაზით პასუხობდა, რაც ჩემში ალმავალი რიტმით ჟღრიალებდა „ახლა კი უნდა წავიდე, ჩემო პატარავ“.

შაბათი (შესაძლოა, აქ ავტორმა რაღაც-რაღაცები შეასწორა). ვიცი, რომ დღიურის წერა სიგიჟეა, მაგრამ ეს უცნაურ, მძაფრ სიამოვნებას მანიჭებს; მოყვარული ცოლის გარდა, ვის ძალუძს ჩემი მიკროსკოპული ხელწერის გაშიფრვა? ნება მიბოძეთ, სლუკუნით განვაცხადო, რომ დღეს ჩემი ლ. მზის აბაზანას იღებდა ღია ვერანდაზე. სამწუხაროდ, დედამისი და ვიღაც სხვა ქალბატონები გამუდმებით ახლომახლო ტრიალებდნენ. რა თქმა უნდა, შემეძლო, სარწეველაში ჩავმჯდარიყავი და თავი ისე მომეკატუნებინა, თითქოს ვკითხულობდი, მაგრამ ჩემს ოთახში დარჩენა ვამჯობინე. საშინელი, გიჟური, სასაცილო და უბადრუკი ციებ-ცხელებისგან მაყრუოლებდა. მეშინოდა, რომ გამოსვლისას უდარდელი იერი სულაც არ მექნებოდა.

კვირა. ჯერ კიდევ იგრძნობა სიცხის ჭავლი; დალოცვილი კვირადღე ,იყო! ამჯერად წინასწარვე სტრატეგიული მდგომარეობა დავიკავე, სქელტანიანი საკვირაო გაზეთი და ახალი ჩიბუხი მოვიმარჯვე და სარწეველაში მოვკალათდი. სამწუხაროდ, ლოლიტა ედიტთან ერთად მოვიდა. მათ ორნაწილიანი, ჩემი ჩიბუხივით ახალთახალი შავი საბანაო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოსტიუმები ეცვათ. ჩემი საყვარული, ჩემი მტრედი ჩემთან შეჩერდა — იუმორისტული განყოფილების ფურცლების ალება სურდა. ისეთივე სურნელი ასდიოდა, როგორც მეორეს, რივიერის დროინდელს, ოღონდ უფრო მძაფრი, თითქოს ხორკლიანი მინარევით. ეს იყო სიმხურვალის სურნელი, რომელმაც უმალ აამოქმედა ჩემი მამაკაცური ძალა; მაგრამ გოგონამ უკვე გამომგლიჯა გაზეთის გემრიელი ნაწილი და თავისი სელაპისმაგვარი დედის გვერდით, გაშლილი საფენისკენ დაიხია. იქ პატარა მზეთუნახავი პირქვე დაწვა და ჩემს თვალხილულ სისხლში განხვნილ აურაცხელ თვალს შეუშვირა აწეული ბეჭები, და ატმისებრი ბუსუსებით დაჩრდილული ჩაზნექილი ხერხემალი, და შავით შემოსილი, ამობურცული ვიწრო გავა, და ყმაწვილური ბარძაყების საპლაჟო უკანა ნაწილი. მესამეკლასელი გოგონა უსიტყვოდ ტკბებოდა ნახატების მწვანე, წითელი, ლურჯი სერიებით. მწვანე, წითელ, ლურჯ პრიაპოსს არასოდეს მოზმანებია უფრო მშვენიერი ნიკიტეტი. ტუჩები გამიშრა. მას სინათლის ფერადოვან შრეებში განვეჭვრეტდი, ყინს ერთ ფოკუსში ვაგროვებდი და, გაზეთით შენიღბული, ოდნავ ვირწეოდი, ვიცოდი, რომ თუ მთლიანად ამ აღქმას მივეცემოდი, მყისვე მივაღწევდი მათხოვრული ნეტარების უმაღლეს წერტილს. მტაცებელს, ჩვეულებრივ, მოძრავი ნადავლი ურჩევნია უძრავს. მის მსგავსად, ვესწრაფოდი ამ უბადრუკი ზეიმის თანხვედრას გოგონას რომელიმე მოძრაობასთან. ის დროდადრო ხერხემალს იფხანდა და ოდნავ შეღინღლულ იღლიას აჩენდა. მაგრამ მისმა ჩაგოდრებულმა დედამ ყველაფერი გააფუჭა — ჩემკენ მოტრიალდა და სიგარეტი მთხოვა, რის შემდეგაც ერთი პოპულარული გაიძვერას შარლატანურ რომანზე ჩამოაგდო უსარგებლო საუბარი.

ოთხშაბათი.

დამტანჯველ დღეებს ვატარებ
დარდსა და მწუხარებაში...

ჩვენ (დედილო ჰეიზი, დოლორესი და მე) საუზმის შემდეგ ტბაზე წასვლას ვაპირებდით. იქ უნდა გვებანავა და ქვიშაში გვეკოტრიალა; მაგრამ სადაფისებრი დილა წვიმიან შუადღედ გადაგვარდა და ლოლიტამ იჩხუბა.

დადგენილია, რომ ნიუ-იორკისა და ჩიკაგოს მკვიდრი გოგონების სქესობრივი მომწიფების საშუალო ასაკი ცამეტი წელი და ცხრა თვეა; ინდივიდუალურად კი ეს ასაკი მერყეობს ათსა (ან ნაკლებსა) და ჩვიდმეტს შორის. პატარა ვირჯინია თოთხმეტისაც არ იყო, როდესაც ედგარი დაეუფლა. ის ალგებრას ასწავლიდა გოგონას, წარმომიდგენია, თაფლობის თვე ფლორიდას დასავლეთ სანაპიროზე გაატარეს, სანკტ-პეტერბურგში, „მოსიე პო-პო", როგორც ჰუმბერტ ჰუმბერტის ერთ-ერთი მოწაფე პარიზის ლიცეუმში უწოდებდა პოეტ პოეს.

ყველა იმ თვისებით ვარ აღჭურვილი, რაც, ბავშვთა სექსუალური ინტერესების ექსპერტთა აზრით, საპასუხო ერუანტელს უღვიძებს გოგონებს. ქვედა ყბის ფაქიზი მოხაზულობა, ხელის ძლიერი მტევანი, მსუყე ხმა, ფართო მხარბეჭი. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, რომელიღაც მსახიობს თუ გიტარიან დუღღუნას ვგავარ, რომლითაც ლოს აბოდებს.

სამშაბათი. წვიმა. არავითარი ტბა (მხოლოდ გუბეებია). დედიკო საყიდლებზე გაემგზავრა, ვიცოდი, რომ ლო სადღაც ახლოს იმყოფებოდა. ფარული მანევრების შედეგად ის დედამისის საძინებელ ოთახში აღმოვაჩინე. სარკის წინ ქუთუთოს სწევდა. უნდოდა, მარცხენა თვალში ჩავარდნილი ბეწვი ამოეღო. უჯრედებიანი კაბა ეცვა. თუმცა მის წაბლისებრ დამათრობელ სურნელს ვაღმერთებ, მაგრამ კარგი იქნებოდა, თმა ხანდახან მაინც დაებანა. წამით ორივენი ავქანავდით სარკის თბილ სიმწვანეში, სადაც ჩვენს გარდა, ალვის ხის კენწერო და ცა ირეკლებოდა. ხელი ტლანქად ჩავავლე მხრებში, შემდეგ — ალერსით — საფეთქლებში მოვკიდე და სინათლისკენ მოვაბრუნე.

— აი, აქაა, — თქვა მან. — ვგრძნობ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შვეიცარიელი გლეგლეხი ქალი ენის წვეწვერით...

— ...ამოლოკავდა?

— სწორედ. მოვსინჯოთ?

— რა თქმა უნდა. მოსინჯეთ.

მთრთოლვარე ნესტარი ნაზად გავუსვი მის მარილიან, მბრუნავ თვალის კაკალს.

— რა კარგია, — თქვა მან თვალების ხამხამით. — აღარ არის.

— ახლა მეორე თვალი...

— სულელო, — დაიწყო მან, — იქ სულაც... — მაგრამ იგრძნო თუ არა ჩემი მომუწული ტუჩების მიახლოება, ხათრიანად მითხრა, — ო კეი...

პირქუში ჰუმბერტი გოგონას აწეული, თბილი, ყირმიზი სახისკენ დაიხარა და მის აცახცახებულ ქუთუთოს ტუჩები მიადო. ლოლიტამ ჩაიცინა და სწრაფად გავიდა ოთახიდან. მოტრიალებისას კაბით შემეხო. ასე მეგონა, თითქოს ჩემი გული ერთდროულად მთელ სხეულში ფეთქავდა. არასოდეს, — მაშინაც კი, როდესაც რივიერაზე იმ გოგონას ვეფერებოდი, — არასოდეს.

ღამე. არასოდეს გავწამებულვარ ასერიგად. მინდა, მისი სახე, მისი მოძრაობები აღვწერო და არ ძალმიძს. როდესაც ის ახლოსაა, ჟინი მაბრმავებს. ეშმაკმა დალახვროს — ნიმფეტების საზოგადოებას ჩვეული არა ვარ! როდესაც თვალებს ვხუჭავ, მხოლოდ მის ერთ, გაშეშებულ ნაწილს ვხედავ — სარეკლამო დიაპოზიტივს, ბარძაყის შიდა ნაწილის წარმტაცი გადატკეცილი კანის ელვარებას, როდესაც დამჯდარი ლოლიტა უჯრედებიანი ქვედატანით დაფარულ მუხლს მაღლა სწევს და ფეხსაცმლის თასმას იკრავს. „დოლორეს ჰეიზ, ნე მუონტრე პა ვუა ჟიამბ“ (ამბობს დედამისი და ჰგონია, რომ ფრანგული ენა იცის).

ვინაიდან თავის დროზე პოეტი ვიყავი, მადრიგალი მივუძღვენი მის უნდილ ბაც-ნაცრისფერ თვალებს, მურივით შავ წამწამებს, აპრეხილ ცხვირზე დაჩნეული ჭორფლის ხუთ ასიმეტრიულ ლაქას და ყავისფერი კიდურების მოთეთრო ღინღლს. სამწუხაროდ, ეს ლექსი დავხიე და ვეღარ ვიხსენებ. მხოლოდ ბანალური გამოთქმებით (აქ დღიურს ვუბრუნდები) თუ მოვახერხებ ჩემი ლოს ნაკვთების აღწერას: შემიძლია, მაგალითად, ვთქვა, რომ თმა შუქი ქერა ფერისა ჰქონდა, ტუჩები — კოწახურის ალოკილი ყინულკარამელივით წითელი (ქვედა ტუჩი მომხიბლავად შეშუპებოდა) — აჰ, მწერალი ქალბატონი მაინც ვყოფილიყავი, რომლის წინაშე გაშიშვლებული გოგონა შიშველ შუქზე პოზირებას შეძლებდა. მაგრამ ვაი რომ, მხოლოდ აყლაყუდა, გაძვალტყავებული ჰუმბერტ ჰუმბერტი ვარ, ბალნიანი მკერდი და ხშირი, შავი წარბები მაქვს, უცნაური გამოთქმით ვლაპარაკობ და ნელი ყმაწვილური ღიმილით ვნიღბავ დამპალი ურჩხულებით სავსე სანაგვე ორმოს. ისიც არ ჰგავდა ქალთათვის განკუთვნილი რომანის გმირ ნაზ გოგონას. მაგიჟებს ჩემი ნიმფეტის — და, ალბათ, ყოველი ნიმფეტის — გაორებული ბუნება: ლოლიტაში შერწყმული იყო ნაზი, მეოცნებე ბავშვურობა და შემზარავი ვულგარულობა, რომელიც საჟურნალო სურათებზე აღბეჭდილ ნოღაცხვირიან სანდომიან სახეებს ახასიათებს. ამით ის მღვრიე-ვარდისფერ არასრულწლოვან მოახლეებს მაგონებდა, რომლებიც ჩვენთან, ევროპაში გვხვდებიან (მათ დაფხვნილი გვირილასა და ოფლის სუნი ასდით); ასეთივენი არიან ნორჩი მეძავები, რომელთაც პროვინციულ საროსკიპოებში ბავშვების ტანსაცმელში გამოაწყობენ ხოლმე. მაგრამ, ამას გარდა, მასში იგრძნობა ენით აუწერელი, უბიწო სინაზე, რომელიც მუშკსა და სისაძაგლეში, სიმყრალესა და სიკვდილში გამოსჭვივის. ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო... და, ბოლოს, რაც ყველაზე უფრო გასაოცარია, **ამ ლოლიტამ, ჩემმა** ლოლიტამ ისე გაამძაფრა ავტორის ძველთაძველი ოცნება, რომ ყველაფერზე მაღლა და ყველაფრის მიუხედავად, არსებობს მხოლოდ ლოლიტა.

ოთხშაბათი. „აიძულეთ დედაჩემი, რომ ხვალ ჩვენ (ჩვენ!) სათვალისებრ ტბაზე წაგვიყვანოს“. აი, სიტყვასიტყვით, ის ფრაზა, რომელიც ჩემმა თორმეტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის პასიამ ვნებიანი ჩურჩულით წარმოთქვა, როდესაც წინკარში შემეფეთა — გავდიოდი, ის კი შემორბოდა. ლურჯი ავტომანქანის მრგვალ ზურგზე უამრავი გაცისკროვნებული ნემსით გარემოცული ნაშუადღევის მზის ანარეკლი დამბრმავებელი თეთრი ალმასივით კამკამებდა. სახლის ფიცრულ კედლებს ხშირფოთლიანი ფაფუკი თელამუშის ოდნავ მოციმციმე ჩრდილი ეცემოდა. ორი ალვის ხე ლივლივებდა და ირხეოდა. ქუჩიდან მოძრაობის შორეული, უფორმო ბგერები აღწევდა. ვიღაც ბავშვური ხმით იძახდა: „ნანსი! ნანსი!" სახლში ლოლიტა თავის საყვარელ ფირფიტას „პატარა კარმენს" უსმენდა — მე მას ყოველთვის „ჯიბის კარმენს" ვეძახდი. პასუხად ის ფრუტუნებდა, თვალთმაქცობდა, თითქოს ჩემს თვალთმაქცურ ენამახვილობას დასცინოდა.

ხუთშაბათი. გუშინ საღამოს ღია ვერანდაზე ვისხედით — ქალბატონი ჰეიზი, ლოლიტა და მე. თბილი ბინდბუნდი ნელ-ნელა გადადიოდა ნეტარებით აღსავსე ღამეში. სულელმა ბებერმა ესესაა დამთავრა იმ კინოსურათის შინაარსის მოყოლა, რომელიც ლოსთან ერთად ნახა ნახევარი წლის წინ. ძალზე ხელმოცარული მოკრივე გაიცნობს კეთილ მღვდელს (რომელიც ოდესღაც, ძალ-ღონით სავსე ახალგაზრდობისას, თვითონაც მოკრივე იყო. ახლაც შეეძლო ცოდვილის მიწაზე განრთხმა მუშტის ერთი დაკვრით). იატაკზე დაგდებულ ბალიშებზე ვისხედით; ლო მადამსა და ჩემს შორის მოთავსდა (თვითონ ჩაეტენა ჩვენ შორის, ჩემი მხეცუნია). ვოხუნჯობდი და ჩემი არქტიკული თავგადასავლების შესახებ ვყვებოდი. გამოგონების მუზამ შაშხანა მომაწოდა და ვესროლე თეთრ დათვს, რომელიც დაჯდა და ამოიხვნეშა. ამავე დროს მძაფრად ვგრძნობდი ლოს სიახლოვეს. სანამ ვლაპარაკობდი და ლმობიერ წყვდიადში ხელებს ვიქნევდი, ამ უჩინარი ჟესტებით ვსარგებლობდი — ხან მის ხელს ვეხებოდი, ხან მხარს ველამუნებოდი, ხან კი მატყლისა და მარმაშისგან გაკეთებულ თოჯინას ვეფერებოდი. ლო მას წეწავდა და განუწყვეტლივ მუხლებზე მისვამდა. ბოლოს, როდესაც ჩემი აქოშინებული გოგონა მთლიანად გავაბი ამ ჰაეროვანი ალერსის ბადეში, გავბედე, მის ფეხზე ხელი მომესვა, მივალერსებოდი ხურტკმლისებრ ღინღლს. საკუთარ ოხუნჯობაზე თვითონვე ვიცინოდი და ვთრთოდი, და თრთოლას ვფარავდი, და მარტო ტუჩებით ჩემს მახლობლად ორჯერ ვიგრძენი მისი კულულების სითბო, როდესაც მას სწრაფი ფრჩხილებით შემოსაზღვრული სასაცილო აპარტებით ვეხლებოდი და სათამაშოს ვეფერებოდი. ლოლიტა ძალზე ცმუტავდა და დედამისმა ბოლოს უკმეხად უბრძანა, დაწყნარდიო. მან კი თოჯინა უეცრად სიბნელეში ისროლა და მე კვლავ ვხარხარებდი და ლოს ფეხებს გადაღმა ქალბატონ ჰეიზს მივმართავდი, თანაც ჩემი ხელი ნიმფეტის ბიჭური პერანგით შემოსილ გამხდარ ზურგზე მიცოცავდა და მის კანს ეპოტინებოდა.

ვიცოდი, რომ ყოველივე უიმედო იყო. ვნებისგან გულს მაზიდებდა, ტანსაცმლის სივიწროვისგან ვიტანჯებოდი და გამიხარდა კიდეც, როდესაც დედის მშვიდმა ხმამ სიბნელეში გამოაცხადა: „ახლა კი, ვფიქრობთ, ლოს ძილის დროა". „მე კი ვფიქრობ, რომ ღორები ხართ", უპასუხა ლომ. „შესანიშნავია, მაშასადამე, ხვალ პიკნიკი არ შედგება", თქვა ქალბატონმა ჰეიზმა. „ჩვენ თავისუფალ ქვეყანაში ვცხოვრობთ", მიუგო ლომ. მას შემდეგ, რაც გაბრაზებულმა ლომ ეგრეთ წოდებული „ბრონქსის ყიჟინა" (გულისრევისა და ზიზღის გამომხატველი მსუყე ბგერა) გამოსცა და წავიდა, ინერციით ვერანდაზე დავრჩი, ქალბატონი ჰეიზი კი უკვე მეათე სიგარეტს ეწეოდა და ლოს გამო წუწუნებდა.

თურმე ლო უკვე ერთი წლის ასაკში ამჟღავნებდა ბოროტებას, როდესაც საწოლიდან ბადის გადაღმა ისროდა სათამაშოებს ისე, რომ ამ საძაგელი ბავშვის საცოდავ დედას მათი აკრეფა უხდებოდა! ახლა, თორმეტი წლისა, ის, ქალბატონი ჰეიზის სიტყვით, პირდაპირ ღვთის რისხვაა. ერთადერთი, რაზეც ოც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებობს, ესაა ჯაზის მუსიკის რიტმზე ფეხების ბაკუნი ან სპორტულ მსვლელობებში ნავარდი, რასაც მუხლების მაღლა აწევა და ჯოხით ჟონგლირება ახლავს. ცუდი ნიშნები აქვს, მაგრამ აქ, ახალ სკოლაში, ის უკეთ შეეგუა სასკოლო ყოფას, ვიდრე პისკიში (პისკი შეერთებული შტატების შუაგულ ნაწილში განლაგებული მათი მშობლიური ქალაქი იყო; რამზდელის სახლი გარდაცვლილ დედამთილს ეკუთვნოდა; აქ ისინი ორი წლის წინ გადმოსახლდნენ) „რატომ იყოლო უბედური იმ პირველ სკოლაში?“ „აჰ, — თქვა ქვრივმა, — კარგად ვიცი, რატომაც. მე, საცოდავმა, ეს უკვე განვიცადე ბავშვობაში; საშინელებაა ეს ბიჭები, რომლებიც ხელს გიგრეხენ, განგებ გეჯახებიან წიგნების დასტით, თმას გწიწკნიან, მწარედ გჩქმეტენ მკერდზე, ცდილობენ, ქვედატანი აგიწიონ. რა თქმა უნდა, ჭირვეულობა ნორმალური განვითარების თანმხლები გარემოებაა, მაგრამ ლომ ყველაფერს გადააჭარბა. ის კუშტიცაა და გაქნილიც. გამომწვევად და თავხედურად იქცევა. ამას წინათ მისი თანაკლასელი იტალიელი გოგონა ვიოლა ჩიოდა, რომ ლოლიტამ მას კალამი უჩხვლიტა საჯდომზე“. იცით, თქვა ქალბატონმა ჰეიზმა, რა მინდა? თუკი თქვენ, ბატონო, შემოდგომაზე შემთხვევით აქ იქნებით, გთხოვდით, რომ მას გაკვეთილების მომზადებაში დაეხმაროთ — ასე მგონია, ყველაფერი იცით — გეოგრაფია, მათემატიკა, ფრანგული. „ყველაფერი, ყველაფერი“, — უპასუხა „ბატონმა“. „აჰა, — შესძახა ქალბატონმა ჰეიზმა, — მაშასადამე, თქვენ ჯერ კიდევ აქ იქნებით?“ მზად ვიყავი, მეყვირა, რომ სამუდამოდ აქ დავრჩებოდი, თუკი დანაპირებ მოწაფესთან ერთად, თუნდაც იშვიათად, განცხრომის საშუალება მომეცემოდა. მაგრამ ქალბატონ ჰეიზს არ ვენდობოდი. ამიტომ მხოლოდ „ჰმ“-მეთქი, გავიზმორე. არ მინდოდა, ავყოლოდი მის დაწვრილებითობას (ზუსტი გამოთქმაა) და მალე ჩემი ოთახისკენ გავემართე. კოპწია ქვრივი, როგორც ჩანს, ვერ მიხვდა, რომ დღე დასრულდა. ჩემს ცივ სარეცელზე განვისვენებდი და ხელის-გულს, რომელსაც ლოლიტას სურნელოვანი ჩრდილი შერჩენოდა, სახეზე ვიხუტებდი. გავიგონე, როგორ მოიპარებოდა მოუსვენარი დიასახლისი კარისკენ და ჩურჩულით მომმართავდა: „მხოლოდ ის მაინტერესებს, წაიკითხეთ თუ არა „მზერა და ოხვრა?“ (ილუსტრირებული ჟურნალი, რომელიც ამას წინათ მათხოვეს). გოგონას ოთახიდან ყვირილი გაისმა: ჟურნალი მას ჰქონდა. ეშმაკმა წაიღოს, სახლი კი არა, გამქირავებელი ბიბლიოთეკაა.

პარასკევი. საინტერესოა, რას იტყოდა იმ საუნივერსიტეტო გამომცემლობის დარბაისელი დირექტორი, რომელშიც ჩემი სახელმძღვანელო იბეჭდება, მასში რონსარის გამოთქმა რომ მომეყვანა „პაწია ალისფერი ნაპრალის“ შესახებ ან დამემოწმებინა რემი ბელოს სტრიქონები „ნაზი, მომცრო ბორცვი, შემოსილი ხავსით, გაყოფილი ალისფერი ხაზით“ და ასე შემდეგ. მეშინია, რომ კვლავ ნერვული აშლილობა დამემართება, თუ ამ სახლში დავრჩები. ვერ გავუძლებ აუტანელი ცდუნებით გამუდმებულ გაღიზიანებას აქ, ჩემი თვალისჩინის — ჩემი და ედგარის თვალისჩინის — „ჩემი სიცოცხლის, ჩემი სიცოცხლის“ სიახლოვეს. ნეტავი დედაბუნებამ აზიარა თუ არა ის მენარქიის საიდუმლოებას? გაბერილობის შეგრძნება. „წყევლა“, როგორც მას ირლანდიელი ქალები უწოდებენ... ქარაგმულად: „სახურავიდან გადმოვარდნა“ ან „ბებიას სტუმრობა“. „ქალბატონი საშვილოსნო (მომყავს ციტატა გოგონებისთვის განკუთვნილი ჟურნალიდან) იწყებს ფუმფულა ძგიდის შენებას — გამოადგება, როდესაც შიგ ჩვილი ჩაწვება“. ერთი ბეწო შეშლილი — შლეგთათვის განკუთვნილ პალატაში, სადაც კედლებზე ქეჩაა აკრული.

სხვათა შორის: თუ ოდესმე ნამდვილ მკვლელობას ჩავიდენ (დაიმახსოვრეთ ეს „თუ“) — ამის გაცილებით მძაფრი სურვილი უნდა აღმეძრას, ვიდრე ვალერიას მიმართ განვიცადე. გულმოდგინედ ჩაინიშნეთ, რომ მაშინ საკმაოდ უფავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოდ ვმოქმედებდი. როდესაც მოინდომებთ — თუ მოინდომებთ — ელექტროსკამზე ჩემს შეწვას, გაითვალისწინეთ, გეთაყვა, რომ მხოლოდ სიგიჟე თუ ამავსებს მხეცისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული ენერგიით (შესაძლოა, ეს ადგილი მთლიანად შესწორებული იყოს, დედანთან შედარებით). ზოგჯერ სიზმარში მკვლელობაზე ვკადნიერდები, მაგრამ იცით, რა ხდება? მაგალითად, პისტოლეტი მიჭირავს ხელში და ვუმიზნებ აუღელვებელ მტერს, რომელიც უნიათო ინტერესს იჩენს ჩემი ქცევის მიმართ. დიახ, წესისამებრ ვაჭერ თითს სასხლეტს, მაგრამ სულელი ლულიდან ტყვიები ერთიმეორის მიყოლებით დუნედ ცვივა იატაკზე. ამ სიზმრებში მხოლოდ ერთი სურვილი მაქვს — ჩემი მარცხი დავუმალო მტერს, რომელსაც ნელ-ნელა სიბრაზე ეუფლება.

დღეს, სადილობისას, ბებერმა ასპიტმა ალმაცერად დააკვესა თვალები, დამცინავი დედობრივი მზერით გადახედა ლოს (ის იყო, წავიხუმრე, ჯაგარა ულვაშების მოშვებას ვაპირებ-მეთქი) და თქვა: „არ გინდათ, თორემ ერთ ვიღაცას სულ აებნევა თავგზა". ლომ მყისვე გასწია თავისი თეფში, რომელზეც მოხარშული თევზი იდო, კინაღამ გადაატირქვავა რძით სავსე ჭიქა და სასადილო ოთახიდან გავარდა. „ძალიან ხომ არ შეწუხდებით, — წარმოთქვა ქალბატონმა ჰეიზმა, — ხვალ რომ ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ ტბაზე საბანაოდ, თუკი ლო პატიებას ითხოვს თავისი უსაქციელობისთვის?"

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩემს ოთახში მყოფმა გავიგონე კარის ხმაურიანი გაჯახუნება და სხვა ბგერები, სახლის აზანზარებული წიაღიდან რომ მოისმა — იქ გააფთრებული მეტოქეები ჩხუბობდნენ.

მან პატიება არ ითხოვა. მგზავრობა არ შედგა. შეიძლებოდა კი, თავი შემექცია.

შაბათი. აი უკვე რამდენიმე დღეა, რაც მუშაობისას ჩემი ოთახის კარს ღიად ვტოვებ; ფანდმა მხოლოდ დღეს გაჭრა. ლო განუწყვეტელი მანჭვა-გრეხითა და ფეხსაცმლის ფლატუნით შემოვიდა— — უხერხულობას გრძნობდა, რომ დაუკითხავად მესტუმრა. ის შეტრიალ-შემოტრიალდა და იმ საშინელი ნაჯღაბნის თვალიერებას შეუდგა, რომლითაც ქაღალდის ფურცელი გავავსე. არა, ეს არ იყო ესეისტის მიერ ორ პარაგრაფს შორის გაკეთებული შთაგონებული პაუზის შედეგი; ეს იყო ჩემი საბედისწერო ჟინის ბილწი კრიპტოგრაფია (რომლის გაგება მას არ შეეძლო). გოგონამ ქერა კულულები მაგიდას მიუახლოვა და ჰუმბერტ ხრინწიანმა მას ცალი ხელი მოხვია, რაც სისხლით ნათესაობის უბადრუკ მიბაძვას წარმოადგენდა. ჩემი მიამიტი პატარა სტუმარი მუხლზე დამიჯდა. ხელში ფურცელი ეჭირა და ოდნავ ბეცი თვალებით აკვირდებოდა. მის მომხიბვლელ პროფილს, გადახსნილ ტუჩებს, თბილ თმას სულ ორი გოჯი აცილებდა ჩემი დაკრეჭილი საჭრელი კბილისგან. ბიჭური ტანისამოსის უხეშ ქსოვილში მისი სხეულის სიმხურვალე იგრძნობოდა. უეცრად ნათლად მივხვდი, რომ სრულიად დაუსჯელად შემეძლო მისი კოცნა კისერზე ან ტუჩის კუთხეში — მივხვდი, რომ ამის უფლებას მომცემდა და, ჰოლივუდის წესების მიხედვით, თვალებსაც დახუჭავდა. ეს ისევე მარტივი იყო, როგორც შოკოლადმოსხმული ნაღების ნაყინის ორმაგი ულუფა. ჩემს განსწავლულ მკითხველს (რომელმაც, ალბათ, ისე მაღლა აჭიმა წარბები, რომ მათ უკვე კეფას მიაღწიეს) ვერ განვუმარტავ, როგორ მივხვდი ამას; შესაძლოა, ნადირის ალღოთი შევამჩნიე მისი სუნთქვის რიტმის ოდნავი შეცვლა, რადგან ლოლიტა უკვე ჩემს ნაჯღაბნს კი არ ათვალიერებდა — ო, ჩემო გულუბრყვილო ნიმფეტო! — არამედ, წყნარად, ცნობისმოყვარედ ელოდა, როდის მოხდებოდა ის, რასაც მისი მომჯადოებელი მდგომარეობა ასე უსაზღვროდ ელტვოდა. ის ჩვენი დროის ღვიძლი შვილი იყო ხარბად ეწაფებოდა კინოჟურნალებს, ერკვეოდა მსხვილი პლანით გადაღებულ, ვნებიან, შენელებულ კადრებში. ამიტომ არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვირდებოდა, თუ უფროსი მეგობარი, წარმოსადეგი მამაკაცი — გვიანაა! მთელი სახლი ააგუგუნა ლაქლაქა ლუიზას ხმამ; მან ახლახან დაბრუნებულ ქალბატონ ჰეიზს მოახსენა, რომ ტომსონთან (მუზობლის მძღოლთან) ერთად სარდაფში რაღაცა მკვდარი ცხოველი იპოვა — და, რა თქმა უნდა, ჩემს პატარა ლოლიტას არ შეეძლო, ხელიდან გაეშვა ასეთი საინტერესო შემთხვევა.

კვირადღე. მას მერყევი ხასიათი აქვს, ჭირვეულია, ტლანქი. ის თავით ფეხებამდე აღსავსეა ანცი მოზარდის უმწიფარი გრაციით (მთელ ახალ ინგლისს მივცემდი პოპულარული რომანისტი ქალის კალამში) — თმაში გაბნეული სამაგრებითა და ბაბთით დაწყებული და კოხტა წვივის ზედა ნაწილზე, ზუსტად შალის თეთრი წინდის თავზე დაჩნეული პატარა ნაჭდევით (პისკიში მას ერთმა ბიჭმა გორგოლაჭიანი ციგურა ჩასცხო ფეხში) დამთავრებული. ლოლიტა ესესაა ჰამილტონებთან წავიდა დედამისთან ერთად — ალბათ, მეგობრის დაბადების დღეა. უჯრედებიანი (ფართო ქვედატანიანი) ბამბის ქსოვილის კაბა ეცვა. მგონი, უკვე საკმაოდ მოზრდილი მკერდი აქვს. როგორ ჩქარობ, ჩემო მშვენიერო!

ორშაბათი. წვიმიანი დილა.

ზურგზე იისფრად მოხატული თეთრი პიჟამა მაცვია. რუხ გაბერილ ობობას ვგავარ. ასეთებს ხშირად წააწყდებით ძველ ბალებში. ზის ბრჭყვიალა ქსელის შუაგულში და დროდადრო მოსწევს ხელმე ამა თუ იმ ძაფს. ჩემი ქსელი მთელ სახლშია გაბმული, თვითონ კი ვერაგი გრძნეულივით ვზივარ სავარძელში და ყურს ვუგდებ. სადაა ლო? თავის ოთახში? ოდნავ ვქაჩავ ძაფს. არა, ის იქიდან გამოვიდა; ახლახან გავიგონე, რომ ტუალეტის მაგიდა ვიღაცამ ლაწანით გასწია; მაგრამ ჩემ მიერ გასროლილმა ძაფმა ვერ ალბეჭდა საბაზანოდან თავის ოთახში დაბრუნებული გოგონას ნაბიჯები. შესაძლოა, ის ჯერ კიდევ კბილებს იწმენდს (ესაა ერთადერთი ჰიგიენური ქმედება, რომელსაც ლოლიტა ჭეშმარიტი გულმოდგინებით ახორციელებს). არა. საბაზანოს კარი ქსენია გაჯახუნდა. მაშასადამე, სახლის სხვა ადგილები უნდა გავჩხრიკო მშვენიერი ნადავლის მოსაძებნად. მოდი, აბრეშუმის ძაფს ქვედა სართულზე ჩავუშვებ. ვრწმუნდები, რომ ის სამზარეულოში არ იმყოფება, ბრახუნით არ კეტავს მაცივრის კარს და არ უწვივის საძულველ დედას (რომელიც, ჩემი ვარაუდით, ამ დილას უკვე მესამედ ტკბება — ვიღაცას ულურტულით, თავშეკავებულად, მხიარულად ელაპარაკება ტელეფონით). რას იზამ. იმედი არ უნდა დავკარგო და ჩხრეკა გავაგრძელო. სხივივით უხმაუროდ ვიპარები სასტუმრო ოთახში და ვრწმუნდები, რომ რადიო ჩუმადაა (მაშინ, როდესაც დედამისი ჯერ კიდევ მისის ჩატფილდს ელაპარაკება, ძალზე ჩუმად, ღიმილით. სახე წითლად უღვივის, თავისუფალ ხელისგულს ყურმილს აფარებს, უარყოფს და გადაკვრით მიანიშნებს, რომ მთლიანად არ უარყოფს მდგმურის შესახებ გავრცელებულ სასაცილო ჭორებს. აჰ, გეყოფათ, და ამ ჩურჩულში არნახულ გულითადობას იჩენს). ამგვარად, ჩემი ნიმფეტი, უბრალოდ, შინ არაა! წაცქრიალდა! ფერადოვანი ქსოვილი სიძველისგან ფერგაცლილ ობობას ქსელად გადაიქცა, სახლი ცარიელია, სახლი მკვდარია. უცებ — ნახევრად გაღებულ კარში ლოლიტას ნაზი სიცილი მოისმის — „დედას არ უთხრათ, რომ თქვენი ბეკონი მთლიანად შევჭამე". როდესაც ბაქანზე გამოვრბივარ, ის უკვე არსად ჩანს. ლოლიტა, სად ხარ? სინი, რომელზეც ჩემი ყავა დგას, დიასახლისს მზრუნველად მოუმზადებია, უკბილოდ იღრიჭება და იცდის, როდის ავიღებ ზღურბლიდან და საწოლში შევიტან. ლოლა! ლოლიტა!

სამშაბათი. ღრუბლიანმა ამინდმა კვლავ ხელი შეუშალა მიუწვდომელ ტბაზე პიკნიკის გამართვას. იქნებ ბედისწერა მზაკვრობს? გუშინ სარკის წინ საცურაო ტრუსების ახალ წყვილს ვიზომებდი.

ოთხშაბათი. დღეს „ტაიორსა" და დაბალქუსლიან ფეხსაცმელში გამოწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყობილმა ქალბატონმა ჰეიზმა გამოაცხადა, რომ ქალაქს მიემგზავრება მეგობრის ამხანაგისთვის საჩუქრების საყიდლად. შემომთავაზა, წავყოლოდი, რაკი ასე კარგად ვერკვევი მატერიებსა და სუნამოებში. „აირჩიეთ თქვენი საყვარელი ცდუნება“, წაიკრუტუნა მან. როგორ შეეძლო პარფიუმერიული ფირმის პატრონს, ჰუმბერტს, მიპატიჟების თავიდან აცილება? მან ჩიხში — წინა პარმაღსა და ავტომანქანას შორის — მომამწყვდია. „იჩქარეთ!“, დაიძახა, როდესაც ზედმეტი გულმოდგინებით შევუდექი ჩემი ზორბა სხეულის მანქანაში შელაგებას (ჯერ კიდევ გამწარებით ვეძებდი თავის დასაძვრენ საბაბს). მან უკვე ჩართო ძრავა და მანდილოსნისთვის შესაფერი სიტყვებით წყევლიდა უკანა სვლით დაძრულ საბარგო მანქანას, რომელიც ტრიალდებოდა. ამ მანქანით პირდაპირ მცხოვრებ დედაბერს ეს-ესაა მიუტანეს ბორბლებიანი ახალი სავარძელი; ამ დროს სასტუმროს ოთახის ფანჯრიდან ლოლიტას მკვეთრი ხმა გაისმა: „ჰეი, თქვენ! სად მიდიხართ? მეც მოვდივარ! დამიცადეთ!“ „ყურს ნუ უგდებთ!“ — წამოიკივლა ქალბატონმა ჰეიზმა (და უცაბედად ძრავა გამორთო). ამ დროს ჩემი მშვენიერი ავტომედონის საუბედურო, ლო უკვე კარის სახელურს ეპოტინებოდა, რათა ჩემ გვერდით დამჯდარიყო. „ეს აღმაშფოთებელია“, — დაიწყო ქალბატონმა ჰეიზმა, მაგრამ სიამოვნებისგან ათრთოლებული ლო უკვე დაჯდა. „აბა, გასწიეთ უკანალი“, — მომმართა მან „ლო!“ წამოიძახა ქალბატონმა ჰეიზმა (და ალმაცერად გადმომხედა იმ იმედით, რომ თავხედ გოგონას გავაგდებდი). „ლოთოხლო“, თქვა ლომ (ეს პირველად არ ხდებოდა) და ჩემსავით უკან გადავარდა, რადგან ავტომანქანა წინ გაქანდა. „სრულიად დაუშვებელია.“ თქვა ქალბატონმა ჰეიზმა და გაოფლირებით გადართო მეორე სიჩქარე, „რომ გოგონამ ასე უტიფრად ილაპარაკოს. და ასეთი აბეზარი იყოს. მან ხომ მშვენივრად იცის, რომ ზედმეტია. თარაც ბანაობა ესაჭიროება“.

შარჯვენა ხელის თითებით გოგონას კოვბოურ ლურჯ შარვალს ვეხებოდი. ის ფეხშიშველი იყო და ფეხის ფრჩხილებზე ალუბლისფერი ლაქის კვალი შერჩენოდა. ერთი თითის გასწვრივ სალბუნის თეთრი ზოლი მოუჩანდა. ღმერთო ჩემო, რას არ მივცემდი, რომ აქვე, დაუყოვნებლივ მეკოცნა ამ თხელ, გრძელთითა, მაიმუნისებრ ფეხებზე. უცებ მისი ხელი ჩემსაში შესრიალდა და ჩვენი დუენიასგან უჩუმრად მაღაზიამდე დარჩენილი მთელი მანძილის განმავლობაში მეჭირა ეს ცხელი ჰატარა თათი, ვეფერებოდი და ვსრესდი მას. ჩვენს მარლენისმაგვარ მძღოლს ცხვირის ნესტოები უპრიალებდა — ალბათ, პუდრი ჩამოსცვივდა ან აორთქლდა. მას არ შეუწყვეტია კეკლუცი მონოლოგი რამზდელის ქუჩებში მოძრაობის შესახებ, და პროფილში იღიმებოდა, და პროფილში ბურცავდა ტუჩებს, და პროფილში ახამხამებდა შელებილ წამწამებს, მე კი ვლოცულობდი, — სამწუხაროდ, უშედეგოდ, — რომ მაღაზიამდე არასოდეს მიგვეღწია.

მეტს ვერაფერს გაუწყებთ, იმის გარდა, რომ შინ დაბრუნებისას ქალბატონმა ჰეიზმა ლოლიტას უბრძანა, უკან დამჯდარიყო. შემდეგ გადაწყვიტა, ჩემ მიერ შერჩეული სუნამო საკუთარი მოხდენილი ყურებისთვის დაეტოვებინა.

ხუთშაბათი. თვის ტროპიკული დასაწყისის საზღაური ახლანდელი ქარიშხალი და წვიმაა. ყმაწვილთათვის განკუთვნილი ენციკლოპედიის ერთ-ერთ ტომში ვიპოვე შეერთებული შტატების რუკა, აგრეთვე — თხელი ქაღალდის ფურცელი, რომელზეც ბავშვურ ხელს ამ რუკის აბრისის ხაზვა დაეწყო. ფურცლის უკანა მხარეს, ფლორიდას დაუმთავრებელი მოხაზულობის პირდაპირ აღმოჩნდა რამზდელის გიმნაზიის საკლასო სიის მიმეოგრაფიული ასლი. ეს ლირიკული ქმნილება უკვე ზეპირად ვიცი.

ანჯელი, გრაცია,
აუსტინი, ფლოიდ
ბაირონი, მარგარიტა,
ბიელი, ჯეკ,
ბუკი, დანიილ,
ვილიამსი, რალფ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინდმიულერი, ლუიზა.
ჰაველი, შაბელ.
ჰამილტონ, როზა.
ჰეიზი, დოლორეს.
გრაცი, როზალინა.
გრინი, ლუცინდა.
გუდეილი, დონალდ.
დუნკანი, ვალტერ.
კამელი, ალისა.
კარმინი, როზა.
კაუანი, ჯონ.
კაუანი, მარიონ.
კლარკი, გორდონ.
მაკ-კრისტალი, ვივიან.
მა-კუ, ვირჯინია.
მაკ-ფატუმი, ობრეი.
მირანდა, ანტონიუს.
მირანდა, ვიოლა.
ნაიტი, კენეტ.
როზატო, ემილ.
სკოტი, დონალდ.
სმიტი, ჰეზელ.
ტალბოტი, ედვინ.
ტალბოტი, ედგარ.
უენი, ლულ.
ფალტერი, ტედ.
ფანტაზია, სტელა.
ფლეიშმანი, მოსე.
ფოქსი, ჯორჯ.
ჩატფილდი, ფილის.
შერვა, ოლეგ.
შერიდან, ალისა.
შლენკერი, ლენა.

პოემაა, ჭეშმარიტი პოემა! რა უცნაური და საამო იყო ამ „ჰეიზი, დოლორეს"-ის (მისი!) პოვნა სახელების ამ ცოცხალ ტალავერში; ვარდების საპატიო ყარაულით გარემოცული, ის ზღაპრული მეფის ასულივით დგას ორ ფრეილინას შორის! ვცდილობ, გავაანალიზო აღტაცებით გამოწვეული ღიტინი, რომელსაც მთავარ ღერძში ვგრძნობ, როდესაც ყველა სხვა სახელს შორის მის სახელს ვხედავ. რა მაღელვებს — და რა მადენს ცრემლს (ცხელ, ოპალისფერ, ბლანტ ცრემლებს, რომელთაც პოეტები და მიჯნურები ღვრიან), სახელდობრ, რა? მანტილიას შავი მაქმანით შენიღბული ნაზი ანონიმურობა (დოლორეს?), გვარისა და სახელის გადასმით მიღწეული განყენებულობა, რომელიც რაღაცით ორ გრძელ, შავ ხელთათმანს თუ ნიღაბს მაგონებს? სიტყვა — ნიღაბი — ხომ არ შეიცავს განმარტებას? თუ მაქმანისეული იდუმალება და ვუალი, რომელშიც მხოლოდ შენთვის, რჩეულისთვის ნაცნობი თვალების ღიმილი გამოკრთის, ყოველთვის ნეტარების მომგვრელია? გარდა ამისა, შემიძლია, მკაფიოდ წარმოვიდგინო ჩემი მიბნედილი, ვარდისფერი მტრედის გარშემო შეკრებილი ამ ფერადოვანი კლასის დანარჩენი ნაწილი. ვხედავ გრაციას ანჯელს და მწიფე მუწუკებს; აგრეთვე — როგორ ითრევს ფეხს ჯინი მაკ-კუ; აქვეა ონანიზმისგან გასავათებული კლარკი, მყრალი მასხარა დუნკანი, აგნესა — დაღრღნილი ფრჩხილებით და ვიოლა, რომელსაც ფერისმჭამელებიანი სახე და მკვრივი კუნთები აქვს; ვამჩნევ ეშხიან როზალინას, შავთმიან როზას, მომხიბვლელ სტელას, უცხო მამაკაცებს მისი სხეულის შეხების უფლებას რომ აძლევს; შარიან ვილიამსს, რომელიც ქურდობს; ფლეიშმანს, რომელიც მეცოდება — ყველა განკიცხული მეცოდება. და აი, მათ შორის — ის, ამ ბრბოთი გარემოცული, ფანქარს წუწნის. მასწავლებლებს ლოლიტა სძულთ, ხოლო ბიჭები თვალებით ჭამენ. მათი მზერა შენს თმასა და კისერზეა მიპყრობილი, ჩემო ლოლიტა.

პარასკევი. საშინელ კატასტროფაზე ვოცნებობ. მიწისძვრაზე. გრანდიოზულ აფეთქებაზე. დედამისი უსუფთაოდ, მაგრამ მყისიერად და საბოლოოდ ქრება ყველა იმ ადამიანთან ერთად, ვინც ჩვენ გარშემო მრავალი მილის მანძილზე ცხოვრობდა. ჩემთან ჩახვეული ლოლიტა ქვითინებს. თავისუფალი ვარ და ვეუფლები მას ნანგრევებს შორის. მისი გაოცება. ჩემი ახსნა-განმარტება. თვალსაჩინო ნიმუშები, რომელთაც ცხოველური ბგერების გამოცემა ახლავს. ყოველივე ეს უსაქმური კაცის სულელური მონაჩმახია! ჰუმბერტი ლაჩარი რომ არ იყოს, უსაზიზღრესად თავს შეიქცევდა მასთან (ჩემს ოთახში ლოლიტას სტუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრობისას. გუშინ, მაგალითად, კვლავ ჩემთან იყო, თავის ნახატებს — სასკოლო ხელოვნების ნიმუშებს მიჩვენებდა). ჰუმბერტ გულადს შეეძლო, ქრთამი შეეთავაზებინა მისთვის, თანაც — ყოველგვარი რისკის გარეშე. უფრო მარტივი და უფრო პრაქტიკული კაცი გონივრულად დაკმაყოფილდებოდა კომერციული ერზაცებით, მაგრამ უნდა იცოდე, ვის მიმართო — მე კი არ ვიცი. ვაჟკაცური გარეგნობის მიუხედავად, საშინლად მოკრძალებული ვარ. ჩემი რომანტიკული სხეული ერთიანად ცახცახებს რაღაცნაირი მწებვარე ჟრუანტელისაგან, როდესაც რაიმე ბინძურ, საშინელ ამბავში გახვევას ვვარაუდობ. მაგონდება უწმინდური ზღვის ურჩხულები, რომლებიც გაიძახოდნენ „მიდი, მიდი!"-ო. თვალწინ მიდგას ანაბელა, რომელიც ცალ ფეხზე ხტის, რათა ტრუსები ჩაიცვას; მე კი, ზიზღითა და სიშმაგით შეპყრობილი, ვცდილობ, გადავეფარო მას.

იგივე დღე, მაგრამ უფრო გვიან, გაცილებით გვიან. შუქი ავანთე, სიზმრის ჩაწერა მინდოდა. მისი წარმომავლობა ჩემთვის აშკარაა. სადილობისას ქალბატონმა ჰეიზმა იკადრა და გამოაცხადა, რომ მეტეოროლოგიური ბიურო კვირის ბოლოს მზიან ამინდს გვპირდება, ამიტომ კვირადღეს, წირვის შემდეგ, ტბაზე გავემგზავრებით. როდესაც ლოგინში ჩავწექი და ძილის წინ ოცნებებს მივეცი თავი, ვფიქრობდი და გეგმებს ვსახავდი თუ როგორ გამომეყენებინა მომავალი პიკნიკი. კარგად ვიცოდი, რომ დედილო ჰეიზს ჩემი მტრედი სძულდა, რადგან გოგონა ჩემით იყო გატაცებული. ჩავიფიქრე, ტბაზე დღე ისე გამეტარებინა, რომ დედაც მომეთაფლა. გადავწყვიტე, რომ მხოლოდ მასთან ვისაუბრებდი, მაგრამ ხელსაყრელ წუთს ვეტყოდი — აი, იმ წარაფში საათი ან შავი სათვალე დამრჩა-მეთქი და ჩემს ნიმფეტთან ერთად დაუყოვნებლივ გავეშურებოდი ტევრისკენ. აქ სინამდვილე გაუჩინარდა და სათვალისებრ ტბაზე სათვალის ძებნა წყნარ, პატარა ორგიად გადაიქცა, რომელშიც უჩვეულოდ გამოცდილი, მხიარული და თვინიერი ლოლიტა მონაწილეობდა. ჩემმა გონებამ იცოდა, რომ გოგონა სინამდვილეში ასე არ მოიქცეოდა. რიჟრაჟზე დასაძინებელი აბი დავლიე და ისეთი სიზმრები ვნახე, ჩემი ოცნებების გაგრძელებას კი არა, მათ პაროდიას რომ წარმოადგენდა. მრავალმნიშვნელოვანი სიცხადით ვიხილეტბა, სადაც არასოდეს ვყოფილვარ: ის ზურმუხტისფერი ყინულის საბურველით იყო დაფარული. ჩოფურა ესკიმოსი ამაოდ ცდილობდა, წერაქვით ყინულჭრილი გაეჭრა, მაგრამ ტბის ღორღიან ნაპირებზე იმპორტული ოლეანდრები და მიმოზები ჰყვაოდა. ეჭვი არ მეპარებოდა, რომ დოქტორი ბიანკა შვარცმანი ავსტრიული შილინგების მთელი ტომარით დამაჯილდოვებდა, თუ ამ ლიბიდოსიზმარს მის ლიბიდოსიეს მივუმატებდი. სამწუხაროდ, სიზმრის დანარჩენი ნაწილი აშკარად ეკლექტიკური იყო. ცხენებზე ამხედრებული ქალბატონი ჰეიზ და პაწაწა ჰეიზი ტბის გარშემო დაჯირითობდნენ და მეც ამასვე ვაკეთებდი, ფეხებგაჩაჩხული გულმოდგინედ ვხტუნავდი, თუმცა ფეხებს შორის, ცხენის ნაცვლად, მხოლოდ მკვრივ ჰაერს ვგრძნობდი — ეს სიზმრის რეჟისორის დაუდევრობისა თუ გულმავიწყობის შედეგი გახლდათ.

შაბათი. გული ჯერ კიდევ ძალუმად მიცემს. ჯერ კიდევ ვიკლაკნები უხერხულობისგან და ჩუმად ვზმუი.

ზურგის ხედი. თეთრ მაისურსა და თეთრ ტრუსებს შორის კანის ოქროსფერი ზოლი მოჩანს. ფანჯარაში გადაყუდებული ლოლიტა მექანიკურად წყვეტს ალვის ხის ფოთლებს, რომლებიც ფანჯარას სწვდებიან. ის გატაცებით ემასლაათება გაზეთების დამტარებელ ბიჭს (მგონი, ეს კენეტ რაიტია), ქვემოთ რომ დგას. ბიჭმა ეს-ესაა დახვეული „რამზდელ ჯორნალი" ხმაურით გასტყორცნა და ზუსტად მოახვედრა მიზანს — ჩვენი პარმაღის საფეხურს. გოგონას ხეიბარი კოლოს (როგორც პანტომიმისტები ამბობენ ხოლმე) მსგავსად მივეპარე. ჩემი კიდურები წარმოადგენდა [ამოზნექილ ზედაპირებს; რომელთა შორის — ან, უფრო ზუსტად, რომლებზეც — ნელა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივფორთხავდი და გადაადგილების რომელიღაც ნეიტრალური საშუალებით ვსარგებლობდი: კუტი კოლო ჰუმბერტი. უამრავი დრო დამჭირდა, რათა ლოლიტამდე მიმეღწია. მას თითქოს დურბინდის ვიწრო ბოლოდან ვაკვირდებოდი და გოგონას მკვრივ გავას ისე ვუახლოვდებოდი, თითქოს დამბლადაცემული ადამიანი ვიყავი, რომელსაც უძვლო, ამოტრიალებული კიდურები ჰქონდა და ნებისყოფის საშინელი დაძაბვის ფასად მოძრაობდა. ბოლოს, ზუსტად მის უკან აღმოვჩნდი; მაგრამ აქ უკულმართი აზრი დამებადა. მოვინდომე, მოჩვენებითი სიცელქით ქეჩოში ხელი წამევლო ლოლიტასთვის, რათა ჩემი ჭეშმარიტი თამაში შემენიღბა. მან მოკლედ, მწივანა ხმით მითხრა: „თავი დამანებეთ“ (რაც ძალზე უხეშად იყო ნათქვამი) და ჰუმბერტ თვინიერმა საზარელი ღრეჭით დაიხია, ფანჯარაში გადაკიდებულმა საძაგელმა გოგომ კი ქაქანი გააგრძელა.

ახლა კი მომისმინეთ, რა მოხდა შემდეგ: როდესაც ვისაუზმე, ბაღის დაბალ მერხზე დავჯექი და შევეცადე, წამეკითხა. უცებ თვალებზე ორი მარჯვე ხელი ამეფარა. ეს ლოლიტა შომეპარა და ბალეტის სცენების მსგავსად, ჩემი დილის მანევრი გაიმეორა. მის თითებში, რომლებიც მზის შუქს ჩრდილავდა, ჭიაფერი ილანდებოდა. გოგონა სულმოუთქმელად ხარხარებდა და ხან ერთ მხარეს იხრებოდა, ხან მეორეს, როდესაც ხელს უკან ან გვერდზე ვწევდი ისე, რომ არ ავმდგარვარ. ვეფერებოდი მის მკვირცხლ და თითქოს მოკისკისე ფეხებს, და წიგნი ჩემს სხეულზე ჩამოსრიალდა, და მოსეირნე მისტრის ჰეიზი მოგვიახლოვდა და შემწყნარებლურად თქვა: „უბრალოდ, ღონივრად სთხლიშეთ, თუ თქვენ ფიქრებს ხელს უშლის. როგორ მიყვარს ეს ბაღი“. განაგრძო მან ძახილის ნიშნის გარეშე. „ეს მზე განა სამოთხე არ არის“ (კითხვის ნიშნის კვალიც არ შეიმჩნეოდა) და მოჩვენებითი ,ნეტარების გამომხატველი ოხვრით ეს აუტანელი ქალბატონი ბალახზე დაჯდა, ზურგს უკან გაფარჩხულ ხელებს დაეყრდნო და ცას თვალი გაუშტერა. უცებ მას ტენისის ძველი, რუხი ბურთი დაახტა და სახლიდან ლოლიტას რამდენადმე ქედმაღლური ხმა გაისმა: „ბოდიში, დედიკო. შენ არ გიმიზნებდი“. რა თქმა უნდა, არა, ჩემო მხურვალე, სათუთო მშვენებავ!

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაზ ჭილაძე

მადლობა ვუთხრათ ღმერთს...

— ბატონო თამაზ, ჟურნალ „ცისკრის“ შემოქმედებითი კოლექტივისა და მრავალრიცხოვან მკითხველთა სახელით გილოცავთ რუსთაველის პრემიას და გისურვებთ ახალ-ახალ შემოქმედებით წარმატებებს... ნობელის პრემიის მიღებისას არსებული საზეიმო ცერემონიალი ჩვენს შემთხვევაში, რუსთაველის პრემიის მიღებისასაც რომ არსებობდეს და სავალდებულო იყოს თქვენი გამოსვლა, რას გვეტყოდით, როგორი სიტყვით მიმართავდით სრულიად საქართველოს?

— უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას გიხდით თქვენცა და „ცისკრის“ მკითხველებსაც პრემიის მოლოცვისათვის.

თუკი ჩვენშიაც იქნებოდა პრემიის გადაცემის საზეიმო ცერემონიალი, თუკი სავალდებულო იქნებოდა სიტყვის თქმა, ალბათ, სხვა რამეს ვიტყოდი, ვიდრე წარმოდგენილ, არარსებულ ცერემონიალზე, ანუ თქვენი შეკითხვის პასუხად. მაგრამ ასე იქნებოდა თუ ისე, მაინც მწერლობაზე ვილაპარაკებდი, რომლის მდგომარეობაც და რომლისადმი დამოკიდებულებაც, ჩემი აზრით, უაღრესად დრამატულია დღევანდელ დღეს და ერთგვარად გამოხატავს კიდეც ჩვენს სულიერ მდგომარეობას საერთოდ. ადამიანი თითქოს ორბიტიდან ამოვარდა. აშკარად დაკარგა ის სულიერი წონასწორობა, რომელიც არსებობის აუცილებლობის ილუზიას უნარჩუნებდა. რაღაც მოხდა უფრო მნიშვნელოვანი და საბედისწერო, ვიდრე ნებისმიერი პოლიტიკური თუ ეკოლოგიური კატასტროფაა. და აი, ამ დროს მწერალი ეხმარება მკითხველს სიმარტოვისა და გაუგებრობის შიშის დაძლევაში, ამით ის ძალიან გავს რელიგიის მსახურსაც და ექიმსაც, მაგრამ, რადგან ცოდვა თვითონაც მრავლადა აქვს, მღვდლად არ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგება, ხოლო რაც შეეხება ექიმობას, მწერალს, ალბათ, უფრო პაციენტის როლი შეეფერება, ვიდრე ექიმისა, თუნდაც თავისი ათასჯერ დაფლეთილი და იმედის ნემსით ათასჯერ ამოკემსილი გულის გამო. მწერალი ნათელმხილველების უძველესი, აწ გადაშენებული მოდგმის უკანასკნელი წარმომადგენელია. მართალია, დღეს ყურს არავინ უგდებს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს, რომ მართალს არ ლაპარაკობს.

— აი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრიც გავხდით. ალბათ, ახლა შინაც სხვა პოლიტიკაა საჭირო, უფრო მეტი პროფესიონალიზმი. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის ჩვენი საზოგადოებისათვის ამჟამად მთავარი?

— გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციაში გაწევრიანება დიდი გამარჯვებაა, ეს ვიტყოდი ეროვნული ბედნიერებაა! ეს არის დიდი ხნის ოცნების ასრულება!.

ახლა მთავარია შევინარჩუნოთ თავისუფლება, რაც მის მოპოვებაზე ადვილი საქმე არ გახლავთ.

ყველაზე სწორი პოლიტიკა ჩვენს სინამდვილეში, ალბათ, პოლიტიკის მოთვინიერებაა, განსაკუთრებით, პროვინციული პოლიტიკისა — ვგულისხმობ პროფესიონალიზმის უკმარისობას პოლიტიკაში. საქართველოს სტიქიურ უბედურებასავით დაატყდა თავს ამდენი უმწიფარი პოლიტიკოსი, ამდენი დედის წინ მარბენალი კვიცი, რომელიც ცხენობას უკადრისობს და მგლობას იჩემებს. უმწიფრებად, რასაკვირველია, მხოლოდ ახალგაზრდები არ წარმოშიდგენია...

მიუხედავად იმისა, რომ ათასობით და ათასობით პატიოსანი და გულწრფელი, სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იღებდა მიტინგებში მონაწილეობას და უსათუოდ ძვირფასია თითოეული მათგანის ღვაწლი ეროვნულ მოძრაობაში, მაინც, თუკი ჩვენი ქვეყნისთვის სიკეთე გვინდა, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ კარგი მომიტინგე შეიძლება არ იყოს კარგი მწერალი, არ იყოს კარგი ექიმი, არ იყოს კარგი ჟურნალისტი, კარგი მუსიკოსი, კარგი ქიმიკოსი და, რასაკვირველია, შეიძლება არ იყოს კარგი პოლიტიკოსი!

დაუშვებელია ეროვნული მოძრაობის ცალმხრივად, გამარტივებულად, მხოლოდ პოლიტიკოსთა ბრძოლად წარმოდგენა. საბოლოო ჯამში, ეს მის გადაგვარებასა და დაკნინებას გამოიწვევს.

როგორმე უნდა აღიკვეთოს პოლიტიკაში დაგროვებული ქულების პირად ცხოვრებაში განაღდების ცდები. როცა თავისუფლებისათვის იბრძვი, თავისუფლების გარდა სხვა საზღაურს არ უნდა მოელოდე მისგან. იქნებ იმაზედაც დავფიქრებულიყავით: რატომ ხდება, რომ მედროვეთა ყოველი მამულიშვილური გაბრძოლება ადმინისტრაციული სავარძლებით მთავრდება?..

— ერთის მხრივ —მწერალი და ხელისუფლება, მეორეს მხრივ —მწერალი და ხალხი. ჩვენი ცხოვრებიდან გამომდინარე, რანაირი დამოკიდებულება არსებობს ამათ შორის და როგორი იქნება ოპტიმალური ვარიანტი?

— მწერლობისა და ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის დროს, მწერლის პოლიტიკურ თავისუფლებაზე ლაპარაკისას, აშკარად რაღაც საბედისწერო შეცდომას ვუშვებთ, როგორც ჩვენ, ასევე ხელისუფალნიც. მე მგონი, ინერციით, ამ მეტად სათუთ საკითხსაც ტოტალიტარიზმიდან წამოყოლილი საზომებით ვუდგებით.

ნიშნავს თუ არა ეკონომიკური დამოუკიდებლობა მწერლისთვის პოლიტიკურ თავისუფლებას, რისგან ათავისუფლებს ეს მწერალს და როგორ ახასიათებს ეს მოვლენა მთავრობას?

თავისუფალი იყო თუ არა კორნელი, როცა რიშელიეს ასეთი სიტყვებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართავდა: „თქვენგან ვისწავლეთ, როგორ გავაკეთილშობილოთ ხელოვნების მიზანი“-ო, რას ფიქრობდა ჭკვიანი და ცბიერი რიშელიე, როცა ამ სიტყვებს ისმენდა, იცოდა, თუ არა, რომ პოეტი ტყუოდა? შეიძლება... მაგრამ ტყუილის მოსმენა რომ სიამოვნებდა, ამას ამტკიცებს მის მიერ პოეტისთვის აზნაურობის მინიჭების ამბავი. ძალაუფლება, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმას უბნელებს გონებას, ვისაც ის უპყრია!..

თავისუფლებას მწერალს ვერავინ მიანიჭებს, რადგან ვერც ვერავინ წაართმევს მას ღმერთისგან ბოძებულ ამ საჩუქარს. მწერალი, თუკი ნამდვილად რაიმეს წარმოადგენს, ნებისმიერ პირობებში, თვით ციხის ჯურღმულშიაც კი, თავისუფალია. ეს არის ჩვენი პროფესიის ერთ-ერთი საიდუმლო, ნიჭი იგივე თავისუფლებაა...

მე არც პოლიტიკოსი ვარ და არც ეკონომისტი, მაგრამ, ჩემი აზრით, ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად საჭიროა ვიცოდეთ, რისგან და რისთვის ვთავისუფლდებით. ამავე დროს, ხალხი, რომელიც განუწყვეტლივ პირზე გვაკერია, სწორედ მაშინ გვავიწყდება, როცა ყველაზე უფრო საჭიროა მისი გახსენება. ხალხისა და ხელისუფლების გაიგივება არ შეიძლება. მწერლობა ხალხის სამსახურისგან კი არ უნდა გათავისუფლდეს, არამედ სახელმწიფო დიქტატისაგან, ამისთვის კი საჭიროა სახელმწიფო მმართველობა გახდეს ნამდვილად დემოკრატიული.

— ბაზარი წალეკილია მასობრივი მოთხოვნილების მდორე ხარისხის წიგნით. რა გზას უნდა მივმართოთ, რომ ეს საშინელი ლიტერატურული ანარქია ჩაცხრეს, წიგნის ბაზარი მოწესრიგდეს?

— ისეთი შთაბეჭდილება მრჩება — წიგნის ბაზარი კი არა, არ ვიცით, რას ნიშნავს ბაზარი საერთოდ, თუმცა, ჩვენი პრესის მიხედვით, თუ საბაზრო ეკონომიკაზე გადასულები არა ვართ, ჰა და ჰა, საცაა გადავალთ! რატომღაც არ მშორდება ის აზრი, რომ საბაზრო ეკონომიკა გაცილებით რთული რამ არის, ვიდრე ჩვენ გვგონია. ჩვენი დაუდევრობა, ბედოვლათობა, ზერელობა და, თუმცა ვერიდები ამ სიტყვას, მაინც ვიტყვი — უვიცობა აქ აშკარად იკვეთება. არ გაგვაჩნია შრომის კულტურა, რაც საბაზრო ეკონომიკის საფუძველთა საფუძველია. საბაზრო ეკონომიკა, რომელმაც ამდენი სიკეთე მოუტანა მსოფლიო ცივილიზაციას, ჩვენთვის, შეიძლება, დამღუპველიც კი აღმოჩნდეს. ეს მისი ნაკლი კი არა, ჩვენი სამარცხვინო უმწეობის დამადასტურებელი იქნება. წიგნის ბაზართან დაკავშირებით, რომელიც ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად გვაინტერესებს, თავს იჩენს ერის კულტურის უამრავი პრობლემა. წიგნის ბაზარი კულტურის ბარომეტრსაც კი შეიძლება შევადაროთ. ჩვენში არ შეიძლება წიგნის ბაზარი არსებობდეს, რადგან დავიწყებული გვაქვს მისი ისეთი ძირითადი, მამოძრავებელი ბერკეტები, როგორიცაა, თუნდაც, საქონელი, რეკლამა და კონკურენცია. კონკურენცია ხომ წარმმართველი ძალაა, სტიმულია ამ სახის ეკონომიკისა. გავიძახით: ბაზარი ცუდმა ლიტერატურამ წალეკაო, ნამდვილ ლიტერატურას „წამგებიანად“ ვაცხადებთ და იმის გამო, რომ აღარ ებეჭდავთ, როგორც წამგებიანს, საშუალებასაც ვართმევთ, კონკურენცია გაუწიოს მდარე, მე ვიტყოდი — სამარცხვინო ლიტერატურას, რომელიც ასე გულუხვად იბეჭდება და მართლაც მღვრიე ნიაღვარივით მოედინება ჩვენი მაღაზიებისა თუ ჯიხურების დახლებზე. საინტერესოა, რის საფუძველზე დავასკვენით, რომელია „წამგებიანი“ და რომელი კი „მომგებიანი“ ლიტერატურა, როდის დავდეთ ერთმანეთის გვერდით დახლზე ისინი, როდის გამოვეცით ნამდვილი ლიტერატურა ისე, როგორც მას ეკადრება ანდა საერთოდ წიგნისთვის რომ დაგვემსგავსებინა? მკრეხელობაა მთელი ქართული კულტურის წინაშე ნამდვილი ლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერატურის, რომელიც ღვთის წყალობით გაგვაჩნია, „წამგებიანად“ გამოცხადება. არ ვიცი, რისი მოგება სურთ ჩვენს ლიტერატურულ საქმოსნებს, მაგრამ ერთი რამ კი ფაქტია: ისეთ რამეს ვაგებთ და ვკარგავთ, რაც აღარასოდეს, არაფრით, აღარავითარი ფულით აღარ აღსდგება — ეს გახლავთ ქართველი ადამიანის რწმენა თავისი მწერლობის მიმართ, რაც ყოველთვის რელიგიური რწმენის სიმაღლეზე იყო ასული. განა ბიზნესის კლასიკურ ქვეყნებში დაუშვებს ვინმე, რომ ცუდმა საქონელმა კარგი საქონელი ბაზრიდან გააძევოს? იქ ხომ კონკურენცია იმიტომ ხდება, რომ კარგმა საქონელმა გაიმარჯვოს! მე არ გამიგია და, ალბათ, ვერც ვერავინ მეტყვის, რომ გასართობ, ერთდღიან ლიტერატურას, რომელიც, სხვათა შორის, გაცილებით მაღალი დონისაა, ვიდრე ჩვენში გამოცემული „მომგებიანი“ წიგნები, ოდნავ მაინც შეეზღუდოს, შეეკიწროებინოს წიგნის ბაზარზე ჭეშმარიტი ლიტერატურა — კლასიკურიც და თანამედროვეც. პირიქით კი ხდება. იქაური გამომცემლები ყველა ხერხს ხმარობენ, მილიონებს არ იშურებენ, რომ ნამდვილი მწერლების ნაწარმოებების გამოცემის უფლება მოიპოვონ...

იმედი მაქვს, როცა ჩვენში კულტურა ბიზნესს თავის ადგილს მიუჩენს, ეს არანორმალური ვითარებაც გამოსწორდება. ამიტომაც ჯერ კულტურაზე უნდა ვიფიქროთ. კულტურა მოაწესრიგებს წიგნის ბაზარს, შექმნის ხელშეუხებელ ლიტერატურულ იერარქიას, რაც ყველგან საჭიროა. ლიტერატურაში ერთგვარ ჰარმონიას სწორედ „წოდებრივი განსხვავება“ ქმნის. საერთოდაც, ასეა — თანასწორები მხოლოდ მონები არიან...

— მწერალთა საკავშირო ორგანიზაცია, რომელიც საბჭოთა იმპერიალისტური იდეოლოგიის პირმშო იყო, როგორც იქნა, დაიშალა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ აღარა ვართ მისი წევრები!

ბოლო ყრილობაზე შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირი. ამასთანავე, ყოველდღე ახალი და ახალი შემოქმედებითი ასოციაცია იქმნება. თქვენ ხომ არ გიფიქრიათ ამაზე?

— სხვადასხვა ქვეყნის მწერლებს, რომლებიც ხალხის ბუნებას მხოლოდ და მხოლოდ დედაენაზე გამოხატავენ, არ შეიძლება საერთო წესდება ჰქონდეთ. საერთო, ყველასათვის ერთნაირად სავალდებულო კანონებით მწერლობა და ხელოვნება ვერ იმოქმიდიბს, თუნდაც იმიტომ, რომ თითოეული ხალხის მწერლობასა და ხელოვნებას თავისი საკუთარი კანონები გააჩნია, თავისი დაუწერელი კონსტიტუცია აქვს მიღებული და ასევე გულის სიღრმეში ფიციც აქვს დადებული ამ კონსტიტუციის ერთგულებისა. ეს ყველა შემოქმედს ერთნაირად ეხება და ერთნაირად აღელვებს კიდეც — მწერალსაც, მუსიკოსსაც, მხატვარსაც, მსახიობსაც, თუნდაც იმიტომ, რომ თავის შემოქმედებაში თითოეული მათგანი მხოლოდ და მხოლოდ მშობლიურ ენაზე მეტყველებს, თუკი, რასაკვირველია, ნამდვილი შემოქმედია და არა მედროვე ავანტურისტი, რომელიც, სამწუხაროდ, „წერლობასა და ხელოვნებაშიც ბლომად მოიძებნება. ენა შემოქმედის ეროვნებაა! ენა საერთო ეროვნული საიდუმლოა, განგების მიერ არსებობის უფლებასავით ბოძებული, ადამიანის სულის ხმაა, საერთო ფიქრის იდუმალი გადანაწილებაა თანამემამულეთა შორის. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ენა წარმოადგენს ერთგვარ ჯებირს, გარესამყაროსაგან რომ მიჯნავს კულტურას. პირიქით, ენა არის გარანტია არა მარტო ბუნებრიობისა და თავისთავადობისა, არამედ იმ წარმატებისაც, იმ ინტერესისაც, რომელსაც სხვა ხალხები ჩვენს მიმართ იჩენენ, რამდენადაც ენა არის ფსიქოლოგიური წყობა ადამიანის არსებისა, მისი სულიერი სამყაროს გამჟღავნება, აზროვნების სისტემა, სული შემოქმედისა. ქართულ ენაზე მეტყველებს დიადი მუსიკა ფალიაშვილისა, ნახატი ფირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სმანისა, ბრწყინვალე სპექტაკლები მარჯანიშვილისა და ახმეტელისა, ქართული ენა დიდი შემოქმედებითი აქტია, რამდენადაც, მისი საშუალებით და მისით აღგზნებული, ყოველ შედეგრში ცოცხლდება მთელი ქართული უძველესი კულტურა, მთელი ქართველი ხალხი.

ნამდვილ შემოქმედებით ატმოსფეროს, ნამდვილ შემოქმედებით ცხოვრებას — რომელიც ჩვენ არ გაგვაჩნია — ქმნის მხატვრის, კომპოზიტორის, მსახიობისა თუ მწერლის პირადი ურთიერთობა, მეგობრობა, საერთო სულისკვეთება. შეიძლებოდა მომავალში ჩვენში დაარსებულიყო ისეთი შემოქმედებითი ასოციაცია, ისეთი კლუბი, რომელიც ყველა სახის შემოქმედს გააერთიანებდა საერთო იდეით, საერთო ცხოვრებისეული პრინციპებით, საერთო მიზნით, საერთო წუხილითა თუ სიხარულით. ჩემი აზრით, ასეთი ასოციაციაა დიდ როლს შეასრულებდა ხელოვნურად დაგლეჯილი ქართული კულტურის გაერთიანებისათვის. ჯერჯერობით ასეთი ასოციაციაა ოცნების სფეროს განეკუთვნება. ოცნებისათვის არავინ მოუკლავთ და მეც ვოცნებობ... ამჟამად კი, თუნდაც დროებით, თუნდაც თავის გადარჩენის მიზნით, გვინდა თუ არა, უნდა შევეგუოთ ორგანიზაციის იმ ფორმას, რომელსაც ქართველმა მწერლებმა ბოლო ყრილობაზე დაუჭირეს მხარი...

— ამ ბოლო დროს, და არა მარტო ჩვენში, ხშირად ლაპარაკობენ 60-იან წლებზე. აღნიშნავენ ამ ეპოქის განსაკუთრებულ როლს თანამედროვე პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. თქვენ რას იტყოდით, როგორ მოიგონებდით ამ დროს, თქვენი შემოქმედების დასაწყისი ხომ სწორედ ამ წლებს ემთხვევა?

— სამოციან წლებზე შეიძლება ილაპარაკო დაუსრულებლად და მაინც ვერაფერი თქვა. ეს არ იყო ეპოქა ჩვეულებრივი გაგებით, უფრო სულიერ მდგომარეობას გავდა, როცა პაწაწინა თავისუფლების სუსხიანი, მაგრამ მაინც დამათრობელი ქარით მოწყვეტილებიც კი ვიყავით მიწას, სინამდვილეს, ანდა მხოლოდ თითისწვერებით ვეხებოდით მას. გვაბრუებდა ოდნავ გადახსნილი რკინის ფარდიდან დანახული სამყარო, რომელსაც ახდენილ ოცნებასავით აღვიქვამდით. თითქოს ჯადოსნურ ქვეყანაში შევაბიჯეთ, სადაც ყველაფერი იდუმალი, მაგრამ მახლობელი იყო. მწერლები, მოულოდნელად გაღებული საკნებიდან გამოცვენილი პატიმრებივით, ეცნობოდნენ და უმეგობრდებოდნენ ერთმანეთს. მართლაც, ეს იყო საერთაშორისო დაძმობილების ხანა. რუსთაველის იუბილე ხომ ლამის მსოფლიოს გამოჩენილ მწერალთა თავყრილობად იქცა. ეს ის დროა, როცა ჩვენთვის თითქმის ყოველდღე ახალი მწერალი იბადება: კინგსლი, ემისი, ოსბორნი, ფრანსუაზა საგანი, ალან რობ გრიე, ოლბი, კერუაკი, სელინჯერი, ბოლდუინი... ეს უკანასკნელი ფინეთში გავიცანი, პროზაიკოსთა მსოფლიო სიმპოზიუმზე. წამებულის სახე ჰქონდა; როცა იღიმებოდა, გეგონებოდათ სახეზე ჭრილობა ეხსნებაო. სისხლის კაპილარების წვრილ ბადეში მოქცეული მისი თვალები, ალბათ გამუდმებული უძილობისაგან, არა მარტო მხედველობის — თითქოს სმენის ორგანოებადაც გადაქცეულიყვნენ. გეგონებოდათ — თვალებით ისმენსო. მაშინ ძალიან პოპულარული იყო მისი პოეტური პუბლიცისტიკა, რომელიც რატომღაც ადრე დაძველდა, თუმცა, ეს ჩვენი საუბრის თემა არ არის... სხვათა შორის, მაშინ გავიცანით დღეს უკვე სახელმოხვეჭილი ბევრი რუსი, უკრაინელი თუ ბალტიისპირელი მწერალიც. არამარტო ასაკი გვქონდა საერთო, არამედ ოცნებებიც, იმედებიც. მაგრამ დრომ ბევრი ილუზია დაამსხვრია, სამწუხაროდ, მეგობრების ილუზიაც. დღეს, როცა საქართველოს ასე გაუჭირდა, როცა ცილისწამებითა და სიძულვილით დაბრმავებულთა გარემოცვაში აღმოჩნდა, მის დასაცავად ერთი სიტყვაც არ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცდენიათ იმათაც კი, ვინც სვეტიცხოვლის ტაძარში სანთელს უნთებდა და სიყვარულს ეფიცებოდა საქართველოს...

სამოციანი წლების ბოლოს ოთართან იოსებ ბროდსკი ჩამოვიდა სტუმრად, დღევანდელი ნობელის პრემიის ლაურეატი. ჩამოვიდა ერთი დღით, მინდოდა მენახეთ, როგორები ხართო. საღამოს ისევ უკან გაბრუნდა. მაშინ ოთარის ლექსებს თარგმნიდა. მის მიერ ბრწყინვალედ თარგმნილი ეს ლექსები ცენზურამ ამოიღო ოთარის რუსული წიგნიდან, რადგან იოსები უკვე გასახლებული იყო საბჭოთა კავშირიდან. მთელი დღე ლექსებს გვიკითხავდა. თოვდა. მახსოვს —უპალტოო, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სიცივისაგან მობუზული, მაგრამ რატომღაც ბავშვივით გაბარებული. ამერიკაში წასვლის წინ შესანიშნავად გამოცემული „ბიბლია“ დამიტოვა სახსოვრად...

არ ვიცი, კიდევ რა გავიხსენო — ყველაფერი საინტერესო იყო! ფელინის „რვა ნახევარი“, ბერგმანისა თუ ანტონიონის ფილმები... შეიძლება ითქვას, კინოს აყვავების ხანა იდგა. ამის მერე, ფელინის სიტყვით რომ ვთქვა, დასრულდა კიდეც კინოს მაგია...

დიდი იყო ჰემინგუეის გავლენის ინერციაც. ლიტერატურის ცაზე გამოჩნდა ახალი პლანეტა — ფილკნერი! ყოველ ახალ სახელს, რომელმაც ჩვენთან დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოაღწია, ახალი სამყარო მოსდევდა თან. ასეთია, თუნდაც, ფროიდის, კირკეგორის, ჰაიდეგერის, ჯოისის, კამიუს, ბეკეტის, სარტრის, ვირჯინია ვულფის სახელები. გამოვიდა კაფკას წიგნი. „პროცესი“ ჩვენს მიერ თითქმის პოლიტიკურ ლიტერატურად აღიქმებოდა. პრაღაში რომ ჩავედი, ვაცლავ ჩერნიმ მაშინვე კაფკას საფლავზე წამიყვანა. ვაცლავ ჩერნიც ამ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფიგურაა. რაც მთავარია, ქართული მწერლობის დიდი მეგობარი გახლავთ, მისი ერთ-ერთი საუკეთესო მთარგმნელიცა და პოპულარიზატორიც ჩეხურ ენაზე. 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა საოკუპაციო ჯარი რომ შეიჭრა, ვაცლავმა აქეთ დაგვამშვიდა — თქვენ არაფერ შუაში არა ხართო... ამდენი ვილაპარაკე მწერლებზე და ერთი სიტყვაც კი არ ვთქვი ისეთ შესანიშნავ პოეტზე, როგორიცაა სტენლი კიუნიცი, არ გავიხსენე პროზაიკოსი და პოეტი ჯონ აპდაიკი, პოეტი და ესეისტი უილიამ სმიტი, რომელმაც სხვათა შორის, კოლუმბიის უნივერსიტეტში მიმიწვია ლექციების წასაკითხად 1974 წელს, სკოპლეს სიმპოზიუმის შემდეგ, მაგრამ ამ მიწვევაზე ამერიკელებისათვის სრულიად გაუგებარი, ხოლო საბჭოთა მოქალაქეებისათვის ასევე ყოვლად გასაგები მიზეზების გამო, უარი ვთქვი...

დაიბეჭდა იონესკოს „მარტორქა“. არსებობს აბსურდის თეატრი, ისმის არტოს სახელი. მოსკოვში გამოდის ლუი ბაროს წიგნი, რომელიც მალე ქართულადაც ითარგმნა. თბილისში გასტროლები გამართეს ჟან ვილარის სახალხო თეატრმა და ბარსაკის „თეატრმა ატელიემ“. ამ უკანასკნელის მიერ წარმოდგენილი ანუის „ანტიგონე“ ქართული თეატრისათვის ოთარმა და მე ვთარგმნეთ, ძიხეილ თუმანიშვილის თხოვნით, რომელმაც, მართლაც რომ ბრწყინვალე სპექტაკლი დადგა რუსთაველის თეატრში. ამ სპექტაკლში სერგო ზაქარიაძისა და ზინა კვერენჩხილაძის დუეტი, ჩემი აზრით, ქრესტომათიული მოვლენაა ქართული თეატრალური ხელოვნებისათვის.

ჩემი თაობა ამ გარემოცვაშიც კი მეტად საინტერესოდ გამოიყურებოდა. თანდათანობით ძალას იკრებდა, თავის შესაძლებლობებს ამჟღავნებდა. ყველას ერთმანეთი უყვარდა. ყოველ შემთხვევაში, ასე გვეჩვენებოდა. ჯერ საფინიშო ხაზამდე შორს იყო... ეს ის თაობაა, რომელსაც შედარებით, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვი — პირობითად თავისუფალ გარემოში მოუხდა ცხოვრების დაწყება და რომელიც ასევე პირველი მიხვდა, ეს თავისუფლება მოჩვენებითი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყალბი რომ იყო, უბრალოდ, თოკის დაგრძელებას გავდა. 1968 წლის ჩეხოსლოვაკიის ტრაგედია მან სწორედ ამის დადასტურებად აღიქვა.

ითარგმნებოდა და საზღვარგარეთ გამოდიოდა როგორც კლასიკის, ასევე თანამედროვე ქართული მწერლობის ნიმუშები, ბევრმა მათგანმა თითქმის მთელი ევროპის ლიტერატურული საზოგადოების ყურადღება მიიქცია.

ჩემი თაობა დღესაც ლიდერობს ჩვენს კულტურულ ცხოვრებაში. ის ახლაც სიცოცხლითაა სავსე და მისგან მრავალ ახალ საინტერესო ნაწარმოებს მოელის მკითხველი.

რასაკვირველია, ეს ძალზე ზერელე დახასიათებაა 60-იანი წლებისა. იმდროინდელი კულტურული ცხოვრების სრული სურათის წარმოდგენა ალბათ შეუძლებელიც კია, მითუმეტეს — ინტერვიუში. მხოლოდ ისა ვთქვი, რაც უცებ გამახსენდა...

— ცნობილია თქვენი ნაწარმოებებისადმი კრიტიკის მძაფრი, ზოგჯერ მეტისმეტად დაუნდობელი (თუნდაც, „ვარდის ფურცლობისთან" დაკავშირებით!) დამოკიდებულება. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ ეს წინასწარ დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული კამპანია იყო თქვენს წინააღმდეგ. რას იტყოდით, იყო თუ არა ეს თქვენი დევნა და შევიწროება ოფიციოზის მიერ?

— არ მიყვარს დევნასა და შევიწროებაზე ლაპარაკი, დღეს ესეც ერთგვარად სპეკულაციის საგნად იქცა. თანაც, ჩემი დევნა და შევიწროება რა მოსატანია ნამდვილად დევნილი და შევიწროებული მწერლების ხვედრთან. უსინდისობაც კია მათ გვერდით რაიმე შევიწროებაზე ლაპარაკი, საერთოდ კი, არ შეიძლება მწერალი იყო და არ იდევნებოდე, არ იზღუდებოდე. ცენზურის ათასნაირი სახეობა არსებობს, თანაც მარტო პატიმრობა როდია ადამიანის დასჯისა და შეზღუდვის საშუალება...

ასე რომ, შემიძლია ვთქვა, მე დევნილი მწერალი არ ვყოფილვარ-მეთქი. ყველა ჩემი ნაკლი, რაც ალბათ უამრავია, მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ბრალია. თუნდაც ჩემი სულსწრაფობისა. უკეთესად შემეძლო და საშუალება არ მომცესო, ამას ვერ ვიტყვი, რადგან მართალი არ იქნება. სხვათა შორის, ალბათ რაღაც-რაღაცების გამართლებისთვის, ძალიან დიდ როლს ვანიჭებთ ოფიციოზისა და ცენზურის შეზღუდვებს. ხომ ვიცით, რომ ციხის ჯურღმულშიაც კი დაიწერება ის, რაც უსათუოდ უნდა დაიწეროს, ე. ი. რაც ნამდვილია...

— ბატონო თამაზ, თქვენი პიესების მიხედვით განხორციელებული სპექტაკლებიდან განსაკუთრებით რომელი დაგამახსოვრდათ და რატომ?

— ყველა სპექტაკლი, რომელიც ჩემი პიესის მიხედვით დაიდგა, ძვირფასია ჩემთვის, განსაკუთრებით, რა თქმა უნდა, პირველი — „აქვარიუმი" (1965 წ.), რუსთაველის თეატრში. რაჟისორი გიზო ჟორდანია იყო. სერგო ზაქარიაძე, სალომე ყანჩელი, ემანუილ აფხაიძე — აი, როგორი მსახიობები მონაწილეობდნენ! მათთან ერთად ზეინაბ გზირიშვილი, რომლის დებიუტიც სწორედ ამ სპექტაკლში შედგა. ჩემი აზრით, ზეინაბ გზირიშვილი ერთ-ერთი უპირველესთაგანია მათ შორის, ვისაც შეუძლია თანამედროვე ქალის უაღრესად დრამატული და რთული ბუნების გადმოცემა... იმიტომ, რომ რეპერტუარიდან მოხსნეს, ვიხსენებ „მკვლელობას", შესანიშნავად დადგმულსა და განსახიერებულს რუსთავის თეატრში 1970 წელს. რეჟისორი გიზო სიხარულიძე, მთავარ როლებში —აკაკი ვასაძე, ირაკლი უჩანეიშვილი... ამ სპექტაკლს ოფიციოზის მხრიდან ისეთი რისხვა დაატყდა, ოთარ თაქთაქიშვილსა და აკაკი ვასაძეს თავი რომ არ გამოედოთ, ალბათ დიდ უსიამოვნებას გადაეყრებოდი... გავიდა ხანი და აკაკი ვასაძემ რუსთაველის პრემია ამ სპექტაკლში მონაწილეობისთვისაც მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღო (გიორგის როლი)... ჩემი პიესები საუკეთესო ქართველმა რეჟისორებმა განახორციელეს სცენაზე, რასაც სიამაყით აღვნიშნავ...

— დღევანდელ დღეს მწერალი ძალიან ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ეკონომიკურად მას სრული გაღატაკება ელის. არსებობს თუ არა რაიმე გზა ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევად? თავადაც, როგორ უნდა მოიქცეს მწერალი, რომ როგორმე შეინარჩუნოს თავისი ტრადიციული ადგილი საზოგადოებაში?

— დღეს სოციალურად ყველაზე უმწეო და დაუცველი ქართული მწერლობაა, ამავე დროს, სრულიად გამოუცდელიც ახალი ცხოვრების დასაწყებად. ამიტომაც გარდამავალი ეპოქის ყველანაირი ხიფათი და სიავე მისთვის ათჯერ უფრო მეტი სიავით ტრიალდება. დღეს ამის შესახებ ბევრი მწერალი ლაპარაკობს. ნურავინ იფიქრებს, მათ მხოლოდ პირადი ბედი აწუხებდეთ. მათ წუხილს წუწუნად ნუ მივიჩნევთ, დავიხსნათ იმ უხერხულობისაგან, რასაც საერთო გაჭირვების დროს საკუთარ სიღარიბეზე ლაპარაკი იწვევს. ეს სიღარიბე კი რომელიმე ქართველ მწერალს კი არა, მთელ ქართულ მწერლობას დაღუპვას უქადის. ამიტომაც ეს პრობლემა მე მიმაჩნია ერთ-ერთ უპირველეს ეროვნულ პრობლემად. ჰუმანიტარული დახმარებები მწერლობას ვერაფერს უშველის, უსათუოდ, დაუყოვნებლივ უნდა გამოიძებნოს რაღაც სახსარი მის გადასარჩენად. მწერლობა კი არ მათხოვრობს, მოითხოვს იმას, რაც მისი ხალხისთვის აუცილებელია. ფაქტია, რომ დღეს ჩვენისთანა ღარიბი ქვეყნისთვის გუტენბერგის გამოგონება დიდ ფუფუნებად იქცა. არა გვაქვს ქაღალდი, ლითონი, საღებავი, მუყაო, ყველაფერი, რაც წიგნის გამოსაცემად აუცილებელია ძაგრამ თუ არა გვაქვს, უნდა შემოვიტანოთ და თანაც ისევე სასწრაფოდ, როგორც მარცვლეული შემოგვაქვს სხვა ქვეყნებიდან. ასე იქცევიან ყველგან, სადაც კულტურის, კერძოდ, მწერლობის მნიშვნელობა ესმით.

მწერალი დღეს ორი არჩევანის წინაშე დგას: ერთი გულისხმობს მორალური თუ შემოქმედებითი პრინციპების უარყოფას, ნიჭით სპეკულაციას, შედარებით უზრუნველ ცხოვრებას, მეორე კი ისევ იმ, წამების დაზგად გადაქცეულ საწერ მაგიდას და სრულ სიღატაკეს. მე პირადად, მეორეს ავირჩევდი. შეიძლება გულუბრყვილოდ მოვეჩვენო ვინმეს, თუკი ვიტყვი, რომ ჩვენი ერთგულება ჩვენივე საქმისადმი დღევანდელი თუ ხვალინდელი საქართველოსთვის აუცილებელია.

— ამჟამად შეინიშნება აქამდე პასიური ჩვენი ემიგრაციის ერთგვარი გამოცოცხლება. ისმის ხმები ზოგიერთი ცნობილი პიროვნების ნეშტის ლევილიდან საქართველოში გადმოსვენებაზე. როგორია თქვენი აზრი?

— ჩემი აზრით, ემიგრანტობა ღვთის რისხვაა. ამქვეყნად არ არსებობს ემიგრანტობაზე დიდი სასჯელი. იგი აშკარად პატიმრობასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე თავისუფლებასთან. სხვათა შორის, ქართველ მწერალს არც ემიგრაციაში წასვლა შეეძლო და არც ამერიკასა და ევროპაში გასახლება ელოდა, რითაც ასე აქტიურად სარგებლობდნენ, თუნდაც, რუსი მწერლები, მუსიკოსები და მოცეკვავეები. ქართველ მწერალს თუ სადმე „გაასახლებდნენ“, მხოლოდ და მხოლოდ ციმბირში, რაც, პირდაპირ რომ ვთქვა — სიკვდილს ნიშნავდა...

ჩვენი ემიგრანტები ჩვენი საერთო უბედურების, კერძოდ, კოჯორთან წაგებული ბრძოლის მსხვერპლნი არიან. ამიტომ მათი საფლავებიც ჩვენი მოსავლელია, ჩვენ გვეკუთვნის, ამასთანავე, ჩემი აზრით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ლევილიც საქართველოს სულიერი გეოგრაფიის ნაწილია, ერის წამების ერთ-ერთი ნიშანსვეტია. ასეთია თითოეული საფლავი იმ „განწირულთა“, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც ბარათაშვილი იტყოდა — ვისაც არ ელირსა დამარხვა „წინაპარნა ძეგლებს შორის“

ვფიქრობ, არ შეიძლება ლევილიდან (და არა მარტო იქიდან!) ნებისმიერი ნეშტის გადმოსვენება საქართველოში, რასაც აქა-იქ უკვე მოითხოვენ ჩვენში თუ პარიზში, რაც უფრო მნიშვნელოვანია პიროვნება, მით უფრო ხელშეუხებელია მისი საფლავი...

ერთი რომაელი ისტორიკოსი მოგვითხრობს კართაგენელი ძმების გმირობაზე, რომლებმაც თავი ცოცხლად დაიმარხეს, რათა თავიანთი სამარე სამშობლოსათვის ხელსაყრელი საზღვრის ნიშნად ექცეთ. ასეთ სასაზღვრო ხაზზე, „შავი ყორნის“ მიერ გათხრილ სამარეებში წევს დღეს საქართველოს ბევრი ღირსეული შვილი, რათა მათ შემდგომ მოძმესა... „საგალი გზისა გაუადვილდეს“ ასეთი საფლავი მარად ცოცხალი და მებრძოლი ფენომენია, რომელიც მშობლიური ერის ისტორიის შენებას ემსახურება. ეს ყველა ხალხმა ერთნაირად იცის და ყველა ერთგულად იცავს მათი ხელშეუხებლობის დაუწერელ კანონს, თორემ სხვანაირად ვინ დაასწრებდა, თუნდაც, სომხებს ოვანეს თუმანიანისა და ტერიანის, აზერბაიჯანელებს — მირზა ფატალი ახუნდოვის, რუსებს— გრიბოედოვის ნეშტების გადასვენებას საქართველოდან!

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ ამ ბოლო დროს ასეოდ მომძლავრებულ, მოზღვავებულ, მოძალებულ პოლიტიკურ ინფორმაციას, როგორ მოქმედებს ის მხატვრულ შემოქმედებაზე?

— პოლიტიკური ინფორმაცია, საერთოდ, ინფორმაციული ნარკობიზნესი დღითი დღე უფრო და უფრო მეტ ტერიტორიას იპყრობს და იჩემებს იმ სამყაროში, რომელსაც ადრე კულტურა, კერძოდ, მწერლობა და ხელოვნება ფლობდა. დაიწყო ჟურნალისტიკის ტრანსპლანტაცია მწერლობაში, რაც ხელოვნური გულის გადანერგვაზე არანაკლებ რთული და სახიფათო პროცესი აღმოჩნდა უვიცი „ქირურგების“ ხელში. ამ სახეობის ნარკობიზნესმა მწერლობასა და ხელოვნებას არამარტო სამოქმედო ტერიტორია წაართვა, არამედ მნიშვნელობაც, და, თუ გნებავთ, დანიშნულებაც კი შეუცვალა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ დღეს თემა განსაზღვრავს მხატვრული ნაწარმოებისადმი ინტერესს, ოღონ რამ არის ამქვეყნად ისე ანტიკულტურული, როგორც ჩვენში უკვე ტრადიციად ქცეული კითხვა: რამდენად პასუხობს ესა თუ ის მხატვრული ნაწარმოები დღევანდელობას? ბევრი რამ არ არის კულტურისათვის ისე მავნებელი, როგორც **თანამედროვეობის** ცნების **დღევანდელობის** ცნებით შეცვლა. მხატვრული ნაწარმოები დღევანდელობას არ პასუხობს და არც შეიძლება პასუხობდეს. თუ ის ნამდვილად მხატვრულია, მაშინ თანამედროვეა და თანამედროვეა უკვე სამუდამოდ. დღევანდელობას, როგორც დროის აღმნიშვნელ კატეგორიას, ჟურნალისტიკისაგან განსხვავებით, საერთოდ არ იცნობს მწერლობა და ხელოვნება. შეჩერებული წამი მისთვის იმიტომაც არის მშვენიერი, რომ წარმოუდგენელია! ყოველი დაწერილი სიტყვა მაშინვე წარსულად გადაიქცევა ხოლმე, სინამდვილე, როგორც კედელი — ტენისის ბურთს, ისე ისხლეტს და უკან აბრუნებს ყველაფერს, რითაც მის დამორჩილებას, „გამოჭერას“ ცდილობენ. ამიტომაც ჩვენი ხილვებისა და ოცნებების ირეალური სამყარო გვევლინება მეტაფიზიკური მეტაფორების საფუძვლად, რომლებიც, თავისი მხრივ, ჰქმნიან **თანამედროვეობის**, როგორც მარადიულის განცდას.

დღევანდელ პირობებში მწერლობისა და ხელოვნების ყველაზე დიდი მტერი მისი გაუბრალოებული, მე ვიტყოდი — გამდაბიოებული წარმოდგენაა. ჩვენ არ ვიცით, უფრო სწორად — დაგვავიწყდა და მერე აღარავის შეუხსენებია, რა არის მწერლობა, ამიტომ მისგან იმას მოვითხოვთ, რაც არ მოეთხოვება. გვავიწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყდება, რომ მწერლობა სინამდვილეს კი არ ასახავს, არამედ ახალ სინამდვილეს ქმნის, შეორე სინამდვილეს, რომელშიაც, ერთი პოეტის თქმისა არ იყოს, უფრო მძაფრად იგრძნობა ცხოვრება, ვიდრე ცხოვრებაში.

თემის გაფეტიშებამ კვარცხლბეკიდან ჩამოაგდო ის ღვთაება, რასაც **სიტყვის ხელოვნება** ერქვა და რასაც ტრადიციულად წარმოადგენდა კიდეც მწერლობა. ცოტა ხანს საერთოდ დავივიწყეთ, მწერლობა ხელოვნებას რომ განეკუთვნება, რომ ერთია ნაწარმოები, სადაც ავტორის საკუთარი ხელით დასისხლიანებული სხეულის გარდა, სხვა არაფერი მიგვანიშნებს ტანჯვაზე და რომელიც უმალ კლინიკური დახმარების აუცილებლობის განცდას იწვევს და არა სულიერ თანაგრძნობას და მეორეა — „მატარებელი დუმს, როგორც ლავა!“ უმეტაფოროდ ხელოვნება მკვდარია. ვისაც არ შეუძლია სინამდვილის მეტაფორულად წარმოდგენა, ანუ სინამდვილის ხელოვნების ენაზე თარგმნა, ის არც შეიძლება მწერალი იყოს, საერთოდ ხელოვანის წოდებას იმსახურებდეს...

— ბატონო თამაზ, გარდა დრამატული თხზულებებისა, თქვენ მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შეგიქმნიათ პოეზიაში, პროზაში, ბრწყინვალე წერილები და ესეებიც დაგიწერიათ. როგორ ფიქრობთ, მწერალი ერთ ჟანრში უნდა მუშაობდეს, სადაც უკეთ გამოხატავს თავის თავს, თუ ეს იმიტომ ხდება, რომ მისი აზროვნების მასშტაბი და სათქმელი სხვადასხვა ჟანრს მოითხოვს?

— განა ვინმეს უკვირს, რომ ლექსი „ია“, პოემა „ალუდა ქეთელაური“, მოთხრობა „შვლის ნუკრის ნაამბობი“, პიესა „მოკვეთილი“ და სტატია „ფიქრები „ვეფხისტყაოსანზე“ ერთი ავტორის დაწერილია? არც არავის უკვირს და არც არავის უნდა გაუკვირდეს. მწერლის ასეთი მრავალმხრივობა არც უპირატესობაა და არც სამაგალითო გაკვეთილი; ეს, ჩემი აზრით, ჩვეულებრივი მოვლენაა მწერლობაში და ამავე დროს მწერლის პიროვნულ თავისებურებაზეც მეტყველებს. არც სათქმელისა და აზროვნების მასშტაბურობის დამამტკიცებელია. შეიძლება პოეტი მხოლოდ ლექსებს სწერდეს, მაგრამ თავისი მხატვრული აზროვნების მასშტაბით ჩვენს ყველაზე დიდ მნათობებს უტოლდებოდეს. ასეთია, მაგალითად, გალაკტიონ ტაბიძე.

„ო, როგორ მიყვარს იისფერ თოვლის
ქალწულებივით ხიდიდან ფენა...“

ეს ორი სტრიქონიც კი მკაფიოდ მიგვანიშნებს ავტორის მხატვრული აზროვნების მასშტაბურობაზე. ამ ორი სტრიქონიდან თითქოს იდუმალი სევდით გაზავებული უსასრულობა წარმოიშობა...

მხატვრული აზროვნების მასშტაბურობის ერთადერთი დამამტკიცებელი ნიჭია, ხოლო რა ფორმით გამოვლინდება იგი, ეს უკვე მწერლის პიროვნულ თავისებურებებზეა დამოკიდებული...

— ბატონო თამაზ, ამას წინათ რამდენიმე ლიტერატორის კამათს შევესწარი, ერთი მხარე ამტკიცებდა, გარდა თავისთავად ღვთისგან ბოძებული ნიჭისა, მწერალმა მსოფლიოს ძირითადი რელიგიები, მნიშვნელოვანი ფილოსოფიები თუ მწერლები უნდა შეისწავლოს, კარგია თუ მუსიკაში, მხატვრობაში და თეატრშიც გარკვეული იქნება, ბევრად უკეთესად დაწერსო. ხოლო მეორე მხარე კი ყველაფერ ამას უარყოფდა, მწერლისთვის საკმარისია ცხოვრების კარგად ცოდნა, ეგ არის და ეგო... თქვენ რას გვეტყოდით ამის თაობაზე?

— განათლება რომ გაუნათლებლობას სჯობია, ამაზე, მე მგონი, ორი აზრი არ არსებობს. ეს, რასაკვირველია, მწერალზეც ვრცელდება, ოღონდ, გარკვეული თვალსაზრისით. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აქ, მწერლობაში, მხოლოდ და მხოლოდ ნიჭი მბრძანებლობს, ნიჭიერება განსაზღვრავს მწერლის ჭეშმარიტ რაობას. ნიჭი კი ისეთი საიდუმლო ფენომენი გახლავთ — განათლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბასაც შეიცავს, ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც და, საერთოდ, ყველაფერს, რაც სხვებისთვის მხოლოდ ბეჯითი მეცადინეობით მიიღწევა. იყო დრო, როცა მწერალს ცხოვრების შესასწავლად აგზავნიდნენ მივლინებით, თითქოს ცხოვრება ცალკე არსებობდეს, მწერალი კი — ცალკე. ეს კი იმიტომ ხდებოდა, რომ ნამდვილი ცხოვრება, რომელიც შენს ბუნებაში, სულში აკუმილირდებოდა, არ გადმოგეცა, არ გაგეზიარებინა სხვისთვის.

ყველა მწერალი თავისი საკუთარი „ცხოვრებით" ჩნდება ლიტერატურაში. „ცხოვრების" ცნება „ტალანტის" ცნებისგან განუყოფელია. ტალანტი ნამდვილი არ არის, თუკი მას საკუთარი ცხოვრება არ ახლავს. ეს „ცხოვრება" იგივე მწერლის სამყაროა, ეს გახლავთ მისი „მეორე სინამდვილე", რომელიც მერე, იმისდა მიხედვით, რამდენად ნიჭიერია, ფიზიკურად არსებულ სინამდვილეს ემატება და ამდიდრებს. შემოქმედება მეტაფიზიკური პროცესია, მისი გამარტივება ყოველთვის ტრაგედიებთან არის დაკავშირებული. ამასთანავე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნიჭიერი ადამიანი მხოლოდ თავისი ნიჭის ანაბარა, მხოლოდ თავისი ნიჭის იმედით დარჩეს. ეს თვითმკვლელობის ტოლძალია მწერლისთვის, რისი მაგალითებიც უამრავია ჩვენს გარშემო. სწორედ ნიჭიერ ადამიანს ჭირდება მეტი წვრთნა და ვარჯიში. ცნობილია, რომ ნიჭიერი, ანუ ნამდვილი მწერლები განათლებულები არიან. მაგალითისთვის, ყველა ჩვენი კლასიკოსი ასეთია.

ცხოვრებას ვერ ისწავლი, თუ არ იცხოვრე. „ცხოვრების შესასწავლად" არსად წასვლა არ არის საჭირო. ღმერთს ისე გაუჩენიხარ, რომ შენი საკუთარი თავიდანაც შეგიძლია უამრავი რამის შეძენა. ამასთანავე, რაც უნდა ბევრი იცხოვრო, ვერაფერს დაწერ, თუ ნიჭი არ გაგაჩნია, მაგრამ თუკი ამ ნიჭს განათლების საკენკს არ მიაწვდი, ხელში ჩაგაკვდება, ჩიტივით...

განათლება მწერალს ეხმარება შემოქმედებითი პოზიციის შემუშავებაში, ეს უკანასკნელი კი აწესრიგებს, სისტემაში აქცევს ყოფითი ცოდნისა და გამოცდილების სტიქიას.

არსებობს უამრავი მიმდინარეობა მწერლობასა და ხელოვნებაში, უამრავი მანიფესტია გამოქვეყნებული, რომლებიც შემოქმედებით პროცესში ინტელექტის ყოველგვარი გამოვლენის წინააღმდეგაა მიმართული. მაგრამ საქმე ის გახლავთ და, ეს ზოგჯერ გვავიწყდება — ასეთი მანიფესტი რომ დაწერო, უსათუოდ განათლებული უნდა იყო, შენთვის ასე თუ ისე ცნობილი უნდა იყოს ადამიანის ინტელექტის შესაძლებლობანი თუ არა, მისი მიღწევები მაინც. რომ უარყო, უნდა იცოდე, რას უარყოფ...

ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ტრაგიკული სიმბოლიკის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშანი — თავშესაფარია, რამდენადაც ცხოვრებამ ყველანი ლტოლვილებად გვაქცია, ზოგი რეალურ, ზოგი კი სულიერ ლტოლვილად. დღეს ადამიანის თვალი, თავდაცვის ინსტინქტის კარნახით, უნებურად ყველგან, ყველაფერში თავშესაფარს დაეძებს. უფრო მეტიც, ჩვენი სული ამოვარდა თავისი შშობლიური ფოსოდან და ამაოების კედლებს აწყდება სიმარტოვისაგან თავზარდაცემული. კულტურა, რომელიც ჭერივით საიმედოდ იცავდა ავდრისგან, ჩვენ თვითონ მოვუშალეთ, განვდევნეთ ნამდვილი მწერლობისაგან, ნამდვილი ხელოვნებისგან, შევაჩეჩეთ მწერლობისა და ხელოვნების სუროგატი, სიბნელის ორმოდან ძლივსძლივობით ამოხოხებული, ისევ სიბნელის ორმოში ჩავაბრუნეთ. მაგრამ იმედია, ეს დროებითი მოვლენაა. დროებით გაბრუებული, გაოგნებული მკითხველი ისევ ნამდვილ მწერლობას დაუბრუნდება, თავისი სულის სახლს, და მოგვთხოვს დღევანდელ მწერლებს იმას, რაც ტრადიციულად სულზე მალამოდ ეცხებოდა — ადამიანურობის სხივით შეკრულ, ერთმანეთთან შენივთულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აზრსა და ხატს. ჩვენც მზად უნდა ვიყოთ მასთან შესახვედრად, არ უნდა დაგვავიწყდეს, ის ძალიან მომთხოვნია და დაუნდობელი. შეიძლება ითქვას — მწერლობა იწყება პირველი მკითხველის გამოჩენის შემდეგ. ეს შეხვედრა მწერლისა და მკითხველისა საბედისწეროა იმ გაგებით, რომ ბრძოლად გადაიქცევა ხოლმე და ეს ბრძოლა მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება, ზოგჯერ კი, თუკი მწერალი ნამდვილია, სიკვდილის შემდეგაც. ვინ ვის მოერევა — ეს არის ფარული მამოძრავებელი ძალა იმ საიდუმლო პროცესისა, მწერლობა რომ ჰქვია და რომელზედაც მკითხველს გადამწყვეტი გავლენის მოხდენა შეუძლია. გზასაცდენილი, წამებული, მაგრამ ჭეშმარიტებას თვითონ მიხვედრილი და ამდენად ამაღლებული, შინ დაბრუნებული მკითხველი ჩვენგან ინფორმაციის ქაღალდის ჩიტებს კი არა, ნამდვილ ცოცხალ სამყაროს მოითხოვს, გასხივოსნებულს გონიერებითა და განათლებით...

ის, რაც კაცობრიობის შემოქმედებით გენიას შეუქმნია, ყველა ადამიანს ერთნაირად ეკუთვნის, მაგრამ მხოლოდ მცირე, თითქმის უმნიშვნელო ნაწილი ფლობს მას და ამ მცირე ნაწილში ჩვენ, ქართველები არ ვიგულისხმებით. დღევანდელობისათვის შესაფერ განათლებას ვერც სშუალო სკოლაში და ვერც უმაღლეს სასწავლებელში ვერ ვიღებთ. ამავე დროს, ჩვენი სკოლის უმწეო, პირდაპირ რომ ვთქვა — მკვდარ პროგრამებზე მეტად დამაფიქრებელია ჩვენი დამოკიდებულება საერთოდ სწავლისადმი. ძალიან მიკვირს, რა ცოტას მოითხოვს ჩვენი მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობა თავისი მასწავლებლებისაგან. გერმანიაში მე დავსწრებივარ ერთ-ერთი უნივერსიტეტის სტუდენტების მიტინგს, სადაც პროტესტს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ცოტას გვასწავლიანო. ჩვენში ასეთი მიტინგი წარმოუდგენელია.

— ჩვენში განსაკუთრებული პატივისცემითა და სიამაყით მოიხსენიებენ ხოლმე ძმებ ჭილაძეებს. ბუნებრივია, თქვენ ერთად გაიზარდეთ, თქვენს ბავშვობას ხომ არ გაიხსენებდით, თქვენს საოჯახო გარემოცვას, ვინ იყო თქვენთან განსაკუთრებით ახლოს, ვინ გიბიძგათ მწერლობისაკენ?

— თუკი რაიმე, ნამდვილად ღირებული, მართლა გაგვიკეთებია ჩემს ძმასა და მე, თუკი ვინმეს ოდნავ მაინც წაეხმარა ჩვენი ნაშრომი და ნაფიქრი, ეს, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მშობლების წყალობაა. მათ გაგვიღვივეს შემოქმედებისადმი ინტერესი, პასუხისმგებლობის გრძნობა და თანაგრძნობის უნარი. მოკლედ, ადამიანურობის ანბანი, ურომლისოდაც მწერალი ვერ გახდები. ჩაგვინერგეს უდიდესი პატივისცემისა და მოწიწების გრძნობა ჩვენი დიდი მწერლობისადმი. პირველი სურათები, რომლებიც თვალის აზელისთანავე დავინახეთ, ანდა საგანგებოდ მიგვაქცევინეს ყურადღება — აკაკის, ვაჟასა და ილიას პორტრეტები იყო, ჩვენს ბინაში ყველაზე თვალსაჩინო ადგილას, ხატებივით, რომ გამოეფინათ.

წერა-კითხვა მე და ოთარს მამამ გვასწავლა. მოწოდებით მასწავლებელი იყო, ღვთისგან ბოძებული ნიჭი ჰქონდა მასწავლებლობისა, ამ ყველაზე დიადი პროფესიისა. ეამაყებოდა წყვილი ბიჭი. მაგრამ ჩვენი დე — თინიკო რომ გაჩნდა, მახსოვს, ცას ეწია სიხარულით. არ გამიგია, ვინმეს ასე გახარებოდეს გოგოს გაჩენა. კარგადაც იქეიფა. მე და ოთარი გამოღებული კარიდან ვიჭყიტებოდით იმ ოთახში, სადაც სტუმრები ისხდნენ. მშობლების ნებართვის გარეშე როგორ გავბედავდით იქ შესვლას! მახსოვს ფეხზე მდგარი მამა! ეს ხატს ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს: მან ხომ ორმოც წელზე მეტი ერთ ადგილზე მიჯაჭვულმა გაატარა! ჭიქიანი ხელი იმ სურათებისკენ გაუწვდია, ზემოთ რომ მოგახსენებდით, აღგზნებული ლაპარაკობს რაღაცას, ყველანი ხმაგაკმენდილნი უსმენენ. საერთოდ, მის სიტყვას ყველა უსმენდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჯერებდა, შინაურიც და უცხოც, ანუ ვინც მას პირველად ხედავდა, ადამიანზე ზემოქმედების უცნაური უნარი ჰქონდა, მაშინაც კი, როცა ხმას არ იღებდა მისი დუმილიც კი მნიშვნელოვანი იყო, რაც განსაკუთრებულობის იერს ანიჭებდა. დარწმუნებული ვარ, ამქვეყნად დიდი საქმეებისთვის იყო მოვლენილი, მაგრამ ბედის უკულმართობის გამო, ოჯახის კედლებს ვერ გასცილდა. მაგრამ ერთი დიდი საქმის გაკეთება ღმერთის წინაშე მაინც შესძლო — სიყვარულსა და ურთიერთგაგებაზე დაფუძნებული ოჯახი შექმნა! დავრდომილმა შეგვინახა, გადაგვარჩინა, ფეხზე დაგვაყენა, მარტონი ვიყავით, ცხოვრების ნაცრისფერ ზღვაში თითქოს კუნძულზე ვცხოვრობდით, მაგრამ მისი წყალობით ეგოცენტრიზმის საშინელ სენს ავცდით ორივენი — მეცა და ოთარიც. ხელმოკლე მასწავლებელმა შესძლო ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი რამ ეჩუქებინა—საკუთარი თავის რწმენა, საკუთარი სიმართლის ერთგულება, რაც, საბოლოო ჯამში, საერთო-ადამიანური სიმართლის განმამტკიცებელია. ახალგაზრდობაში ლექსებს წერდა („მე მიყვარს ლოცვით ათრთოლება შენი სახელის"), ოთარმა „რკინის თეატრში" მთლიანად მოიყვანა მისი გიმნაზისტობის დროინდელი ერთი ლექსი...

ორი ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული, ორი უცხო ენა იცოდა, აღმერთებდა რუსთაველს. ზეპირად ამბობდა ხოლმე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედიების უზარმაზარ ნაწყვეტებს. ფენომენური მახსოვრობა ჰქონდა. პირველმა მან წაგვიკითხა ელინური მითები, მისგან გავიგეთ ნიცშეს სახელი. ნეტარებას გვრიდა ქართული ხალხური სიმღერები და დები იშხნელების გალობა. მახსოვს გამოღებული ფანჯარა. ფანჯრის რაფაზე — წითელი პატეფონი — პირდაღებული წითელი გომბეშო. ფირფიტა ტრიალებს: „კუჩხა ბედინერი", „ ჩავუხტეთ და ჩავუხტეთ", „გუშინ შვიდნი გურჯანელნი", „ალი ფაშამ გვიღალატა"...

ერთხელ ვკითხე, კარვი მწერალი ვინ არის-მეთქი. მიპასუხა: ვინც თავისი თავი შეიცნოო...

ჩვენს ოჯახში ყველაზე ნამდვილი პოეტი დედაა! ის არის ჩვენი აივნის ჩიტების მეგობარი (დილით ფანჯარაზე ნისკარტით უკაკუნებენ ხოლმე!), ბუნების ცვლილებების შემნიშვნელი და სილამაზის დამნახველი, გლახის გამკითხავი, გაჭირვებულის დამხმარე, საერთოდ, ადამიანის შემბრალებელი. ზოგჯერ ისეთ ვინმეზე იტყვის, საცოდავიო, ვისაც თითქოს არაფერი ჭირს შესაბრალებელი. თუმცა, ვინ იცის... დედაა ჩვენი ნათესაობის გალაქტიკის ცენტრი და იმედი, ყველა მისკენ მოისწრაფვის, ისიც ყველას ერთნაირად უნაწილებს იმას, რაც ყველაზე მეტად აკლია და ენატრება ადამიანს — გაგებასა და თანაგრძნობას. ჩვენს ოჯახში ქართული მწერლობის ყველაზე დიდი გულშემატკივარი დედაა. ამავე დროს, ყველაზე კრიტიკულად ჩვენს მიმართ არის განწყობილი.

ჩვენმა მშობლებმა არა მარტო მწერლობისაკენ გვიბიძგეს, არამედ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, მწერლები რომ გამოვსულიყავით...

— რა აზრის ხართ მწერლისა და მკითხველის ურთიერთობაზე?

— უმჯობესია მკითხველი მწერალს იშვიათად ხედავდეს, მწერალი ასე უკეთ მოახერხებს ღირსების შენარჩუნებას, რომელსაც ჩვენს უაღრესად მძიმე ვითარებაში ყოველ ნაბიჯზე ემუქრება საფრთხე.

მწერლობას უსათუოდ რაღაც ურევია განდეგილობისა, უსათუოდ რაღაც მსხვერპლის გაღებას მოითხოვს, თუნდაც ტელევიზორის ეკრანზე ხშირად გამოჩენისგან თავის შეკავებას...

— ბატონო თამაზ, ბიჭვინთის დრამატურგთა სემინარზე პიესების განხილვისას ბედნიერება მქონდა, მომესმინა თქვენი საოცარი დრამატურგიული იმპროვიზაციები, ლაბის ზეპირად შეთხზული პიესები რომ იყო და მხოლოდ დაწერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღა აკლდა... ამ სემინარებმა ქართულ თეატრს არაერთი ნიჭიერი ავტორი შესძინა, რისთვისაც თქვენი მადლიერი ვართ ყველანი. გაგრძელდება ეს სემინარი? თქვენ თეატრალურ ინსტიტუტშიც შექმენით დრამატურგიული ჯგუფი, რას გვეტყოდით მაჭზე?

ბიჭვინთის ახალგაზრდა დრამატურგთა სემინარი, რასაკვირველია, მხოლოდ დრამატურგიით არ იფარგლება, ისევე როგორც, ვთქვათ, პოეზიის სემინარზე მარტო პოეზიაზე არ ლაპარაკობენ. ლიტერატურული დარგები ისეა ერთმანეთში გადახლართული, გადაკვანძული, რომ ამ კვანძის გახსნა შეუძლებელია. ამავე დროს, არც უნდა ეცადო მის გახსნას. ეს სემინარი, პირადად ჩემთვის, ძალიან საინტერესოა: ჩემს თვალწინ იბადება ახალი შემოქმედი, უფრო ზუსტად — მე ვესწრები მისი დაბადების აქტს. ჩემი როლი ამით ამოიწურება, რაც, თავისთავად, არც ისე მცირეა. ბევრი რამ არ არის ისე საინტერესო, როგორც ნიჭიერი კაცის პირველი ნაბიჯები. ეს ნაბიჯები დღეს ნიჰილიზმის პარკეტის პრიალა სიჩუმეს უკვე აშკარად არღვევს... ახალგაზრდობისაგან, ჩემი აზრით, ბევრი საინტერესო რამის სწავლა შეიძლება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, შეგიძლია შეამოწმო, რამდენადა ხარ შენ თვითონ ახალგაზრდა.

რომ არ მწამდეს ამ სემინარის აუცილებლობა ჩვენი ახალგაზრდობისა და მწერლობისთვის, დიდი ხნის წინ დავანებებდი თავს. 1981 წლიდან, ანუ დაარსების დღიდან ბიჭვინთის სემინარს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია მუშაობა, წლიდან წლამდე ათასნაირი სახით გრძელდება და შედეგიც, საბედნიეროდ, უკვე აშკარაა: ჩვენს თეატრალურ აფიშაზე ჩნდება ახალი სახელები, გამოდის ალმანახი „დრამატურგია", დრამატურგიის დარგში თითქმის ყველა პრემიას ამ სემინარის წევრები იღებენ, თეატრალურ ინსტიტუტში ყალიბდება დამწყებ დრამატურგთა ჯგუფი... ეს იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენს არეულ ყოფაში მაინც მძლავრად იგრძნობა ინერცია ნამდვილი მწერლობისა, იგრძნობა თეატრისაკენ ლტოლვა. ქართული კულტურა უკვდავია. ყველასგან დავიწყებულიც კი იბრძვის თავისი დიადი მისიის აღსასრულებლად, არცა აქვს უფლება დამშვიდებისა — წამითაც თუ ჩათვლიმა, შეიძლება თვალი ვეღარასოდეს გავახილოთ...

წერას, რა თქმა უნდა, ვერავისგან ისწავლი, მაგრამ პროფესიონალიზმის დაუფლება კი ნამდვილად შეიძლება. ჭამით ყველა ჭამს, მაგრამ ზოგი ხელით, ზოგიც კი დანა-ჩანგლით შეექცევა საჭმელს. ეს აზრი რომელილაც მწერალს ეკუთვნის, არ კი მახსოვს ვის. შეიძლება ზუსტად ვერ გადმოვეცი, მაგრამ მთავარია, რომ იგულისხმება პროფესიონალიზმი, მწერლური კულტურა, ინტელექტუალური წესრიგი, რაც აუცილებელია შემოქმედისათვის და რისი შეძენაც, სწავლაც ნამდვილად შეიძლება. ჭკუის დარიგება არავის აწყენს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას. „სასარგებლო საუბარი" ყველას ჭირდება. მართალია, ჩვენში ამჟამად ჭკუის დამრიგებლის მწვავე დეფიციტი იგრძნობა, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ჩვენა გვაქვს სურვილი ჭკუა დაგვარიგოს ვინმემ. სწავლა მხოლოდ იმას შეუძლია, ვინც სხვისგან ჭკუის დარიგებას არ უკადრისობს. ახალგაზრდა შემოქმედთან ჩვენს დამოკიდებულებას ორი რამ უნდა განსაზღვრავდეს: რწმენა და მოთმინება...

როცა ამ საქმეს ვიწყებდით, მეტად მოკრძალებული მიზანი გვქონდა. ჩვენი სემინარის დევიზი, „დრამატურგია ლიტერატურაა", თუკი ახლა ჩვეულებრივად ისმის, მაშინ ბევრს სჭრიდა ყურს. საერთოდ, ამ სემინარს ბევრი მიწინააღმდეგე ჰყავდა. ერთმა ცნობილმა პოეტმა ისიც კი თქვა, ახალგაზრდები ბიჭვინთაში ტყუილად ცდებიანო, ზღვაში ცურავენ და გოგოებს დასდევენო. მე კუთხარი, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, არც ზღვაში ცურვა და არც გოგო-

ების დევნა არ მიმაჩნია „ტყუილად მოცდენად“-მეთქი. ოცი წლის ბიჭმა ზღვაში თუ არ იცურა და გოგოს არ გაეკიდა, აი, მაშინ უნდა ავტეხოთ განგაში!..

— რას გვეტყოდით ქართული თეატრის დღევანდელ მდგომარეობაზე — დაცარიელდა დარბაზები, ფინანსური კრახის წინაშე დადგნენ ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივები. რა უნდა ვიღონოთ?

— თეატრის დარბაზი რომ ცარიელია, ეს ნამდვილად საშინელებაა, მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო — ახლა ჩვენში ხომ გაცილებით უარესი მდგომარეობაა, ვიდრე ომის დროს! ერთმანეთს ვეომებით, ნგრევის ინსტინქტი ბატონობს და მძვინვარებს ჩვენში. უცხოელი ჟურნალისტები იფრიკულ ტომებს გვადარებენ. აი, რა ვუყაოთ ჩვენსავე თავს! დავანგრიეთ სტუშარ-მასპინძლობის, სათნოების, გაგების, მოტევების, მეგობრობის მრავალი საუკუნის მანძილზე უამრავი ნამდვილი მამულიშვილის — პოეტის, გუთნისდედის, მევენახის, მეომრის — მიერ ნაგები ინსტიტუტები. უფრო მეტიც, იქამდისაც კი მივედით, რომ ჩვენს თვალწინ სტუდენტები შიმშილობენ, რათა ეროვნულ თეატრში სპექტაკლი არ გაიმართოს! კულტურის დაქვეითების ასეთი თავზარდამცემი ფაქტი, ალბათ, ძნელად მოიძებნება საერთოდ მსოფლიოში.

თეატრი ცარიელია იმიტომ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი სული რომ დაცარიელდა ჩვენთვისაც მოულოდნელად, სიიუოლვილის, სისასტიკისა და გაუგებრობის ურჩხულის გამოჩენისთანავე. ცარიელ სულს კი, უპატრონო ეკლესიასავით, ეშმაკები დაეპატრონენ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამ ბრძნული შეგონების სისწორეში და ალბათ ამჟამადაც ვერ გამოვიტანთ სათანადო დასკვნებს. ახდა ყველაფერი ის, რისიც გვეშინოდა. ორასწლიანმა მონობამ თავისი ნაყოფი გამოიღო. სანამ დამპყრობელს ვუძალიანდებოდით, თითქოს ერთად ვიყავით, მაგრამ, როგორც კი გავთავისუფლდით, მაშინვე დავიშალეთ. არადა, ლოგიკის მიხედვით, თითქოს სწორედ თავისუფლებას უნდა გაეერთიანებინეთ...

თუკი გადარჩენა გვინდა, უნდა ვაიძულოთ ჩვენი თავი და დავუბრუნდეთ თეატრს. ეს იქნება ერთგვარი რეანიმაცია ჩვენი სულისა. თავი უნდა ვაიძულოთ და, თუნდაც, როგორც პურზე, ისევე წავიდეთ თეატრში. დანარჩენს თვითონ თეატრი გააკეთებს...

— რამდენადაც ვიცი, არც ერთი თქვენი პროზაული ნაწარმოები კინოში არ გადაულიათ. საერთოდ, რა ურთიერთობა გაქვთ კინოსთან?

— კინოსთან ურთიერთობის ერთადერთი შემთხვევა შემიძლია გავიხსენო, რადგან სხვა არ მქონია. „შუადღე“ რომ გამოვაქვეყნე, რაჟისორმა ლანა ღოღობერიძემ ამ მოთხრობის ფილმად გადაღება მოინდომა. ჯგუფიც შეადგინა. შესანიშნავი მსახიობები მოიწვია, მათ შორის ოთარ მეღვინეთუხუცესი, რომლის ჭრწყინვალე ნიჭმაც მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები პოპულარული გახადა. ხალხი უკვე ჯამაგირსაც კი იღებდა. ამ დროს ხრუშჩოვი გამოვიდა თავისი ცნობილი სიტყვით მწერლობისა და ხელოვნების შესახებ. თითქმის რამდენიმე დღის მერე მოსკოვიდან კომისია ჩამოფრინდა, რომელმაც წარმოებაში ჩაშვებული ფილმი დახურა, მიიჩნია რა ჩემი მოთხრობა და, ამდენად, სცენარიც აბსტრაქციონისტურ ნაწარმოებად! მაშინ ასე იყო მიღებული: რომელიმე პარტიული ხელმძღვანელის მიერ უაზროდ წამოსროლილ ტერმინს — მისი უვიცობის მორიგ ნიმუშს — ყველა ნაწარმოებს, რომელიც სოცრეალიზმის პროკრუსტეს სარეცელზე არ ეტეოდა, ერთნაირად უსადაგებდნენ, განაჩენივით აკრავდნენ ზედ. რასაკვირველია, ჩვენს დასაცავად არავინ გამოიდო თავი. ახლა არც რეჟისორი და არც მე არ ველოდით, მაგრამ ყველაზე შემაწუხებელი და საკვალალო ის იყო, რომ ერთმა უფროსი თაობის პოეტმა, რომელიც იმ დროს პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრესულ პიროვნებადაც ითვლებოდა, შეიძლება ითქვას, ბოლომდე გაგვწირა, ასეთი პოლიტიკური ბრალდებები წამოგვიყენა, მოსკოვის კომისიაც კი უხერხულად იშმუშნებოდა. არც „სსერდიაკოვშჩინობა“ დავიწყებია — განათლებული ნამდვილად გახლდათ, ამას ვერ წაართმევდით... ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი ურთიერთობა კინოსთან, რაშიაც კინოსტუდიას არავითარი ბრალი არ მიუძღვის. მე აშკარად კინომაყურებელი ვარ და არა კინომუშაკი. თანაც, ჩემი მოკრძალებული როლი ძალიან მაკმაყოფილებს. ჩემთვის კინო, რასაკვირველია, ისეთ სიმაღლეზე არ დგას, იმ განზომილებათა შორის არ აღიქმება, როგორიცაა პოეზია, მუსიკა, მხატვრობა, თეატრი...

— „რა დაგესიზმრა? იასამანი?
და თეთრი ირმის თქრიალა ცური?
ტანს რა გეფარა? ჭინჭრის საბანი?
თავქვეშ რა გედო? პრიალა ცული?
ვითომ მიართვი ირმის რძე უფალს?
იასამნებით მოურთე ტახტი?
ვითომ იცოდი, რაც იმას უყვარს
და იმიტომაც თამამად დახვდი?
რომ ჩაეძინა მოხუცს და დაღლილს,
გამოხვედი და მიხურე კარი?
და მერე ცაში გაფრინდა სახლი,
თეთრი რაშებით და თეთრი ქარით?“

ბატონო თამაზ, რასაკვირველია, ყველა თავისებურად გიგებს, მაგრამ ეგებ თქვენ აგეხსნათ, რა იგულისხმება ამ ლექსში, რატომ დაწერეთ?

— როცა კი გადავიკითხავ, ყოველთვის უცნაურად მაღელვებს ეს ლექსი, რაღაცას მახსენებს, რაღაცას, თითქოს სხვა დროს, სხვა სამყაროში გადახდენილს. რაზეა დაწერილი? რის თქმა მინდა ამ ლექსით?.. ვერ გეტყვით, ნამდვილად ვერ გეტყვით, რადგან არ ვიცი და ალბათ არც მაშინ ვიცოდი, როცა ვწერდი. საერთოდ, ალბათ გრაფომანების მეტი, წინასწარ ან თუნდაც მერე, არავინ არ ფიქრობს თავისი ლექსის „ფილოსოფიაზე“, ეს მკითხველისა და კრიტიკოსის საქმეა. ისინი ზოგჯერ ისეთ რამეს აღმოაჩენენ შენს ლექსში, ზრადაც რომ არ გაგივლია, მაგრამ თუ კარგად დააკვირდები, ტექსტში ნამდვილად არსებობს. ლინგვისტიკურ ენერგიას თვითონ შესწევს უნარი, ავტორისეულის პარალელურად, წარმოქმნას ნაწარმოების ახლებური გააზრება, რაც თვითონ ავტორისთვისაც ძალიან საინტერესოა და თავისთავად სიტყვის ყოვლისშემძლეობაზე მეტყველებს.

ნაწარმოებთან ყოველი შეხვედრა მედიტაციის აქტია, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ნაწარმოები მედიტაციური ბუნებისა.

რაც უფრო მეტ საშუალებას გვაძლევს მწერალი, მის მიერ შემოთავაზებული ფორმის მიხედვით წარმოვიდგინოთ, ანუ კონტაქტი დავამყაროთ საკუთარ ცხოვრებასთან, მით უფრო ნამდვილია იგი.

კითხვა, გარკვეული თვალსაზრისით, თვითგაცოცხლებაა...

მოულოდნელად ასეთმა ფიქრმა გამიელვა — რამდენი ხანია ლექსი არ გამომიქვეყნებია! და უცებ იმასაც მივხვდი, რომ არაფერი სჯობს საგანგებოდ გადათეთრებულ, რედაქციაში მიტანილ ლექსს, რედაქტორის პასუხის მოლოდინს... ნუთუ ყველაფერი ეს, რის გამოსახატავადაც სიტყვებიც კი არ არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ სიჭაბუკეს ეკუთვნის? იმ სიხარულის, სილაღის, თავბრუდამხვევი ბედნიერების, უფრო ზუსტად — ნეტარი გულუბრყვილობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ნეტარი თვითრწმენის ნაცვლად საკუთარი თავის მიმართ უნდობლობა დამკვიდრებულა შენს ყოველდღიურ ყოფაში, რომელსაც, ძველი აღმაფრენის გაქრობის გამო, ცხოვრებასაც კი ვერ ეძახი ყოველდღიურობის მონა-მენიჩბე, გამომწვარი თვალებითა და გამომწვარი ტვინით ოკეანის ერთფეროვან ხმაურს რომ შერთვიხარ, თითქოს კი არ წერ, მექანიკურად ასრულებ რაღაც აუცილებელ სამუშაოს და ის ფიქრი არ გშორდება — რომ შეგეძლოს, აღარაფერს აღარ დაწერდი! მხოლოდ მარადჟამს სიცოცხლისათვის აღგზნებული გული ფეთქავს და იხსენებს იმ წუთს, როცა ლექსის სტრიქონი გერჩია ყველაფერს და ერთი რითმის გულისთვის შეგეძლო მარტოობის კედლები დილამდე სიტყვებით აგეჭრელებინა, ვარსკვლავებით მოჭედილი ცისთვის დაგემსგავსებინა და, მართლაც ის — სიტყვებით აჭრელებული კედელი ისეთივე გამოუცნობი იყო შენთვის, როგორც ცა...

— თქვენი აზრით, რა აკავშირებს ან ასხვავებს ერთმანეთისაგან მწერლობასა და ფილოსოფიას?

— ადამიანისათვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ ამქვეყნად ჭეშმარიტება არსებობს, თუნდაც, უზენაესი გონიერებისა და სამართლიანობის სახით. ამავე დროს, ისიც იცის, რომ ჭეშმარიტება მიუღწეველია, მაგრამ ადამიანობის შესანარჩუნებლად უსათუოდ უნდა მიილტვოლე მისკენ, ოღონდ, რასაკვირველია, საკუთარი გზით.

ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი ერთადერთი გზა უგზოობაზე სახიფათოა, რაც უფრო მეტი და მეტი ახალი გზა გამოჩნდება, რაც უფრო მეტი და მეტი ადამიანი დაადგება ამ გზას, მით უკეთესია საერთოდ კაცობრიობისათვის.

ჭეშმარიტების მაძიებელი ადამიანი თავისი პიროვნული არსისკენ მიემართება, რისი შეცნობაც, როგორც ფილოსოფოსები გვასწავლიან, ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანისათვის.

ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა არსი ყველაფრისა, რაც ამქვეყნად დახვედრია ან, თუნდაც, საკუთარი ხელით შეუქმნია. ადამიანი, ყველა ცოცხალი არსებისაგან განსხვავებით, ერთდროულად ორ სინამდვილეში ცხოვრობს. ერთია ფიზიკური, ბუნებრივი და მეორეა შინაგანი, სულიერი, მეტაფიზიკური სინამდვილე. ამავე დროს, ორივე სინამდვილე მისი შექმნილია. ზოგჯერ ეს ორი სფერო, ადამიანის პიროვნული თავისებურების გამო, მოერგება და დაემთხვევა ხოლმე ერთიმეორეს. რაც უფრო კულტურულია ადამიანი, მით უფრო ბუნებრივია მის მიერ შექმნილ სინამდვილეთა თანაარსებობა. მისი ქმედება, ძალისხმევა, დიმიტრი უზნაძის სიტყვით რომ ვთქვათ, „არსებული სინამდვილის გამდიდრებაა, ახალი სინამდვილის შემოქმედებაა!"

ადამიანი მოწოდებით შემოქმედია, შემოქმედება მისი არსებობის ძირითადი პირობაა. ამასთანავე, რასაც ის ქმნის, წარმოქმნისთანავე ისეთივე იდუმალებით იმოსება, ისეთივე გამოუცნობი ხდება, როგორც ბუნებისმიერი სამყაროს ყოველი გამოვლინება — ვარსკვლავებით მოჭედილი ცა, გრიგალი, ღელვა თუ ნიანგის დრუნჩზე დასკუპებული პაწაწინა ჩიტი. ამგვარად, საიდუმლოს კიდევ ერთი ახალი საიდუმლო ემატება.

მე ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი! — ამ სენტენციაზე ბრძნული, ჯერჯერობით, არაფერი წარმოუთქვამს კაცობრიობას. ეს ღიადი, ფუძემდებლური, მე ვიტყოდი — მამოძრავებელი აღმოჩენაა ჩვენი არსებობის ისტორიაში.

ადამიანი საერთოდ მიდრეკილია განყენებული, განზოგადებული აზრიოვნებისკენ. გულში ჩუმჩუმად ყველანი ფილოსოფოსები ვართ. უნდა თუ არა, თვითონ ცხოვრება ასწავლის ადამიანს ფილოსოფოსობას. არ შეიძლება ნამდვილად ცხოვრობდე და ფილოსოფოსი არ იყო, რა თქმა უნდა, ამ სიტყვის უმარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტივესი გაგებით. ამაზე მეტყველებს, თუნდაც, ის ხალხური სიბრძნე, ხალხური ფილოსოფია, რომლის ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელი საერთოდ ფილოსოფოსის სინონიმად ქცეულა.

ბევრი რამ არის ჩვენს ცხოვრებაში ისეთი, რაც ფილოსოფოსობისთვის განაწყობს ადამიანს. უპირველეს ყოვლისა კი, თავისი ამქვეყნად მოვლინების უცნაურობა — თითქოს ის მერეა „დამატებული“ ბუნებას და აშკარად ბუნების დიად წესრიგს, ჰარმონიას არღვევს, რათა იარსებოს. ნუთუ ბუნებას ადამიანის საყოფაცხოვრებო მომსახურების მეტი არაფერი ავალია? ადამიანი აშკარად „ამქვეყნისა არ არის“! „რა არის ადამიანი?“ საიდან მოეკლინა ამ პლანეტას? რა ძალა უპირისპირებს ერთმანეთს ბუნებასა და ადამიანს? კითხვათა ამ რკალში შეიძლება ეს უკანასკნელი აღმოჩნდეს ყველაზე მთავარი, რამდენადაც წარმოადგენს ერთგვარ პასუხსაც დანარჩენ კითხვებზე.

ყველა, ვისაც, რა თქმა უნდა, ჭკუა მოეკითხება, ერთხმად აღიარებს, რომ ბუნებასთან დაპირისპირებულ არსებას ბუნების გვირგვინად აქცევს აზროვნების უნარი. შეიძლება ითქვას, აზროვნება არის ღმერთი ჩვენში! ღმერთმა მხოლოდ ადამიანი შექმნა „სახედ თვისად“...

შეიძლება ამიტომაც, ადამიანისათვის დღემდე ყველაფერზე ძნელი საკუთარი არსის, ანუ არსებობის აზრის ამოცნობა აღმოჩნდა. იგი განუწყვეტლივ ცდილობს როგორმე გაარკვიოს და ამდენად გაამართლოს კიდეც თავისი არსებობის აუცილებლობა, არსებობის ლოგიკურობა. ჯერჯერობით, აბსურდის ტყვეობაშია მოქცეული: რაც უფრო დიდია ცივილიზაციის მიღწევები, მით უფრო აშკარა ხდება ჩვენი ინტელექტის შეზღუდულობა. ჯერჯერობით ბუნება ბატონობს ადამიანზე. თუნდაც ის ფაქტი, ადამიანი ასე დაუნდობლად რომ აჩანაგებს ბუნებას, ესეც მის არსებაში ბუნების და არა გონიერების გამარჯვების ბრალია. არსებობისათვის ბრძოლის ინსტინქტები გონიერების ულუფასაც ნთქავენ. ადამიანი ვერა და ვერ გახდა ღმერთის საჩუქრის ღირსი. ერთგვარად დაბნეულიც კია დიდ პოეტთა და ფილოსოფოსთა შეგონებების სამართებელივით ბასრი და დაუნდობელი ორაზროვნებით. მთელი არსებით მიილტვის თავისუფლებისაკენ, კაცობრიობის ყველაზე ღირსეულ შვილთა ცხოვრებაც, სულიერი კომპასივით, აქეთკენ მიუთითებს და, ამავე დროს, იმასაც გრძნობს, რომ თავისუფლება, თავისი წმინდა სახით, სიმარტოვეა, რომ არაფერს ისე არ ჭირდება შეზღუდვა, როგორც თავისუფლებას, რამდენადაც თავისუფლება სინდისის შემოწმებაა, სინდისის გამოცდაა. თავისუფლება ერთგვარად შემოზღუდული უსაზღვროების არსებობის აღიარებაა.

დე, ნურავის შეაკრთობს ჩემი სიტყვები, ეს მხოლოდ მწერლის ფიქრია და არა ფილოსოფოსის მსჯელობა, თუმცა, ეს ალბათ ისედაც ეტყობა ჩემს ლაპარაკს. ფილოსოფოსობის პრეტენზია მე არცა მაქვს და არც შეიძლება მქონდეს, ამისთვის განსაკუთრებული ნიჭი და განსაკუთრებული განათლებაა საჭირო. მე მხოლოდ ის მათამამებს, რომ ამქვეყნად ბევრი რამ არ დგას ისე ახლოს ერთმანეთთან, როგორც მწერლობა და ფილოსოფია, თუმცა არაფერს ისეთი მონდომებით არ აშორებენ ფილოსოფოსები და მწერლები ერთმანეთს, როგორც სიბრძნის ამ ორ დარგს.

სამყაროს ესთეტიკური აღქმის უნარი, პოეზიის გრძნობა, ჰეგელის აზრით, ისევე სავალდებულოა მეცნიერისათვის, როგორც პოეტისათვის, იგი ადამიანის შესაძლებლობების სრული გამოვლენის სტიმულია, თუნდაც უაღრესად პრაქტიკული „პროზაული“ საქმიანობის დროს. პოეზია ამძაფრებს ადამიანის ოცნებას, რომლის როლიც განუსაზღვრელია ადამიანის პიროვნების სრულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფისათვის, სანამ ოცნებობ — ადამიანი ხარ, სანამ ოცნებობ, ვერვინ წაგართმევს თავისუფლებას! ოცნება, გარკვეული თვალსაზრისით, სხვა არაფერია, თუ არა სამყაროში სილამაზის აღმოჩენა, ყოველ შემთხვევაში, სილამაზისკენ ლტოლვა კი ნამდვილად არის. ჩვენ ხომ მას შემდეგ ვიქეცით ადამიანებად, როცა სამყაროში სილამაზე აღმოვაჩინეთ!

ამავე დროს — და აი, ისევ ის დაუნდობელი ორაზროვნება სიბრძნისა — ყველაზე ლამაზი, რასაც დღეს ადამიანი ქმნის, ყველაზე სრულყოფილი, თუნდაც, ესთეტიკური თვალსაზრისით, მილიტარისტული დიზაინია. თითქმის სრულყოფილი ფორმები აქვთ სამხედრო ხომალდებს, თვითმფრინავებს, რაკეტებს, ნუთუ წყალბადის ბომბებზე შეიძლება ვთქვათ, „ჩვენი მხსნელი სილამაზეაო“?..

ფილოსოფიასთან ჩემი დამოკიდებულებაც, წიგნისმოყვარულ ადამიანთა უმრავლესობის მსგავსად, ემოციურია და არა გონებისმიერი. თუნდაც ისეთი ცნებები, როგორიცაა „უძრავი მამოძრავებელი“ ან „საგანი თავისთავად“ ჩემში სრულიად მოულოდნელ, უფრო ზუსტად — პოეტურ ასოციაციებს წარმოშობს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან შორსა დგას მათი ნამდვილი შინაარსისაგან, და მაინც „მწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო“, რომელიც ბოლომდე შეცნობილი არ არის ჩვენს მიერ (კიდევ კარგი!) და ამიტომაც უფსკრული ორ დიად შემოქმედებით ფენომენს შორის გადაულახავი გვეჩვენება. სოკრატეს ეკუოვნის ფრაზა — თუკი ადამიანი საკუთარ არსებას არ იძიებს, არც ცხოვრობსო. განა სოფოკლემ თავისი „ოიდიპოსით“ იგივე არ უთხრა კაცობრიობას?..

დღეს, გამძაფრებული პრაქტიციზმის ეპოქაში, მწერლობა და ფილოსოფია ერთნაირად გვინარჩუნებს ბუნების იდუმალების განცდას, უფრო სწორად — გამოხატავს კაცობრიობის ნოსტალგიას ჰარმონიაზე.

ბევრი ფილოსოფიური მიმდინარეობა აღმოჩნდა მწერლობის განვითარების მძლავრი ბიძგი. საკმარისია გავიხსენოთ ნეოპლატონიზმი ან ექსისტენციალიზმი. ამასთანავე ბევრმა მწერალმაც შეუწყო ხელი ფილოსოფიის განვითარებას. რუსთაველი ხომ ბევრი სახელოვანი ქართველი ფილოსოფოსის შთაგონების დაუშრეტელი წყაროა!..

— „ჩაფიქრებული ხიდები ქარში
დაიხრებიან და მტკვარს შოსვაშენ,
ქუჩაში, მთვარის პატარა ტბაში
გაღიმებული დგას ფიროსმანი“.

— იქნებ ნიკალაზე გელაპარაკათ, რას ნიშნავს იგი თქვენთვის?

— უპირველეს ყოვლისა, ჩემთვის ის „ნიკალა“ არ არის. თქვენ არ გსაყვედურობთ, საერთოდ, ასეა მიღებული, სამწუხაროდ, დაკანონებულიც. ჩვენმა პოეტებმა და მხატვრებმა შექმნეს მითი ლოთ მხატვარ ნიკალაზე, ბოჰემური ყაიდის ნიჭიერ მაწანწალაზე, თუმცა ამისთვის არავითარი საფუძველი არ ჰქონდათ, გარდა იმისა, რომ ფიროსმანაშვილი დუქნების კედლებსა და აბრებს ხატავდა. ასეთი ლოგიკით, მიქელანჯელო უსათუოდ მღვდელი უნდა ყოფილიყო...

„ნიკალა“ ჩემთვის ნიკო ფიროსმანაშვილია, დიდი ქართველი მხატვარი, რომელმაც მთელი სამყარო შექმნა და საქართველოს მიუმატა, როგორც მისი განუყოფელი, აუცილებელი ნაწილი. ამდენად იგი მშენებელი შემოქმედია, მსგავსად გალაკტიონ ტაბიძისა და ზაქარია ფალიაშვილისა. სწორედ ამ სამი დიდი პიროვნების შეურყეველ ავტორიტეტს ეყრდნობა XX საუკუნის ქართული კულტურა...

— იმის გამო, რომ ლიტერატურას „პარტიული“ პოზიციებიდან ვუყურებდით, ვამახინჯებდით კიდეც მის ნამდვილ მნიშვნელობას. ამიტომაც, ბევრი ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოები (ძველიც და ახალიც!) ფაქტობრივად, წაუკითხავია. განსაკუთრებული დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით ლეგენდებსა და მითებს ლიტერატურის შესახებ, ვიდრე თვითონ ლიტერატურას...

— ჩვენ ვიცით, რა ხასიათის ნაწარმოებები არ დაბეჭდილა ქართულად, მაგრამ არ ვიცით იმისი ფასი, რაც დაბეჭდილია, რაც გვაქვს, რისი პატრონებიც ვართ. დაბეჭდილისადმი ალოგიკური, მაგრამ მაინც გასაგები უნდობლობის გამო, უნებურად ვუპირისპირდებოდით და ვუპირისპირდებით კიდეც გამოქვეყნებულ ნაწარმოებებს, ფსიქოლოგიურად უარვყოფთ მათ ისე, რომ არ ვიცით, რას უარვყოფთ. ამასთანავე ფაქტია, რომელსაც ვერსად წაუხვალ, რომ საქართველოში ტოტალიტარიზმის პერიოდში ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები იბეჭდებოდა, რომლებითაც საქართველო, თავისუფალიც რომ ყოფილიყო, მაშინაც იამაყებდა. როგორ და რა გზით ხდებოდა ეს — ისეთი საიდუმლოა, რომელიც ჩემი ხალხისადმი პატივისცემას მიათკეცებს.

აი, დღეს ასე თუ ისე მაინც ქვეყნდება თავის დროზე დაუბეჭდავი ან აკრძალული ნაწარმოებები, ვეცნობით ემიგრანტთა თხზულებებს, მაგრამ თანდათანობით ის ჭეშმარიტებაც ირკვევა, რომ საქართველოში გამოქვეყნებული ნაწარმოებები ბევრად, შეუდარებლად სჯობს აკრძალულს ანდა ემიგრაციაში შექმნილ თხზულებებს.

ზოგიერთი მწერალი თავისი ნაწარმოებებით კი არ არის პოპულარული ჩვენში, არამედ მითის წყალობით...

არავითარ შემთხვევაში არ უნდა აგვერიოს ერთმანეთში ნამდვილი და სოცრეალიზმის ინკუბატორში გამოჩეკილი მწერლობა. უფრო ზუსტად — არ შეიძლება ორივეს ერთნაირად მწერლობა ვუწოდოთ. ჩვენში ამჟამად დამკვიდრებული, ხელოვნურად შექმნილი ლიტერატურული ქაოსიდან უნდა გამოვყოთ, გავაცალკევოთ ნამდვილი და ყალბი შემოქმედები და თითოეულ მათგანს თავისი სახელი დავარქვათ. არ შეიძლება ხალხს ორი მწერლობა ჰქონდეს, ისევე. როგორც დაუშვებელია ერთი და იმავე ხალხის ორი კულტურის ერთდროული არსებობა...

შიშითა და ოფიციოზის მიერ დაკანონებული ანტიმხატვრულობისაკენ მიმართული მოძრაობის ზეგავლენით გამოუქვეყნებელი კი არა, ბევრი გამოქვეყნებული ნაწარმოები არა გვაქვს წაკითხული ჩვენსავე გუშინდელ (და ამდენად დღევანდელ და მარადიულ!) ლიტერატურაში. ბევრი რამ, მათ შორის ზოგიერთი არარეპრესირებული მწერლის ნაწერებიც კი, ჩვენ თვითონვე გავრიყეთ, ჩვენ თვითონვე მოვიშორეთ, დავივიწყეთ, თითქოს არც კი არსებობდა. თავდაცვის ცხოველურმა ინსტინქტმა გვიკარნახა ალბათ, რომ იქ იდო **ნაღმი** — სიმარტოვის ჟინჟღლიან ბურუსში გახვეული ადამიანის პიროვნება, საიდუმლო და ამოუხსნელი, როგორც ყველა ადამიანი, რომელიც არ შეიძლება „კოლექტივის წევრად“ გადაიქცეს...

ასეთი ბედი ეწია, მაგალითად, ვალერიან გაფრინდაშვილის ლირიკას, ასე რომ ჭირდება დღეს პროვინციალიზმის ყოვლისმშთანთქმელ ჭაობში ჩაფლულ ჩვენს სულს, სად არის ის ხავერდოვანი ტრაგიზმი, რომელიც თითქოს მუსიკასავით გამოკრთის მისი ლექსის პარნასული სიმეტრიულობით აღბეჭდილი არქიტექტურიდან...

„ზღვას ენატრება იყოს პატარა,
ვით უნაზესი ჩიტი კოლიბრი,
თავისი თავი ვარსკვლავს ადარა,
ცაზე რომ ბრწყინავს დაუბრკოლებრივ...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან:

„ვარ მოწყენილი, ვით ზამთარში ნაზი ბელურა,
ვით შემოდგომის ღამეებში თეთრი ვერხალი...“

იყო რა სულით ხორცამდე ქართველი პოეტი, მისი ლირიკის სულისკვეთება კიდევ ერთხელ ამჟღავნებდა ჩვენი აზროვნების ევროპულ ბუნებას. მის მიერ ერთმანეთთან შერიგებული პარნასიზმისა და სიმბოლიზმის საერთო მინდორზე გამოვლილ პოეტს ერთი ბირკაც არ აჰკვრია ეპიგონობისა, რაც, მართლაც, საკვირველია, თუკი ეპიგონთა იმდროინდელ არმიებს გავიხსენებთ. განა ბევრმა იცის, რომ მარჯანიშვილის მიერ დადგმულ „ურიელ აკოსტას“ ფანტასტიკურ წარმატებას ვალერიან გაფრინდაშვილმაც შეუწყო ხელი, როგორც გუცკოვის ტრაგედიის შესანიშნავმა მთარგმნელმა, შეიძლება ისიც ნიშანდობლივია, რომ ეს თარგმანი დღემდე გამოუქვეყნებელია...

— არსებობს გამოთქმა: „მწიგნობრული ლიტერატურა“. შეიცვალა თუ არა ამ ცნებამ ჩვენს დღევანდელ პირობებში თავისი მნიშვნელობა. იქნებ ცალმხრივად, გამარტივებულად გვესმოდა იგი?

— „მწიგნობრულიაო“ — ვამბობთ ზოგჯერ რომელიმე ნაწარმოებზე და ამით მისთვის სასიკვდილო განაჩენი გამოგვაქვს. როცა ამბობენ, ცხოვრება წიგნიდან უსწავლიაო, გულისხმობენ, რომ ავტორს ცხოვრებისა არა გაეგება რა, ანუ თვითონ არ უცხოვრია. გარკვეული თვალსაზრისით, ეს შეიძლება მართალიც კი იყოს, ოღონდ მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით! ეს მეტად სათუთი საკითხია. აუცილებელია იმის გათვალისწინება, ვინ ფიქრობს ასე, რომელ ეპოქაში ცხოვრობს, რანაირ გარემოში. მითუმეტეს, არსებობს საპირისპირო მაგალითებიც. ჩემი აზრით, უფრო სწორ ორიენტაციას რომ გამოხატავს ამ საკითხთან დაკავშირებით, გავიხსენოთ, თუნდაც, სარტრის წიგნი „სიტყვები“, რომელიც, ფაქტობრივად, სულიერი ბიოგრაფიაა მწერლისა. ეს წიგნი, როგორც ცნობილია, ორი ნაწილისაგან შედგება, პირველს ეწოდება „კითხვა“, მეორეს კი — „წერა“. ამ შემთხვევაში წიგნი და ცხოვრება გაიგივებულია, ანუ სარტრისთვის ინტელექტუალური სამყარო იგივეა, რაც სხვა ყაიდის მწერლისთვის ემპირიული სინამდვილე. შეიძლება იმის აღნიშვნა ერთხელ კიდევ იყოს საჭირო, რომ წიგნისგან მიღებული ცოდნა და გამოცდილება ექვივალენტურია ცხოვრებისეული გამოცდილებისა, „მეორე სინამდვილე“ იგივე ცხოვრებაა. ფაქტია, რომ ვარსებობთ, ვცხოვრობთ, ვსაქმიანობთ იმ სინამდვილეში, რომელიც ადამიანის ინტელექტითაა შექმნილი, ვსუნთქავთ იქ ისევე თავისუფლად, როგორც ფიზიკურად არსებულ სინამდვილეში...

საგულისხმოა, რომ ქართული მწერლობა ტრადიციულად ინტელექტუალური ბუნებისაა, „სიბრძნისაა ერთი დარგი“, რასაც, სამწუხაროდ, ყველაზე ადვილად ვივიწყებთ ხოლმე. დიდი ქართული მწიგნობრული კულტურა უზარმაზარი, ძლიერი ფენომენია, მის გავლენას ბევრი მწერალი ვერ გადაურჩა და კიდევ კარგი, რომ ვერ გადაურჩა. მწიგნობრულმა კულტურამ ქართულ ლიტერატურას ყველაზე დიდი ძნელბედობის დროსაც კი შეუნარჩუნა ევროპული ხასიათი, იერი, სულისკვეთება, ანუ თავისთავადობა და ბუნებრიობა.

საშინელი ძალადობის პირობებში, თუნდაც, თავისი ჭეშმარიტი არსის შენარჩუნების მიზნით, ქართულმა მწერლობამ შექმნა ე. წ. ინტელექტუალური რეალობა, რომელიც უპირისპირდებოდა არსებულ სინამდვილეს. იმოსებოდა რა მწიგნობრული ჯავშნით, მიმართავდა რა ისტორიასა და იგავს, მითსა თუ სიმბოლოს, ქართული მწერლობა მშობლიური კულტურის წიაღიდან იღებდა ბიძგს, პოლიტიკური კრეტინიზმის მიერ ალყაშემორტყმული, ქართული კულტურის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდუმლო ჭიდან ითქვამდა სულს და, ამ გზით გადარჩენილი, ეროვნული სულის თავშესაფრად მოგვევლინა, რამდენადაც უპირისპირდებოდა ხალხისთვის უცხო და მიუღებელ სინამდვილეს. ქართულმა მწერლობამ ამ გზით აიცდინა სამარცხვინო როლი რეჟიმის მსახურისა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა ეროვნული ტრადიციების ძლევამოსილება. ტრაგედიასავით დიდებული და ღრმა აზრის შემცველი გალაკტიონ ტაბიძის ფრაზა: „მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია" — მთელი სისრულით წარმოგვიდგენს იმდროინდელი ქართული მწერლობის სახეს — მის საყდრულ დანიშნულებას და... სიმარტოვეს!

ქართული აგიოგრაფიის არსენალიდან XX საუკუნის ჩვენმა მწერლობამ აიღო **სიმარტოვის** იდეა, აქცია მხატვრულ-ფილოსოფიურ პოზიციად და ამ გზით შეინარჩუნა ღირსება გაუმართლებელი ოპტიმიზმისა და ქვეშევრდომული საერთო აღტაცების პირობებში.

სიმარტოვე, როგორც ტკივილისა და თვითშემეცნების ერთდროული აქტი, აგიოგრაფიაში წმინდანობის საფუძველია. შეიძლება ითქვას, წმინდანობის ერთგვარი ფორმაა.

სიმარტოვე საიმედო ჯებირია საკუთარი პიროვნების გადასარჩენად. ამ ჯებირის წყალობით ადამიანის პიროვნება ერთგვარად ხელშეუხებელი ხდება, ტკივილი ყოფს მას გარესამყაროსაგან, უფრო ზუსტად — ტკივილის დაძლევა ამაღლებს გარესამყაროზე. ადამიანის არსება იქცევა რეალურისა და ირეალურის დამაკავშირებელ ხიდად. ამ დროს ყველა პიროვნული ნიშანი უკიდურესად მძაფრდება, ერთიანდება და მიზანდასახულ სრულყოფილებას აღწევს. ადამიანი ხდება სამყაროს პაწაწინა ასლი, პაწაწინა მოდელი. ამ შემთხვევაში ადამიანმა შეიძლება საკუთარი თავიდან გაცილებით მეტი ისწავლოს თუ შეიგრძნოს, ვიდრე რეალურად არსებული გარემოსაგან. ადამიანის არსება ბევრ ისეთ რამეს შეიცავს, რაც რეალურად არსებულ ცხოვრებაში საერთოდ არ არსებობს და რისი გამოვლენის ცდასაც წარმოადგენს სწორედ მწერლობა. თანამემამულეებისაგან მხეცურად მოკლული დეკანოზი ალექსანდრ მენი ამბობდა, რუბლიოვის მიერ შექმნილი ღვთაებრივი ხილვები სინამდვილიდან კი არა, მისი სულიერი სამყაროდან არის ამოკრეფილი...

ამ გზით, ანუ სიმარტოვის იდეით ქართული მწერლობა უპირისპირდებოდა უსახურ, უფერულ მასას, კოლექტივს და ამ დაპირისპირებით ადამიანური საწყისების დარაჯად გვევლინებოდა.

ეს იყო ასფალტში ამოწვერილი ბალახის ღერი... ეს იყო გოლგოთას მოტივის თავისებური, მეტად საინტერესო დამუშავება, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, საერთო ქართულ მელოდიად გადაიქცა. ამ მელოდიის ჟღერა დღესაც ისმის ჩვენი საუკეთესო პოეტებისა და მწერლების ნაწერებში...

— ჩვენი ზოგიერთი თანამემამულის მიერ რამდენჯერმე საჯაროდ იყო გამოთქმული საყვედური ქართული მწერლობისადმი, თითქოს, რადგანაც საქართველოში, რუსეთთან შედარებით, ცოტა იყო აკრძალული თუ გამოუქვეყნებელი წიგნი, საბჭოთა პერიოდის მთელი ქართული მწერლობა კონფორმისტული და პანეგირიკული ხასიათისა ყოფილიყოს, თქვენ რას ფიქრობთ, რამდენად შეეფერება ასეთი მოსაზრება სიმართლეს?

— მოდი, ნუ დავუგდებთ ყურს ასეთ მრისხანე ბრალდებებს. რა უნდა ვუპასუხოთ ასეთ შინაურ „პროკურორებს" გარდა იმისა, რომ არითმეტიკის საშუალებით სხვა და სხვა ქვეყნის ტრაგედიების გაზომვა სრულიად გაუმართლებელი და არასაკადრისი საქციელია.

ყველა ხალხის მწერლობას თავისი საკუთარი გზა აქვს, თავისი ტრადიცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააჩნია, თავისი მისია ამოძრავებს. მშობლიური ენა მას დამოუკიდებელ ფსიქოლოგიურ სამყაროდ აქცევს. მისი ტკივილისა თუ სიხარულის გამოხატვის ფორმა ძალიან განსხვავდება სხვა მწერლობის ტკივილისა და სიხარულის გამოხატვის ფორმისგან. ამასთანავე, მისი ღირსება სწორედ გასჩენებია და თავისთავადობაა.

თუ ერთი წამით მაინც დავივიწყებთ ჩვენთვის დამახასიათებელ ხერელობას და უფრო ღრმად ჩავუკვირდებით საბჭოთა პერიოდის ქართული მწერლობის ცხოვრებას, შევამჩნევთ ერთ მეტად მნიშვნელოვან მოვლენას: ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ქართული მწერლობა იდევნებოდა ძალადმხატვრულობის გამო! ქართული მწერლობა თავისი უბრწყინვალესი ესთეტიკურისტიკით, ემოციათა ჰარმონიით, მშობლიური ენის გენიალური ქვესკნელების ამოძეურებითა და უნატიფესი ფორმით, იყო ტოტალიტარიზმთან ბრძოლის სახეობა, ხალხის პროტესტისა და შინაგანი თავისუფლების გამოვლენა. ეს ის შემთხვევაა, როცა ფორმა იქცევა შინაარსად, რაც საერთოდ ახასიათებს ნამდვილ ხელოვნებას.

აშკარა სიბეცე და გარკვეული თვალსაზრისით უსინდისობაცაა, როცა უახლესი რუსული და ქართული მწერლობების საერთო ნიშნების, უფრო მეტიც — იდენტურობის დამკვიდრებას ცდილობენ ჩვენს შეგნებაში, ნაკლად და ჩამორჩენად გვითვლიან, თუკი ქართული ნაწარმოები რუსულს არა ჰგავს. ასეთი კრიტიკოსები და ბრალმდებლები სიტყვით თითქოს ტოტალიტარულ რეჟიმს ებრძვიან — მათი ბრალდების მთავარი არგუმენტი ტოტალიტარული რეჟიმისადმი აშკარა, თუნდაც, თემატიურად დაპირისპირებული ნაწარმოებების ნაკლებობაა უახლეს ქართულ ლიტერატურაში — მაგრამ საქმით, უნდათ თუ არა, საბჭოთა იმპერიის იდეურ დამცველებად გვევლინებიან.

უახლეს რუსულ და ქართულ მწერლობებს, რასაკვირველია, ექნებათ საერთო ნიშნები, შეხების წერტილები, არც შეიძლებოდა არ ჰქონოდათ, თუნდაც იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ორივე ძალადმხატვრული, ძლიერი ტრადიციების ლიტერატურა იყო, ამასთანავე, შეინიშნებოდა ურთიერთსასიკეთო ზეგავლენების კვალიც, რაც ყველა ჭეშმარიტი ლიტერატურისთვისაა ნიშანდობლივი. ამასთანავე, ორივემ სოცრეალიზმის ხუნდებშიაც კი შესძლო შეენარჩუნებინა თავისუფალი სული და ღირსება. და მაინც მათი ურთიერთმიმართების ძირითადი ნიშანი დაპირისპირებაა და არა მსგავსება, მითუმეტეს ერთნაირობა, რადგან, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ერთი დამპყრობელ ხალხს ეკუთვნოდა, მეორე კი — დაპყრობილს. მაგრამ მაინც დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში მტრობაში არ უნდა აგვერიოს, მწერლობები ერთმანეთს არ მტრობენ! ამ შემთხვევაში იგულისხმება წინააღმდეგობის უნარი, რომელიც აუცილებელია ყველა მწერლობისთვის, რათა უცხო გავლენას ფეხქვეშ არ გაათელინოს, ეს დაპირისპირება, ხალხთა რუსიფიცირების საერთო პოლიტიკის გამო, იმდენად მძაფრი იყო, რომ ქართველ მწერლებს ყოველთვის თან სდევდათ დაუშორჩილებლობის სახელი, რომელსაც ირონიული ღიმილით წარმოსთქვამდნენ ჩვენი ვითომმეგობარი მწერლები. მაგრამ იმპერიული ამბიციებით შეპყრობილ ლიტერატორებს კი უკიდურესად აღიზიანებდა. გავიხსენოთ ერთ-ერთი შაგრაბმული მწერლის გამოხტომა ქართველი ხალხის წინააღმდეგ მწერალთა საკავშირო ყრილობაზე 1986 წელს. ამ გამოხტომის საპასუხოდ, პროტესტის ნიშნად ქართველმა მწერლებმა სხდომათა დარბაზი დატოვეს, სხვათა შორის, პირველებმა საბჭოთა კავშირის ისტორიაში! დღეს, ამდენი შეიშვიდობის, გაფიცვის, საპროტესტო მიტინგის შემდეგ, ეს ფაქტი შეიძლება ძალიან უმნიშვნელოდ ში-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჩვენოს ვინმეს, მაგრამ მაშინ მოკეთისა და თუ მტრის მიერ ერთნაირად იქნა გაგებული, როგორც არნახული ამბოხი. პირადად მე ქართველ მწერალთა ეს ნაბიჯი მიმაჩნია მრავალსაუკუნოვანი ეროვნული მოძრაობის თვისობრივად ახალი ეტაპის დასაწყისად...

— ერთ-ერთ სტატიაში წერდით: „პროვინცია ხალხის სამშობლოა, პროვინციალიზმი — ბრბოსი!“ კიდევ რას იტყოდით პროვინციალიზმის შესახებ, როგორ მიმართავდით ჩვენს ახალგაზრდებს?

— ჩვენი პირველი მტერი დღეს პროვინციალიზმია! პროვინციალიზმის მეტასტაზები იმდენად შორს არის წასული, რომ მასზე ლაპარაკიც კი ძნელია. პროვინციალიზმმა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში თითქოს გადატრიალება მოახდინა და გაიმარჯვა კიდეც. ის უკვე აღარ მალავს თავის სახეს, უკვე თავის კანონებსაც კი ამკვიდრებს. დღეს უკვე კულტურის ტახტი დაიკავა, რისკენაც დიდი ხანია მიილტვოდა. ზნეობისა თუ მორალის მორღვეულმა ღობეებმა ველარ შეაჩერეს იგი, ხოლო ზოგიერთმა პოლიტიკოსმა თავის დასაყრდენ ძალადაც კი აქცია პროვინციალიზმის მღვრიე მდინარე. დღეს პროვინციალიზმი თითქმის ყოველ ნაბიჯზე გვხვდება, ყოვლად წარმოუდგენელ ადგილზეც კი. როგორც უკვე ვთქვი, აღარ იმალება, თავს ლაღად გრძნობს, ქვეყნის პატრონად. ან ვის უნდა მოერიდოს, ვის უნდა დაუმალოს თავისი უმსგავსოება, შემტყობი და განმსჯელი ან შეშინებულია, ანდა თვითონაც დაბრმავებული. შეხედეთ, როგორ დადიან ჩვენი გოგოები ქუჩაში, არადა, ქალი ყველაზე ლამაზი სიარულის დროსაა! მზესუმზირის ჩენჩო სიმბოლოდ იქცა ჩვენი უსახური და გამოცარიელებული მდგომარეობისა. რუსთაველის პროსპექტის ნანგრევები, რომლებიც, სხვათა შორის, პროვინციალიზმის საჯაროობაზე პირველი შეუნიღბავი გამოჩენის შედეგია, საქართველოს ხიროსიმაა, მაგრამ შეგვიძლია კი ჩვენ, იაპონელებივით, უბედურებისაგან სათანადო დასკვნა გამოკიტანოთ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, როცა წარამარა, უაზროდ, ყოვლად გაუთვითცნობიერებლად გადაწერილ პირჯვარს, და უადგილო ალაგას და უდროო დროს ანთებულ სანთლებს ვხედავ, როცა ყოველ ნაბიჯზე, ყოვლად შეუფერებელ ვითარებაში მესმის ძახილი: ღმერთი ჩვენთან არსო, გული ტკივილით მეკუმშება — ესეც ხომ პროვინციალიზმია, ოღონდ, რელიგიური პროვინციალიზმი, რადგან უვიცობა, სიბნელე, შეუგნებლობა დიდი მტერია ქრისტიანული რელიგიისა, რომლის აღიარებაც კი უკვე თავისთავად განათლებაა, კულტურული აქტია.

არასოდეს მიმიცია ჩემი თავისთვის უფლება, ვინმესთვის ჭკუა დამერიგებინა. ყოველთვის მიმაჩნდა, რომ ამ უფლებას მოპოვება უნდა, რაც ძალიან ცოტას თუ შეუძლია. ასეც უნდა იყოს, ჭკუისდამრიგებლების სიმრავლე საერთო უჭკუობის ნიშანია. რასაც ახლა ვიტყვი, არ მინდა, ვინმემ ჭკუის დარიგებად მიიღოს, ეს მხოლოდ ხმამაღლა ამოთქმული ფიქრია ახალგაზრდობაზე, ჩვენს ერთადერთ იმედზე. ბედნიერია ხალხი, რომელიც თავის ახალგაზრდობას ამოდენა მოვალეობის ტვირთს არ ჰკიდებს. ბედნიერ ხალხთა ახალგაზრდობისგან გასხვავებით ჩვენს ახალგაზრდობას ხვალინდელ დღეში მხრებზე აკიდებული დაჭრილი სამშობლო გადაჰყავს. ეს დიადი მისია შეიძლება თაყვანიც არ ჰქონდეს გააზრებული, მაგრამ სინამდვილეში ასეა, ასეთია მისი „გზა ხსნისა“. ამ დიდი საქმის აღსრულების ჟამს, მინდა ახსოვდეს, რომ ძალიან შორიდან მოდის, თითქმის თავიდანვე კაცობრიობასთან ერთად მოაბიჯებს იმ დორღიან, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ დიდებულ გზაზე, რასაც ცხოვრება ჰქვია, მინდა, ახსოვდეს, რომ ურიცხვი მტრის თვალი ზვერავს, მაგრამ ამასთანავე, როგორც სხივი, არ შორდება საქართველოს დიდი პატრონის — ღვთიშობლის თვალიც. მინდა ახსოვდეს, რომ თითოეულ კენჭს, მიწის თითოეულ გოჯს უნდა გაუფრთხილდეს, რადგან მისი სამშობლო სულ რამდენიმე კენჭი და სულ რამდენიმე გოჯი მიწაა, მაგრამ არ არსებობს ქვეყნად ადგილი, სადაც შეეძლება უფრო თავისუფლად ისუნთქოს, სადაც ქვა, წყალი, ღრუბელი თუ ვარსკვლავი თითქოს მასთან ერთად, მისი დედის მუცლიდან, მისი ტყუპის ცალივით მოევლინა ქვეყანას. ეს არის მისი ჯოჯოხეთიც და მისი სამოთხეც. ეს არის მისი სიკვდილიც და მისი სიცოცხლეც... სამშობლო ქართველებისათვის ბედისწერაა! დე, მადლობა ვუთხრათ ღმერთს ასეთი საჩუქრისათვის...

ესაუბრა **მიხო ოსულიშვილი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ სირაძე

დრო და ჭამი

„ეამი მივალის, მოვალის
მუცოს ოორღვაის კარზედა“.

„ბალავარიანში“ არსებითია ასეთი ადგილი: ინდოეთის მეფე აბენესი თავის ერთადერთ ვაჟს იოდასაფს აღსაზრდელად მიაბარებს ზანდან მზარდულს. ზანდანი ყოველგვარ სიბრძნეს ასწავლის ყმაწვილს, მაგრამ განარიდებს სიკვდილზე ფიქრისაგან. ეს თვით მეფემ სთხოვა აღმზრდელს: ყმაწვილი სიკვდილს ფიქრით ვერ დაძლევს, ვერც ინდოელთა რწმენით მოახერხებს ამას და შეიძლება ქრისტიანობას ეზიაროსო (რაც მართლაც უწინასწარმეტყველეს ახლად შობილ უფლისწულს). დასრულდა იოდასაფის აღზრდა. მან ჩვეულებრივი ცხოვრება იწყო. ერთ დღეს იგი იხილავს მოხუცს, ეს ვინ არისო, — იკითხავს. ზანდანი აუხსნის, რომ ესაა მოხუცი კაცი, რაც ნიშნავს, რომ მას ბევრი წელი უცხოვრიაო. იოდასაფი ვერ მიხვდება, თუ რა არის ასაკი, რა არის წელი. ზანდანი კვლავ უხსნის, თუ რისგან შესდგება წელი და რა არის დრო. მაგრამ იოდასაფი კვლავ ვერაფერს ხვდება. განმარტებებით ვერ შეიგრძნობს, თუ რას მოასწავებს დრო. მაშინ ზანდანი იძულებული გახდება უთხრას: ბევრი დროს მომსწრე კაცი, მალე მოკვდებაო. ხოლო სიკვდილი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი აღარ იქნებაო. იოდასაფი ჰკითხავს: განა როდისმე აღარ იქნებიო შენ?! მამა-ჩემი?! მე?! ზანდანი პასუხობს: ასე იქნებაო. იოდასაფს სასოწარკვეთილება მოიცავს. მაშინ მიხვდება, თურმე რას ნიშნავს დრო, წელი, თურმე რას ნიშნავს, რომ ადამიანი ცხოვრობს დროში. იგი ვეღარაფერში პოვებს გამოსავალს და ერთადერთი გზა ხსნისა ხდება სულის უკვდავების რწმენა, ქრისტიანობა ერთადერთი ჭაშმარიტი გზა.

ასეა ახსნილი და გააზრებული ეგზისტენციალური დრო „ბალავარიანში“. ესაა დრო ადამიანური საზრისით, ანუ დრო, გააზრებული ადამიანის არსებობის მიხედვით. იოდასაფისთვის დროს მიენიჭა ადამიანური საზრისი და ამ გზით დროის რაობა გასაგები გახდა. სიკვდილი გასაგებს ხდის ადამიანურ დროს. იწყება უკვდავებაზე ფიქრი. თანამედროვე ეგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზისტენციალიზმის მიხედვითაც ასეა; სიკვდილი გაასაზრიანებს სიცოცხლეს. ამით სათავე ედება ეგზისტენციალურ „ზრუნვას“. ა. კამიუ მ. ჰაიდეგერის დამოწმებით წერდა: „სიკვდილის შეგრძნება იწვევს ზრუნვის მოთხოვნას. ამით ეგზისტენცია მიმართულია თავისი თავისკენ“ („სიზიფის მითი. ესსე აბსურდზე“). იწყება ეგზისტენციალური შიში და „ზრუნვა“ სიკვდილისაგან თავის დახსნაზე.

იკვეთება ორი რამ: დრო ჟამიერი, ანუ წარმავლობის დრო და მარადიული დრო, „საუკუნო“ დრო, მარადისობა.

„ჟამი“ ირანული წარმოშობის სიტყვაა. ქართულში შესაძლებელია პირდაპირ ირანულიდან შემოსულიყო, ანდა, სომხურის გზით (ი. აბულაძე, მ. ანდრონიკაშვილი). „ჟამი“ ნიშნავს: 1. **საათს** („ვითარცა შემწუხრდა დღეჲ იგი და იყო ჟამი პირველი ღამისაჲ მის, გადმოაველინა უფალმან ადგილსა მას ზედა ვარსკვლავი“ („აბოს წამება“) 2. **პერიოდს** („ჟამსა ზაფხულისასა“ — „შუშანიკის წამება“. „ვით ბინდსა ჟამი დილისა“. — „ვეფხისტყაოსანი“ 318. „ჟამი გვახლაუს სიბერისა“. — 508. „შემოკრბეს ჟამსა მას დროისა დღისა“ (მერჩულე, ოვ). 3. **ხანას** („მას ჟამსა შემოკრბეს სპარსნი“. — „ევსტათის წამება“, 88). 4. **დროს** („უჟამოდ ნაყოფნი ჩემნი მოისთულნა“ („შ.“). „ვართ ჩუენ ჟამიერნი, რაითა მცირედ ვილუაწოთ და საუკუნოდ განვისუენოთ“. — მამათა სწავლანი. 4. „ნახეთ სიმუხთლე ჟამისა“. — „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 1665. „ჟამი და დრო“. 859) (მ. ანდრონიკაშვილი).

იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ ვკითხულობთ: **„ჟამი ხატია საუკუნოისაო“** (85-ე თავი). ჟამი **„ხატი და მსგავსებაჲ არს საუკუნოისაჲ“** (50-ე თავი).

გასათვალისწინებელია, თუ როგორ უნდა გვესმოდეს „ხატი და მსგავსებაჲ“. „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში იოანე პეტრიწი ეხება „შესაქმეთას“ წიგნის ცნობილ სიტყვებს: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატად და მსგავსად ჩვენდაო“ (I, 26). ი. პეტრიწი ასეთ თარგმანს შემდეგნაირად ასწორებს: „მოვედით და ვქმნათ კაცი ხატისაებრ და მსგავსისა ჩვენისა“ (გვ. 219). ამის კვალობაზე წარმოდგება საკითხი: ჟამიერი დრო, ანუ დრო წუთიხოფლისა, საუკუნო დროის უშუალო გამოხატულებაა თუ მისი ხატის მსგავსია? უფრო ზუსტი, ალბათ, ეს უკანასკნელია. ჟამიერი დრო ადამის დაცემის შემდეგ წარმოიშვა. ეგზისტენციალური შიშიც ამ დროს გაჩნდა. დამკვიდრდა წარმავლობა, დროს დაუკავშრიდა სიკვდილი. სიკვდილმა კი შიში შექმნა. ადამიანის ცხოვრება ძოიცვა სიკვდილიანმა სიცოცხლემ. ამიერიდან სიცოცხლე ბადებს სკვდილს. ასე გაშენაარსდა ეგზისტენციალური დრო. მაგრამ ყოველივე ამით მარადიულობა არ დარღვეულა, „საუკუნო“ დრო დარჩა. ამიტომ საწყისი ჟამიერი დროისა არის მარადიული დრო. სხვა სათავე ჟამიერებას არ შეიძლება ჰქონდეს (დ. მელიქიშვილი).

„ორნი არიან საზომნი და საზღვარი მყოფთანი, რამეთუ რომელთამე საუკუნოჲ შემოსწერს და მიითუალავს, ესე იგი, არს ვითარმედ — განზომს. ხოლო რომელთამე ჟამი, რამეთუ **ყოველისაჲ ცხოვნებისა და გუარისა მიზეზ არს საუკუნო**, ხოლო ყოველისა მიდრეკისა ბუნებისა და თვითმიდრეკისა მიზეზ და მაარსებელ (არს) **ბუნებაჲ ჟამისა**; ვითარ საუკუნოჲსა ხატისა და აღალმაჲსა „აგალმა“ ბერძნულად „გამოსახულებაა“. რ. ს.). რამეთუ სხუაჲ არა რაჲ არს **ჟამი** თვინიერ **ძეგლ და ხატ საუკუნოჲსა**. და ვითარ იგი მიუდრეკელობასა და იგივეობას შორის იქმს და ამგებს ყოველსა; ესთედვე და ჟამი ოდეს უსახებს, რამეთუ მას **უდინად აქვს თვისი თვითნებაჲ** და დამსჭუალულა იგივეობასა ზედა და ნეტარსა თვითობასა. ხოლო ჟამსა სანიადაგოდ მიდრეკასა და სხუადასხუაობასა შორის მოაქუს თვის შორეს ყოველი“ (54-ე თავი, გვ. 118).

არსებობს ჟამიერი დრო და არსებობს მისი ბუნება. დრო მეღინია, ცვალებადი და წარმავალი, ხოლო მისი ბუნება უცვლელია. იგი თვით მდინარებასა და წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რმავლობაში ინარჩუნებს თავის რაობას („უდინად აქვს თვისი თვისებაᲐ“). სწორედ დროის ეს „ბუნებაა“ ხატი მარადიულობისა, ანუ „საუკუნოისა“. მაშასადამე, დრო თავისი წარმავლობით კი არაა სახე და ხატი მარადიულობისა, არამედ თავისი ბუნებით, ანუ იმით, რაც მასში, თვით ცვალებად დროში, უცვლელია (ეს გააზრება პირდაპირ მიჰყვება ადამიანის ბუნების ეგზეგეტიკურ გაგებას: ადამიანი ღვთის სახე და ხატია თავისი სულით, ე. ი. თავისი ღვთაებრივი ბუნებით). მეორეს მხრივ, „ჟამის“ ბუნების მიმართება მარადიულობასთან ემსგავსება ბოროტების არასუბსტანციურობის გაგებას, რაც სხვებთან ერთად არეოპაგიტიკაშიცაა მოცემული („არასადამე არს არს ბოროტი“, არ არსებობსო არსით ბოროტება).

„რა არის დრო? საიდუმლოება — უსაზღვრო და ყოვლისმძლე, მოვლენათა სამყაროს განმსაზღვრელი პირობა. მოძრაობა, გადაჯაჭვული და შერწყმული სივრცეში სხეულების განლაგებასა და მოძრაობასთან. იარსებებდა კი დრო, მოძრაობა რომ არ ყოფილიყო? მოძრაობა კი იარსებებდა დროის გარეშე? კითხვა კითხვად რჩება! არის თუ არა დრო სივრცის ფუნქცია ან პირიქით? ან იქნებ ისინი ერთმანეთის იდენტურნი არიან? აქაც მხოლოდ კითხვას ვსვამთ! დრო მოქმედია, მას ზმნით გამოსახატავი თვისებები გააჩნია. იგი „იწვევს“ მაგრამ რას? ცვლილებას! „ახლა“ და „მაშინ“ ერთი და იგივე არ არის, „აქ“ არ არის „იქ“, რადგან მათ შორის მოძრაობა ძევს, მაგრამ ვინაიდან მოძრაობა, რის მეშვეობითაც დროს ვზომავთ, წრიულია და თავის თავშია ჩაკეტილი, ამიტომ ასეთი მოძრაობისა და ცვლილებებისათვის ასევე თავისუფლად შეიძლებოდა სიმშვიდე და უძრაობა გვეწოდებინა — „მაშინ“ ხომ გამუდმებით მეორდება „ახლაში“, „აქ“ კი ცნებაში „იქ“. რაკი შემდეგ სასრული დრო და შემოსაზღვრული სივრცე ძალღონის უსაშველოდ დაძაბვითაც კი ვერ წარმოიდგინეს, გადაწყვიტეს დრო და სივრცე მარადიულად და უსასრულოდ „გაეაზრებინათ“. ალბათ იფიქრეს, ასეთი განსაზღვრა საუკეთესო თუ არა, სხვაზე ოდნავ უკეთესი მაინც ხომ არისო. მაგრამ განა „მარადიულისა“ და „უსასრულოს“ შემოღება ყოველივე შემოსაზღვრულისა და სასრულის ლოგიკური გაანგარიშების გზით განადგურებას და შესაბამისად კი მათ ნულამდე დაყვანას არ ნიშნავს?! განა მარადისობაში შესაძლებელია თანამიმდევრობის ანდა უსასრულობაში თანამეზობლობის არსებობა?! როგორ შეუთავსდება მარადიულსა და უსასრულოს იძულებით ვარაუდს ისეთი ცნებები, როგორიცაა „დაშორება“, „მოძრაობა“, „ცვლილება“ ან თუნდაც კოსმოსში შემოსაზღვრული სხეულების არსებობა?!“ („ჯადოსნური მთა“, თ. VI).

დრო საიდუმლოებაა და დროს წარმოაჩენს მოძრაობაო, — ეს გასაზიარებელია. მაგრამ ძალზე პრობლემურია და თანაც ძალზე მნიშვნელოვანია ის, არის თუ არა თავად დრო ცვალებადობათა მიზეზი? თუ დრო მხოლოდ ცვალებადობათა ინტენსიობის ამსახველია?

ხელოვნებისათვის არსებითია მიმართება ოთხი დროისა: მარადიულობისა, ემპირიული დროისა, ეგზისტენციალური დროისა და სიუჟეტური დროისა. ხელოვნებაში, და შესაბამის თანამედროვე თეორიებში, სიუჟეტური დროა სახე და ხატი მარადიულობისა. მხატვრულ ნაწარმოებს თავისი სინამდვილე აქვს და თავისი დრო, ანუ სიუჟეტური დრო. სიუჟეტური დრო არის ემპირიული დროის საზრისის ძებნა მხატვრულ ნაწარმოებში. ემპირიული დროის საბოლოო საზრისი მარადიულობაა (ანდა, ზოგჯერ, ანტიმარადიულობა, და მაშინაც საზომი მარადიულობა იქნება). ამიტომაცაა სიუჟეტური დრო ხატი მარადიულობისა (ეგზისტენციალურ და სიუჟეტურ დროთა ურთიერთმიმართება განხილული აქვს გ. მარგველაშვილს).

დრო არ ჩანს. ჩანს მოვლენათა ცვალებადობა. ადამიანი თავისი თავის გარეშე არ გრძნობს დროს. ადამიანი დროს გრძნობს სივრცით. არსებობას ორი განზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მილება აქვს: დრო და სივრცე ორივე ერთნაირად გარდაუვალია არსებობისათვის, მაგრამ ადამიანი ცხოვრების საზრისს დროის მიხედვით უფრო ხვდება, ვიდრე სივრცით. სივრცე თითქოს უფრო პასიურია, ხოლო დრო ქმედითია. მაგრამ ადამიანს არ გააჩნია დროის შეგრძნების ორგანო. დრო არც ჩანს და არც ისმის. ადამიანი დროს მხოლოდ **გაშუალებულად** შეიგრძნობს (მაგალითად, ხედვით, რომ რაღაცა შეიცვალა. მაშასადამე, შესაბამისი დროც გავიდა). სივრცე აღვსილია დროით, წარმავალითაც და მარადიულითაც. დრო კი თითქოს არაა სივრცეში, თითქოს არაა მასთან მუდმივ-მყოფი. არადა, ყველაფრის არყოფნა შეიძლება და არ შეიძლება დროის არყოფნა. ყველაფრის არსებობის შეჩერება შეიძლება და არ შეიძლება დროის შეჩერება. დროის შეჩერებისა და თუნდაც დროის ყოფიერების მოხსნის უფლებამოსილებას აცხადებს მხოლოდ ხელოვნება, ეს იმიტომ, რომ ხელოვნებას თავისი დრო აქვს. ეს დრო იწყება მაშინ, როცა ნაწარმოები იწყება და მასთან ერთად მთავრდება. ნაწარმოებამდე ეს დრო არსებობდა როგორც პოტენცია, როგორც შემოქმედებითი დრო, დრო, რომელიც შემოქმედშია.

სიუჟეტურ დროს ორგვარი მიმართება აქვს ემპირიულ დროსთან: ერთია ნაწარმოებში გადმოცემული მოვლენების მიმართება ემპირიულ დროსთან და მეორეა ნაწარმოების წაკითხვის დრო, ასე ვთქვათ, შიდა-სიუჟეტური დრო. საერთოდ-კი, სიუჟეტური დრო ორთავე ამ მიმართებას აერთიანებს. არსებითად იგი განცალკევებულად დგას, ის ნაწარმოებშია და ნაწარმოების კითხვისას ნამდვილდება.

მ. ბახტინმა ჰაიდეგერის „ყოფიერებასა და დროზე" დაყრდნობით დანერგა **ქრონოტოპის (დრო-სივრცის)** ცნება, რომელიც ძირითადად სახისმეტყველებისთვის მოიხმარება, თუმცა იგი ჩვეულებრივი ცხოვრებისთვისაც გამოსადეგია (ასეთი ზოგადი აზრით ამბობდა გოეთე: „ჩემი სამოღვაწეო სივრცეაო დრო". მსგავსი შინაარსია ქართულ ენაში ტყვაში „წუთისოფელი").

პირობითად შეიძლება ორი რამის შერწყმაც ვიგულვოთ: ესენია ანტიკური „კოსმოსი" (სამყაროს სივრცული წესრიგი) და ბიბლიური ოლამი (მედინა ყოფიერების საზრისი). აქ საჭიროა იმის გათვალისწინებაც, რომ კოსმოსი არ გამორიცხავს დროს. „კოსმოსის" შიგნით „დროც-კი მოცემულია სივრცული მოდუსით" (ს. ავერინცევი). თავის მხრივ, ოლამიც მოვლენებს გულისხმობს დროულ თანმიმდევრობასა და დროულ ცვალებადობა-მარადიულობაში, მისთვის სამყაროს უმთავრესი აზრი ისტორიაა.

ეროვნული მიმართება ქრონოტოპისადმი ყველაზე მეტად ენაში მჟღავნდება, რაც შეიძლება გავიაზროთ ენის შიდაფორმაზე დ. უზნაძის გამოკვლევის კვალობაზე, რომელიც ჰუმბოლდტის მოძღვრებას ემყარება. ენის რეალობა ყოველთვის უაღრესად კონკრეტულად მჟღავნდება. მაგრამ ამასთანავე ენა ზედროულია. ენაა „ნივთიერი" სავანე ზედროულობისა. ქართულმა ენამ საუკუნეები შემოგვინახა. მასში დროის ეროვნული კონცეფციაც ჩანს.

ქართულ ნააზრევში ოდითგანვე ფუნდამენტურ მნიშვნელობას იძენს სამყაროს სახეობრივი შემეცნება. ჩვენ აქ არ ვგულისხმობთ ხელოვნებას, არამედ სულ სხვა ასპექტს. საქმე ეხება იმას, რომ ამ კონცეფციით ნებისმიერი მოვლენა რაღაცის სახეა, რაღაცას აირეკლავს და ამაში მჟღავნდება ამ მოვლენის არსი. მაშასადამე, აქ საქმე ეხება მოვლენათა ყოფიერებას და არა მათ მხატვრულ გარდასახვას, მხატვრულ სახეებს. იგულისხმება, რომ მოვლენა სამყაროში ჩართულია როგორც სახე.

სწორედ ამგვარადაა გაგებული დროუამი ი. პეტრიწთან.

„განმარტების" 50-ე თავში (დროის გასააზრებლად ეს ყველაზე მთავარი თავია) ი. პეტრიწი ცნებათმეტყველებას არისტოტელისა და პერიპატეტიკელებიდან იყენებს: „უამი არ ენაცვლების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხრონოსა, არამედ კეროსაო" (ანუ „კაიროსი". რ. ს.). „კეროდ ნაწილ ოდენ არს ხრონოდსაო". „ხრონოსი" არის „საზომი პირველისა მიდრეკისა", ანუ პირველი მოძრაობისა, ე. ი. მოძრაობათა პირველსათავისა. არის „პირველი მიდრეკად პირველსა სხეულთასა შორის, რომელსა ცად და ურანად უწოდა გუარმან ელლენთა ენისამან". ურანოსი სამყაროში საგანთა განფენის, ნივთთა წყების უმაღლესი პირველსათავეა. ასეთივე პირველსათავე ყოფილა იგი დროისთვისაც. ამ გაგებით, სამყარო ქრონოტოპული (დრო-სივრცული) მთლიანობაა. ი. პეტრიწი დასძენს, რომ პლატონი და „ყოველნი ღვთისმეტყველნიო": პლოტინოსი, პროფირიოსი და იამვლიხოსი „დასდებენ ხრონოდსათვის და იტყვიან ხატად სამარადმყოისად" (ე. ი, მარადიულობისა „საუკუნისი"). „სამარადმყოდსა შორის ყოველი მიუდრეკელად (არს), და ვითარ **იგივეობასა ზედა და მასვეობასა,** მოუგია **არსებაიცა** თვისი და **მოქმედებაი** განუკუეთელად არსებისგან".

ურანოსში ერთგვარად გაერთიანებულია ცა და მიწა, რადგან ჰესიოდეს „თეოგონიის" მიხედვით, ურანოსი (ცა) შვილია გეასი (დედამიწისა). ურანოსი პირველმოძრაობის სათავეშია. აქვეა ქრონოსი, ვითარცა საზომი ცვალებადობისა. ეს არისტოტელური აზრია. „ღვთისმეტყველნი" სხვა მხარეს წამოწევენ წინ: ქრონოსს გაიაზრებენ ვითარცა მარადიულობის სახეს. ე. ი. დეფინიციებს ცვლის სახისმეტყველებითი გააზრებანი. ეს ძალზე არსებითია. მიუხედავად მყარი კატეგოროლოგიისა, თვით ი. პეტრიწის მსოფლხედვის საფუძველს წარმოადგენს სამყაროს მოვლენათა გააზრება ვითარცა სახეებისა (არდა სიმბოლოებისა, რადგან „სახეები" მაინცდამაინც მხატვრულ სახეებს როდი გულისხმობდა).

„მიდრეკასა პირველსა, ვითარცა ითქუა, დასდებენ ცასა შორის და იტყვიან და **აღმრთისმეტყველებენ** მას, რამეთუ ხატად დასდებენ მას **პირველისა შემოქმედებითისა** აღძვრისა, მბადისა **ყოველთაჲსა**".

მაშასადამე „ქრონოსი", იგივე ბუნება (და არა ქმედება) მოძრავი დროისა, სახეობრივად სწვდება პირველ შემოქმედებით მოძრაობას და არა თვით შემოქმედს.

მნიშვნელოვანია თვითონ პრინციპი სახეობრივი გაგებისა. არსებულთაგან აზრის შემდეგ ყველაზე არამატერიალურია დრო. დრო თავისთავადობით მატერიალურად უშუალოდ არ გვეძლევა, გვეძლევა **სახეობრივად.** დრო, როგორც **ცვალებადობის** საზომი, რაღაცის ცვლილებით შეიგრძნობა. თუითონ ცვლილება არაა დრო, არც ცვლილების ხარისხია დრო, არც ამისი საზომი. დროს **შეფარდება** სხვადასხვა ცვალებადობის თანმიმდევრობისა. ასე, მაგალითად: სოფელში მისვლა მზის ჩასვლამდე; თოთხმეტმარცვლოვან და ოცმარცვლოვან საზომთა მონაცვლეობა „მერანის" დასასრულამდე; რაფაელის ტილოზე პლატონისა და არისტოტელეს ირგვლივ სხვადასხვა საუკუნეთა მოღვაწეების შემოკრება (მათ შორის თვით რაფაელისა) და დროთა სახეობრივი გაერთიანება და ა. შ.

უშუალოდ დრო არსად არ ჩანს. იგი ჩანს გაშუალებულად, თუნდაც ორი მოვლენის მიმართებაში. ალბათ, **სწორედ ეს მიმართებაა დრო.** სწორედ რომ, მიმართებანია ზემომოყვანილ მაგალითებში. ამგვარადვე ჩანს დრო ადამიანის სახეზე „ბალავარიანშიც".

ამრიგად, დროის არსებობა სახეობრივად შეიგრძნობა. სახეობრიობა თავადაა დროის არსებობის წარმომჩენი. სახეობრიობა ცვალებადობაა, არსებობის განფენაა. მარადიულობა იგივეობრიობაა. მარადიულობა წარმოშობს სახეობრიობას, მაგრამ მასზე მაღლა რჩება. ასეა ნაწარმოებშიც. ნაწარმოების სული წარმოშობს სახეებს, რომლებიც ვერ ამოწურავს სულს. ეს არაა მეტაფორული გააზრება. ესაა არსებითი რამ. ეს ნიშნავს, რომ ნაწარმოები ვერ დაიყვანება მისივე სახეების ჯამზე.

მარადიულობას ვერ შესწვდება თუნდაც ყველა წარმოსადგენი დროის მთლიანობა. მას ვერ ამოწურავს ვერც სამყაროს სახეობრივი მთლიანობა. სამყაროს სახეობრივი მთლიანობა არის არა მხოლოდ პროცესი, არამედ სტრუქტურაც. მაგრამ ეს ისეთი სტრუქტურაა, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს პროცესს.

ავრელიუს ავგუსტინე წერდა: „მოძრაობის მრავალსახოვნების გარეშე არ არსებობსო დრო, ხოლო სადაც არავითარი **სახე** არ არის, იქ არც არავითარი მრავალსახოვნება შეიძლება არსებობდესო" („აღსარება", XII, 11).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე (ქვემოთაც მოვიყვანთ საამისო არგუმენტებს) გასაგები პირობითობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ **განსახოვნების თეორია შეიძლება დროის თეორიად იქცეს.** დროს ხომ რაღაცა გვაჩვენებს, რაღაცა განასახოვნებს მას. დროს შეეიგრძნობთ არა თვით დროით, არამედ სხვა რამეთი, რაიმეს ცვალებადობით, ან მზისა და ნათლისა, ან საათის ისრებისა, ან ადამიანის სახის ასაკობრივი ცვლილებისა და ა. შ. ე. ი. **დრო მჟღავნდება სახეში, დროის გაგება-გააზრება სახისმეტყველებით ხდება,** რაც კარგად აქვს გაცნობიერებული იოანე პეტრიწს.

რაც მთავარია: იოანე პეტრიწის ნააზრევში დროის პრობლემა განუყოფელია მთელი **სამყაროს სახეობრივი სტრუქტურისაგან.** ცოტაა ითქვას, რომ ესენი ერთიმეორის გარეშე ვერ გაიგებაო. არსებითად ესაა ერთი პრობლემა. დროის რეალობა სამყაროს სახეობრივ სტრუქტურაში ვლინდება. ეს ეხება სახეთა იერარქიული წყობის ყოველ დონეს და ყოველ ასპექტს: დაწყებული კერპებითა და ხატებით, ვიდრე „ნამდვილმყოფამდე", ანდა პირველ-არსამდე; ანევე, წამიდან დაწყებული მარადიულობამდე.

ი. პეტრიწი წერს:

„ხატად დასდებენ მას (ქრონოსს. რ. ს.) პირველისა შემოქმედებითისა აღძვრისა მბადისა ყოველთაჲსა, რამეთუ ჰაერ ზესთამან მიუდრეკელად ჰრთო და აღა- მუსიკელნა გუარნი გონიერნი **ნამდვილმყოფისა** მზეთა და ნაქუსთა შორისო. ხოლო შენ ნუ გიკვირს ესე: რომელ **მუნ მიუდრეკელად (არს) ყოველი აღძრვაჲ შემოქმედებითი,** ხოლო აქა **ნიადაგ მიდრეკასა შორის.** კეალად: მუნ მარადისოობასა შორის, რომელსა არა აქუს გარდასული და აწი და მომავალი, არამედ ვითარ **ერთბაშად ყოველი,** და აქა ბაძვაჲ ოდენ და მსგავსებაჲ და ხატ-ქმნაჲ, ხოლო მუნ იგივეობაჲ თვითობაჲ, იგავობაჲ, რამეთუ ხატნი ყოველნი იგავთანია ხატ, ვითარცა იტყვის პლატონ, არამედ მუნაჲ აღმკული ყოველი დაიპყრეს იგავთა და იგავის იგავთა. ხოლო აქაჲ ესე ნახიბლი დიოისი ხატთა და ხატის ხატთა" (თ. 50-ე, გვ. 168).

პირველშემოქმედებითვე იწყება პირველი დრო, ოღონდ შემოქმედების იმ მომენტიდან, როცა ცვალებადობა იწყება. საქმე ისაა, რომ პირველარსთა დონეზე „მიუდრეკელადაა (უძრავადაა) ყოველი აღძრვაჲ შემოქმედებითი, ხოლო აქა ნიადაგ მიდრეკასა შორის". მარადისობაში გაერთიანებულია „გარდასული აწი და მომავალი". რომელიმე მოვლენა დროში იცვლება, მაგრამ არა იმდენად, რომ არსი იცვალოს. არსი **უცვლელი** რჩება. მოვლენის სახე იცვლება და იგი ჰბაძავს თავის არსს. ასე წარმართება „ბაძვაჲ, მგავსებაჲ და ხატ-ქმნაჲ". ამითვე ვლინდება ხოლმე დრო. ასეთია ყამიერი დროის სამყარო. რაც დროში **უცვლელია** ამ წუთისოფელში, ისაა ღ„ვაებრივი. ამ **უცვლელობას ჰქვია „იგავი",** იგი გულისხმობს იგივეობას, და ამდენად, ყველა ხატისა თუ ხატის-**ხატის ზეაღმავლობით მიმართებას,** „იგავი" უცვლელი არსია ცვალებადი ხატებისა და ხატის-ხატებისა. ისაა **უცვლელობა** დროულ მდინარეობაში, ანდა იგივეობა ცვალებადობაში. „იგავს" კიდევ თავისი „იგავი" აქვს და ასე ალაღდება „იგავური" საიდუმლო მარადიულობამდე. მაშასადამე, სვლა ხატისა და ხატის-ხატისკენ (სხვა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხვევაში პეტრიწი უმატებს კერპსა და კერპის კერპს) ჟამიერ-წარმავალია და პირიქით: იგავი, იგავის-იგავი და ა. შ. ზეამყვანებლობითი გზაა მარადიულობისა და უცვლელობისკენ. „ხატი“ დროს მოასწავებს, „იგავი“ მარადიულობას. „ხატი“ დროს მოასწავებსო, — ეს ნიშნავს დროის „გასაგნებას“, დროის გამოხატვას „ნივთით“. დროის „გასაგნებაა“ მთელი ქრისტიანული ხელოვნება, ტაძარიც, ფრესკაც, ხატიც, საგალობელიც და აგიოგრაფიული თუ ჰომილეტიკური საკითხავებიც.

დროის **ქრისტიანული კონცეფცია** ჩამოყალიბებული აქვს წმ. იოანე დამასკელს **„გარდამოცემაში“** (II წიგნის I თავი). იოანე დამასკელი იწყებს იმის აღნიშვნით, რომ ღმერთმა თვითონ შექმნა საუკუნენიო და იმოწმებს ფსალმუნს: „პირველ მთათა დაბადებამდე და შექმნად ქუეყანისა და სოფლისა და საუკუნითგან და უკუნისადმდე — შენ ხარ? (89,2). შემდეგ მოხმობილია წმ. პავლე მოციქულის ეპისტოლე: „ძისა მიერ თვისისა, რომელ-იგი დაადგინა მკვიდრად ყოველთა, (ღმერთმა) შექმნა საუკუნენი“ (ებრ. 1, 1-2). ე. ი. ჯერ იყო ღმერთი და მერე მან შექმნა დრო. დრო შეიქმნა ძეღვთაების მიერ. მაგრამ ძე მამის გარეშე არ არსებობს. აქ არის მხოლოდ ის, რომ ძეა „ბრწყინვალებაჲ დიდებისაჲ და ხატი ძლიერებისაჲ“ (ებრ. 1, 3). ძეა სიტყვა-ლოგოსი, საზრისი ყოფიერებისა და დროც ყოფიერების საზრისია.

წმ. იოანე დამასკელი „საუკუნეს“ რამდენიმე მნიშვნელობით ხმარობს: 1. ერთია ადამიანის ცხოვრება. 2. 1000 წელი (ფს. 89,4; „ათასი წელი წინაშე თუალთა შენთა, უფალო, ვითარცა გუშინდელი დღე“). 1000 წელს გულისხმობს შესაქმის თითო დღე. VII „საუკუნე“ მკვდრეთით აღდგომის საუკუნეა, ხოლო VIII „დღე“ შემდგომი მომავლის „საუკუნეა“. ასეთია ქრისტიანული ესქატოლოგიის დროული შინაარსი. აქაც დრო ანთროპოლოგიურად გაიაზრება. ესქატოლოგიური დრო გაშინაარსებულია კაცობრიობის ბედის საზრისით, დროითი ანთროპოლოგიის თვალსაზრისით, ფრიად საყურადღებოა წმ. იოანე დამასკელის შენიშვნა, რომ აწმყო დრო შეიცავს მრავალ საუკუნესო, რადგან ის შეიცავს მრავალი ადამიანის ცხოვრებას და ამიტომაც აწმყო ყველა წინარე საუკუნეს მოიცავსო.

თავდაპირველად დრო წარმოიშვა **მზის გაჩენით**, რადგან მზეა დროითი გამყოფი დღისა და ღამისა. მანამდე რაღაც დროისებური გრძლიობა მაინც არსებობდა და ის ქმნიდა მარადიულობას. საყოველთაო აღდგომის შემდეგაც აღარ იქნება დროის აღრიცხვა, დადგება ერთი დაუსრულებელი დღე, რომელსაც გაანათებს მზე სიმართლისა თავისი უსაზღვრო ბრწყინვალებით. ასე იქნება კეთილთათვის, ხოლო ბოროტთათვის დადგება უსასრულო ღამე, მარადიული უკუნით.

ასე იკვეთება ერთ-ერთი უმთავრესი მიმართება დროის გაგებისას. ესაა: **დრო და სიკეთე**. სიკეთეზეა დამოკიდებული დროს რაობა: წარსულშიც, აწმყოსა და მომავალშიაც.

წმ. ი. დამასკელი დროს განიხილავს ადამიანის არსებობის საზრისით და კაცობრიობის არსებობის საზრისს განმარტავს ესქატოლოგიური დროის კვალობაზე.

ბიბლიაში დრო ადამიანამდეა. დრო იწყება შესაქმით. მანამდე არ იყო დრო. მანამდე იყო ზედროულობა. ყველაფერი ღვთის წყალობაა და ღვთის წყალობაა დროც. საყოველთაო დროს ადამიანი არ ქმნის, დროს ქმნის ღმერთი და ადამიანი იყენებს მას და აფასებს ეგზისტენციალური საზრისით. ერთადერთი დაძლევა ჟამიერი დროისა, დროის წარმავლობისა, ესაა მარადიულობაში დამკვიდრება, მოპოვება საღვთო სასუფევლისა, ე. ი. იმისა, რაც პირველად ადამიანს გააჩნდა და თავისი შეცოდებით დაკარგა. სასუფეველში დრო გაჩერებულია და გარემო უცვლელია. ყველაფერს მსჭვალავს წმინდა ნათელი. ამ წმინდა ნათელზეა დაყვანილი დროც და სივრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეც და საერთოდ ყველაფერი (ასეა „ექ-ფხისტყაოსანშიც“ და „ღვთაებრივ კო-მედიაშიც“. ნესტანი ოცნებობს ტარი-ელთან ერთად სამოთხეში ყოფნას, სა-დაც „დღითა და ღამით ვხედვიდე მზი-სა ელვათა კრთომასაო“. მარადიულ წმინდა ნათელს ჭვრეტენ ბეატრიჩე და დანტე. აქ ნათელი სულიერია და სუ-ლით ხდება მისი შეცნობა. აქაური ნე-ტარებაც სულიერია. აქ „ტკბილია სი-ნათლე და საამურია თვალთათვის მზის ჭვრეტა“ (ეკლესიასტე, 11,7).

დრო დაიყვანება სივრცეზე და წმი-ნდა ნათელში განიფინება. ასეთია დრო-ის ესქატოლოგიური მომავალი. ესქატო-ლოგიური მარადიულობა რომ და-მყარდება, სასუფეველი აღივსება უმა-ღლესი სიბრძნით, „სოფიურობით“, რო-მელიც იქნება „ხე ცხოვრებისა“ (შდრ. „სვეტი-ცხოველი“). ნიშანდობლივია, რომ ქართულში ქრისტე-მხსნელს („მე-სიას“) **მაცხოვარი** ჰქვია. ხსნაა **მარა-დიული სიცოცხლე**. სწორედ საუკუნო სიცოცხლის მომნიჭებელია „მაცხოვა-რი“. ამგვარი მარადიულობა ანუ ზედ-როულობა („საუკუნოობა“ პეტრიწთან) საუკუნო წმინდა ნათელს გულისხმობს. ეს ის ნათელია, რომელიც შეირწყავს დროს. მაგრამ ამნაირი ზედროული სი-ნათლე „სულითა საცნაურია“ და არა სახილველი. ჩვეულებრივი ხედვისთვის ის უკუნია (შევადაროთ მარადიულობის ქართული გამოხატვა: „უკუნითი უკუნი-სამდე“. „საუკუნეც“ ხომ „უკუნს“ უკავ-შირდება. ჯუანშერთან „მიუკუნისამდეც“ გვაქვს).

მაშასადამე, დროის მომავალი თვით-უარყოფაა. ისტორიული დრო მთავრდება ზედროულობით. ესქატოლოგიური შეგ-ნებით, „ყოველივე ამაო არს, გარნა სა-უკუნო იგი უკუდავი ცხორება დაულევ-ნელი“ („ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლისეული, ე. თაყაიშვილის გა-მოც., გვ. 591). ეს ეყრდნობა „ეკლესი-ასტეს“ ცნობილ იდეას: „ამაოება ამაო-ებათა და ყოველივე ამაოა“ (1, 2).

მანამდეა ისტორიული ან ეგზისტენცი-ალური დრო. ეს დრო ბიოსფეროსა და ნოოსფეროს უკავშირდება. ადამიანი ცვლის ბიოსფეროს, ანუ იმ გარემოს, რომელმაც იგი წარმოშვა, ხოლო შემდეგ ეს შეცვლილი ბიოსფერო, ნოოსფეროდ, ანუ ინტელექტისეულ გარემოდ გადაქ-ცეული, ცვლის ადამიანს. ეს შეადგენს ეგზისტენციალური დროის შინაარსს, ანუ დროის ადამიანურ საზრისს.

ბიბლიურ-ქრისტიანული გაგება ესწ-რაფვის ყოფითი დროის საკრალიზების, ყოველი კვირა 7-დღიანი ციკლით იმეო-რებს ღვთიური შესაქმის დროულ თან-მიმდევრობას. ღვთის დასვენების დღე, შაბათი, ქრისტიანობამ გადააადგილა და საუფლო დღედ კვირა-დღე აქცია. ამი-ტომაც დაერქვა მას „კვირა“ (ბერძნუ-ლად „კვირიოს“ უფალია), ანუ საუფლო დღე. ამას მიჰყვება სხვა სიმბოლოებიც: 7000 წელს სამყაროს გაჩენიდან (ქრის-ტემდე 5508 ან, ქართულად, 5604 წე-ლია) იქნებაო მეორედ მოსვლა (1000 წელი ხომ ერთ საღვთო დღედ ითვლე-ბოდა) და დადგებაო მერვე დღე ანუ უფლის დღე. ესქატოლოგიური მოტი-ვები ნათარგმნი თხზულებებითაც შემო-დიოდა (გრ. ღვთისმეტყველი, „დღისათ-ვის მეერგასისა, რომელ არს მარტვა-ლიად“, იოანე დამასკელის „გარდამოცე-მა“ (თ. 15: „საუკუნეთათვის“), მიტრო-ფანე სმირნელის „თარგმანებად ეკლე-სიასტისად“, თეოფილაქტე ბულღარე-ლის „მათეს სახარების თარგმანება“) და ორიგინალურითაც (აბუსერიძე ტბე-ლი) (კ. კეკელიძე, ეტიუდები, II).

სიმბოლიზებული იყო 70 წელი, რო-გორც ერთი ეპოქის მომცველი (იერე-მია, 29,10). ასევე 7 შვიდეული და 70 შვიდეული (დანიელ წინასწარმეტყველს ეუბნება მთავარანგელოზი: როცა კი მო-ვა ბრძანება იერუსალიმის აღსადგენად, შვიდი შვიდეული და სამოცდაათი შვიდე-ული გავა ცხებული მეფის მოსვლამდეო, 9, 25).

საერთოდ, ძალზე საყურადღებოა ასეთი კავშირი, როგორიცაა **დრო** და **რიცხვი**. ორივე წმინდაა, ორივე განფე-ნილია საგნებში როგორც სული. არც-ერთი საგნობრივობაში არ ითქვიფება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხვი უმაღლეს გვართაგანია. დროს განსაზღვრავს რიცხვი, უპირველესად „ერთი“, როგორც სიმბოლო უცვლელობისა და მარადიულობისა. ათვლა იწყება ორით, მაშასადამე, დროც ორით იწყება („ერთი“ არ იწყებს დროს, ის დროს ამთლიანებს და დროზე მაღლაა). ი. პეტრიწი წერს: „ორი გზაა მისდ (ერთისთვის) რამეთუ მიდრკა“ (გვ. 216) „სამი“ სულიერების უმაღლესი სიმბოლოა. სამი მთლიანობის სიმბოლოცაა (3-1 და ეს წმ. სამების ერთარსებას გამოხატავს). დროც სამია, მაგრამ ეს სამობა ურთიერთგანუყოფელიცაა. „ოთხი“ ნივთიერი ყოფიერების სიმბოლოა და მრავალმხრივ უკავშირდება ემპირიულ დროს. სამი და ოთხი ქმნის შვიდს, რომელიც სიმბოლოა ქალწულებრივი სიწმინდისა და დროის ღვთიურობისაც. „მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე და მეცხრე პერიოდი ჩვენი ლიტურგიულ-ეორტალოგიური წელიწადისა შედგება შვიდშვიდი კვირის ან 49 დღისაგან. შვიდკვირეულ პერიოდად დაყოფა საეკლესიო წელიწადისა უნდა იყოს უძველესი აღმოსავლური პრაქტიკა“ (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ეორტალოგიური წელიწადი. — ეტიუდები, I, 131).

ყოველივე ეს ნიშნავს, რომ კაცმა უნდა იცხოვროს ღვთის კვალობაზე, ღვთიური დროით, ღვთიური შესაქმის ყოველდღიური ხსოვნით.

შეიძლება ვთქვათ, რომ ი. პეტრიწთან გამიჯნულია დროის აღრიცხვა და დროული განზომილება. ისინი ერთმანეთს უკავშირდება, მაგრამ ამასთანავე ერთმანეთს მნიშვნელოვნად სხვაობს. ძირითადი განსხვავება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ერთის მხრივ არსებობს დროის ათვლა, რაოდენობრივი გაზომვა დროისა, მეორეს მხრივ, განიზომება **დროის თვისება, დროის ხარისხი, მისი საზრისი.** „რომელსა ჟამი განზომს, ჟამივე შეიცავს, ხოლო რაჲ არს ჟამისმიერი განზომაჲ?“ პასუხი გაცემულია ცოცხალ არსებათა მაგალითზე. დრო ეხება მათ „აგებულებას“. აგებულებას შეეტყობა მზის ზოდიაქალური მოქცევა, მოქცევა დროისა, „რომელსა ენიჭების რთულთაჲ წელიწად უწოდს“. ჟამეული დრო იწვევს წარმოქმნას, განსაზღვრავს ასაკს, ანუ „აგებულებას“ და მის დაშლას. მაგრამ ყველაფერი მაინც განსაზღვრულია „საყოველთაობით“. „ვითარცა მარადმყოფსა შეუცავს გონიერად აღმკული თვის შორის და მიუდრეკელად, ეგრეთვე გრძნობადი ესე ჟამი საყოველთაოსა“. „ყოველნი ნაწილებითნი საყოველთაოთა მიერ იპყრობვიან“ (გვ. 109).

აქაც მარადიულობა განსაზღვრავს დროის ხარისხს, სწორედ მარადიულობის წინაშე უნდა დაისვას უმთავრესი კითხვა და ესაა — არა: **რომელი საათია?** არამედ — **რისი საათია?**

ადამიანური დროის ღვთაებრივად გადაქცევის უმთავრესი საფუძველია სიკეთე.

გამიჯნულია **არსით** ჟამისეული რაჲ და **მოქმედებით** ჟამისეული რამ და გათვალისწინებულია მათი თანხვედრაც. ე. ი. შეიძლება, რომ რაიმე მოვლენა თავის რაობას იძენდეს მხოლოდ მდინარეობასა და ცვალებადობაში (მაგალითად, მუსიკა). სხვა მოვლენები კი მოქმედებით არიან ჟამისეულნი, ანუ ცვალებადნი, ხოლო არსებით არიან უცვლელნი. „ხოლო გონებითი სფეროჲ ზესთა ძეს ამათ ყოველთა, რამეთუ საუკუნოჲ გონჰზომს მას და ჰგიეს ლამპარსა შორის დაუვსებლობისასა, არსებითაცა და ჟამითა“ (გვ. 109-110).

დროის ათვლას განსაზღვრავს მზის მოძრაობა, ხოლო დროის მთლიანობის და ყოვლისმომცველობას გამოხატავს ცა, და არა მხოლოდ ეს ხილული ზეცა, არამედ ყოველი გონებითშესაწვდომი ანუ ინტელიგიბელური წყებანი ცებისა. უმაღლესი ზეცა დროის არსებისა და ქმედების გადაკვეთის ზღვარია. მის მიღმაა მარადიული უცვლელი მზე, უმაღლესი „ნამდვილმყოფი“. იგი უცვლელი და უძრავი. ისაა მარადიულობა.

მზეშია ყოფიერების ქრონოტოპი: მზის დაბნელება „აქრობს“ სივრცეს, მზის შეჩერება აჩერებს დროს. ისუ ნავესმა შესთხოვა და „დადგა მზე საშუალ ცასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვიდოდა დასვლად სრულიად დღის ერთის" (10, 13). ამოსის წიგნში ნაწინასწარმეტყველებია: „დაჰხდეს მზე შუადღე და დაბნელდეს ქუეყანასა ზედა დღესა შინა ნათელი" (8, 9). იოველის წიგნში მზის დაბნელება უფლის გამოჩენას მოასწავებს: „მზე გარდაიქცეს ბნელად და მთოვარე სისხლად პირველ მოსვლამდე უფლისა დიდისა" (2, 31).

„წმ. ნინოს ცხოვრებაში" თხოთის მთაზე მზის დაბნელება დროის გაჩერებასაც მოასწავებდა, რადგან როცა მზე ჩერდება, დროც გაჩერდება. შემდეგ მზეს გაანათებს „მზეი სიმართლისა", ქრისტე, რასაც ვერ ახერხებენ არმაზი და ზადენი, რადგან ისინი იყვნენ ქვეყნის ცვალებადობათა გამსაზღვრელნი („მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყნით ნაყოფთა გამზრდელნი" (გვ. 132), ქრისტე კი არის სათავე მარადიულობისა.

„ამეული დრო სამია: იყო, არის და იქნება („ელლინებრივ: ინ, ესტინ, ესტე", გვ. 110). „ვერაჲ განეელთას სამსა ამას, რამეთუ პირველ პირველი დაიპყრა სხეულთაჲ და უსაღმრთოესი, ვიტყვი ცისასა, სამმან ამან. რამეთუ იყო ქცევაჲ სფეროთაჲ, და არს ქცევაჲ სფეროთაჲ და იყოს ქცევაჲ სფეროთაი. ხოლო, ესე შეისწავე, რომელ სხუებრ იხედვის გარდასული და მყოფი და მომავალი ცასა შორის, რომელ არს ჟამი, და სხუებრ მეკუდოთა (მოკვდავთა. რ.ს.) შორის, რამეთუ **ცისა გარდასული შეეკვრის მომავალსა** და ერთ ექმნების მას. და დასასრული მისი დასაწყის (არს), და დასაბამ იქმნების სხვისა და ჰგიეს იგი უკუდავად და დაუვსებელად. შაგრა **კუალად და კუალად** და არა **მარტივად უკუდავად**, რამეთუ **მარტივი უკუდავებაჲ უქცევ** და **უცვალებელ არს**, ხოლო ცის-შორისი უკუდავებაჲ ქცევითი და კუალად და კუალადითა არს, რამეთუ, ვითარ (არიან) პოქმედებანი, ეგრეცა და არსებანი")იქვე).

დროისა და ზედროულობის განუყოფელობას ენაში გრამატიკული დროც ამტკიცებს, რადგან „გრამატიკული დრო არ შეიძლება განიზომოს" (ა. შანიძე). ეს ნიშნავს, რომ აბსოლუტურად ფარდობითია იმის განსაზღვრა, თუ რომელი დროა აწმყო, წარსული თუ მომავალი. ამას განსაზღვრავს უბნობა (თქმა): თქმის მომენტს რაც ეძთხვევა, ისაა აწმყო, წარსულია ყოველი დრო უბნობის (თქმის) წინარე, ერთი წუთით ადრე იქნება თუ საუკუნეებით, ასევე მომავალიც, ორივე განუსაზღვრელია.

ყოველივე არსებული სამ დროში მყოფობს. ეს ეხება წარსულში არსებულსაც და მომავალსაც. მათაც თავისი აწმყო, წარსული და მომავალი აქვს. დროის სამობა ფუნდამენტურად განსაზღვრავს ადამიანის მიმართებათა სამობას. მხოლოდ ზემატერიალურ ზეცაში წარსული და მომავალი მთლიანდებიან და იქმნება მარადიული აწმყო („ცის გარდასული შეეკვრის მომავალსა").

„რასაცა ქმნასა შორის აქუს მყოფობაჲ, არა არს ჭეშმარიტად მყოფი, არამედ ვითარ არმყოფობასა თანა შეკრული" (გვ. 111). „ჭეშმარიტად მყოფი" დროის მაღლა დგას. ის „თვითმდგომარეა" („თვითმდგომარედ იტყვის ყოველსა აღუგებელსა ბუნებასა", ო. 51).

„დიდი აპოლო პირველ ნიეთსა აღუკაზმავს და მერმე ნაწილთა, და მერმეღა ყოვლობასა ყოველთა აღგებულთა და თანა შეაკრავს თვისთა მოქცევასა ხრონოსა, რომელ არს წელიწადი, საზომსა განსაზიდთა და მყოფობისა მათისათა, რამეთუ ხატი არს გონიერისა დიოისი და ორღანოი მიდრეკისა და ჟამისა" (ო. 51, გვ.112).

აპოლონი კოსმიური წესრიგის დამამკვიდრებელია. ამ წესრიგში მთავარია დრო. ის აპოლონმა დააწესა. აშინ აპოლონი ხატია ზევსის (დიოსის) გონიერებისა. შეუძლებელია არ გავიხსენოთ, რომ აპოლონი ხელოვნების მფარველიც იყო. აქაც იკვრება რკალი: **დრო და სახეა ხელოვნების არსის გამსაზღვრელი.**

„ანუ ხატთა მიერ, ანუ იგავთა მიერ მეცადინობს სული ცნობად მის უცნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათვის“ (თ. 51, გვ. 113). სულიერი შემეცნება სახეების საშუალებით ხდება.

ი. პეტრიწი იზიარებს და ავითარებს აზრს, რომ „ყოველთა საუკუნითთა, უპირველეს არს საუკუნოჲ და ყოველთა ჟამის-შორისთა ჟამი უპირველეს წარმოდგომილ არს“ (თ. 53). „საუკუნოჲს მიზეზად და მამად ნამდვილ მყოფს დასდებსო დიდი პარმენიდი“ (გვ. 116).

დროის გაგების კვალობაზე არსთა წყობა ასე წარმოგვიდგება; არის „ერთი“ შემდეგ „ნამდვილ მყოფი“ (უზოგადესი არსი, მარადიული, უცვლელი, ზედროული ბუნებით), შემდეგაა ცა, ყოვლის მომცველი და სამყაროს მთლიანობის გამსაზღვრელი. აქვეა სფერო მარადიულობისა, „საუკუნოისა“, აქვე იწყება მრავალფეროვნებანი. ი. პეტრიწი წერს: „არა (ა) ერთ და იგივე ბუნებაჲ ყოველთა საუკუნეთაჲ, ვითარ არცა ერთი და იგივე ბუნებაჲ ჟამისაჲ, რამეთუ სხუაჲ შენებაჲ დიდსა შორის სფეროსა ჟამისა და სხუაჲ კრონოჲსსა შორის და სხუაჲ დიდისა დიოჲსსა და სხუაჲ არესაჲ და სხუაჲ აფროდიტის მაბარებელთა ტრფიალებითაჲ სხუაჲ არტემიდიტოჲს ქცევათა“. მაშასადამე, არსებობს სფეროები კრონოსისა, ზევსისა (დიოსი), აფროდიტესი და არტემიდესი და ყველგან სხვადასხვაგვარია დრო, რადგან ამ სფეროებში სხვადასხვაგვარია ცვალებადობა და სახეთქმნადობა.

ი. პეტრიწის დასკვნა ასეთია: ყველაფერი იცვლება დროის კვალობაზე, მაგრამ რჩება მათი ბუნება, მათი შინაარსი, „რამეთუ ვინ კაცი მოკუდების ღა ვინ ცხენი და ვინ ირემი და ვინ თევზი და არა ბუნებაჲ მათი, ვითარცა კაცებაჲ, ცხენებაჲ და სხუაჲ ესევითარი“ (გვ. 119). ასევე მოსდის ოთხ სუბსტანციურ ელემენტს (ცეცხლი, წყალი, მიწა და ჰაერი), თუმცა მათი არსი, მათი სუბსტანციურობა არ ისპობა.

ასე რომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება **დროისა** და **მოვლენის ბუნების** (არსის) ურთიერთმიმართებას (თ. 55).

რაიმეს ბუნების უცვლელობა სხვადასხვა მხრიდანაა დანახული. ერთიან შენარჩუნება გვარეობითი რაობისა როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ (თ. 54, გვ. 119). მეორეა შენარჩუნება საკუთარი ბუნებისა მარადდადგინებადი ანდა მარადთვითდადგინებადი სწრაფვით. ამას პეტრიწი საგანგებოდ ეხება (იხ. თ. 55) და მის მსჯელობას ანთროპომორფული ქვეტექსტები ახლავს. რადგან ქრისტიანობაში წამყვანია დროისა და სიკეთის ურთიერთმიმართება, იგულისხმება, რომ ადამიანური სიკეთე დროს ანიჭებს საზრისს. სიკეთეს განსაზღვრავს სულიერი სიმყარე. ამიტომ არ შეიძლება არ იყოს ნაგულისხმევი და ანგარიშგაწეული ის თეორია, რომელიც იოანე ოქროპირის კვალობაზე გადმოცემული აქვს გიორგი მერჩულეს (თ. VII), რომლის მიხედვით, წმინდა მამანი მარტვილებსაც კი აღემატებიან, რადგან ყოველდღე ეწამებიან, ყოველდღე ებრძვიან ეშმაკეულ ცდუნებას და სულის სიმტკიცესა და სიკეთეს ინარჩუნებენო. რასაკვირველია, საბოლოოდ ესეც საყოვლთაო ესქატოლოგიურ აღსასრულს უკავშირდება, მაგრამ აქვეა, თუ შეიძლება ითქვას, პიროვნული ესქატოლოგია. აქვეა პიროვნული დაძლევა დროისა, რადგან ცვალებადობა ხრწნა და მოკვდინებაა, ხოლო უცვლელობაა მარადიულობისკენ სწრაფვა. ამ პრინციპს მიჰყვება მთელი აგიოგრაფია, სადაც დრო-ჟამეულს განწმენდს სიკეთე. ამისი რომანტიკული გამოხმაურებაა ალ. ჭავჭავაძის სიტყვები ლექსიდან „ვაჰ, დრონი, დრონი“: „არ ვსდევ ჟამთა ცვლას, მე იგივე ვარ მარად და მარად“. მაგრამ რომანტიზმში მეტი ინდივიდუალიზმია („ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი“. — ნ. ბარათაშვილი, „ნაპოლეონ“). აგიოგრაფიაში ტაძრული ცნობიერებაა. ტაძარში საყოველთაოა დროც და სივრცეც. აქ სივრცე გამარადიულებულია. ფრესკაზე წმინდანს ჩამოშორებული აქვს წინააღმდეგობანი და წარმოდგენილია სულიერი ნეტარებით. სხვაგვარია აგიოგრაფიული ტექსტი. აქ წინააღმდეგობანი ჩანს, რომლის მუდმივი დაძლევით ხდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდანის თვითდადგინება, წმინდანობასთან მარადიული ზიარება. წმინდანის ცხოვრება, ესაა გზა ფრესკისკენ, ანუ მარადიულობისკენ.

ტელეოლოგიური (მიზნობრივი) დროის საზრისი სიკეთეა. საერთო-საკაცობრიო საზრისია საყოველთაო აღდგომა, ე. ი. იმ სასუფეველში მიბრუნება, რომელიც პირველ-ადამიანმა დაკარგა. ამ აზრით, დროითი წინსვლა უკუსვლას ითვალისწინებს. ისტორიული დროის საზრისი ზეისტორიული ხდება. ამიტომაცაა, რომ **ისტორიული პროგრესის იდეა** არაა აქცენტირებული არც შუასაუკუნეობრივ ფილოსოფიაში, არც ისტორიოგრაფიაში და არც აგიოგრაფიაში, მეტადრე არაა ეს ღვთისმეტყველებაში, რადგან პროგრესი ყოფითი ცხოვრების სრულყოფას გულისხმობს. მაგრამ არსებობს კულტურული პროგრესის იდეა. ეფრემ მცირე გაიაზრებდა, რომ ექვთიმე ათონელი ანგარიშს უწევდა ქართველთა გაუნათლებლობას და წიგნებს მარტივად თარგმნიდა. ახლა კი გონებრივად მომძლავრდნენ ქართველები და მათ უკვე ბერძნული წიგნები ზუსტად შეგვიძლია ვუთარგმნოთო.

ბიბლიურ და შემდეგ ქრისტიანულ კულტუროლოგიაში იმთავითვე არსებობდა იმის შეგრძნება, რომ პროგრესი დამლუპველია, ალბათ, იმისი შეგრძნებაც, რომ პროგრესი სპობს ბიოსფეროს. ადამიანს აღარ ძალუძს შეაჩეროს დამლუპველი კომფორმიზმი. თანამედროვე ესქატოლოგიისთვის უმთავრესია ფიქრი ეკოლოგიურ კატასტროფაზე.

ი. პეტრიწის ფილოსოფიური მსოფლხედვის საფუძველია „ერთი". „ერთიდანვე" იწყება ფილოსოფოსობაზე ამაღლება. მაშინ „ერთი" ტრანსცენდენტურად ხდება, ოღონდ არა გონებით დასაშვები ტრანსცენდენტურობით, არამედ სულიერი. შეგრძნებით იმისა, რომ მიუწვდომლობის წინაშე პირისპირ ვდგავართ. ეს კი ყველაფერთან ერთად ზედროულობისა და მარადიულობის განცდაა, უფრო ზუსტად, მიხვედრაა შეუცნობელის არსებობისა.

ი. პეტრიწი წერს: „გესმაა რამეთუ განიყოფვიან განთვითებული და განაწილებული? განთვითებულ (არიან) უკუე **საუკუნესა** შორის გუარნი და **ერთსა შორის რიცხვთა თვითებანი.** და არცა შერწყმულ და არცა შერეულ (არს) არამედ ერთებრივ. და არცა შეერთებულიცა განიყოფვიან, რამეთუ შეერთებული ნაწილთა მიერ შეერთებულსა ეხუედრების, ხოლო ერთებრი გაუნაწილებელისა არსებისა ხატ არს. ხოლო ჟამისშორისი ყოველი შეერთებულ და განაწილებულ და განფენილ (არს) და არა ერთ და ერთებრივ" (55-ე თავი, გვ. 122).

ჟამი დაყოფა-დანაწილებას გულისხმობს. მარადიულობა არაა მთელი საყოველთაო დროის მთლიანობა. მარადიულობა მასზე მაღლაა. ამიტომ იგი უახლოვდება უმაღლეს „ერთს", როგორც მისი ერთ-ერთი უახლოესი გამოხატულება, თავად კი უმაღლესი „გვარია" („განთვითებულ (არიან) საუკუნეთა შორის გუარნი").

საბოლოო ჯამში დრო მომდინარეობს „ერთიდან", ღვთაებრივი, უზენაესი პირველსათავიდან. ამ „ერთის" ნიშანია მარადიულობა და განუყოფლობა, დროისა კი განყოფადობა და სიმრავლე. ამიტომ ი. პეტრიწის ნააზრევში უნდა დავინახოთ არსებითი კავშირი ორ ბინარულ მიმართებს შორის: ერთის მხრივ, მარადიულობა და დრო, მეორეს მხრივ, **ერთი და სიმრავლე.**

„ყოველი სიმრავლე ეზიარების რაითვე ერთსა" (თ. I). ეგევე ითქმის დროსა და მარადიულობაზე.

ორგვარი „ერთია": ყველაფრის მიღმური „ერთი" და აგრეთვე წარმოქმნილი და პირველწარმოქმნელი „ერთი". ამისდაკვალად, ორგვარი მარადიულობაა: ერთია ზემარადიულობა, ყველაფერზე მაღლამდგომი, მიუწვდომელი და შეუცნობელი. მეორეა საუკუნო დრო, მაგრამ მაინც დრო, აღრიცხვადი რამ, მაგრამ საბოლოო აღრიცხვისთვის მიუწვდომელი. ადამიანის ცხოვრება ამ უკანასკნელის ნაწილია, ხოლო მისი სული ეზიარება მარადიულს.

ამ ნააზრევშიაც შეგვიძლია დავინახოთ სახისმეტყველებითი კონცეფცია. სახისთვის არსებითი თვისებაა მთლიანობა.

ქრისტიანობა ითხოვს, რომ „რა არის დრო", ამ კითხვაზე პასუხს სჯობს გავიაზროთ „რისი დროა"? შენების დროა თუ ნგრევის, მშვიდობისა თუ ბრძოლის. ასეთ კონცეფციას „ეკლესიასტედან" მოკიდებული ვხვდებით პლატონთანაც, პროკლესთან, დანტესთან, რილკესთან, თომას მანთან, გალაკტიონთან („რომელი საათია?!"). სწორედ ასეა გააზრებული აბოს თავდადების დრო ი. საბანისძის მიერ. ი. საბანისძე არაბობის ძალმომრეობის ხანაზე ამბობს: ესაა დრო „ზედამდგომელთა ამათ ჩუენთა, მფლობელთა ამის ჟამისათა" (გვ. 50). აქ ხსენებული „ჟამის მფლობელობის" იდეა მნიშვნელოვან საამროვნო კონტექსტში შედის. შეიძლება, კონცეფციურად არა, მაგრამ რეალურად არსებობს ასეთი ალტერნატივა: მარადიულ დროს ფლობს ღმერთი, წარმავალ დროს კი — ადამიანი. სხვა საქმეა, რომ საბოლოო ჟამში ესეც ღვთისგანაა დამოკიდებული, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია **თავისუფალი ნების** იდეა საერთოდაც და დროსთან დაკავშირებითაც. ადამიანური დროის არსებობა ფაქტიურად თავისუფალი ნების შედეგია. „რისი დროაო", — ამ კითხვის ადამიანი პასუხობს თავისუფალი ნების შესაბამისად. უფრო მნიშვნელოვანია და ძნელი ამ კითხვაზე საერთო-ეროვნული პასუხის გაცემა. დ. გურამიშვილი გვიჩვენებს, რომ ქართველები აღარ არიანო „მფლობელნი ჟამისანი" და ამის მიზეზად ასახელებს იმას, რომ „ქართველთ მადლს ცოდვას დაძლიაო".

დროის თვალსაზრისით, განსაკუთრებით, დროის ზეცნებითი ასპექტების თვალთახედვით, გასააზრებელია **„მარტივის"** რაობა, რომელიც თავისთავად უკვე ყურადღებულია (გ. თევზაძე).

ზ. პეტრიწის „განმარტების" შესავალიდან ჩანს, რომ „მარტივია" სუბსტანციური პირველსაწყისები: მატერიალურნიც (ცეცხლი, წყალი, მიწა, ჰაერი) და საღვთისმეტყველონიც („ამითვე ეახითა სიტყვისათა, კავშირად უწოდა, ვითარცა უმარტივესთა ყოველთა შორის საღვთისმეტყველოთა ხედვისათა"). ასევე მარტივიაო „წესი და სირაჲ, რომელ არს ნათხზი ყოველთა, დააწყო და წარმოაჩინა, ვითარ გონებისა, სულისა, ბუნებისა და სხეულისა" (გვ. 6.).

ი. პეტრიწის თქმით (თ. 59), არსებობს ორგვარი „სიმარტივე": არსებობს სიმარტივე უმაღლესი ერთისა, ესაა „ზესთ განყენებული მზე გონებათა და ერთთა" და არსებობს სიმარტივე ნივთთა, ანუ მატერიალური სამყაროსი. ეს უფრო მდაბალი სიმარტივეა. ესაა **„უსახო სახე ერთისა და უმსგავსო მსგავსება"**. ასეა ჟამიც. ჟამი ემსგავსება მარადიულობას. მაგრამ ესაა „უმსგავსო მსგავსება". მისტიკური მიზანი ასეთია: მსგავსება უნდა იგივეობად იქცეს: ყველაფერი დავიდეს „მარტივზე". მიზეზი და მიზანი ერთმანეთს უნდა დაემთხვეს.

ი. პეტრიწი ასკვნის: „უმარტივესნი არსებათანი უფრო საღმრთოჲ და უმეტეს ერთის გუარ" არიანო (თ. 58. გვ. 135). არისო „მარტივი ყოველი დაუხსნელ და განუზნეველ და მგებ თვის შორის და თვითმდგომ" (თ. 48). რაც უფრო ამაღლებულია არსება, რაც უფრო სულიერია იგი, მით უფრო „მარტივია", ე. ი. მით უფრო წმინდა სისადავის შემცველია, განუყოფელია და შინაგანად ხალასი. ამიტომ მარადიულობა უფრო „მარტივია", ვიდრე ათვლადი ჟამი, თუნდაც ერთი წამი. აქვე გასათვალისწინებელია, რომ უსაზღვროება ეხება არა მხოლოდ უდიდეს სივრცესა და დროს, არამედ სულ მცირე მოვლენებს, დრო-სივრცულადაც სულმცირეს. ღვთაებრივი უსაზღვროების აზრით, ეს ორი რამ ერთმანეთს ემთხვევა. ერთი რაობაა უსაზღვროდ მცირე და უსაზღვროდ დიდი. ამას კი ჰქვია „მარტივი".

„მარტივის" კატეგორია საყურადღებოა განსაზღვნების ქრონოტოპისთვის. აქაც „სიმარტივის" მაჩვენებელი სულიერებაა. სახის ღირსება განისაზღვრება მისი სულიერებით, ანუ დრო-სივრცული

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაობის „მარტივობით“. ამიტომ სახის „მარტივობა“ მისსავე ესთეტიკურ ბუნებაზე მაღლამდგომია. ასეთია, მაგალითად, ფრესკა. ფრესკის სახება ზედროულია, ხოლო მისი არსებობა ზესივრცულია.

ძე-ღმერთი „ვითარცა საუკუნედ და ვითარცა ყამად იგალობების“ („საღმრთოთა სახელთათვის“, ქვეთავი: „ყოველისა მპყრობელისათვის, ძველისა დღეთაჲსათვის, რომელსა შინა არს საუკუნოჲსა და ყამისათვის“, § 1). ძე-ღვთაება იმიტომ მოიაზრება ასეთი **ანტინომიებით** (საუკუნე ანუ მარადიულობა და ყამი), რომ „შეიერთა ღმრთეებამან უკუანასკნელი სიგლახაკე ჩუენი, რომლისა მარტივი იესო გამოუთქმელად შეიორკეცა და განვრცელებაჲ ყამიერი მიიღო უფამომან“ (იქვე, ქვეთავი: „რაჲ არს პირი სიტყვისაჲ და რაჲ არს მოცემულ საღმრთოთა სახელთათვის“, §4). საყურადღებოა, რომ აქაც იესო იწოდება „მარტივად“, რადგან იგი ყოველივეზე ზეაღმაღლებულია, ზეაღმაღლებულია დროზედაც და ზედროულობაზედაც. სწორედ ასეა გაშინაარსებული შემდეგი სახეები: „დაუსაბამო დასაბამიერ იქმნა“ (იოანე მტბევარი, „შობისათვის“, VIII); ანდა რუსთველის „უყამო ყამი“. აქ ერთი რამეც ჩანს: არა მხოლოდ ღვთაებაა ანტინომიურად გასააზრებელი („უყამო ყამი“), არამედ თვით დროა ანტინომიური ბუნებისა. ყამი ვერ გაიაზრება მარადიულობის გარეშე და მარადიულობა ყამის გარეშე. ისინი ერთიმეორეს აშინაარსებენ.

წმ. დიონისე არეოპაგელი ამბობს: **„ძუელად დღეთად** იგალობების ღმერთი ყოველთა ამათ მისდად ყოფისათვის, ესე იგი არიან: საუკუნე და ყამი და პირველ დღეთაობაჲ და პირველ ყამთა და საუკუნეთაობაჲ, დაღაცათუ წელიწადი და დღე და ყამი და საუკუნე ღმრთივ შეუნიერად იოჴანეს მისთვის ვითარიგი არს **ყოველისაჲ მოძრაჲობასა შინა უცვალებელი** და შეურყეველი და სამარადისოსა ძრვასა შინა მარადის თავსა თვისსავე შინა ჰგიეს და ვითარცა მიზეზისათვის ყამისა და დღეთა და საუკუნოჲსა.. სიბერითა და უკუე პირველითგანობასა და დაუწყებელობასა მოასწავებს, ხოლო სიჭაბუკითა დაუბერებლობასა“ (იქვე, § 1).

წელიწადს, დღეს, ყამსა და საუკუნეს მსჭვალავს „მოძრაჲობასა შინა უცვალებელი“ რამ და ღვთაებრივი ზედროულობა. თანაც, მასშია ყოველივე დროული და ამიტომ ეწოდება მას „ძველი დღე“ (დ. გურამიშვილთან ვკითხულობთ: „ძველი დღე, ღამე მზიანი“). ამავე შინაარსით ეწოდება მამა ღმერთს „მოხუცი კაცი“ ან „ბერი კაცი“ (ასევე ნ. გულაბერიძის „საკითხავში“). ამისი ანტინომიური წარმოსახვაც ვაცსახოვანია (მოიხსენიებენო „სიჭაბუკითა დაუბერებლობასა“ ღვთისა). სიჭაბუკე სიბერეშიცაა, რაც სიმბოლურად გულისხმობს, რომ წარმავალშიცაა წარუვალობა. ეს ეხება არა ზემარადიულობას, არამედ „წარმოქმნილ მარადიულობას“ (წმ. მაქსიმე აღმსარებელი, იხ. ვ. ლოსკი, დოგმატური ღვთისმეტყველება, VIII თავი: შესაქმე, დრო და მარადიულობა).

ცნობილია აზრი, რომ ქრისტიანობამ ანტიკური ციკლური დრო ვექტორული დროით შეცვალაო. ამას დაზუსტება სჭირდება. ქრისტიანობაშიც არის ციკლური დრო, ოღონდ თავისებურად. ესაა **ეორტალოგიური დრო**, ანუ დრო საქრისტიანო დღესასწაულებისა. ესაა წლიური ციკლი. მას გააჩნია შიდა ციკლები, შიდა პერიოდები (სულ ცხრა). ეორტალოგიური დროის საზრისია ესქატოლოგიური დრო. სხვაგვარად: ეორტალოგიური ციკლები მარადიულობას ეზიარება. საქრისტიანო დღესასწაულები მარადიულობასთან ზიარებაა, არსებობს მეორეგვარი რიტმულობაც. ესაა კვირა (მსგავსი). ყოველი კვირა იმეორებს ღვთაებრივი შესაქმის დროს (ექვსდღიანი შესაქმე და საუფლო დღე).

ეორტალოგიურ დროშია ჩართული მთელი ქრისტიანული ტაძარი, ლიტურგია, ფრესკა, საგალობელი და, ცხადია, აგიოგრაფია, ლიტურგიული მოხმარები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაც და შინაარსეულადაც. აგიოგრაფია შინაარსეულად ლიტურგიულ-ეორტალოგიურ ცნობიერების ემყარება. ეს არ გამორიცხავს მასში ესთეტიკური პლანის არსებობას (ესთეტიკურის გამორიცხვა მონოფიზიტურ ანესთეტიზმამდე მიგვიყვანს). აქ ესთეტიკურის მიზანი ზეესთეტიკურია.

რაც უნდა ტრაგიკული იყოს ყოფითი თვალსაზრისით აგიოგრაფიული ნაწარმოების შინაარსი, საბოლოოდ მაინც იგი ბედნიერების განცდას ბადებს. წმინდანის ცხოვრების აღსასრულით მისივე მარადიული ცხოვრება იწყება. ეორტალოგიური კალენდრით ეს დღესასწაულად აღინიშნება. ეს არაა ჩვეულებრივი „ზეიმი", მის არსს კარგად წარმოაჩენს თვით ქართული სიტყვა: დღესასწაული (დღე სასწაულისა). სასწაულია ის, რომ სიკვდილით იწყება მარადიულობა, სიკვდილით ითრგუნება სიკვდილი. წმინდანები ეგებებიან გარდაცვალებას და ამით ეგებებიან მარადიულობას. სიკვდილის დაძლევა ხდება არა სიკვდილზე ფილოსოფოსობით (როგორც ეს პლატონის „ფედონშია" ან ბოეციუსთანაა), არამედ მარადიულობისკენ სულიერი სწრაფვით (როგორც ესაა გრიგოლ ნოსელის ნაწარმოებში „სულისათვის").

აგიოგრაფიაში სიკვდილზე „ფილოსოფოსობა" (უფრო ზუსტად, სიკვდილის თეოლოგიური გააზრება) ადამიანთმცოდნეობითია და ამდენადვე საბისმეტყველებითი. სწორედ დროის საბისმეტყველებითი გააზრებებითაა საყურადღებო აგიოგრაფიის შესწავლისას. ი. პეტრიწის ფილოსოფია, ცხადია, ყოველივე ბიბლიიდან მოდის კერძოდ, იქედან, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა „საბეჭდიდ ხატად თვისა", მან დაივიწყა ეს, ამიტომაც აღმოჩნდა წარმავალ დროში და უნდა ესწრაფვოს მარადიულობას.

დროის გამოხატვის ფუნდამენტური პარადიგმები მოცემულია უკვე „წმ. ნინოს ცხოვრებაში".

ნაწარმოები ასე იწყება: „იყო: მათ ჟამთა, ოდეს გიორგი კაბადოკიელი იწამა ქრისტესთვის, მათ დღეთა კაბადუკიათ ქალაქით კაცი ვინმე მთავართა შესაბამი, მონაი ღმრთისაი, წარვიდა ჰრომელ" (გვ. 105). ეს იყო წმ. ნინოს მამა. მაშასადამე, ნაწარმოები იწყება წმინდანობის დროით („მათ ჟამთა, ოდეს იწამა") და არა — აღრიცხვადი დროით.

„მოქცევაი ქართლისაშია" შეტანილი წმ. ნინოს სიკვდილისწინა წერილი დედოფალ ნანასადმი, სადაც ნათქვამია: „მოიწიაო ჟამი დღისა დალევნისა და მზისა ჩემისა დავსებისა რამეთუ არა თუ დღე და ღამე შეიცვალებიან წესთა ზედა მათთა, არამედ **შე დღესა დავულამდები** და **იგი ჰგია უკუნისამდე**" (გვ. 102). აქ გამოხატულია ბუნების მოვლენათა ხანგრძლივობა და მასთან შედარებით ადამიანის ცხოვრების ხანმოკლეობა. სიცოცხლე დღეა, სიკვდილი ღამე. დროის თვისებას ნათელი გამოხატავს. ყველაფრის საფუძველია „მზეი სიმართლისაი", ანუ ქრისტე. დროის თვისებრივობა უმთავრესი გახდა. მეფე მირიანი წერდა: „ამა წმიდამან (წმ. ნინომ) აღანთო გულსა ჩემსა სანთელი ნათლისაი და შუაღამეს ოდენ მეჩუენა მე მზეი მბრწყინვალეი, ქრისტე ღმერთი ჩუენი, რომლისა ნათელი მისი არა მოაკლდეს უკუნისამდე" (გ. 158).

დროის **თვისებრივობა** გაღრმავდა, მაგრამ ქართულ აგიოგრაფიაში (დროის **აღრიცხვაც** ყველა შესაძლებელი პარამეტრითაა წარმოდგენილი. „წმ. აბოს წამებაში" აღნიშნულია: „სუფევასა უფლისა ჩუენისა იესუს ქრისტესისა, წელიწადსა ენებითგან და მკუდრეთით აღდგომითგან რვაას ორმეოც და ექუსსა, მეფობასა კონსტანტინეპოლის, ქალაქსა მას დიდსა, ქრისტიანეთა ზედა, კონსტანტინესსა, ძისა ლეონისსა, სარკინოზთა შორის მეფობასა მოსე ამირა მუმნისასა, ძისა ბაშდისსა, ქართლს შინა კათალიკოზობასა სამოელისსა, ერისთავრობასა სტეფანოზისსა, ძისა გურგენისსა, დასაბამით გარდასულთა ექუს ათას სამას ოთხმოც და ცხრასა წელსა, თთუესა იანვარისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადებასა შევისწავლეთ მარტვილობა წმიდისა და ნეტარისა ამის ბოწამისაო" (გვ. 63).

როგორც ვხედავთ, წმ. აბოს წამების დასათარიღებლად მოხმობილია ყველა მნიშვნელოვანი თანადროული მოვლენა და მათი გადაკვეთითაა ნაჩვენები სიდიადე აბოს წამებისა. ასეთი მაქსიმალისტური დამოკიდებულება დათარიღებისადმი არ გვხვდება თვით ისტორიული ჟანრის ნაწარმოებებში. პირიქით, ქართულ მატიანეებში ხშირია დროის მითოლოგიზაცია, მოხსნილია დათარიღებანი და მატიანეები ბელეტრისტიკას ემსგავსება (იხ. რ. სირაძე, ჟამთააღმწერლობა და მხატვრული მწერლობა. — წერილები, 1978).

აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულ აგიოგრაფიაში გამოსაყოფია კომპოზიციის სამი ტიპი: 1. დროით უწყვეტ თხრობაზე აგებული ნაწარმოებები, ანდა, ნაწარმოებები უწყვეტი ტელეოლოგიური სიუჟეტით; 2. ტრიპტიქული ტიპის (ანუ სამკარედული) კომპოზიციები; 3. ნაწარმოებები ცენტრალურ-ციკლური კომპოზიციით (რ. სირაძე, „ქართული აგიოგრაფია" გვ. 111). ახლა ეს უნდა დავუკავშიროთ **სიუჟეტური დროის პრობლემას აგიოგრაფიაში.**

პირველი ტიპის კომპოზიციაზეა აგებული „შუშანიკის წამება". აქ დროში უწყვეტობაა. სიუჟეტური დრო მთლიანად გამოხატავს ეგზისტენციალურ დროს, ცხადია, ქრისტიანული გაგებით. ნაწარმოებში თითქმის არაა არც ერთი ეპიზოდი, რომელშიაც თვით შუშანიკი არ მონაწილეობდეს. ამიტომ მთელი სიუჟეტური დრო გაშინაარსებულია წმინდანობით. მაგრამ აქ ორი სიუჟეტური ნაწილია: ნაწარმოების პირველ ნაწილში შუშანიკი მაძიებელია, ხოლო მეორე ნაწილში წმ. შუშანიკი უკვე გრძნობს, რომ იგი მიახლებულია იდეალთან და ამიტომაც სულიერად გაწონასწორებულია. აქ მისი სახე ფრესკულია. ფრესკა სახეობრივად უცვლელი და მარადიულია. ყოველი წმინდანი მიესწრაფვის ფრესკის მარადიულობას, რადგან ფრესკა დროულ მარადიულობას გამოხატავს.

აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში მოვლენათა დროში უწყვეტი თანმიმდევრობით გადმოცემის ემსახურება ასეთი ჩანართები: „პირველსავე სიტყვასა მოვიდეთ" და აბზაცების დაწყება სიტყვებით: „ხოლო" ან „და" (ამიტომ ციტირებისას მონაკვეთის დაწყება ამ სიტყვებით უმართებულოა).

ტაძრის მოხატულობა, ვითარცა ერთიანი სისტემა, დროულ მარადიულობას ასახავს. სხვადასხვა ისტორიულ დროში არსებული სახეები აქ მარადიულობით არიან გაერთიანებულნი. ცალკეულ ფრესკულ გამოსახულებაზე „წამის გამარადიულება" კი არაა, არამედ ფრესკის მისტიკურ-სიმბოლური შინაარსის მარადიულობა.

ტრიპტიქული, ანუ სამკარედული კომპოზიტიაა „წმ. აბოს წამებაში". მისი ოთხი თავი ასე შეგვიძლია გავანაწილოთ: a-I თავი (ორატორული და საღვთისმეტყველო შესავალი); B-II და III თავები (აბოს თავგადასავალი); a¹-IV თავი (ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებია). I თავში წამოყენებულ იდეალებს თავისი ცხოვრებით ახორციელებს აბო (II-III თავებში). IV თავში წმ. აბოს ქებაა I თავში მოცემული იდეალების კვალობაზე. ამით გამოხატულია დროის სამობა: საღვთო დრო — ადამიანის ცხოვრება, ანუ პიროვნული დრო — წმინდანობის დრო.

მესამეა ცენტრალურ-ციკლური კომპოზიცია. მაგალითად, გავიხსენოთ ხატები, რომელთა ცენტრში წმინდანია გამოსახული, მის ირგვლივ კი მისი ცხოვრების ეპიზოდებია მედალიონების მგავსად და იქმნება ცხოვრების მოვლენათა ციკლი, რომლის „საზრისია" წმინდანის ცენტრალური გამოსახულება. იგი ამასთანავე არის დროის საზრისიც. ცენტრალურ-ციკლური კომპოზიციის დროული წაკითხვა ასე შეიძლება: ციკლური დრო ბრუნავს საზრისული ცენტრის ირგვლივ. აგიოგრაფიაში ამის მსგავსია; მაგალითად, წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება".

დროში უწყვეტ თანმიმდევრობაზე აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებული კომპოზიციები ეყრდნობა ტელეოლოგიური ანუ მიზნობრივი დროის ქრისტიანულ გაგებას. წმინდანისათვის დროს ერთი მდინარება აქვს და ესაა ჟამიერი ყოფიერების წარმართვა მარადიულობისაკენ (მეტაფორულად რომ ვთქვათ, წმინდანის ცხოვრება მიდის ფრესკისაკენ და ტაძარში იქცევა გამარადიულებულ სახედ. ფრესკის სულს ვერ ეხება ჟამი).

სამწერლო ჟანრები ასახავენ საერთოდ ქრონოტიპისადმი და, კერძოდ, დროისადმი მიმართებას. ძველქართულ საისტორიო მწერლობაში სამი ძირითადი ჟანრია: „ცხოვრება" („მეფეთა ცხოვრება"), ისტორია, მატიანე („ისტორიანი და აზმანი") და ჟამთააღმწერლობა (სამივეს პირველსახეები ბიზანტიურ მწერლობაშია: „ბიოს", „ისტორია" და „ქრონოგრაფია"). ამ სამ ჟანრში დროისადმი სამნაირი მიდგომა მჟღავნდება: „ცხოვრებაში" დრო გაიაზრება პიროვნებათა მიხედვით, „ისტორიაში" — საზოგადოებრივი თვალსაზრისით, ხოლო ჟამთააღმწერლობაში პირველ ადგილზეა ისტორიული დრო და მის კვალობაზე აფიქსირებენ მოვლენებს (ქრონოგრაფიული აზროვნების ნიმუშია რუსული მატიანე „გარდასულ წელთა ამბავი", სადაც ჯერ თარიღებია და მათ შემდეგ ამბები. ზოგჯერ მარტო თარიღია, რაც მიანიშნებს, რომ ამ წელს არაფერი მომხდარაო).

ნებისმიერი ჟანრის ქართულ საისტორიო ნაწარმოებში თარიღების სიმცირეა. ასეა „მეფეთა ცხოვრებაში", ანდა „ისტორიანსა და აზმანში" და თვით ჟამთააღმწერელთანაც (XIV ს.) კი. ამითაც ქართული საისტორიო თხზულებანი უფრო ბელეტრისტიკას ემსგავსება. გამოდის, რომ ქართულ აზროვნებაში დომინირებს დროის მითოსურ-პოეტური წარმოსახვა. ცხადია, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მას უპირისპირდება დროის აგიოგრაფიულ-ეორტალოგიური გააზრება, რაც დროულ სიზუსტეს ითხოვდა, რასაც ჩვენში ბიზანტიური აზროვნება ნერგავდა. ამრიგად, შემუშავდა ზედროულობის ორგვარი გამოხატვა: აგიოგრაფიულ-ეორტალოგიური და მითოსურ-პოეტური.

თვით „მოქცევაჲ ქართლისაჲ", თვით მისი ქრონიკალური ნაწილი, არ შეიცავს დროულ მითითებებს (გამონაკლისია მხოლოდ წმ. ნინოს მიცვალების დათარიღება). „მოქცევაჲ ქართლისაჲ" საეკლესიო ისტორიაა და მასში ქრონოლოგიის არარსებობა არ უნდა აიხსნას მითოსურ-პოეტური აზროვნების გავლენით. ჩვენის აზრით, აქ გასათვალისწინებელია სხვა ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომლის არსი ასე შეიძლება გამოიხატოს: **ისტორია „იგავია"**. „იგავი" გულისხმობს მოვლენის საკრალურ საზრისს. ისტორიული მოვლენა სახე-სიმბოლოა ღვთიური იდეისა. ი. პეტრიწის კვალობაზე თუ ვიტყვით, ყოველივე ჟამიერი „ხატია" მარადიულობისა. ამაშია სამყაროს დრო-სივრცული მთლიანობა. ამიტომაც მოვლენები მოწოდებულია არა დროული კონკრეტიზებით, არამედ ზედროული იგავურობით. ესაა ქრისტიანული ისტორიოსოფიის პრინციპი და არა ოდენ „მხატვრული განზოგადების" შედეგი. თუმცა მხატვრულობა სრულიადაც არ გამოირიცხება. მხატვრულობა გვამზადებს, ი. პეტრიწის ტერმინით, „ზესთ-აღმკული" სფეროსთვის. როგორც ვთქვით, ამის უარყოფა მონოფიზიტურ კონცეფციებთან მიგვიყვანდა, რომელმაც ურთიერთგამომრიცხველად გათიშა ანდამიური და ღვთაებრივი.

ი. პეტრიწთან განხილულია იდეა ე.წ. **აქტიური უსაზღვროებისა**, ეგრერიგად მნიშვნელოვანი იდეა ლიტერატურისათვის და ნებისმიერი სახისმეტყველებისათვის, ასევე — დროის გასაგებადაც.

ი. პეტრიწი აღნიშნავს: „გამგონე არიან ღმრთივნი და ზესთ-არსნი მხოლონი და გასაგონო-მათგან პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობაჲ, და კუალად გამგონე არიან პირველი საზღვარი და პირველი უსაზღვროობაჲ, ხოლო გასაგონო-სწორად ყოველთაგან ზესთ-მდებარე იგი უცნაური ერთი და კეთილო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაი, რომელსა წადილმან პატივისამან ჰკადრა მისდა მამადცა წოდებაი“ (შესავალი, 8).

აქ მრავალი აზრია, მაგრამ დროისა და მარადიულობის ურთიერთმიმართების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საყურადღებოა „პირველი საზღვრისა“ და „პირველი უსაზღვროების“ ურთიერთშიმართებანი. დრო-ჟამის „პირველ საზღვართან“ იწყება მარადიულობა, ანუ დროული უსაზღვროება. აქვე გასათვალისწინებელია, რომ „ყოველი საუკუნოი მყოფი არს,არამედ არა ყოველი მყოფი საუკუნოი“ (თ. 87, შდრ. 105).

„ჟამი, ვითარ ხატი საუკუნოისა, დის სამარადისოდ, საუკუნესაევ თანა განზიდული, რამეთუ სამარადმყოფმან საუკუნემან მოუდრეკელობასა შორისდა დამსჭუალა თვისი დაუბერებელი მეფობაი. ვინაი ხატად და ძეგლად თვისად წარმოაჩინა ბუნებაი ჟამისაი, რამეთუ სამარადისოებითა ეხატვის მას, ხოლო ნიადაგობით მიდრეკითა და დენითა განეყოფვის მას“ (თ. 85).

ჟამში მარადისობაცაა და არამარადისობაც, ანუ ცვალებადობა. მეორეს მხრივ, მარადისობაში ჩართულია ჟამი. ეს ურთიერთშემშჭვალვა სახეობრივ-იგავურია (მაშასადამე, სახეობრიობა ყოფიერებაშივეა და არა ოდენ ცნობიერებაში). ისტორიაც იგავია (არა მხოლოდ ჰეგელიანური აზრით), რომლის მიხედვით, წარსულიდან რჩება ის, რაც სახეობრივ მნიშვნელობას იძენს, ანუ რაც იგავურ-პირადიგმულია ერისთვის ან რომელიმე ეპოქისთვის...

დიდი ხანია ყურადღებულია მრავალთა მიერ და მრავალმხრივ ერთი დიდადმნიშვნელოვნი აზრი, რომელიც ანტიკური ფილოსოფიიდან გადმოვიდა ახალ დროში (ანაქსაგორა, პლატონი, პროკლე) და ქრისტიანობაშიაც გავრცელდა (არეოპაგიტიკა, მაისტერ ეკჰარტი, იოანე პეტრიწი, ნიკოლოზ კუზანელი) (გ. თევზაძე). ამ აზრს ი. პეტრიწი შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ყოველი ყოველთა შორისაო, ხოლო განსაკუთრებით — თითოეულსა შორისაო“ (თ. 103).

ჩვენ ეს აზრი გვაინტერესებს ერთი ჩვენთვის ფრიად არსებითი მნიშვნელობის მქონე კონცეფციის თვალსაზრისით, რომელიც არაა ყურადღებული. ყოველივე ყოველივეშიაო, — ესაა ყოვლისმთლიანობის იდეა, რომელსაც შეიცავდა ქრისტიანობაზე დამყარებული არაერთი ფილოსოფიური ნააზრევი. მათ შორის ქართული (შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე). ცნობილია, რომ მრავალმხრივაა ვ. სოლოვიოვთან გააზრებული ყოვლისმთლიანობის იდეა. აქაა სოფიოლოგია, აქვეა არსთან ნამდვილმყოფის მიმართების საკითხები და ა. შ. მაგრამ ჩვენს ყურადღებას იმსახურებს ერთი განსაკუთრებული მნიშვნელობის ასპექტი: მოძღვრება იდეებზე ვითარცა ცოცხალ არსებებზე, რომლებიც ფენომენოლოგიურ სამყაროში ვლინდებიან შესაბამისობათა სისტემებით (ესაა ვარიაცია პლატონურ თემებზე), ვ. სოლოვიოვს საშუალებას აძლევს გნოსეოლოგიური პრობლემები გადაწყვიტოს მხატვრული სიმბოლიზმის სულისკვეთებით (რაც მთლიანად თვითონაც არა აქვს გაცნობიერებული)“ (ს. ხორუჟი).

ეს ნიშნავს, რომ ვ. სოლოვიოვი ყოველად მთლიანობის იდეას აფუძნებდა სახეობრიობაზე, სახეობრივ სისტემებზე.

ასე იქმნებოდა სიმბოლური ფილოსოფია, ანდა ფილოსოფია ყოვლისმომცველი სიმბოლიზმისა. ჩვენ არ შევუდგებით ვ. სოლოვიოვის თვალსაზრისის ფართო მიმოხილვას. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი ემყარება სხვადასხვა საარსებო ნაკადის სინთეზირებას. ი. პეტრიწის მთავარი საარსებო საფუძველი ქრისტიანობაა, ხოლო ფილოსოფიურ დონეზე — ნეოპლატონიზმი. გასაგებია, რომ უმთავრესია რელიგიური მსოფლხედვა, რითაც განპირობებულია ის, რომ პეტრიწის აზროვნებისთვის წამყვანია **იგავური ცნობიერება**. იგავური ცნობიერება გულისხმობს, რომ სამყაროში ნებისმიერი მოვლენა, გარკვეული აზრით, სახეობრივია. ყველაფერში ღრმა მისტიკური აზრია. ამგვარი საიდუმლო აზრი ყველაფერს მსჭვალავს და ყველაფერს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აერთიანებს. ესაა საღვთო საზრისი. ცალკეული მოვლენაც, ვითარცა სიმბოლო, ამგვარად უკავშირდება სხვა მოვლენებსაც და მთელს სამყაროსაც. ამ აზრით, **სამყარო სახეთა სისტემაა, ხოლო სამყაროს შეცნობა სახეთა შინა-არსის ამოცნობის გზით ხდება.** რადგან სახეთა ღვთაებრივი აზრი დაფარულია, მთლიანი სამყაროს შეცნობაც, ფაქტობრივად, გულისხმობს, რომ **შევიგრძნოთ შეუცნობლობა,** ულრმეს საიდუმლოებათა მიუღწეველობა. ამითი გამსჭვალვაა **სახისმეტყველებითი ფილოსოფიის** მიზანი (შდრ. რ. სირაძე, ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან, თავები ნეოპლატონურ სახისმეტყველებაზე, იხ. აგრეთვე, რ. სირაძე, ძველი ქართული თეორიულ-ლიტერატურული აზროვნების საკითხები, 1975 წ., თავი: სახისმეტყველება და წიგნი: სახისმეტყველება, 1982).

რაც მთავარია სახისმეტყველებითი ფილოსოფია დღესაც შეიძლება საფუძველი გახდეს კულტუროლოგიური ძიებებისათვის, ასევე ისტორიის ფილოსოფიისათვის, ენის ფილოსოფიისათვის, რომ არაფერი ვთქვათ მწერლობაზე და, საერთოდ, ხელოვნებაზე.

სახისმეტყველებითი ფილოსოფია უპირისპირდება სოციოლოგიზმს. იგი მოვლენის არსს ხედავს არა მის გარეთ, არამედ მასშივე და მის ამოკითხვას ცდილობს მოვლენის სიმბოლურად გააზრების გზით. მართალია, მოვლენის შინაარსი მიღმურია, ტრანსცენდენტურია მოვლენისაგან, მაგრამ მისი ჭვრეტა სწორედ ამ მოვლენიდან უნდა დავიწყოთ. სახისმეტყველებითი ფილოსოფიისათვის მოვლენა ისეთი ნაწილია მთელისა, რომელშიაც მთელი ჩანს.

ი. პეტრიწს წმ. სამების ერთარსებობის ნათელსაყოფად მოჰყავს ქართული სიმღერის სამი ხმის (მზაბრ ჟირ, ბამ) მთლიანობა. ეს ანალოგია მხოლოდ აზრის საილუსტრაციო ხერხი როდია. ამ შემთხვევაში ყურადღებულია, რომ თვით ქართული სიმღერის შინა-არსში მოცემულია ერთება სამობისა. ყოფიერებაშივე არსებობს სამობა. ამდენად, სამების დოგმატიც და ქართული სიმღერის სამხმიანობაც ერთიან ჭეშმარიტებას ასახავს, ორივე არის „ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტზე," რასაკვირველია, ჭეშმარიტების სხვადასხვა რანგით. ჭეშმარიტებათა იერარქიული საფეხურები ერთმანეთში სახეობრივად აირეკლება.

სახისმეტყველების თვალსაზრისით, სრულიად განსაკუთრებულია დრო, რადგან დრო არის ყოფიერების ერთ-ერთი მთავარი მოდუსი. ყოფიერებისათვის დრო აბსოლუტია, რამეთუ დრო მთელი ყოფიერების თანამარადიულია. დრო არ მდინარებს საფეხურებრივად, ეტაპობრივად, მისი არსებობა აბსოლუტურია. და როგორც აბსოლუტის არსებობაზე ითქმის ხოლმე, კერძოდ, უარყოფითი (უკუთქმითი, აპოფატიკური) თეოლოგიის კვალობაზე, ასევე შეიძლება ითქვას, რომ დროც „არ არსებობს". წმ. დიონისე არეოპაგელი ღვთის შეუცნობლობას ასე გამოხატავს: „არცა დგას და არცა იძრვის... არცა არსება არს, არცა საუკუნე, არცა ჟამ" („საიდუმლოდ ღმრთისმეტყველებისათვის", თავი ე).

არსებობს მხოლოდ საგანთა და მოვლენათა ცვალებადობა, დრო კი უცვლელია, უსაზღვრო და განუზომელია. ცვალებადობა განიზომება და არა დრო, რადგან დრო აბსოლუტია და აბსოლუტის „საზომი" კი შეიძლება მხოლოდ აბსოლუტური იყოს და არა — ფარდობითი. რასაც ჩვენ დროის გაზომვას ვარქმევთ, ფაქტობრივად საგანთა და მოვლენათა ცვალებადობის გაზომვაა. ამონიოს ერმისი ამბობდა: „ჟამი საზომი არს ძრვისაიო" („ძრვაი" — ცვალებადობას). აი, ამ აზრითაა დრო-ჟამი „ხატი" მარადიულობისა. დრო „არ არსებობსო", — ეს ნიშნავს, რომ დრო „არსებობის" ცნებაზე მაღლამდგომია. ჩვეულებრივი ცნება „არსებობისა" ვერ სწვდება მას. მასთან მიახლება შეიძლება მხოლოდ სახეობრივად. სახეებში ჩანს ხოლმე დროის იდუმალი არსი. წმ. დიონისე არეოპაგელი წერს: „ხატთა მიერ და სახეთა უსახონი და გამოუხატველნი წინადაგუესხმიან, და ზეშთაბუნებისანი იგი და უმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სგავსონი სიმარტივენი მრავალ-ფერობითა განყოფილთა სახეთაგთა განმრავლდებიან და ნივთიერ იქმნებიან“ (1, 4. გვ. 9.).

სახისმეტყველებითა დროის შემდეგი გააზრებანი: „მშვენიერო წამო, შეჩერდი“, „დაკარგული დროის ძიება“ ანდა „წამის დაჭერა“.

თომას მანი წერდა:

„შესაძლებელია თუ არა დროის მოყოლა, თვით დროისა, როგორც ასეთის, როგორც თავისთავად არსებულის? ნამდვილად არა. ამ განზრახვაზე უგუნური რაღა იქნება! წარმოვიდგინოთ ასეთი მონათხრობი: „დრო გადიოდა, დრო გარბოდა, დრო მიედინებოდა“ და ასე დაუსრულებლად. ამგვარ აბდაუბდას ჭკუათმყოფელი კაცი თხრობას ვერ დაარქმევს. ეს იმას ჰგავს, ვინმე ჭკუანაღრძობმა მთელი საათი ერთი და იგივე ნოტი ან აკორდი არახუნოს და მუსიკად შემოგვასაღოს. თავისთავად კი მოთხრობა იმით ჰგავს მუსიკას, რომ ისიც დროს **ავსებს**, „წესიერად ავსებს“ და „ანაწევრებს...“ დრო თხრობის სტიქიაა, ისევე როგორც სიცოცხლისა, ხოლო სიცოცხლე მასთან ისე განუყრელად არის დაკავშირებული, როგორც სივრცეში განლაგებულ სხეულებთან. დრო მუსიკის სტიქიაცაა, მუსიკა თავის მხრივ ზომავს და ანაწევრებს დროს, ერთდროულად წამიერსა და სანუკვარს ხდის და ამ ზომიერ მოთხრობას ენათესავება...“ („ჯადოსნური მთა“, თ. VII).

დროის მოყოლა შეიძლება არა უშუალოდ, არამედ რაიმეს საშუალებით, „რაიმეს“ მიხედვით. ესაა დროის გამომხატველი სახე. დრო ჩანს სახეთა ცვალებადობაში. „წმინდა დრო“ უშუალოდ არ ჩანს, „წმინდა დრო“ ზეარსულია. მუსიკა ვერ ანაწევრებს დროს და მეტადრე ვერ ზომავს მას. მუსიკა „ანაწევრებს“ თავის თავს, თავის საკუთარ დროს ხოლო ამ დანაწევრების ხარისხი იზომება სხვა ცვალებადობასთან მიმართებაში. „დრო“ სწორედ სხვადასხვაგვარ ცვალებადობის ურთიერთშეფარდებაა.

ნიშანდობლივია, რომ დროზე მსჯელობისას ხშირად მოიხმობენ-ხოლმე ხვლოვნებას, უფრო მუსიკას. ასეა თ. მანთანაც და ასევეა ი. პეტრიწთანაც. ესეც იმიტომ, რომ დრო სახისმეტყველებით შეიცნობა.

დროის სახისმეტყველებით კონცეფციისთვის უმთავრესია ის, რომ დროის საზრისს განსაზღვრავს სიკეთე. სიკეთე დროის საბოლოო მიზანიცაა და მისი შარადთანამდევი არსიც, ანუ მისი შინაარსი. ამით უკვე გამოხატულია დროის სახეობრივი ბუნება, რომელიც, ერთ-ერთი მთავარი საფუძველია სამყაროს სახეობრივი აგებულების და სახისმეტყველებითი შემეცნების კონცეფციისა.

დასკვნები

1. ქართულ სასულიერო მწერლობაში ცნობილია შუა საუკუნეებში გავრცელებული დროის ყოველი გაგება (დასაბამიდან, ქრისტეისი, მოქცევაით, ინდიქტიონი, ქრონიკონი, შეფეფა და კათალიკოსთა ზეობით დათარიღებანი, ეორტალოგიური დრო, ესქატოლოგიური დრო, ციკლური დრო და ტელეოლოგიური დრო), მაგრამ დროისადმი აღინიშნება ორი მთავარი მიმართება: აგიოგრაფია და ასევე სვინაქსრები და „ოგენნი“ ზუსტ ქრონოლოგიას შეიცავენ, ხოლო საისტორიო მწერლობის ითქმის ყოველ ჟანრის ნაწარმოებებში იშვიათია მოვლენათა ქრონოლოგიის ზუსტი განსაზღვრა და, ამ მხრივ, ისინი ბელეტრისტიკისათვის დამახასიათებელ მითოსურ-პოეტურ მიდგომას ამჟღავნებენ.

2. დროის თეორიულ საკითხებს ქართული სასულიერო მწერლობის სხვადასხვა დარგთა არაერთი წარმომადგენელი ეხება, მაგრამ განსაკუთრებით სრულად დროსთან დაკავშირებული ფილოსოფიურ-თეოლოგიური პრობლემები წარმოდგენილია იოანე პეტრიწის „განმარტებაში“.

3. იოანე პეტრიწის „განმარტებაში“ მოცემულია დროის სახისმეტყველებითი კონცეფცია, რომლის მიხედვით, ეამიერი დრო სახე და ხატია მარადიულობისა. დროის ჭეშმარიტი არსი მარადიულობაშია, მარადიულობა კი განუზომელია. ცვალებადია არა დრო, არამედ მოვლენები. ცვალებადობის მიზეზი დრო კი არაა, ცვალებადობის მიზეზია მოვლენათა დაშორება თავისი პირველსარსიდან, საზეთა სფერო „ეიგზეზურად“ (მისტიკურ-სიმბოლურად) ეარგელავს მარადიულობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. იოანე პეტრიწის მიერ დროის პრობლემატიკიდან არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შემდეგ საკითხებს: დრო და მარადიულობა, დროქამის გაჩენა და დრო-ქამის დასასრული, მარადიულობა და ცვალებადობა, დრო და „მარტივი", დრო და რიცხვი, დრო და „ერთი", რაოდენობრივი დრო და თვისობრივი დრო, დრო და ცათა ბერარქია, დრო და ბზე, დრო და „ეტიერი უსაზღვროება", დრო და კოსმოსი, დრო და „ოლამი", დროის ანტინომიურობა, ეგზისტენციალური დრო, დრო და წების თავისუფლება, ემპირიული და სიუჟეტური დრო.

ყველა ზემოაღნიშნული საკითხი გააზრებული აქვს დროის სახისმეტყველებითი კონცეფციის კვალობაზე. დროის საზრისია სიკეთე, ვითარცა უცვლელობა და მარადიულობა. დროის სახისმეტყველებითი კონცეფცია ერთ-ერთი საფუძველია სამყაროს, ვითარცა სახეთა სისტემის გააზრებისა.

5. დროის სახისმეტყველებითი კონცეფცია ერთ-ერთი საფუძველია ქრისტიანული სახისმეტყველებისა, ქრონოტოპის (დრო-სივრცული მთლიანობის) ქრისტიანული გაგებისა.

6. დროის სახისმეტყველებითი კონცეფცია სხვადასხვაგვარად მეცავნდება აგიოგრაფიულ ნაწარმოებთა სხვადასხვაგვარ კომპოზიციურ სტრუქტურებში: 1. მოქმედებათა უწყვეტი დროული თანმიმდევრობით გადმოცემი კომპოზიციური სტრუქტურა (მაგალითად, „წმ. შუშანიკის წამება"), 2. ტრიპტიქული (სამკარედული) კომპოზიცია („წმ. აბოს წამება") და 3. ცენტრალურ-ციკლური კომპოზიცია („წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება). ყოველივე მითგანს აერთიანებს „იგავური" (მისტიკურ-სიმბოლური) ცნობიერებით გააზრებული დრო.

7. ხატებსა და ფრესკებზე წმინდანობის გამარადიულებაა. წმინდანთა და ბიბლიურ პიროვნებათა სულის მოძრაობა აქ მარადიული უცვლელობითაა წარმოდგენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრო ბუაჩიძე

ქაქი სიტყვისა

თამაზ ბაძაღუას ყოველი გახსენება არის უშუალო შეხება იმ ტკივილთან, რომელიც მოგვაყენა მისმა უაზრო და აბსურდულმა სიკვდილმა.

თავისთავად შესაძლებლობა ასეთი სიკვდილისა არ შეიძლება ადამიანში არ იწვევდეს აუტანელ გრძნობებს და განცდებს.

ორმაგად ძნელია ამ აუტანლობის განცდა იმათთვის, ვისაც შეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა თამაზთან.

თამაზი შესანიშნავად გრძნობდა მთავარს და უარსებითესს ადამიანის ცხოვრებაში, ყოველდღიური ყოფის ფონზე და ნაგრძნობს სიტყვის შეშვეობით გამოხატავდა.

მისი განცდის ინტენსიობა არაჩვეულებრივად ტევადი იყო და ამისდა კვალად მის ყოფა-ცხოვრებას არაჩვეულებრივი დინამიურობა ახასიათებდა.

თამაზს არ ჰქონდა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრება და არც შეიძლებოდა ჰქონოდა, ვინაიდან თითქმის მთლიანად იყო შინდობილი შინაგან ხმას, რომელიც თავისუფლებას თხოულობდა და თვითონვე ამკვიდრებდა არსებობის ოაგისებურ წესებს და კანონებს.

თამაზ ბაძაღუა დაიბადა 1959 წელს მარტვილის მახლობლად, უძველეს ლოფელ ნახუნაოში.

მისი სახლის ზემოთ, მოტიტვლებული თხემიდან გარკვეით ჩანს სივრცეში წამოძარული მარტვილის მშვენიერი მონასტერი.

თამაზი ძველი არსებით იმ გარემოს პირმეში იყო, რომელშიც იშვა და გაატარა ბავშვობის წლები. ეს წლები კი შეუძლებელია არ ყოფილიყო დაუვიწყარი მგრძნობიარე ბუნების ადამიანისათვის, ვინაიდან ამ პატრიარქალურ ზისს ჯერ კიდევ შერჩენილი აქვს პირველქმნილი მკაცრი სისადავე.

მე არავრთხელ ვყოფილვარ ასტუმრად სოფელში და ყოველთვის შეიბლე და ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების ნირი, მათი უხმაურო ყოფა, აქა-იქ ჩადგმული ძველებური ოდასახლების პენი და ლაზათი ყოველივე ის, რაც ბევრი ადამიანის მეხსიერებაში დავიწყებასაც კი მიეცა.

თამაზი დაიბადა პედაგოგის, პოლიკარპე ბაძაღუას ოჯახში. ეს ოჯახი პირადად ჩემს წარმოდგენაში აღიბეჭდა, რეგალურ ულოგვეი ბურჯი, რომელიც თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის თავში ინარჩუნებს ნამდვილ ადამიანურ სინდისიერებას და გულმოწყალე პატიოსნებას. ამ ოჯახის ჭერქვეშ ყველაფერს სიძველის იერი აქვს და ყველაფერი სიძველით სუნთქავს.

თვითონ ბატონი პოლიკარპე მთლიანად სოფლის მკვიდრია. სოფლური ცხოვრების წესის განსახიერება და ნაწილი. ამაზე მეტყველებს მისი ნაჯაფარი სახე და ხელები, ძველებური პატივისცემა, თავაზიანობა და მოკრძალება სტუმრისა და, საერთოდ, პიროვნებისა.

თამაზმა 1975 წელს დაამთავრა ნახუნაოს სკოლა და ამავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე.

ჩემი აზრით, მის ცხოვრებაში ეს ფაქტი უფრო მეტია, ვიდრე ჩვეულებრივი ბიოგრაფიული დეტალი.

მისი ნატიფი ბუნება და ნიჭიერება შესაბამის გარემოს ეძებდა და დროულად გამოძებნა კიდეც. უნივერსიტეტი იყო ამ გარემოს თავისებური შუაგული.

თამაზი მთელი არსებით ჩაერთო ახალ გარემოში და ასევე ახალი შინაარსი შეიძინა მისმა ყოველდღიურობამ.

აქ არამც და არამც არ იგულისხმება მხოლოდ სალექციო კურსი, ე. ი. უნივერსიტეტი წმინდა აკადემიური განათლების მიღების თვალსაზრისით; დიდი ქალაქის გარემო თამაზს ყოველმხრივ იზიდავდა, აქ იყო მისი შთაგონების გამლიზიანებელი სინამდვილე და ქალაქურ გარემოში ნანახი და განცდილი სხვა ძნიშვნელობას იძენდა მისთვის.

აქედან იწყება, ჩემი აზრით, თამაზის, როგორც მწერლის ცხოვრება. მწერალში ვგულისხმობ არა იმ კაცს, ვინც რაიმეს წერს და აქვეყნებს, ე. ი. გარკვეული პროფესიის ბეჯით მსახურს, არამედ იმას, ვისთვისაც წერა მღელვარე შინაგანი ცხოვრების აუცილებელი გაგრძელებაა.

ეს კი მეტად თვალსაჩინო იყო თამაზის ცხოვრებაში. ურბანისტული გარემოცვა მისი გრძნობების და ჯერ კიდევ ხორცშეუსხმელი მიზნების ნამდვილ ასპარეზად გადაიქცა.

თამაზისთვის ქუჩაში მთელი დღის სიარული არ იყო უქმად დაკარგული დრო, რადგან არაჩვეულებრივად ზუსტი ინტუიციის წყალობით იცოდა, რა უნდა შეემჩნია და რა უნდა ენახა. თვითონვე მოგვითხრობდა თავისი განუმეორებელი ბავშვური მიამიტობით ისეთ შემთხვევებს, რომელსაც უკიდურესად დაკვირვებული თვალის მქონე ადამიანი თუ შენიშნავდა. მისი პატარა ოთახი კი ივსებოდა თაროებზე მიმობნეული, ნაჩქარევად შევსებული თაბახის ფურცლებით.

ამავე პერიოდში იკვეთებოდა ჩვენთვის თამაზის პიროვნული თვისებები. ის იყო ბუნებით მეტად კეთილი და ზრდილი ადამიანი. მისთვის აბსოლუტურად უცხო იყო დღევანდელ დღეს ვირუსივით გავრცელებული პრიმიტიული გამოვლინებები აგრესიულობის, შინაგანი უკმაყოფილების, ბოღმის, რაც ჩვეულებრივ უნიჭო, ნაკლოვანი, ოდიოზური პიროვნებების ხვედრია. მის ხასიათში არ იყო არავითარი ნიადაგი ასევე სადღეისოდ მომძლავრებული ნაცისტური მიდრეკილებებისთვის.

თამაზს ჰქონდა ერთი ძალზე იშვიათი თვისება: მას უჭირდა აუგის თქმა ადამიანზე.

მე პირადად ჩვენი ურთიერთობის მანძილზე არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბოლომდე გაემეტებინოს ვინმე, თუნდაც ულირსი პიროვნება.

სიტყვიერი აგრესიის სენი, რომელიც ყოველთვის ელის სანქციას, რათა მოქმედების უფლებაც მიეცეს და ჰიპერტროფირებული ფორმები მიიღოს, საფუძველშივე უცხო იყო მისთვის.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი ადამიანები ძალზე მომრავლდნენ და არ მინდა ვინმემ თუნდაც ეჭვი შეიტანოს თამაზის პიროვნულ სისუფთავეში.

პირიქით, თამაზს ჩვენს გარემოში დიდი სილაღე შემოჰქონდა სტუდენტობის წლებშიც და მერეც. ეს იყო სილაღე ბუნებით შემოქმედი, შინაგანად თავისუფალი კაცისა

თამაზი იყო მუდმივად შეყვარებული და მუდმივად აღფრთოვანებული რაღაცით ან ვიღაცით. მისი ხასიათის თვისება არ იყო ნეგატივების გამომჟღავნება, ეს არ აღიზიანებდა მის შთაგონებას. თამაზი უფრო პოზიტიურის დამცველი იყო პიროვნებაში და, ამავე დროს, თანამგრძნობელი. ის, თავისი ცხოვრების წესით, ათიანი წლების ქართველ პოეტებს ჰგავდა, რომლებიც სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდნენ, — მუდმივად წერდნენ, ეძებდნენ და განიცდიდნენ.

თამაზი განუწყვეტლივ მუშაობდა. მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა. რამდენჯერმე მივედი მასთან და შინ არ დამხვდა. როდესაც ვნახე, ვუთხარი, შენთან ვიყავი და სახლში არ დამხვდი-მეთქი. თან, რა თქმა უნდა, ხუმრობით, შევთავაზე სიუჟეტი პიესისთვის: მეგობარი რამდენჯერმე მიდის მეგობართან, აკაკუნებს კარზე, კარს კი არავინ აღებს. ამ არაკომუნიკაბელობის ქარგაზე უნდა ყოფილიყო აგებული პიესა.

რამდენიმე წლის შემდეგ თამაზმა მაჩვენა პიესა და მითხრა შენს მონაყოლზე ეს პიესა დამიწერია და აღარც კი მახსოვდა.

ამით იმის თქმა მინდა, რომ სულ მცირეოდენი ბიძგი იყო საჭირო, რომ თამაზს კალამი აეღო ხელში. ხშირად აღარც ახსოვდა დაწერილის არსებობა, ვინაიდან მუდმივად მუშაობდა, მუდმივად წერდა, მუდმივად ითავისებდა გარემოდან მიღებულ მისთვის თუნდაც ოდნავ მნიშვნელოვან შთაბეჭდილებას. ამიტომაც დატოვა მდიდარი მემკვიდრეობა — ლექსები, პიესები, თარგმანები.

რაც მთავარია, ამ წლებში ყალიბდებოდა თამაზის მსოფლმხედველობა, სადღაც ფსიქიკის დ სულის სიღრმეში მიმდინარეობდა რთული მუშაობა, რომელიც ჯიუტად ეწინააღმდეგებოდა ინერციით ნაკარნახევ პოეტურ წარმოდგენებს.

უცნაური რამ ხდებოდა: ტრადიციული გაგებით ზედმიწევნით პოეტურ კლიშეებში ჩნდებოდა სავსებით კონტრასტული, ამ პოეტურობასთან შეუთავსებელი დრამატულად უხეში ხაზები.

ეს თითქოს ჩვეულებრივი ამბავია, ყოველი ადამიანი განიცდის ასაკობრივ გარდატეხას და ამის გამო იცვლება მისი შინაგანი მდგომარეობა და გარემოცვაც. მაგრამ არაჩვეულებრივია, როცა ეს ხდება შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაში და შესაბამისად მის შემოქმედებაში, ვინაიდან ასეთ დროს შესაძლებელია, სავსებით უნიკალური და თავისებური სახე შეიძინოს პოეტმა.

კაცმა რომ თქვას, ასეთ დროს იბადება კიდეც პოეტი, როგორც დამოუკიდებელი ფენომენი. ასეთი დაბადების მოწმენი ვიყავით ჩვენც.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

1980 წელს თამაზმა დაამთავრა უნივერსიტეტი, დაწერა შესანიშნავი დიპლომო ნაშრომი ოთარ ჭილაძის რომანზე „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“. ამავე წელს დაიწყო მუშაობა მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიაში.

აქ მან ინგლისური და ამერიკული პოეზიის ცნობილი მთარგმნელის, გიორგი ნიშნიანიძის ხელშეწყობით მრავალი სასარგებლო საქმე გააკეთა. მის მიერ თარგმნილი მასალა რომ აიკინძოს, ალბათ, რამდენიმე ტომი შედგება.

აქვე გამოსცა ცალკე წიგნად ჯაკომო ლეოპარდის პოეზია, ცოტა ადრე კი საკუთარი ლექსების წიგნიც — „მესამე ხარი“.

და ამ წიგნის გამოსვლისთანავე ცხადი გახდა, რომ თამაზის პოეზია მთლიანად დისონანსურ დრამატულ ტალღაზე აეწყობოდა.

უკვე აღარ იყო ცალკეული ხაზები და დინებები, თამაზის წარმოსახვა მთლიანად მოიცვა მძაფრმა დრამატულმა შინაარსმა.

უკვე სავსებით დაირღვა კლიშეები, რომელიც თავის შიგნით რაღაც მთლიანის და წარუვალის რწმენას ატარებდა.

ლექსის ტონალობა დაემსგავსა აფორიაქებული ადამიანის გახშირებულ სუნთქვას, წყვეტილს, მაგრამ მძაფრს და მოუსვენარს. მაგრამ ჯერ კიდევ იყო რაღაც, სარეველა ბალახივით შეპარული ლექსის სტრიქონებში, რაღაც ჭირვეული კვანძი, რომლის გახსნა და მოცილება შვების ტოლფასი იქნებოდა.

იყო რაღაც, რაც ჯიუტად არ ნებდებოდა პოეტის წარმოსახვას, მის გაფაქიზებულ სმენას და ხედვას შლამივით ედებოდა და ლექსში ილექებოდა.

მე ვფიქრობ, ამის მიზეზი თამაზის ფაქიზ ფსიქიკაში და რთულ მსოფლმხედველობაშივე იყო. თამაზის ემოციურმა ველმა თვითონვე, სპონტანურად წარმოშვა, პირობითად რომ ვთქვათ, მსოფლმხედველობრივი პოეტური მრწამსი, რომელიც თანდათან იხვეწებოდა და უფრო ნათელ სახეს იძენდა.

მაგრამ წმინდა სახეობრივი ექვივალენტები ჯერ კიდევ ვერ ითავსებდა ახალ ემოციურ სტიმულებს.

გადალახული იყო ჟამი დუმილისა, ე. ი. დარღვეული იყო ტრადიციული, ინერციით მოდევნებული კლიშეები. მაგრამ ჯერ არ იყო დამდგარი ჟამი სიტყვისა, თუმცა ამ ძიების პროცესშიც იკვეთებოდა უკვე სათქმელის არსი — ადამიანის დაკარგულობა და გადაგდებულობა სამყაროში, შემთხვევითობის სისასტიკე, ყოფიერების აბსურდულობა, შიში აუხსნელის და გაუგებარის წინაშე. ეს მეტად თანადროული თემატური წრე თანდათან უფრო გაფართოვდა და სახეობრივადაც უფრო ხელშესახები გახდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალბატონი ცოდვა იყო ჩემი მეგზური,
ეჭვების, შიშის, უნდობლობის, შემთხვევითობის
საუკუნოვან უძრავ ღამეში.
მე მეშინია ჩემი სიფხიზლის,
რომელიც მოკლე დანასავით ბზინავს ციგ შუქზე...

საერთოდ, უნდა ითქვას ერთი რამ: XX საუკუნის დამლევს ქართულ მწერლობაში მოვიდნენ მკაფიო პიროვნულობის და რთული, ტრაგიზმამდე გამძაფრებული მსოფლშეგრძნების ადამიანები.

ფორმით ზერელე და მოდური გატაცების, „მკვდარი სიტყვების", ხშირად თვითმიზნური ექსპერიმენტების ეპოქაში ძალზე ღრმა ინდივიდუალობის მეშვეობით მათ შექმნეს შინაარსობრივად არაჩვეულებრივად სავსე ნაწარმოებები. შეიძლება ითქვას, რომ საკმაოდ მკაფიოდ აღბეჭდეს მათივე თანამედროვე ახალგაზრდა ქართველი კაცის შინაგანი სამყარო.

ეს კი შეუძლებელი იქნებოდა, ადექვატურად საინტერესო ფორმისთვის, რომ ვერ მიეკვლიათ, ოღონდ ფორმა არ ყოფილა მათი საბოლოო მიზანი. მათი ამოცანა გაცილებით სერიოზული იყო, — გადმოეცათ ის, რასაც სისხლხორცეულად განიცდიდნენ, რასაც ტკივილამდე ცხადად გრძნობდნენ. მათ არ შეეძლოთ, თვალი დაეხუჭათ იმაზე, რაც მათშივე ხდებოდა, რაც გლობალური მასშტაბით მოედო ცივილიზებულ ქვეყნიერებას. ადამიანმა დაკარგა ზნეობრივი საყრდენები, სიცარიელეში აღმოჩნდა, გაურკვევლობის, შიშის და უპერსპექტივობის გრძნობა დაეუფლა. ვინც ამაზე თვალს ხუჭავს, ის ან გონებამრუდეა, ან ცრუ ოპტიმისტი.

ყოველ კონკრეტულ გარემოში ეს განსაცდელი კონკრეტულ სახეს იძენს, რადგან თან ახლავს ეროვნული, ფსიქოლოგიური, სოციალური მოტივები.

ამიტომ მხოლოდ მწიგნობრული გზით ამ განსაცდელის გაგება და შემდეგ სულიერ ფასეულობად ქცევა შეუძლებელია. საჭიროა უშუალო განცდა.

და რაოდენ სამწუხაროა, რომ გამორჩეულნი მათ შორის, ისინი, რომლებიც უშუალოდ განიცდიდნენ და შემდეგ ხორცს ასხამდნენ ყოველივეს, რაღაც ბრმა ბედისწერის შემოტევით, სავსებით ახალგაზრდები, უდროოდ, ტრაგიკულად წავიდნენ ჩვენგან.

ვოვა მაჩაიძე, ჯემალ თოფურიძე, თამაზ ბაძაღუა, დათო კვიტაიშვილი...

ყველაზე ახალგაზრდა მათ შორის, დათო კვიტაიშვილი თავის ბრწყინვალე ლექსში წერდა:

მე ვარ შენი საყრდენი,
მაგრამ ჩემი საყრდენი
სად ვეძებო, სად?
ხომ გვჭირდება ორივეს
საერთო დასაყრდენი,
სანამ წავალთ ცად?

ამ „საერთო დასაყრდენის" ძიებაა თითოეული მათგანის შემოქმედების დედააზრი.

და არ შეიძლება არ ითქვას ერთი რამეც: ეს მწერლები მეტად ჰგავანან ერთმანეთს კიდევ ერთი ნიშნით — მათ ამოძრავებთ არაჩვეულებრივად ფაქიზი თანაგრძნობა ადამიანის მიმართ. რაც უფრო ღაორგუნვილია მათი ნაწარმოების პერსონაჟი, მით უფრო მეტია თანაგრძნობა მისდამი.

ჩვენ ყოველთვის ვეძიებთ ხოლმე რაღაც ქართულს მწერალში და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ამ „ქართულს" რატომღაც მეტწილად გარეგნულ, ზერელე გამოხატულებებში ვამჩნევთ. ან ეკვე ტრივიალობად ქცეულ ეპიგონურ ფსევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპატრიოტულ თემატიკაში, რომელიც დღევანდელი რთული პროცესების ფონზე, უბრალოდ, სასაცილო ჩანს, ან პროვინციულ პათეტიკურობაში, რომელიც ასევე პრიმიტივიზმის ნიშანია.

ზემოთ ნახსენებ მწერლებთან კი „საკუთრივ ქართული" ადამიანის მიმართ აღძრული თანაგრძნობაა მეტად სიღრმისეული შინაარსობრივი პლასტი.

80-იან წლებში, სიკვდილამდე რამდენიმე წლით ადრე, თამაზი ქმნის ლექსების ახალ წიგნს, რომელსაც შესანიშნავი სათაური დაარქვა — „ქვასა და სიტყვებს შორის".

ეს სათაური თავისი ფაქიზი სტილური ელფერით ახალი წიგნის ვრცელი, ფერადოვანი მეტაფორული სამყაროდან არის ამოგლეჯილი. ამასთანავე, პოეტური ფრაზის ამ ნატეხში ოსტატურად არის უკუფენილი წიგნის ლაიტმოტივი, მისი აზრობრივი ნახაზი. ქვები და სიტყვები, — სიკვდილი და სიცოცხლე, მუდმივი და წარმავალი.

ალბერ კამიუს აქვს ერთი ასეთი ჩანაწერი:

„შეუძლებელია როგორიც გნებავთ ადამიანური სიმართლე, თუკი საბოლოოდ, ყოველგვარი იმედის გარეშე არ ვცნობთ სიკვდილს. მე იმის თქმა მსურს, რომ უნდა ვცნოთ, ვაღიაროთ საზღვრის არსებობა არა ბრმა მოთმინების მეშვეობით, არამედ მთელი ჩვენი არსების დაძაბვით, რაც წონასწორობის მოპოვების ტოლფასი იქნება".

ამგვარი წონასწორობის პირობებში იქმნებოდა თამაზის ახალი წიგნი. ამგვარმა შინაგანმა დაძაბულობამ მოიცვა ბოლო წლებში იგი. მისმა ამდროინდელმა ლექსებმა ტანჯვის განსაწმენდელში გაიარა, რასაც წინ დიდი, შრომატევადი მუშაობა უძღოდა. ლექსი დაიწმინდა, მოშორდა ბიწი, ზედმეტი მინარევი, კაშკაშა და სუფთა მეტაფორებად დაკრისტალდა. მაინც რით არის მნიშვნელოვანი ეს წიგნი? უპირველეს ყოვლისა, იმით, რომ კონტურების სახით არსებული სათქმელი, პლასტიკური პოეტური ენის მეშვეობით, გამოკვეთილი და ხელშესახები გახდა. ეს სათქმელი ღრმად არის განფენილი მჭიდრო ტროპულ სისტემაში. თუკი ადრინდელ ლექსებში ლირიკული პერსონაჟი გარკვეულ ლოკალურ სივრცეში მოქმედებდა და ასევე ლოკალური იყო მისი გრძნობები და განცდები, — იყო, ვთქვათ, სიყვარული ან იმედგაცრუება, ან სიკვდილის შიში — ახლა იგივე პერსონაჟი, გერმანელი ექსპრესიონისტის, კაზიმირ ედშმიდის სიტყვით რომ ვთქვათ, კოსმოსის ან, უფრო სწორად, კოსმიური გრძნობის ნაწილად იქცა. ლექსებს მოშორდა ესთეტიზაციის კვალი, უფრო ნათელი და უფრო რთული გახდა შიდა პერსპექტივის გამო.

პოეტის აზროვნებამ შეიძინა მეტაფიზიკური შინაარსი და მისი ხედვის არე მეტად განივრცო.

თამაზი აქ უკვე გამუდმებით ეძებს მისი შინაგანი რთული ბუნებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ღირებულებას, იმ „საერთო საყრდენს", რომელზეც ზემოთ ვლაპარაკობდი.

მთავარი ის არის, რომ თამაზ ბაძაღუას პოეზიაში ამ საყრდენის ძიება არაჩვეულებრივად დრამატულ ხასიათს იძენს. ძიების სივრცე გლობალურია.

ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი,
ვინ შემოავლო ჩემს ცდუნებებს ცხრა ბეჭედივით,
ანდა რატომ ვარ მონაწილე ამ მოძრაობის —
სიკვდილის, მთვარის, შემოდგომის,
ზღვის და ბურუსის.
ვინ შემოავლო ჩემს აღტაცებას მომავალი შიშის სურნელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ცხრა ბეჭედით ვინ დაბეჭდა
განცვიფრება, თავისუფლება,
ვინ მახლეგინებს შუბლს ასე მწარედ
უდაბნოს წითელ ნაფეხურებზე.
მე წყლის კაცი ვარ და ზეციურ წყლისკენ მაბრუნებს
ჩემი გუგუნის ცივი ეკო — სასოწარკვეთა,
რომელსაც გული წინასწარ გრძნობს, როგორც პირუტყვი
მიწისძვრას, როგორც ზამთარს მერცხალი.
მაგრამ სად არის თბილი ქვეყანა,
სად არის წყარო, სად არის ჩრდილი
სად არის სიტყვა, მინერალების
შუქივით სუფთა და პირველქმნილი.
სად არის ის მზე — სიტყვასავით თბილი, სად არის
მზესავით თბილი სახლი სად არის,
სახლივით თბილი პური სად არის,
პურივით თბილი ქალი სად არის...
— მე ფრინველი ვარ, საკუთარ ფრთას ჩამორჩენილი,
და უიმედოდ ვებღაუჭები
იმ ძველ ფურცლებში ჩაყვითლებულ სიტყვებს: სიმშვიდე,
სიხარული, თანაგრძნობა, აღფრთოვანება....
ვინ, ვინ მაგემა მომავალი შიშის სურნელი?

ასეთი ლექსები ძალიან იშვიათად იწერება. ეს ლექსი სხვა საუკეთესო ლექსების მსგავსად არაჩვეულებრივად ექსპრესიულია, თავის წიაღში დასრულებულია. ამ შთაბეჭდილებას ერთი განწყობილების ჩარჩოში ჩასმული სიტყვების ზუსტი მიზანმიმართულება ქმნის.

არც ერთი სიტყვა, არც ერთი მეტაფორა არ არის აცდენილი მიზანს და ამით იქმნება თვალნათლივი ფორმისეული და შინაარსობრივი მთლიანობა.

ამავე დროს, არ შეიძლება თამაზის ამ წიგნში არ შენიშნოს კაცმა უაღრესად თავისებური მეტაფორების ფაქიზი, ასოციაციური წყობა.

დღეს, პოეზიის პროზაიზაციის ხანაში, როცა ხშირად ნიჭიერი ავტორების ლექსებიც კი უმეტყველო სიტყვების გროვად ან შიშველ დეკლარაციულ ოპუსებად არის ქცეული, მართლაც იშვიათია სახეობრივად ასეთი უხვი პოეტური აზროვნება.

ხშირად ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ დახვეწილი ასოციაცია ნელა ვიბრირებს მეტაფორული ფრაზის შიგნით:

ჩემი გუგუნის ცივი ეკო — სასოწარკვეთ

ან:

თოვლზე და ქარზე დაწვეთებული
მისი სისხლის მარგალიტები

ან კიდევ:

შენი ტუჩები გადაირბენენ გაქრობის
და დავიწყების მწარე მინდორზე

და მაინც, არის რაღაც აუხსნელი და მოუხელთებელი ამ ლექსებში. ეს, ალბათ, ასეც უნდა იყოს, არის მძაფრ დრამატიზმთან ერთად რაღაცნაირი გამჭვირვალე ნაღველი, რომელიც ჭავლივით მოძრაობს სიტყვებს შორის. ეს მუდმივი ნაღველია ადამიანისა, რომელიც წარმავალ და არაჩვეულებრივ ქვეყნიერებაში ხელჩასაჭიდს ეძებს. ეძებს და თან ყოველდღიურად ეთხოვება რაღაც ძვირფასს ჰაერივით მასაზრდოებელს. პირადად ჩემთვის, ამ ნაღველის შეგრძნება

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია წიგნში თავმოყრილი გარკვეული კატეგორიის ლექსებში.

ასეთი ნაღველი არ შეიძლებოდა ჰქონოდა თამაზის ასაკის, ოცდაშვიდი ან ოცდარვა წლის კაცს. ეს არის ჭარმაგი, ასაკოვანი კაცის ნაღველი, რომელიც ბევრ რაღაცას ურიგდება თავის თავშიც და გარესამყაროშიც და მკვეთრი პროტესტის ნაცვლად აქცენტი ადამიანური არსებობის და სიცოცხლის მძაფრ, აუნაზღაურებელ სიყვარულზე გადააქვს.

ამ წყობის ლექსებში, სადაც მკვეთრი დისონანსური განცდების ნაცვლად უფრო ჰარმონიული შინაგანი მდგომარეობაა დაფიქსირებული, თამაზი თავისი რთული არსებიდან უყურებს ბუნების პირველქმნილ სურათებს და, ერთი მხრივ, მის ხედვაშივე ძევს ამ ბუნების გულგრილობა და, მეორე მხრივ, ის ამავე წიაღში ამჩნევს მუდმივად განახლებადის, მარადიულის ფენომენს. ამგვარი ხედვა წარმოშობს დაწეულ, ჩურჩულის მსგავს ნაღვლიან ინტონაციას:

ბებერო ცაცხვ,
გაზაფხულზე მეც კუკავილობ შენს ხმელ ტოტებთან,
მეც ქარებში ვდგავარ ლიმილით
და თავსხმა წვიმა აუხდენელ სიხმრებს მისველებს.
მეც მაკითხავენ გაზაფხულზე შენი ფუტკრები,
რომ გადახსნილი ყვავილებიდან
კრიალა შხამი ამოსწოვონ
და ნელ-ნელა თაფლად აქციონ.
ბებერო ცაცხვ,
მეც დამფარა ყვითელმა ხავსმა,
და ჩემი ქერქიც გაიჟღინთა სიკვდილის წყლებით.
ბებერო ცაცხვ,
გაზაფხულზე მეც კუკავილობ შენს ხმელ ტოტებთან.
ხელაპყრობილი გაწითლებულ ვარსკვლავებს ვუმზერ
და წყნარად, წყნარად მეც ვმაღლდები,
დაკარგული სინორულისკენ

აქ გაიღვიძა თამაზის ბავშვობისდროინდელმა შთაბეჭდილებებმა. აქ წარმოსდგა მისი შესანიშნავი სოფლის წარუშლელი სურათები.

მაგრამ უნდა ითქვას ერთიც: ამ ლექსებში არ არის ცოცხალი ნატურის ჩვეულებრივი ხატვა. ეს სურათები ინტროსპექციულად აღძრული ხედვის ანაბეჭდებია. თუმცა ამგვარი ხედვის გამო ბუნების სურათებს ოდნავადაც კი არ აკლდება სიცოცხლისუნარიანობა.

ამ წიგნში არის ლექსები, რომლებიც ყველაზე ახლოს ხატვის ექსპრესიონისტულ სტილთან დგას, ვინაიდან აქაც არსებითია არა საგნის „პირდაპირი აღბეჭდვა, არამედ გამოსახვა, არა აღწერა, არამედ თანაგანცდა",

სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

თამაზს არ უყვარდა თეორიული ხასიათის მსჯელობა პოეზიის შესახებ, მაგრამ ერთხელ, მახსოვს, თქვა, მე ვიცი დღეს როგორი უნდა იყოს პოეზია.

მე ვფიქრობ, თამაზი ცდილობდა, შეენარჩუნებინა ის, რაც ყველაზე ძველია და ნიშნეული პოეტური აზროვნებისათვის — სახეობრივობა და ამასთანავე, იმ ინტუიციის მეშვეობით, რომელიც სერიოზული ნიჭის გამოხატულებაა, ის ყოველთვის ეძებდა სახეობრივი აზროვნების თანამედროვე ფორმებს.

საჭიროა თამაზის საუკეთესო ლექსების ერთად დალაგება და გამოცემა, რადგან არსებითია არა ნაწარმოებების რაოდენობა, არამედ ის სივრცე, რომელსაც დასრულებული მთლიანობა შეეხიზნავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...სტუდენტობის წლებში ერთად ჩავედით სოფელში. უკვე გვიანი ღამე იყო. ნამგზავრები და დაღლილები მარტვილიდან ნახუნაოსკენ მიმავალ გზას დავადექით.

და მე მახსოვს, როგორ მიდიოდა თამაზი სოფლის გზაზე ჩამოწოლილ წყვდიადში რაღაცნაირი ჩუმი მღელვარებით, აჩქარებული და აწრიალებული. მიდიოდა იქ, საიდანაც წამოვიდა, საიდანაც დაიწყო მისი ხანმოკლე ცხოვრების მოუსვენარი გზა.

ახლაც იქ განისვენებს, თავისი სახლის სიახლოვეს, სოფლის პატარა სასაფლაოზე.

თამაზ ბაძაღუა დაიღუპა 1987 წლის 5 ნოემბერს. საბედისწერო ავტოკატასტროფას ორი ოჯახი შეეწირა.

და დღეს, თუმცა თამაზი ჩვენთან აღარ არის, გრძელდება ჟამი მის მიერ წარმოთქმული მადლმოსილი სიტყვისა.

რემონ დიუგე

მოსკოვი და წამებული საქართველო

ამ მძიმე სამხედრო კამპანიამ, ამ ხანგრძლივმა უკანდახევამ, რომელიც კარგად იყო ორგანიზებული და კარგადაც შესრულებული, გამოაჩინა ქართველების დიდი პატრიოტიზმი, სიმამაცე, მხედრული თვისებები. გამოაჩინა იმათთვისაც, ვინც საქართველოს არ იცნობდა.

ქართული არმია ებრძოდა რიცხობრივად ბევრად ჭარბ მტერს (საშუალო პროპორცია — ერთი ხუთზე). თბილისიდან დაწყებული ისინი მოქმედებდნენ მეთოდურად. ყოველ დღე ბრძოლები ჰქონდათ. მე მხოლოდ რამდენიმე აღვნიშნე.

ცუდ ამინდსა და მძიმე პირობებში ამ გმირებმა ბოლომდე შეინარჩუნეს ვაჟკაცობა და გამძლეობა. ისინი ყველა შემთხვევას და საშუალებას იყენებდნენ დამპყრობლების შესაჩერებლად. უკან იხევდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მტერი რიცხობრივად ბევრად ჭარბობდა. ქართველები არ უტოვებდნენ მტერს არცერთ ვაგონს, არცერთ ორთქლმავალს.

მშობლიური მიწის ამ უდრეკმა დამცველებმა ბათუმში საქართველოს ერთი ულამაზესი ფურცელი ჩაწერეს. გვიჩვენეს ისეთი სანახაობა, რომლის მსგავსს ცოტას შეხვდებით ისტორიაში.

მართალია, ეს იყო უკანსვლა, მაგრამ ბრძოლით თითოეული გოჯი მიწისათვის. ქართული არმია 5 კვირის განმავლობაში იბრძოდა ყინვასა და თოვლში. მან სრული წესრიგით გაიარა 250 კმ. მიუხედავად იმისა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს აღსასრულს ხედავდა, შეინარჩუნა მორალური ძალა და ენერგია. ქართული არმია ებრძოდა სულ ახალ და ახალ ძალებს. მათ შორის იმათ, ვინც მსოფლიოში ყველაზე შამაც ჯარისკაცებად ითვლებიან — თურქებს. თან თურქებს ისეთი დამარცხება აგემეს, რომ ისინი თავგზააბნეული და კუდამოძუებული გარბოდნენ.

ეს საოცარი გამარჯვება იყო იმათთვის, ვინც ქართულ ბუნებას არ იცნობს. ეს შარავანდედია, რომელიც გვიჩვენებს არმიის ნამდვილ სახეს, იმ არმიისა, რომელიც სრულიად ახალგაზრდა გახლდათ და ცხოვრებას ეს-ეს იყო იწყებდა.

ბათუმის გამარჯვება ჩვენთვის ჭკუის მასწავლებელია. იგი ნათლად მიგვანიშნებს, რომ, როცა საქართველო მოსკოვის ულლისაგან განთავისუფლდება და ქართული არმია აღდგება, იგი იქნება დასავლური ცივილიზაციის მეწინავე გუშაგი. იქნება მშვიდობის გუშაგი იმ რეგიონში, რომელიც საუკუნეების მანძილზე ასე ხშირად აწიოკებულა და სისხლში მოთხვრილა.

ჩვენ მივაღწიეთ 1921 წლის 18 და 19 მარტს — გლოვის თარიღს. იმ დღეს საქართველოს დამოუკიდებლობას ბოლო მოეღო.

ამიერიდან საქართველოში წითელი ერა იწყება.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი", № 1, 2,3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი VIII

საქართველოს უმაღლესმა მთავარსარდლობამ საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნების იმედი დაკარგა. შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომ არ შეყოყმანდა იგი, რატომ შეება ახალ მტერს — თურქეთის არმიას, სწორედ მაშინ, როცა ბოლშევიკები უნდა შესულიყვნენ? ზოგიერთმა შეიძლება თქვას — ეს უაზრო სისხლისღვრა იყო.

დიდი იმედი მაქვს: ახლო მომავალში საქართველო დამოუკიდებლობას აღიდგენს. აი მაშინ გამოჩნდება საქართველოს უმაღლესი მთავარსარდლობის მთელი სიბრძნე. რა თქმა უნდა, უმჯობესი იყო საქართველოს მთელ ტერიტორიას მთლიანად ბოლშევიკები დაუფლებოდნენ. თურქებს არც ერთი ნაწილი არ უნდა დარჩენოდათ. ერთ მშვენიერ დღეს ბოლშევიკების რუსეთი დაეცემა. წითლები საქართველოდან განიდევნებიან. ქართველები განთავისუფლდებიან. მთელი საქართველო აღიდგენს დამოუკიდებლობას. თურქებს რომ დარჩენოდათ ბათუმის რაიონი, ალბათ ძალიან ძნელი იქნებოდა ანდა სრულიად შეუძლებელი თურქების ხელიდან მისი გამოგლეჯა. ისტორიული წარსულის სიმართლე საქმეს ვერ უშველიდა.

ქართველები ბათუმისათვის რომ იბრძოდნენ თურქების წინააღმდეგ და მიეერეკებოდნენ მათ გამაგრებული ადგილებიდან, ამით ისინი საქართველოს მთლიანობისა და თავისუფლებისათვის ომობდნენ. ვფიქრობ, როცა ღმერთი ინებებს და საქართველოს დამოუკიდებლობა აღდგება, ქართული ჯარის დამსახურება იქნება, რომ ეს პატარა და მამაცი ქვეყანა იგივე საზღვრებს აღიდგენს, რაც 1921 წელს ჰქონდა. ცხადია, გარდა ართვინისა, არდაგანისა და არტანუჯის რაიონებისა, რომელნიც თურქებს დარჩათ.

იმ გმირებს, რომელთაც 1921 წლის 18-19 მარტს ბათუმის გადასარჩენად მშობლიური მიწა თავისი სისხლით მორწყეს, ამაოდ არ შეუწირავთ თავი.

თურქებმა დატოვეს ბათუმი. ქალაქში ბოლშევიკები შევიდნენ. მთელი საქართველო უკვე მათ ხელშია.

რეგულარული ომი დამთავრდა.

წითლები ბოლშევიკურ რეჟიმს აცხადებენ. თბილისში მათი არჩეული მთავრობა ჯდება. ეს მთავრობა ქართველი ბოლშევიკებისაგან, ქართველი ერის მოღალატეებისაგან შედგება. ისინი რუსეთში ცხოვრობდნენ და საქართველოში წითელ ჯართან ერთად დაბრუნდნენ.

ბოლშევიკური მთავრობა სასწრაფოდ ბრძანებს დარჩენილი ქართული ჯარის დემობილიზაციას. ოფიცრებს ნებას აძლევენ (როგორც ვნახეთ, ძალიან ცოტა ხნით), სადაც უნდათ, იქ წავიდნენ. დეკრეტით ყოფილი დამფუძნებელი კრება დათხოვილია; გამოცხადებულია ამნისტია იმათთვის, ვინც წითელი არმიის წინააღმდეგ იბრძოდა. მალე გამოჩნდება, რომ ეს ამნისტია ტყუილია და ხაფანგია.

კომისართა საბჭო, როგორც პომპეზურად დაირქვა ამ მთავრობამ, ამით არ კმაყოფილდება. იგი სპობს არჩევით ორგანოებს — დამფუძნებელ კრებას, მუნიციპალურ და ადგილობრივ საბჭოებს. აუქმებს თბილისის მუშათა პროფკავშირს.

ყოველივე ეს იცვლება კომუნისტებით. მათ წითლები ნიშნავენ. იქმნება ჩეკა და მისი განყოფილებები. ჩეკაში უფროსებად ინიშნებიან ადამიანები, რუსეთში ცნობილნი თავისი სისასტიკით.

მოისპო ყოველნაირი თავისუფლება. ქართულ მოსახლეობას წაერთვა რაიმეს თქმის უფლება. ყველა გადაწყეტილება მოდის თბილისელი წითლებისაგან. ისინი მოსკოვის ნიღაბს წარმოადგენენ.

ყველაფერი რეკვიზირებულია — ფაბრიკები, ქარხნები, სახლები, ბინები, აქეჯიც კი. ყველა ქალაქსა და სოფელში წითელი არმიის რაზმებია ჩაყენებული.

დაბოლოს, ყველგან არსებული ჩეკა დაკომპლექტებულია უცხოელებით, ძირითადად რუსებითა და სომხებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ფრჩხილები უნდა გავხსნა: ბოლშევიკები ტყუილისა და გაიძვერობის აღიარებული ოსტატები არიან. ამიტომ აუცილებელია ყველაზე სარწმუნო წყაროებს დავეყრდნო. მეტადრე მაშინ, როცა მიზნად მაქვს შევისწავლო და აღვწერო მათი ბოროტებანი და დანაშაულებანი.

რასაც შემდგომ ვიტყვი, ნუ დაგაეჭვებთ. არც ვიგონებ და არც ვაზვიადებ. ვიფარგლები მხოლოდ ფაქტებით, თვითმხილველთაგან მოსმენილი ფაქტებით, ნაღდი, უეჭველი დოკუმენტებით...

დაწვრილებით გავეცანი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დოკუმენტს — „საქართველო ბოლშევიკური არმიების ბატონობის ქვეშ. საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების პრეზიდენტის გამოცემა. 1921 წ. ოქტომბერი". ვისარგებლე აგრეთვე დიდი ქართველი პატრიოტის თავადი შალვა ამირეჯიბის დეტალური მონათხრობით და მისი განცხადებებით.

შალვა ამირეჯიბი იყო დამფუძნებელი კრების წევრი (როგორც გითხარით, ეს კრება წითელმა მთავრობამ დაშალა). თავადი დარჩა საქართველოში 1924 წლის მიწურულამდე. როგორც ეროვნული პარტიის წევრმა, მან დაუყოვნებლივ დაიწყო მოსკოვის დესპოტიის წინააღმდეგ ბრძოლა იატაკქვეშეთში. ამ ბრძოლას სათავეში ედგა თავადი აფხაზი. როცა ბოლშევიკებმა თავადი კოტე აფხაზი, რამდენიმე გენერალი და ქართველი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი გაანადგურეს, ქართული ეროვნული პარტიის ლიდერი გახდა თავადი ამირეჯიბი.

●

მართალია, ბოლშევიკებმა ამნისტია გამოაცხადეს, მაგრამ ჩეკა მაინც თავის საქმიანობას აგრძელებდა. იჭერდა და ციხეებში ყრიდა საქართველოში დარჩენილ ყოფილი მთავრობის წევრებს, ყველა მნიშვნელოვან პირს, ცნობილ გენერლებს, ოფიცრებს (ორი მათგანი — პოლკოვნიკი ლექვენიძე და კაპიტანი ფავლენიშვილი — დახვრიტეს).

40-მდე ოფიცერი და კაპიტანი დააპატიმრეს და რუსეთში გაასახლეს. გასახლებისას მათ ცხოველებივით ყრიდნენ სატვირთო ვაგონებში. ექვსი თვე ეს უბედურები ისეთ აუტანელ პირობებში იყვნენ, რომ ზოგიერთმა ვერ გაუძლო და დაიღუპა (მაგ. გენერალი ახმეტელი).

წითლებს ისეთი ადამიანები სჭირდებათ, რომელნიც ყველაფერს ჩაიდენენ. ამიტომ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ყოველგვარი სინდისის ქენჯნის თვინიერ, ზნედაცემულ ადამიანებს ნიშნავენ.

არჩილ ბერიაშვილი (ცხენების ქურდი) — თელავის რაიონული მილიციის უფროსი.

არაბული (ბანდიტი, რომელიც მერე ბოლშევიკებმა თვითონ დახვრიტეს) — თიანეთის რაიონის მილიციის უფროსი. ამ პოსტზე შემდეგ იგი შეცვალა მეორე ბანდიტმა ეგოროვმა.

ლევან ქავთარაძე (ბანდიტი) — დუშეთის მილიციის უფროსი.

დარჩო ჭოლოშვილი (ბანდიტი, რეციდივისტი) — ანანურის რევკომის თავმჯდომარე.

ქუთათელაძე და გუთაიშვილი[1] (ბანდიტები) — ოზურგეთის ჩეკას უფროსები.

კობიაშვილი (ბანდიტი და მკვლელი) — თბილისის ჩეკას თანამშრომელი.

პაიჭაძე (ბანდიტი, რომელმაც მოკლა ინგლისელი ექიმი) — ჩოხატაურის ადმინისტრაციის უფროსი.

თათარაშვილი (ბანდიტი) — რკინიგზის მილიციის თანამშრომელი.

გულარიშვილი და კოსაშვილი (სტუდენტ ბატიაშვილის მკვლელები) — თბილისის მილიციის თანამშრომლები.

ორი მაგალითი საკმარისი იქნება ბოლშევიკების მეთოდების ნათელსაყოფად.

---

[1] დიუგე ყოველთვის ზუსტი ტრანსკრიპციით არ წერს ქართულ გვარებს. იმიტომ შეიძლება ზუსტად ვერ ამოგიცანით და ზოგიერთი გვარი დამახინჯებით გვიწერია (მთარგმნელები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახმეტაში (თიანეთის რაიონი) აღშფოთებულმა გლეხებმა დაიჭირეს წითელი ხელმძღვანელები. მათ არაერთი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინეს. ისინი თიანეთში ჩაიყვანეს. გლეხებს უნდოდათ, მათი საქმე ქალაქის სასამართლოს გაერჩია.

დაბა აბასთუმანში თბილისიდან განკარგულება მიიღეს — შეედგინათ ბანდიტების, ქურდებისა და სხვა საეჭვო პირების სია. თბილისში სიტყვა-სიტყვით ასეთი პასუხი მიიღეს: „ყველაზე საშიში ბანდიტები და ქურდები არიან შემდეგი პირები: (ჩამოთვლილია კომუნისტური რევკომის წევრთა გვარები)". დასკვნა კი ასეთი გახლდათ: ეს ადამიანები მჭიდრო კავშირში არიან ქვეყნის სხვა დამნაშავეებთან. მაგრამ ამასთან ერთად მთავრობასთან თავიანთ „მეგობრებს" აბეზღებენ.

●

ყოველგვარი თავისუფლება აკრძალულია — პრესის, კრებების, ასოციაციების, პროფკავშირის. გასამხედროებულია მუშათა დიდი ნაწილი, სახელდობრ, რკინიგზელები. თუ ისინი სამუშაო დისციპლინას დაარღვევენ, უნდა გასამართლდნენ სამხედრო წესით.

გაუქმებულია საწარმოთა ერთი ნაწილი. ვფიქრობ, აუცილებელია სიტყვა-სიტყვით მოვიყვანო ნაწყვეტი დოკუმენტიდან — „საქართველო ბოლშევიკების არმიის უღელქვეშ", რომელიც ერთხელ უკვე ვახსენე.

„ბოლშევიკები ნებას არ აძლევენ უმუშევრებს, დასტოვონ ქალაქი და სოფლად წავიდნენ სანოვაგის საშოვნელად. მათ აერთიანებენ ჯგუფებად და იძულებით სამუშაოზე აგზავნიან, ხანდახან ძალიან შორს ოჯახიდან. ასე გადაასახლეს 1000 ქართველი რკინიგზელი.

...რევკომიტეტმა გამოაქვეყნა დეკრეტი, რომელიც „უკრძალავს უმუშევრებს უარი თქვან სამუშაოზე". ეს დეკრეტი აკანონებს მუშების მონობას, რადგან ემუქრება იძულებითი სამუშაოთი კონცენტრაციულ ბანაკებში. ემუქრება ყველას, ვინც არ დათანხმდება იმ სამუშაოს, რომელსაც კომუნისტური ხელმძღვანელობა ავალებს.

ამ დეკრეტის მეორე პარაგრაფი აზუსტებს: ყველაზე კვალიფიცირებული მუშები და მოხელეები შეიძლება გამოიყენონ შავ მუშად, თუკი ამას ხელმძღვანელობა მოითხოვს. მე-4 პარაგრაფი ადასტურებს: უმუშევრებს, როგორიც უნდა იყოს მათი პროფესია, უფლება არა აქვთ უარი თქვან საგზაო სამუშაოებზე ან ხეების დახერხვაზე. მე-5 პარაგრაფი დაჟინებით განმარტავს: ოჯახის მარჩენალი უმუშევარიც უნდა დათანხმდეს ქალაქგარეთ სამუშაოს (თუნდაც სამუშაო ქალაქიდან შორს იყოს)

ვაცალოთ ქართველ მუშებს თავად აღწერონ თავიანთი მდგომარეობა. აი, რას ამბობს 3449 თბილისელი მუშა 1921 წლის 6 აგვისტოს მოწოდებაში, რომლითაც მათ დასავლეთელ ამხანაგებს მიმართეს:

„ჩვენ გვემუქრება ფიზიკური მოსპობა! აღარც იმ საშინელი პურის ნამცეცს (ნახევარი კგ-ის მეოთხედს) გვაძლევენ, რასაც აქამდე ვიღებდით. სხვა პროდუქტებს რაც შეეხება, ლაპარაკიც კი ზედმეტია. ხელფასს ძველებურად ვიღებთ. ცხოვრება კი 40-50-ჯერ გაძვირდა. არის თვეები, როცა ამ ხელფასსაც არ იძლევიან. სიკვდილის შუქარით აკრძალული გვაქვს სამუშაოდ ყანებში გავიდეთ. მუშათა უბნებში ქოლერა, სნეულებანი, შიმშილი მძვინვარებს. იღუპებიან მუშათა ოჯახები. გამეფებულია ტერორი. ნება არა გვაქვს, ჩვენს ტანჯვაზე ვილაპარაკოთ...

განურჩევლად პარტიულობისა, საქართველოს ყველა მოწინავე მუშა საპყრობილეშია. იქ მათ შიმშილი და ავადმყოფობა ანადგურებს. არავითარი ყურადღება არ ექცევა ადამიანს და მის სიცოცხლეს. ხეტეტენ სრულიად უდანაშაულო ხალხს. ხშირად იმათაც, ვინც არასოდეს გაჰკარებია პოლიტიკას. ამ ადამიანებს იმიტომ სპობენ, რომ ისინი ემსახურებოდნენ დემოკრატიულ ხელისუფლებას და ომში იცავდნენ თავიანთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს უცხოელი დამპყრობლებისაგან".

საქართველოს სიმდიდრე განადგურებულია ან რუსეთშია ექსპორტირებული. აწიოკებულია მაღაზიები, დუქნები, კერძო სახლები. ხდება ყოველნაირი რეკვიზიცია, კონფისკაცია, ნაციონალიზაცია. რკინიგზის მოძრავი მასალის დიდი ნაწილი რუსეთში იგზავნება. ყველგან შემოღებულია სამხედრო დისციპლინა. ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრება დეზორგანიზებულია. ამ აოხრებულ მიწაწყალზე ბოლშევიკებმა სასურსათო ბარათების სისტემა შემოიღეს რუსეთის გამოცდილების წაბაძვით. კვების პროდუქტების რაოდენობა მინიმალურია. არსაიდან ჩანს შევსება. ხოლო რაც არის, ყველაფერი მამასისხლად იყიდება.

თანამდებობის პირნი და კომუნისტი ხელმძღვანელობა კი სარგებლობს სპეციალური მომარაგებით.

●

უნდა ითქვას, რომ ქართული ტერიტორიის ერთი პატარა ნაწილი, მიუდგომელი მთების წყალობით, წითელმა არმიამ დიდხანს ვერ დაამარცხა. ეს არის სვანეთი. იგი დასახლებულია კონსერვატორებით და 1924 წლამდე, ე. ი. კიდევ სამი წლის მანძილზე ახერხებს გაუმკლავდეს წითელ ჯარს!

ამ სამაგალითო წინააღმდეგობის ნაპერწკალი თითქმის ყველგან ხელს უწყობს ქართული ენერგიის აფეთქებას! აფორიაქებული ბოლშევიკების მთავრობა 1922 წლიდან იწყებს მასობრივ (ლიანგურ) დახვრეტებს. ყველას ატუსაღებენ. ვინც ციხეებში ვერ დაატიეს, რუსეთში ასახლებენ.

განსაკუთრებული გააფთრებით აპატიმრებენ ყოფილ სამხედრო პირებს. ზოგიერთი დამპყრობლის ტყვეობას მთებში გახიზვნას ამჯობინებს, მათ პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი მეთაურობს. მთა მათ საიმედო თავშესაფარს სთავაზობს. ამ მთიანი მხარიდან ისინი გერილას (პარტიზანულ ბრძოლას) აწარმოებენ. ხევსურეთში ყველა მაცხოვრებელი ჩოლოყაშვილსა და მის რაზმს ეხმარება ისევე, როგორც სხვაგან. მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება.

6000-ჯარისკაციანი წითელი რაზმი ხევსურეთში იგზავნება. ისინი დაამარცხეს. ბრძოლაში მონაწილეობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც. წითლები შურს იძიებენ. ხუთ სოფელს აწიოკებენ. თუმცა, ისევე როგორც სვანეთში, წინ ერთი ნაბიჯიც ვერ გადადგეს. ჩოლოყაშვილი კახეთში დაიბადა. ხევსურეთში გაწეული მედგარი წინააღმდეგობით გამძვინვარებულმა ბოლშევიკებმა კახეთზე იყარეს ჯავრი. გაუგონარი სისასტიკით და საშინელი რეპრესიებით დაარბიეს კახეთი.

თავად ჩოლოყაშვილის გმირული მაგალითი სხვებმაც აიტაცეს. ნელ-ნელა თითქმის ყველა კუთხეში პარტიზანული ომები გაჩაღდა. პარტიზანებს მოსახლეობა ეხმარება. მოსკოვის დამქაშებს ყოველდღიურ და ყოველწამიერ ბრძოლას უცხადებდა. თავდასხმები მოულოდნელი და მამაცურია.

გერილაში თავადი დიდად გამოცდილია. იგი ტოვებს კახეთის მთებს. ატარებს რეიდებს ბოლშევიკი კომისრებისა და მათი მომხრეების წინააღმდეგ. რეიდების მერე თავადმა კვლავ ფშავ-ხევსურეთის მთებს მიაშურა.

●

თბილისის წითელმა მთავრობამ შეიტყო პოლკოვნიკ ჩოლოყაშვილის მჭიდრო კავშირი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან (გაკვრით ზემოთ უკვე აღვნიშნე). ეს კომიტეტი ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის სული და გულია. კომიტეტის წევრების გვარები გასაიდუმლოებულია. მათი ვინაობის გასაგებად წითლები მიმართავენ საშინელ დანაშაულებებს.

იჭერენ ყველა ეჭვმეტანილს და ყველას, ვინც შეიძლება რამე მაინც იცოდეს. წამებასაც არ თაკილობენ. აწამებენ განურჩევლად, თავადს, აზნაურს, ბურჟუას, სტუდენტს, მუშას, გლეხს — ვინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი ჩაუვარდებათ ხელში, სულერთია, იციან თუ არა საიდუმლო.

პატიმარს, ვინც უარს ამბობს ჩვენებაზე ან აცხადებს, რომ არაფერი იცის, თავზე რკინის რკალს აცმევენ და ნელნელა უჭერენ. ასობით და ათასობით ქართველს აწამებენ ამგვარად. ამან ბევრი ადამიანის სიკვდილი ან სიგიჟე გამოიწვია.

თელავში სხვა სახის წამებას მიმართავდნენ. ადგილობრივი ციხის კედელში კარადის ფორმის ადგილი იყო დატოვებული. შიგ პატიმარს ამწყვდევდნენ. მას განძრევა არ შეეძლო. ფეხზე იდგა. ცხრა დღე იყო ამგვარად წამებული. იქნება რაიმე თქვასო. თანაც ყოველდღე მიმდინარეობდა დაკითხვა.

განსაკუთრებით აღმაშფოთებელი და არაადამიანურია წამება, რომელსაც განიცდიან ტუსაღები დახვრეტის მოლოდინში.

საკნებში ჩაკეტილმა პატიმრებმა უკანასკნელ წუთამდე არ იციან, რა ბედი მოელით: გაანთავისუფლებენ, ციხეში დატოვებენ თუ დახვრეტენ ერთდროულად ყველას. ჩეკა არაკომპეტენტურად მიიჩნევს სასამართლოებს პოლიტიკურ პატიმართა მიმართ. ამიტომ მათ საქმეებს თვითონ ჩეკა განიხილავს. ჩეკას მიერ გამოყოფილ მოსამართლეს ეძლევა განკარგულება: გამოიტანოს განაჩენი უფროსის მითითების შესაბამისად. — ან სიკვდილი, ან სხვა. ბრალდებულს სასამართლოზე არასოდეს ეძახიან. მას არ ჰყავს ვექილი, რომელიც დაიცავდა ჩეკას საგანგებო ტრიბუნალზე. ყოველი განაჩენი ჩეკას თავმჯდომარეს გამოაქვს. მას გვერდით რამდენიმე ჩეკისტი უზის. განაჩენი საბოლოოა და გასაჩივრებას (აპელაციას) არ ექვემდებარება.

ტუსაღები ჩამწყვდეულნი არიან ციხის ერთ საკანში, ხშირად ნახევრად წყლიან სარდაფში. შუაღამისას, ორსა თუ სამ საათზე მათ ჩეკისტები აღვიძებენ. ჩეკისტების უფროსი, ხშირად მთვრალი, პატიმართა შორის დადის და შეურაცხყოფს მათ. უფროსს ხელში 12-დან 15-მდე ტუსაღის სია უჭირავს, რომელთაც სიკვდილი აქვთ მისჯილი. ყოველი პატიმარი ამ სიის წაკითხვას საოსწარკვეთილი ელის. სიის წაკითხვას რომ მორჩებიან, პატიმრები თითო-თითოდ გადიან საკნიდან. კარებთან მათ ჯალათები ელიან. გამოვლენ თუ არა, თავში მათრახს ურტყამენ. ტომარაში აგდებენ და მანქანებით დახვრეტის ადგილას მიჰყავთ. ტომრებში ჩაყრილ გულწასულ ტუსაღებს ჩეკისტები და წითელი ჯარისკაცები ზედ ასხედან.

დახვრეტილების ჩასაყრელად თხრილები უკვე გამზადებულია. გზაში ზოგიერთი გულწასული გონს მოდის. ისინი ტომრებიდან ამოჰყავთ და თხრილის წინ ამწკრივებენ. თითოეულს კეფაში უმიზნებენ დიდი კალიბრის რევოლვერს. ესვრიან ზურგიდან. ასე დახვრეტილის სახის ცნობა შეუძლებელია.

ზოგჯერ პატიმრები უარს ამბობენ, გამოვიდნენ საკნიდან. მაშინ იწყება ბრძოლა შეიარაღებულ ჩეკისტებსა და პატიმრებს შორის. მალე საკანი სასაკლაოდ იქცევა. მოკლულთა შორის ჩეკისტებიც არიან.

თითქმის ყოველ ღამე, ხან აქ, ხან იქ, მიმდინარეობს საშინელი ხოცვა-ულეტა. ისევე როგორც პატრიოტთა, წამებულთა გვარებიც, მოცულია საიდუმლოებით. ცხადია, უცნობია ადგილი, სადაც მათი გვამებია ჩაყრილი.

როცა მშობლებს, ნათესავებს, მეგობრებს საჭმელი მიაქვთ ტუსაღებთან და პასუხად ესმით — „აღარ მოიტანოთ, აღარ სჭირდებათ“, — მათ იციან, რომ ხმა არ უნდა ამოიღონ, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი ახლობელი დახვრეტილია.

ჩეკას მსხვერპლთა რიცხვი ძალიან სწრაფად იზრდებოდა. დაყოვნება აღარ შეიძლებოდა. პატრიარქმა ამბროსიმ გენუის კონფერენციას გაუგზავნა წერილი. მიმართვა. მასში ლაპარაკი იყო საქართველოში მომხდარი საშინელი რეპრესიების შესახებ. სამწუხაროდ, არც პასუხი მიუღია და არც რაიმე შედეგი მოჰყოლია მის თხოვნას.

განრისხებული ბოლშევიკები ჯერ სდევნიდნენ, ავიწროებდნენ. შემდეგ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიჭირეს არქიეპისკოპოსი და ქართული სამღვდელოების წარმომადგენლები. 1924 წლის თებერვალსა თუ მარტში პატრიარქი გაასამართლეს. მას სიკვდილი მიუსაჯეს. შემდეგ განაჩენი ცხრა წელი ციხით შეუცვალეს. მაგრამ 1925 წელს გაანთავისუფლეს.

სამწუხაროდ, შეუძლებელია წითლების მიერ ამოწყვეტილი ქართველი პატრიოტების რაოდენობის დადგენა. ყველაფერი — დაჭერა, წამება, დახვრეტა, გასაიდუმლოებულია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ 1923 წელს მეტი ადამიანი გაიუჯლიტა, ვიდრე 1922 წელს.

აღსანიშნავია ის, რომ ჩეკა ქალაქშიაც და სოფლადაც მზაკვრულად მოქმედებდა. მასობრივი დაჭერებით იგი მოსახლეობას აშინებდა — არ მოეწყოთ მღელვარება, ჯანყი. თითოეულს უნდა სცოდნოდა: თუ რაიმეს გაბედავდა, ბოლშევიკები შურს იძიებდნენ მათ მშობლებსა თუ ნათესავებზე, მეგობრებსა თუ ნაცნობებზე, რომლებიც წითელ ციხეებში ისხდნენ.

ლენინზე თავდასხმამ აკი გამოიწვია რამდენიმე ათასი პოლიტიკური პატიმრის დახვრეტა რუსეთში.

თავი IX

ფრანგი მოჟალაძე ჩეკას ხელში

ამას წინათ, პატივი მქონდა, გავცნობოდი ერთ ჩვენს თანამემამულეს. მან თავად იწვნია წითლების საპატიმროები და ბოლშევიკური საშინელება. მიამბო თავისი საშინელი ოდისეა. როგორ გაქურდეს, როგორ შეერყა ჯანმრთელობა, როგორ გაატარა სატუსაღოში ავადმოსაგონარი საათები და დღეები. ალბათ, მის გვამს ჩუმად სადღაც გადააგდებდნენ საფრანგეთის ელჩი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. ელჩმა აიძულა ჯალათები, გაენთავისუფლებინათ უდანაშაულო ფრანგი.

ჩეკას მსხვერპლი ამჟამად საინტერესო ნარკვევს ამზადებს საბჭოთა რუსეთის შესახებ[1]. მან გამაცნო თავისი მოხსენებითი ბარათის პირი. ამ ბარათში აღწერილია მისი ტანჯვა-ვაება. სამშობლოში დაბრუნებისთანავე ეს მოხსენებითი ბარათი წარუდგინა საფრანგეთის საგარეო სამინისტროს. რასაც ახლა მოგიყვებით, ამ ბარათის დასკვნაა, უფრო სწორად, შემცირებული შინაარსი. ისე კი ზუსტად გადმოგცემთ იმ საზარელ ამბებს, რაც ჩვენმა საცოდავმა თანამემამულემ მიამბო.

„რაკი სუსტი ჯანმრთელობისა ვიყავი, ჯარში არ გამიწვიეს. ომის დაწყებისას რუსეთში ვმუშაობდი. მაშინვე დავბრუნდი საფრანგეთში. ის მოვახერხე, რომ ომის პერიოდში ქვეითი არტილერიის პოლკში განმაწესეს. ჩემი თხოვნით, რაკი რუსული ენა ვიცოდი, რუსულ რაზმს მიმაწერეს. მოგვიანებით, ისევ ჩემი თხოვნით, რუსულ რაზმთან ერთად აღმოსავლეთში გამგზავნეს.

1919 წელს გენერალ დენიკინის სამხედრო მისიის მონაწილე ვიყავი ნოვოროსიისკში. ამ მისიას ამიტომ ჩამოვცილდი, რომ ფრანგებისა და შვეიცარიელების ევაკუაცია მომეხდინა. ისინი კომუნისტურ ურდოებს გაურბოდნენ. რუსების ხელმძღვანელებისათვის უნდა მიმეწოდებინა ის აღჭურვილობა და ტანსაცმელი, რომელთაც მათ უგზავნიდნენ.

ცოტა ხანში თბილისში გავემგზავრე. საფრანგეთის სამხედრო მისიის ატაშედ დამნიშნეს კავკასიაში. 1920 წლის ოქტომბერში კი დემობილიზებული ვიყავი. თბილისში მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ ფრანგულ საზოგადოებაში. ეს იყო მხოლოდ სამოქალაქო სამუშაო. უნდა დავამატო, რომ ამის გარდა, რამდენიმე კომერციული აქცია შევასრულე, კერძოდ, თბილისის მილიციასთან და საქართველოს ეროვნულ ბანკთან (წითლების მოსვლის მერე). პოლიტიკაში არასოდეს ჩავრეულვარ. არც ჯაშუშობასა და არც კოუტრშპიონაჟში მიმიღია რაიმე მონაწილეობა.

საჭიროა აღვნიშნო: წითლებს ჩემი საკმაოდ დიდი თანხა ეგარათა: კომერციული აქციები, ქონების კონფისკაცი-

[1] „წითელი რუსეთი, ანუ ავგიოსის თავლები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის წილი, ჩემოდანი (იმ ჩემოდანში იყო ოქრო, ვერცხლი, პლატინა, მარგალიტი. იგი ერთმა ჩეკისტმა მატარებელში წამართვა). მე მათგან ეს თანხა მოვითხოვე. თან საქმეში ჩავრიე (განსაკუთრებით ჩემოდნის გამო) სპარსეთის კონსული ბაქოსა და როსტოვში.

ბოლშევიკებს არავითარი სურვილი არ ჰქონდათ ჩემთვის დაებრუნებინათ ჩემი ფული და ნივთები.

ეტყობა, ფულისა და ნივთების დაბრუნებაზე ადვილი წითლებისათვის ჩემი და ჩემი ცოლის მოცილება იყო. ერთ დღეს ჩვენ დაგვიჭირეს.

1924 წლის 15 იანვარს, ღამის თორმეტის ნახევარზე, ჩვენსას, თბილისის ბინაში ჩეკას გამომძიებელი და ერთი აგენტი მოვიდნენ. მე და ჩემი ცოლი უკვე ლოგინში ვიწექით. მოვიდნენ და დაგვიჭირეს.

1921 წლის აგვისტოს თვის ბრძანებულება 64-ში, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის კომისრები, სხვა მუხლებთან ერთად, ნათქვამია:

„უცხოელის ბინაში ნებადართული არ არის არაკითარი ჩხრეკა, თუ ჩხრეკას არ ეს'ნრება სათანადო ქვეყნის საკონსულოს წარმომადგენელი“.

„უცხოეთის ქვეშევრდომების ბინა ხელშეუხებელია და რეკვიზიციას არ ექვემდებარება“.

ორი დამრბევი სრულიადაც არ ფიქრობდა ამგვარ პატარა დეტალებზე. თუმცა ისინი წარმოადგენენ ე. წ. საქართველოს მუშათა და გლეხთა ხელისუფლებას და ევალებათ ცხოვრებაში გაატარონ მათი ბანდის უფროსის გამოცემული კანონები. ისინი მჩხრეკდნენ, მართმევდნენ საბუთებს. ერთ-ერთი მათგანი (სწორედ ის, რომელიც მერე ჩემი გამომძიებელი იქნება) ეჯიბავს რამდენიმე ათას ფრანკს, რომელიც ჩემი საკუთრებაა. ამ „მშვენიერი“ ოპერაციის ჩატარება-მოთავების შემდეგ ჩემი ცოლი და მე სადღაც მივყავართ. არას დაგიდევენ, რომ ცოლი ორი ღღეა ლოგინად არის ჩავარდნილი.

ამაოდ ვეხვეწებოდი: ჩემი ბინადარ ფი ცოლისათვის ნება მიეცათ ღამე შინ დარჩენილიყო. ჩემი დაჭერა საკმარის გარანტიას იძლეოდა, რომ ისიც გამომყვებოდა ციხეში. მაგრამ ამ ორ ბარბაროსს არაფრის გაგონება არ სურდა.

●

დაიწყო ჩვენი წამება.

ჩემი ცოლი შეიყვანეს საკანში, სადაც დახვდნენ კარგი ოჯახის ქალიშვილები, ხანდაზმული მანდილოსნები, კახპები. მე გამომკეტეს დაახლოებით 30 d^2 ოთახში, იქ, იატაკზე იწვა ყოველგვარი ჯურის 32 მამაკაცი — ოფიცრები, სალდათები, ფუნქციონერები, ქურდები, მოძალადეები და ა. შ. ძლივსძლიობით კახერხებ იატაკზე ადგილის შოვნას. ორი საათის შემდეგ რწყილებით ვიყავი სავსე.

ვერც მეორე ღღეს შევიტყვე, რა მოტივით დაგვიჭირეს. მესამე ღღესაც სრული სიჩუმე იყო. მაწუხებს ცოლის ბედი. თავს ვიმტვრევ — რა უნდათ ჩვენგან. საჭმელად მოგვცეს 400 გრამი შაჟიპური და მარილიანი წყალი, რომელსაც სუფს ეძახიან.

გადავწყვიტე ჩეკას უფროსს ბარათი მივწერო.

სამი ღღეა, რაც დაჭერილი ვარ. გთხოვთ დამკითხოთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გაირკვეს ჩემი საქმე. არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. საკვებს გარედან არავინ მაწვდის. აქ დარიგებული „სუფი“ პატიმრების მხოლოდ მცირე ნაწილს ყოფნის.

შემდგომ ღღეებში დაიწყო უცნაური და სასაცილო დაკითხვა. დაკითხვას აწარმოებდა ის კაცი, ვინც დამიჭირა და გამქურდა.

პირველ დაკითხვაზე წერილობით ჩამომათვლევინეს ჩემი საქმიანობა, მისვლა-მოსვლა იმ დროიდან, რა დროიდანაც ვიმყოფებოდი ტერიტორიაზე, რომელიც წითელ დიქტატურას ექვემდებარება.

მეორე დაკითხვაზე გამომძიებელს მიკრძალებით ვკითხე მისგან მითვისებული ჩემი ფულის ამბავი. ნებართვა ვითხოვე, ჯარისკაცის ან დარაჯის მეშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეობით, ოფიციალურად მეყიდა საჭმელი ცოლისათვის და ჩემთვისაც. ამაზე მიპასუხა: რომ ჩემი ფული, სამკაულები და ნივთებიც საიმედო ადგილას იყო. როგორც კი გამანთავისუფლებენ, ყველაფერს დამიბრუნებენ. მაშინ ხელწერილი მოვითხოვე. უარი მითხრა, დროის უქონლობის გამო.

და „გამომძიებელი“ დაკითხვას შეუდგა.

ეს დაკითხვა დაახლოებით 15-ჯერ განმეორდა თბილისის ჩეკაში ყოფნისას და ორჯერ ამიერკავკასიის ჩეკაში. ყოველი დაკითხვა ერთმანეთს ჰგავდა. ეს იყო უაზრო შეკითხვების გროვა, მბრალდებოდა ჯაშუშობა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს სასარგებლოდ, მისთვის რამდენჯერმე ინფორმაციის მიწოდება, ფულის გადაცემა თბილისის ლიცეუმის დირექტორისათვის. ეს უკანასკნელი თითქოს ჯაშუშობდა და „კონტრშპიონაჟს ეწეოდა (ჩეკისტი ხან ერთ სიტყვას ხმარობდა, ხან მეორეს, ამ ცნებებს ერთმანეთისგან ვერ ასხვავებდა). ჩემს ცოლს კი დაბრალეს: საფრანგეთის კონტრდაზვერვის დავალებით ჩემთვის კონსტანტინოპოლიდან 60000 ფრანკის ჩამოტანა.

ამაოდ ვცდილობდი, გამეგებინებინა — რა უსამართლო და დაუსაბუთებელი იყო ეს ბრალდებანი. რადაც რომ მელიარებინა, ჩემი მტანჯველი ჩეკას გამომძიებლისათვის ჩვეულ ხერხებს მიმართავდა: ხან ილიმებოდა, ხან ტრაგიკულ იერს იღებდა, ხან სიკვდილით მემუქრებოდა, ხან რევოლვერს მადებდა შუბლზე და ა. შ.

●

ვიცოდი, ჩემი ცოლი უფრო ცუდ პირობებში იყო. საჭმელი არ ჰქონდა. არავითარ სამედიცინო დახმარებას არ იღებდა. ვცდილობდი, გამეძხნეებინა ვამშვიდებდი ჩვენი ჩქარი განთავისუფლების იმედით. რაკი მასთან ლაპარაკი არ შემეძლო, ბარათებს ვუგზავნიდი. ორჯერ მოვახერხე. მესამეჯერ წერილი ჩაუვარდათ ხელში. დამსაჯეს. 1924 წლის 30 იანვარს ბნელ და ღრმა სადრაფში ჩამკეტეს. სარდაფს იატაკი არ ჰქონდა. მისი აგურის კედლები სინესტისაგან სველი იყო. დილეგი რომ უფრო ცივი ყოფილიყო, ჩეკისტები განგებ ასველებდნენ სოხანეს. როცა სარდაფში ჩამაგდეს, ჩეკისტმა იაშა ზარგინავამ პალტოც გამხადა და კისერზე შემოხვეული კაშნეც წამართვა.

ათი წუთიც არ იქნებოდა გასული, რომ იაშა ზარგინავამ 16-17 წლით ჩემზე უფროსი კაცი შემოაგდო სარდაფში, იგი თოხაძედ გამეცნო. ამიხსნა, რატომ იჯდა ციხეში. იგი თურმე დემოკრატიული საქართველოს ყოფილ მინისტრს ნოე ხომერიკს დახმარებია ყალბი საბუთების შოვნაში.

ცოტა ხანიც და ახლა ახალგაზრდა კაცი შემოიყვანეს. ისიც ზარგინავას შემოგზავნილი იყო და პროვოკატორად მივიჩნიე.

ჩემს კომპანიონებთან ცოტა ხანს ვისაუბრე. როცა დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდა დამსმენი იყო (ეს იმდენად ნათლად ჩანდა, რომ ვეჭვობ, რაიმე სამსახური გაეწია უფროსებისათვის.), კუთხეში მივჯექი და დაძინება ვცადე. ვერ შევძელი, დილეგი ნესტიანი და გაყინული იყო.

ღამის 12 საათი იქნებოდა. ჩემმა ორივე კომპანიონმა, გათბობის საბაბით, ქაღალდის ნაგლეჯები და გაჭხმარი ბალახი აანთეს. ამან სინესტეში საშინელი ბოლი დააყენა.

ეტყობა დაღლილობისაგან ოდნავ ჩამოვლიმა და უცებ გამომეღვიძა. ჩვენს ყარეს ვილაც ფეხებს ურტყამდა და ხმამაღლა იგინებოდა. ეს ზარგინავა იყო. ჩვენმა ხელმძღვანელმა რა პატიმარს რაღაც უთხრა ქართულად მერე სილა გამაწნა და მუშტები დამიმანა. ფეხითაც მცემდა. ბოლოს რევოლვერი ამოიღო და რამდენჯერმე დამარტყა. ისე დამიმუქრა, თითქოს, სახეში უნდა ესროლა. ღმერთმა რატომ გადამარჩინა ამ მხდალი მკვლელისაგან? შეიძლება მი-

---

ბ. ბომბერიეი 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შემდეგ დახვრიტეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მავალი მიპასუხებს ამ კითხვაზე. მოხდა ისე, რომ რაღაც უცნაურმა ძალამ ამ ბანდიტს შუათითი გაუშეშა.

მეორე დღეს მეტეხის ციხეში გამაგზავნეს. რამდენიმე წუთის შემდეგ კი ისევ ჩეკაში დამაბრუნეს. ამჯერად ჩამკეტეს სამი მეტრი სიგრძისა და მეტრნახევარი სიგანის საკანში.

ჩემმა ცოლმაც გაისეირნა მეტეხის ციხეში. ეტლით წაიყვან-წამოიყვანეს, რადგან სიარული არ შეეძლო. ისიც ისეთსავე პატარა საკანში ჩაკეტეს, როგორშიაც მე. მისი საკანი ისეთივე ცივი და ნესტიანი იყო. ჩემი ცოლი ამაოდ ითხოვდა სამედიცინო დახმარებას. შიმშილით დასუსტდა, როგორც მე. ქანცგაწყვეტილი სისხლს აღებინებდა. ფეხები დაუსივდა. როგორც იქნა, ჩეკისტმა ექთნებმა იგი ციხის („გუბერნსკაია ტიურმას" რომ ეძახიან) საავადმყოფოში წაიყვანეს. იქ ექიმებმა ასე თუ ისე მიხედეს, რომ არ მომკვდარიყო. რაც ხელთ ჰქონდათ, იმ წამლებით გაჭყიპეს. მაგრამ საქართველოს ჩეკას ბარბაროსობის წყალობით, იგი ცალკე ოთახში იყო გამომწყვდეული 1924 წლის 14 ივნისამდე.

მართალია, ჩემი უბედური ცოლი საავადმყოფოშია, მაგრამ ჩეკას საშინელი მოპყრობის შედეგად, უმძიმესი ავადმყოფია. პარაზიტებით დაჭმულ-დაოსებულს საავადმყოფოს ეზოშიც არ უშვებენ. სუფთა ჰაერის სუნთქვის უფლებაც არა აქვს. ჩვენი მოსკოვის ბანაკებში გაგზავნამდე რამდენიმე დღით ადრე მაინც მიაღწია ამას იმით, რომ შიმშილობა გამოაცხადა.

●

პირველ მარტს ქართული ჩეკადან მე ამიერკავკასიის ჩეკაში („ზაკჩეკა") გამგზავნეს. იქ თვენახევარი დავყავი დილეგში. იქიდან კი მეტეხის ციხეში გადამიყვანეს.

იმ გაჭირვებამ, დაჭერის დღიდან რომ გამოვიარე და შიმშილობამ საერთოდ ძალიან დამასუსტა. დამიავადდა ფილტვები. ჩემი შერყეული ჯანმრთელობა რომ დაინახა, ციხის ექიმმა ბანაკში მყოფოში გამგზავნა. იქ, შორიდან, გისოსების მიღმა, შემეძლო დამენახა ცოცხალი ჩონჩხი, ანუ ჩემი საბრალო ცოლი.

1924 წლის 24 ივნისს ჩემი ცოლი და მე გაგვიყვანეს თბილისის სადგურში და მოსკოვს გაგვამგზავრეს.

თბილისიდან ბაქომდე ჩეკისტებმა გამყოლად ვიღაც კაცი მოგვიჩინეს. იგი ძალიან ჰგავდა სუტენერს, თავს კი თეთრი გვარდიის პოლკოვნიკად ასაღებდა. მის სახეს ყალბი მსხვერპლისა და წითელი ტერორის ცრუ შიშის გამომეტყველება ჰქონდა. ამით ნამდვილი პროვოკატორი მეღავნდებოდა. ეტყობა „ამხანაგ" ტაბანოვს გზაში უნდა მოვესინჯე.

ჩემი ცოლის თანამგზავრად თბილისი ვერავინ ნახეს ანდა არ უფიქრიათ. ბაქოში მოეგენ გონს. თბილისიდან ბაქომდე მან მარტო იმგზავრა. გვერდით არავინ ჰყოლია. ბაქოდან პეტროვსკამდე კი დაემგზავრა ნამდვილი ჩონჩხი, სახეგაფითრებული ქალიშვილი. იგი ირწმუნებოდა, რომ დიდგვაროვანი წარმოშობის მსხვერპლი იყო. თავი მარია მარინესკოდ მოჰქონდა. რუმინელი მშობლები მყავსო. ამბობდა, სინამდვილეში კი პირწავარდნილი რუსი იყო.

ცოლს საეჭვო ყოფაქცევის ქალი ახლდა, მე — ვიღაც სუტენერი, წითელი რეჟიმის ორი ღირსეული წარმომადგენელი. ვმგზავრობდით გისოსებიანი ვაგონით. უზომოდ ცხელოდა. ტემპერატურა ხანდახან 45 გრადუსს აღწევდა. ერთმანეთზე ისე ვიყავით მიკრული, როგორც ქაფშია კონსერვის ქილაში.

თბილისიდან მოსკოვამდე თვენახევარი ვიმგზავრეთ. დღეში საჭმელად 400 გრამი შავი პური გვეძლეოდა, ხანდახან დაობებული ქაშაყის ნაჭერს მოგვიგდებდნენ ციხეებში, სადაც ჩაგვსხენ, ყოველთვის კახპებსა და ქურდებს შორის გვამყოფებდნენ. ისინი ახალგაზრდები იყვნენ. არ მალავდნენ თავიანთ უბედურებას. ამბობდნენ, რომ ცხოვრების სხვა საშუალება არ ჰქონდათ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეჟიმის ქვეყანაში. ბარბაროსებმა ყველაფერი დაანგრიეს, მაგრამ ახლის შენების შნო არ ჰქონდათ.

●

მოსკოვში 1924 წლის 25 ივლისს ჩავედით. ერთი კვირის შემდეგ, კომუნისტი ჯალათების წესების შესაბამისად, მივმართე ქ-ნ პეშკოვას (ზოგიერთი რამის ნებართვას იძლეოდნენ). იგი პოლიტიკური პატიმრების დახმარების ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო. ვთხოვდი დახმარებას, მეტადრე ცოლისათვის. ერთი კვირის შემდეგ მეორე წერილი გავუგზავნე, აგვისტოს ბოლოს — მესამე. არც ერთი წერილი არ მისვლია.

სექტემბრის მიწურულს ქ-ნ პეშკოვა და პოლონეთის მისიის წარმომადგენელი ბ-ნი ვინაგერი შეხვდნენ ზოგიერთ პატიმარს. მე, ოფიციალურ პირთაგან ნებართვა არ ამიღია, ისე წარვუდექი.

რვა თვის შემდეგ წითელი ჯვრის ამანათი მივიღე. მასში 350 გრამი კარაქი იყო. როგორც ჩანს, ამის მეტი არაფრის გამოგზავნა არ შეეძლო ამ ორგანიზაციას. ვამჯობინე, ეს კარაქი არ მომეკლო მათთვის და ამანათი უკან გავუგზავნე. ცოლს ესეც არ რგებია, თუმცა რამდენიმე წერილი მანაც გაგზავნა. ცხადია, ეს წერილები შეაჩერეს.

უკეთესსაც გეტყვით: მოსკოვში ჩასვლისას ათი დოლარი მქონდა, ცოლს ოცი. ეს ფული წაგვართვეს. ჩვენს სახელზე ბანკში შეიტანეს.

ჩემი ცოლის ჯანმრთელობა უაღრესად მძიმე იყო. ეს, ციხის უფროსებს, ორ ლატვიელს, დუკისა და ადამსონს შევატყობინე. ესენი იმ უცხოელთა წარმომადგენლები იყვნენ, რომელნიც 1918 წლის ზოცვა-ულეტაში მონაწილეობდნენ. სწორედ ამგვარმა ხალხმა, დაბნეულმა და წყალწაღებულმა, აიყვანა რუსეთის ტახტზე ნაირნაირი ერების ნაჯვარი ადამიანების ბანდა. ჩემს მიმართვას არავითარი ყურადღება არ მიაქციეს. ცოლის ჯანმრთელობა კი მკვეთრად გაუარესდა. თითქმის უიმედო იყო. ექიმები ჩაერივნენ საქმეში. ისინი პასუხისმგებლობას იცილებდნენ, თუ სნეულს რძესა და თეთრ პურს არ მისცემდნენ. მაშინ, როგორც იქნა, ცოლს საკვების ყიდვის ნება მისცეს.

მოსკოვში დაკითხვებისას ზუსტად თბილისური კომედია განმეორდა. 1924 წლის 2 სექტემბერს გამომძიებელს, ვინმე სოჟინსკის, წერილი გადავეცი. მასში ვასაბუთებდი, რომ ყველა ბრალდება ცრუ იყო. წინადადებას ვაძლევდი — ჰიპნოზი გაეკეთებინათ ჩემთვის (სადისტები ამას ყოველდღე აკეთებდნენ. ამ საქმეში დახელოვნებული იყო პროფ. კრასნუშკინი). დაესვათ კითხვები პოლონეთის საკონსულოსა და პოლიტიკური პატიმრების დახმარების წითელი ჯვრის წარმომადგენელთა თანდასწრებით. იმ ბრალდებების [illegible] ჩამოვწერე, რასაც მე და ჩემს ცოლს გვიყენებდნენ. იქვე ვუმატებდი: თუ ჰიპნოზის ქვეშ, თუნდაც ერთ კითხვას დადებითად ვუპასუხებ, თანახმა ვარ სასჯელის უმაღლესი ზომის, ე. ი. [illegible] დილით დასჯისმეთქი.

ჩემს წინადადებას სოჟინსკიმ ცინიკურად უპასუხა, რომ მაი კოდექსი დაკითხვის ასეთ ფორმას არ ითვალისწინებდა; ამიტომ თხოვნას მსვლელობა ვერ მიეცემაო.

9 თვის წინასწარი პატიმრობის შემდეგ გამომძიებელმა არჩია, სასამართლოს გარეშე, ჩემთვის სამი წლით იძულებითი სამუშაო მოესაჯა. ჩემს ცოლს კი, ვისაც უკვე მკვდრად სთვლიდნენ — სამი წლით გადასახლება.

ასე და ამგვარად აკრობს კომუნისტური დიქტატურა, ყოველგვარი გასამართლების გარეშე, ასობითა და ათასობით მამაკაცს, ქალს, ბავშვს, მოხუცს. სასამართლოს მაგიერ გადაწყვეტილებას კი იღებს ნარკომანი, სადისტი, ლოთი, ყოფილი სუტენერი ან ყოფილი კატორღელი.

სწორედ ამგვარი „გადაწყვეტილების" წყალობით, გამგზავნეს იძულებით სამუშაოზე. ჩემი მომაკვდავი ცოლი კი, 9 თვის აუტანელი ტანჯვის შემდეგ, გადასახლეს. 9 თვის ციხის წამების მერე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგველოდა სამწლიანი ახალი ტანჯვა-წამება.

●

ეს ორი განაჩენი გამოიტანეს 1924 წლის 9 ოქტომბერს. იმ დროს, როცა საფრანგეთის წარმომადგენლებს, რომლის შვილი გაბლავართ და ვის დასაცავადაც აღმოვჩნდი იქ, ოფიციალურად უნდა ელიარებინათ რუსეთის ახალი რეჟიმი. ეს რეჟიმი კი სძულს გლეხობის 99%-ს და მუშების 90%-ს. ისინი იმ რეჟიმს მანამდე აიტანენ, სანამ ხელსაყრელი წუთი არ დადგება, რომ როგორც ერთი კაცი, აღდგნენ და ამოჟლიტონ ჯალათები, რომელთა უღელქვეშ გმინავენ.

მაშ, იმ დროს, როცა საფრანგეთი ოფიციალურად აღიარებდა ჯალათების ქვეყანას, რუსეთში დარჩენილი ერთი ფრანგი გადაასახლეს თეთრი ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე იძულებით სამუშაოებზე. მისი სიკვდილის პირას მისული ცოლი კი, არც ვიცოდი, სად! და ეს ხდება იმის შემდეგ, რაც დაუნდობლად გვაწამეს და გაგვქურდეს.

დანიშნულ ადგილას 1924 წლის 31 ოქტომბერს მივაღწიე. პირველ ნოემბერს დილის 6 საათიდან საღამოს 6 საათამდე ტყეში ვიყავი და ხეებს ვჭრიდი. საჭმელი არ გვქონდა და სასმელი. ვმუშაობდი შეუწყვეტლად, ცივი და კოკისპირული წვიმა ძვალსა და რბილში ატანდა.

არა, აღარ შემიძლია იმ შვიდი თვის აღწერა, რაც იქ გავატარე, არც იმისი, რაც იქ ვნახე.

1925 წლის 19 მაისს, ნაოსნობა რომ გაიხსნა, მოსკოვში წამომიყვანეს. გზას ათი დღე მოვუნდით.

კატორღიდან 5 თუ 6 წერილი მივწერე საფრანგეთის ელჩს. მოსკოვიდანაც რამდენიმე გავუგზავნე. პასუხი არც ერთხელ არ მიმიღია. არც ეს წერილები მისულა დანიშნულების ადგილას.

აუცილებლად ვიღაც უნდა შენახა საელჩოს წევრებიდან. ჯერ ცოლის ამბავი გამეგო, მერე დახმარება და მფარველობა მეთხოვა, იმისი დაბრუნება, რაც წამართვეს და რაც კავკასიაში დავტოვე[1]. ბოლოს, 1925 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში გადავწყვიტე შიშშილობის გამოცხადება მოთხოვნით: ჩეკისტ-ჯალათებს საფრანგეთის საელჩოს წარმომადგენლები მოეწვიათ.

რვა დღე ვიშიმშილე. ერთმა ზედამხედველმა 8 მაისით დათარიღებული დეპეშა მოიტანა. იგი ბ-ნ ერბეტს გამოეგზავნა სოლოვკაში. დეპეშა ორი თვის დაგვიანებით გადმომცეს.

როცა დეპეშა ვნახე, მივხვდი: ეს ბარბაროსები ისევე დასცინოდნენ საფრანგეთს, როგორც მე. აღვშფოთდი: როგორ არავინ უწევდა ანგარიშს საფრანგეთის ელჩის ხელმოწერას. შიმშილობა მაშინვე შევწყვიტე. რაღა აზრი ჰქონდა.

წითელი ბარბაროსების არაადამიანური მოქცევის წყალობით, ჩემი ცოლი დასნეულდა, შეც დავაავადმყოფდი. მუშაობა მიჭირს. თავს მხოლოდ ხელფასით ვარჩენთ.

---

[1] ცხადია, არაფერი არ დამიბრუნეს.

დასასრული იქნება

თარგმნეს **ეზრა** და **აკაკი ბაძრაძეებმა**

ბეჭდავს მიხე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკაკი წერეთელი

ჩუ, ქართველო!

ჩუ! ქართველო ბედნიერო,
ნუ ამბობ მამული მიყვარს!
როგორ უნდა დაგიჯერო,
რომ ძმის სისხლით ხელი გიყარს.

მეორედ ჩუ! შენ, ძმის მტერო,
„ქრისტიანი ვარ“ ნუ ამბობ!
როგორ უნდა დაგიჯერო,
როცა ჭეშმარიტებას ჰგმობ?

მაშ ისევ, ჩუ, რჯულის მტერო!
ნუ ამბობ, რომ ჭკვიანი ხარ!
როგორ უნდა დაგიჯერო,
როს ყელამდე მტვერში ზიხარ?

კიდევ გეტყვი: ჩუ, ოხერო,
„მამაცი ვარ!“ ნუ იძახი!
როგორ უნდა დაგიჯერო,
როცა ტყავს გაძრობს მათრახი.

ჩუ, ჩუ და ჩუ, მშვენიერო,
ნუ ამბობ: „ვარ მე ლამაზი!“
როგორ უნდა დაგიჯერო:
სახეზედ გაქვს შურის ხაზი!

ეჰ, ქართველო, კაცის ჩერო,
ქართლი შენგან არას ელის,
და მაშ როგორ დაგიჯერო,
რომ შეილი ხარ შენ ქართველის.

1865 წ.

ფასი 5 მან.

ხელმომწერთათვის 2 მან.

ინდექსი 76236

6133/75

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანონსი

პოეზია

ემზარ კვიტაიშვილი
ალექსანდრე გაბური
ზაზა სიგუა
თამრიკო ბოლქვაძე

პროზა

გიორგი ჭანტურია
(რომანი „მოსე", დასაწყისი),
დალილა ბედიანიძე
ირაკლი კაკაბაძე
შოთა იათაშვილი
ვლადიმირ ნაბოკოვი
„ლოლიტა" (გაგრძელება)

ინტერვიუ

ედუარდ შევარდნაძე

წერილები

გიორგი ნადირაძე
კორნელი დანელია
თეიმურაზ ჯანგულაშვილი
რემონ დიუგე
(დასასრული)

ჟურნალში იბეჭდება კიდევ
რამდენიმე საინტერესო მასალა

უახლოეს ნომერში გამოქვეყნდება **რეზო ჭეიშვილის** ვრცელი მოთხრობა **„ კუდიანი ვარსკვლავი"**.